ICCN
კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების
საერთაშორისო კვლევითი ცენტრი

საგანმანათლებლო პროგრამათა სატრენინგო მოდულები

ბუნდოვანი თანასწორობა

ტოლფასებული ბარიერამდე

წიგნი II

მრავალფეროვნება

„ყველა დიდი კრიზისისათვის საერთოა ის, რომ შეუძლებელია მათი დაძლევა, თუ არ შევიცვლით აზროვნების წესს“ – **გიორგი ხუციშვილი** (1948-2013)

'The common point in all major crises is that you cannot overcome them without transforming your mind'
– **George Khutsishvili** (1948-2013)

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების
საერთაშორისო კვლევითი ცენტრი

სერია: „კონფლიქტოლოგის ბიბლიოთეკა“

გენდერული თანასწორობა
მრავალფეროვნება
ტოლერანტული გარემო

საგანმანათლებო პროგრამათა სატრენინგო მოდულები

წიგნი II

მასალა გამოსაცემად მოამზადა და შესავალი დაურთო
ნინო ციხისთავი-ხუციშვილმა

თბილისი
2015

UDC (უაკ) 347.156 + 340.64
გ – 32

რედაქტორი: **ნინო ციხისთავი-ხუციშვილი**

ავტორთა ჯგუფი:

ნანა ბერეკაშვილი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, გენდერის საკითხების მკვლევარი

რუსუდან გოცირიძე, თეოლოგიის მაგისტრი, საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიის ეპისკოპოსი

შორენა ლორთქიფანიძე, საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი, სოციალურ და პოლიტიკური მეცნიერებების დოქტორანტი, საერთაშორისო პოლიტიკის, დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების მკვლევარი

რუსუდან მშვიდობაძე, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

გიორგი ნიჟარაძე, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მანანა როგოვსკაია-კანდელაკი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ირინა სულხანიშვილი, საერთაშორისო ურთიერთოების მაგისტრი, სოვიეტოლოგიის დოქტორანტი, რელიგიისა და პოლიტიკის მკვლევარი

ნინო ციხისთავი-ხუციშვილი, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მაგისტრი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორანტი, ქალთა და გენდერული საკითხების მკვლევარი

მანანა ჯავახიშვილი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

წიგნი გამოიცა გერმანული ფონდი ‘Brot für die Welt’-ის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში

Brot für die Welt

დაკაბადონება და დიზაინი: **ალექსანდრე ჯიქურიძე**

© კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი, 2015

ISSN 2346-805X
ISBN 978-9941-0-8101-9 (ორივე წიგნის)
ISBN 978-9941-0-8103-3 (მეორე წიგნის)

წინათქმა

“ყველა დიდი კრიზისისათვის საერთოა ის, რომ შეუძლებელია მათი დაძლევა, თუ არ შევიცვლით აზროვნების წესს” – **გიორგი ხუციშვილმა** საკუთარი იდეა თავისი ცხოვრებით განახორციელა.

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის დამაარსებლის, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორი გიორგი ხუციშვილის, სახელს უკავშირდება არა მარტო კონფლიქტოლოგიის, როგორც ახალი დარგის, საქართველოში განვითარება, არამედ – კონფლიქტების არაძალადობრივი მოგვარებისა და მშვიდობის მშენებლობის მიმართულებით საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა და დანერგვა.

გიორგი ხუციშვილის ძალისხმევით დაიწყო პირველი ქართულ-აფხაზური (1995) ქართულო-ოსური (1996) და ქართულ-რუსული (2008) დიალოგების პროცესი, რომლებიც წლების მანძილზე გაგრძელდა და სახალხო დიპლომატიის არხის ჩამოყალიბებასა და განვითარებას შეუწყო ხელი საქართველოში.

გასული საუკუნის 90–იან წლებში, საქართველოსთვის მეტად მძიმე პერიოდში, სწორედ გიორგი ხუციშვილის მიერ გაწეულმა შრომამ გახადა შესაძლებელი, შემოეკრიბა დაინტერესებულ ადამიანთა ჯგუფები, დაეკავშირებინა და მოქმედებაში მოეყვანა მრავალი ფაქტორი, რათა მოეპოვებინა საზოგადოების ნდობა და ომით დაზარალებულ მოსახლეობას კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების შესაძლებლობის ერწმუნა.

ამ წიგნით კონფლიქტოლოგიის ცენტრი უსაზღვრო მადლიერებას გამოთქვამს მისი დამაარსებლის, გიორგი ხუციშვილის და, აგრეთვე, მის გარშემო გაერთიანებული მრავალი დიდი პიროვნების მიმართ, რომელთათვისაც არაძალადობა, შემწყნარებლობა და მშვიდობა ცხოვრების წესია და არა მხოლოდ ინფორმაცია.

Foreword

The common point in all major crises is that you cannot overcome them without transforming your mind' – **George Khutsishvili** advocated and practiced this very idea of his throughout his life.

The Name of George Khutsishvili, Professor, Doctor of Philosophy, the Founding Director of the International Center on Conflict and Negotiation (ICCN), associates with developing of the entirely new education in Georgia - Peace and Conflict studies; creating number of the effective training programs on the peacebuilding and non-violent conflict resolution.

Dr. George Khutsishvili initiated first informal Georgian-Abkhazian (1995), Georgian-Ossetian (1996) and Georgian-Russian (2008) multi-track dialogue processes that shaped the public diplomacy in Georgia. In 1990s, after the collapse of the Soviet Union, Dr. Khutsishvili established working groups of experts, civil society representatives and developed confidence building programs, in order to achieve a dialogue in the 'post war divided societies' and help war-affected civilians by offering beneficial, non-violent approaches, together with peace building programs.

Our Center highly values and expresses its thankfulness and appreciation to George Khutsishvili and those distinguished colleagues of his, whose lifestyle had always been nonviolence, tolerance and peace.

სარჩევი

შესავალი 9

კონფლიქტის გენდერული ასპექტები 11

გენდერული თანასწორობა 23

მრავალფეროვნება 63

კონფლიქტი და კულტურა 83

ტოლერანტობა 100

ტრენინგის მოდულები 145

სავარჯიშოები 148

ტრენინგების ამსახველი ფოტომასალა 189

გენდერული ლექსიკონი 195

ბიბლიოგრაფია 223

შესავალი

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი (ICCN) წარმოგიდგენთ რიგით მეორე წიგნს, სერიიდან „კონფლიქტოლოგის ბიბლიოთეკა“, რომელშიც ერთად აქვეყნებს ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამათა ფარგლებში ჩატარებული ტრენინგების მოდულებს. **„წიგნი II: გენდერული თანასწორობა, მრავალფეროვნება, ტოლერანტული გარემო“** მოიცავს გენდერული თანასწორობის, ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების მართვის სწავლების მიმართულებით განხორციელებული სატრენინგო პროგრამების ძირითად მოდულებს. „წიგნი I: კონფლიქტების მოგვარება და მშვიდობის მშენებლობა“ კი, შესაბამისად, წარმოგიდგენთ კონფლიქტებისა და მშვიდობის მეცნიერებათა საგანმანათლებლო მიმართულებით ჩატარებული ტრენინგების სასწავლო მასალას. ამასთან, ჩვენი ცენტრის საგანმანათლებლო საქმიანობის ვრცელი აღწერა შეგიძლიათ, ასევე, პირველ წიგნში მოიძიოთ.

ორივე წიგნი გამოდის ახლადდაარსებული სერიის: „კონფლიქტოლოგის ბიბლიოთეკა“ ფარგლებში. მათში პოპულარულ ენაზეა წარმოდგენილი როგორც კონფლიქტის, მშვიდობის, გენდერისა და მრავალფეროვნების თეორიული მხარე, ისე საინტერესო და თვალსაჩინო მაგალითები საქართველოს სინამდვილედან.

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ მითითებული საკითხების მიმართ ჩვენი ცენტრის ინტერესი იმთავითვე დიდი იყო, რადგან პოზიტიური მშვიდობის მშენებლობა სწორედ ქალთა და გენდერული პრობლემების, ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების, თანასწორობისა და ჩართულობის გაზიარებასა და მიმღეობას საჭიროებს საზოგადოების მხრიდან. გამომდინარე მითითებულ საკითხთა მნიშვნელობიდან, ჩვენი ცენტრი ყოველთვის ემსახურებოდა საზოგადოების გააქტიურებასა და ხელს უწყობდა მის ჩართულობას პრობლემური საკითხების განსახილველად. 1996 წელს ცენტრმა მხარი დაუჭირა ქალთა თანასწორობის საკითხების მეცნიერული შესწავლის საჭიროებას და 1997 წლის აგვისტოდან ინსტიტუციური მხარდაჭერა გაუწია ახლადშექმნილ ჯგუფს – ‘კავკასიის ქალთა ქსელს’ (CWN), რომელმაც ათი წელი იმუშავა ცენტრის ჭერქვეშ და შემდეგ დამოუკიდებელ ორგანიზაციად დარეგისტრირდა (2007 წ.). ‘კავკასიის

ქალთა ქსელში' გაერთიანებულმა ადამიანებმა მრავალი კვლევითი, საგანმანათლებლო და საკანონმდებლო ცვლილებათა მომზადების პროგრამებით მნიშვნელოვნად შეუწყვეს ხელი ქალთა თანასწორობისა და პოლიტიკური მონაწილეობის ზრდას ქვეყანაში, რათა კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირებისა და ადამიანთა უსაფრთხოების მიმართულებით ქალთა და გოგონათა საჭიროებები ყოფილიყო გათვალისწინებული სახელმწიფო პოლიტიკის შექმნისა და განხორციელებისას. კავკასიის ქალთა ქსელის ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა რამოდენიმე კოალიციის, რეგიონული ქსელის, ლობირების დროებითი და სახელმწიფო სამუშაო ჯგუფების შექმნას და მნიშვნელოვანი საქმიანობით დადებითი გავლენა მოახდინა ქვეყნის დემოკრატიზაციის ვექტორზე.

წინამდებარე წიგნი სახელმძღვანელოს ტიპის პუბლიკაციაა, რომელშიც თავი მოვუყარეთ გენდერული თანასწორობის, კულტურისა და კონფლიქტის, კონფლიქტის გენდერული ასპექტების, ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების სასწავლო მოდულებს.

პუბლიკაცია საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ აქ გაეცნობით პრობლემის მოგვარების სხვადასხვა მეთოდს, დაინახავთ, რამდენად მნიშვნელოვანია კულტურის, მრავალფეროვნების, გენდერული თანასწორობის როლი კონფლიქტებში, როგორც მათი წარმოშობისა და გაღრმავების, ისე მოგვარების კუთხით.

წინამდებარე წიგნში მოწოდებული მასალა კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის 20 წლიანი საგანმანათლებლო ტრენინგ-პროგრამების ფარგლებშია შექმნილი და ადაპტირებული; განკუთვნილია მკითხველთა ფართე წრისათვის: დაინტერესებული პირები, სტუდენტები, გენდერული თანასწორობის, ტოლერანტული გარემოსა და მრავალფეროვნების მართვის საკითხებზე მომუშავე ტრენერები, მეცნიერები და პრაქტიკოსები.

იმედი მაქვს, ჩვენი ახალი გამოცემა გაამდიდრებს თქვენს ბიბლიოთეკას და, ვისურვებდი, თქვენი სამაგიდო წიგნიც გახდეს.

პატივისცემით,
ნინო ციხისთავი-ხუციშვილი,
ცენტრის გამგეობის თავმჯდომარე

კონფლიქტის გენდერული ასპექტები

ბიოლოგია

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ცხოველთა სამყაროში მამრი გაცილებით უფრო "კონფლიქტურია", ვიდრე მდედრი. რევოლუციამ მამრს "მიღწევის" ფუნქცია მიანიჭა, ხოლო მდედრს – "მცველის". ტერიტორიისა და სექსუალური პარტნიორის მოსაპოვებლად, სახეობათა უმრავლესობაში, სწორედ მამრს უწევს სერიოზული კონფლიქტების მთელ წყებაში გავლა. რაც შეეხება მდედრს (განსაკუთრებით ფრინველებსა და ძუძუმწოვრებში), იგი აგრესიულ ქცევას ძირითადად მაშინ ავლენს (მტაცებელ სახეობათა გარდა), როდესაც მის ნაშიერებს საფრთხე ემუქრება ზოგჯერ მშიერი მამრისგანაც კი.

საგულისხმოა, რომ იმ ცხოველებს, რომლებიც სახიფათო იარაღით – ბასრი კბილებით, კლანჭებითა თუ ნისკარტით არიან აღჭურვილნი, ევოლუციამ უბოძა გენეტიკური მექანიზმი, რომელიც შეტაკებისას სასიკვდილო შედეგს აღკვეთს. როდესაც ორი მგელი სასტიკ ბრძოლას აჩაღებს და ერთ-ერთი ატყობს, რომ მოწინააღმდეგე უფრო ძლიერია, იგი თავს გვერდზე სწევს და მრისხანე მეტოქეს ყველაზე დაუცველ ადგილს – ყელს მიუშვერს. ხდება საოცრება: გამარჯვებულს დამბლა ეცემა; მისი პოზა, მიმიკა უჩვენებს, რომ იგი დიდი სიამოვნებით გამოასალმებდა სიცოცხლეს მოწინააღმდეგეს, მაგრამ არ შეუძლია – გენეტიკური მექანიზმი "ბლოკავს" აგრესიულ ქცევას. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მგლები, ყორნები და ბევრი სხვა სახეობა, რომლებსაც მსგავსი მექანიზმი გააჩნიათ, დიდი ხანია გადაშენდებოდნენ. ალბათ, ევოლუციის პროცესში უამრავი სახეობა გადაშენდა კიდეც, ვინაიდან ამგვარი მექანიზმი არ გამოუმუშავდათ. გასაგებია, რომ აღწერილი ინსტინქტური "ბლოკები" ძირითადად მამრების კუთვნილებაა.

ცხოველისაგან განსხვავებით, ადამიანთა ცხოვრებაში ინსტინქტი მეორეხარისხოვან როლს თამაშობს. ადამიანის სოციალურ ცხოვრებას ძირითადად წარმართავს ზნეობა, ტრადიცია, რწმენა, ღირებულება, რაციონალიზმი და ა.შ. მაგრამ ინსტინქტური მემ-

კვიდრეობაც არაა უკვალოდ გამქრალი. ზოგი ინსტინქტური მექანიზმი არ ეწინააღმდეგება ზნეობის მოთხოვნებს. მაგალითად, დანებების საყოველთაოდ გავრცელებული ჟესტი – ზეაწეული ხელები – დამარცხებული მგლის ქცევის ზუსტ ანალოგიას წარმოადგენს. ძირეული განსხვავება აქ ისაა, რომ ადამიანს, პრინციპში, შეუძლია უიარაღო თანამოძმის მოკვლა, მგელს კი – არა. ადამიანის უნიკალობა იმაშია, რომ მას, პრინციპში, შეუძლია ნებისმიერი ინსტინქტის ძახილის წინააღმდეგ წავიდეს (Вилюнас, 1986; Гальперин, 1976). ზიგმუნდ ფროიდი თვლიდა, რომ სწორედ ამ თავისებურების, სახელდობრ კი, ინსტინქტის უშუალო სამიზნის სხვა ობიექტებზე გადატანის შედეგია კულტურა და საზოგადოება, მთელი თავიანთი სირთულით, პრობლემებითა და მასშტაბით.

ინსტინქტური მემკვიდრეობის ანარეკლი შეიძლება შევამჩნიოთ მამაკაცებისათვის შედარებით ჩვეულებრივ, ხოლო ქალებისათვის ნაკლებად დამახასიათებელ ისეთ ქცევაში, როგორიცაა ხელჩართული ჩხუბი. მამაკაცების ჩხუბისათვის გარკვეული "წესებია" დამახასიათებელი: ძირითადი სამიზნეა მოწინააღმდეგის სახე და მუცელი, ძირითადი იარაღი – მუშტი და წიხლი (სხვათა შორის, აღმოსავლური საბრძოლო ხელოვნებების ეფექტიანობა სწორედ ისაა, რომ აქ სამიზნეებიცა და იარაღიც უჩვეულოა, "არაინსტინქტური", ანუ ისეთი ილეთებია გამოყენებული, რომლის წინააღმდეგაც "ინსტინქტური" დაცვა მზად არაა). რაც შეეხება ქალებს, ისინი გაცილებით იშვიათად მიმართავენ ხელჩართულ ბრძოლას, მაგრამ თუ ამგვარი სამწუხარო რამ მაინც მოხდა, ორთაბრძოლა სწორედაც რომ "წესების გარეშე" მიმდინარეობს – ფრჩხილებით, კბილებით, თმებით თრევით და ა.შ., ანუ აქ მონაწილეობს ყველაფერი ის, რასაც მამაკაცების ჩხუბში იშვიათად თუ ნახავ.

მაგრამ, ასეა თუ ისე, ადამიანებში სქესთა შორის როლების განაწილება, მიუხედავად აურაცხელი კულტურული ვარიაციისა, ზოგადად იგივეა, რაც ცხოველთა უმრავლესობის შორის – მამაკაცი "მიმღწევია", ქალი – "მცველი". თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე მსოფლიოში კულტურული ჰეგემონის როლში მყოფი დასავლური კულტურისა და ამ კულტურის წიაღში აღმოცენებული ფემინიზმის გავლენით შეიმჩნევა გენდერული როლების დაახლოების ტენდენცია. პროცესის საბოლოო შედეგის განჭვრეტა

ძნელია, მაგრამ უეჭველია, რომ გენეტიკური, ფიზიოლოგიური თუ ენდოკრინული ფაქტორების სრული დაძლევა სოციალურ ცხოვრებაში მაინც შეუძლებელია.

საინტერესოა, რომ ნაცადია "უნივერსალური" გენდერული როლების თუ ფუნქციების (მამრი – აქტიური "მიმღწევი; მდედრი – პასიური "დამცველი") კიდევ უფრო განზოგადება და თითქმის მეტაფიზიკურ დონეზე აყვანა. ერთი მოსაზრების თანახმად, ზოგადად აღებული მამრის "ზღვრული" ფუნქციაა საკუთარი გენების მაქსიმალური გავრცელება – ყველა მდედრის განაყოფიერება, ხოლო მდედრისა – გვარის ერთადერთ "მატრიარქად" ქცევა. ეს მსჯელობა იმდენად სპეკულაციურ და აბსტრაქტულ ხასიათს ატარებს, ძნელია თეორია ან, თუნდაც, ჰიპოთეზა უწოდო, მაგრამ იგი მაინც არაა ინტერესმოკლებული. მის ერთგვარ ილუსტრაციად შემდეგი საგულისხმო ფენომენის მოყვანა შეიძლება, რომელიც ჩვენს თემასთან უშუალო კავშირშია:

ცნობილია, რომ ადამიანში აგრესია ყოველთვის არ გადაიზრდება ფიზიკურ ქცევაში; მან შეიძლება სიტყვიერი, ვერბალური გამოხატულება ჰპოვოს (სხვა შემთხვევაში ჩალეწილი ყბებისა და სხვა ტრავმების რაოდენობა განუზომლად მოიმატებდა). მაგრამ დაკვირვება გვიჩვენებს, რომ აგრესიის გამოხატვისას ქალები და კაცები სხვადასხვა სემანტიკურ სფეროებს მიმართავენ. ყველაზე მძაფრი ვერბალური აგრესიის გამოხატულება მამაკაცებში უფრო ხშირად გინებაა, ხოლო ქალებში – წყევლა. გინებისათვის ისაა დამახასიათებელი, რომ იგი ძირითადად სექსუალურ შინაარსზეა აგებული და რეალურ თუ წარმოსახვით ობიექტს სწორედ სექსუალურად ამცირებს. წყევლა კი, ძირითადად, სიკვდილის სურვილს შეიცავს. ეს განსხვავება ქართულ ენაში ძალზე მკვეთრადაა გამოხატული.

ერთი რამ ცხადია: მამაკაცი გენეტიკურად და სოციალურად უფროა "მომართული" კონფლიქტისთვის და უკეთესადაცაა მისთვის აღჭურვილი, ვიდრე ქალი. მაგრამ უამრავ კონფლიქტში, ნებსით თუ უნებლიეთ, ქალებიც არიან ჩართულნი და ისევე, როგორც სხვა ცხოვრებისეულ სიტუაციებში, კონფლიქტში მათი ქცევა გარკვეული თავისებურებებით გამოირჩევა. თუმცა, მკაცრი ექსპერიმენტი უჩვენებს, რომ, ზოგჯერ, იქ, სადაც საღი გონება

გვკარნახობს, ქალი ასე და ასე უნდა მოიქცეს მამაკაცისაგან განსხვავებით, რეალობა სრულიადაც არ შეესატყვისება ვარაუდს.

კონფლიქტოლოგიიდან ცნობილია, რომ კონფლიქტში მოხვედრილი ადამიანი ხუთ შესაძლო სტრატეგიას მიმართავს:

1) განრიდება – ადამიანს არ აინტერესებს, ვინ გაიმარჯვებს კონფლიქტში, არც თავის ინტერესებზე ფიქრობს – უბრალოდ, არ ერევა კონფლიქტურ სიტუაციაში, თუნდაც იგი უშუალოდ მას ეხებოდეს. მოკლედ, "ეს არაა ჩემი საქმე".

2) შეგუება – ადამიანი არ ცდილობს კონფლიქტის მოგვარებას თუ გადაწყვეტას; იგი თავის ინტერესებს განზე დებს, ოღონდ კი არ გაუფუჭდეს ურთიერთობები კონფლიქტის სხვა მონაწილეებთან ("ნუ, რას იზამ..."; "შეჩვეული ჭირი ახალ ლხინს სჯობია"). ამგვარი სტრატეგიის სუბიექტი ხშირად ხდება ექსპლუატაციის საგანი.

3) კომპრომისი – კონფლიქტის ყველა მონაწილე რაღაცას თმობს, რათა ურთიერთობებიც არ გაფუჭდეს და საქმემაც წინ წაიწიოს ("კარგი, გაფიცვას შევწყვეტთ, მაგრამ გამგეობაში ჩვენი წარმომადგენელი იყოს").

4) კონკურენცია – მხოლოდ საკუთარ ინტერესებზე ზრუნვა ("მხოლოდ გამარჯვება და ვაი დამარცხებულთ").

5) თანამშრომლობა – საქმეზე ზრუნვა ყველა მხარის ინტერესების გათვალისწინებით.

შესაბამისად, კონკრეტულ კონფლიქტში ქცევის ოპტიმალური სტრატეგია შეიძლება იყოს აღწერილი ტიპებიდან ნებისმიერი.

არსებული სტერეოტიპი და საღი გონება გვკარნახობს, რომ ქალი უფროა დაინტერესებული კარგი ურთიერთობების შენარჩუნებით. კულტურათა დიდ უმრავლესობაში მამაკაცის სოციალური როლის ძირითადი ნიშანია მიზანდასახულობა და თვითდაჯერებულობა, რაც უკავშირდება ისეთ თვისებებს, როგორიცაა დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა, აგრესია, დომინანტობა, თავის გამოჩენა; ხოლო ქალისა – სხვებზე ზრუნვა, რასაც უკავშირდება თანაზიარობა, დახმარებისათვის მზადყოფნა, თავმდაბლობა (Hofstede, 1980). აქედან გამომდინარე, თითქოსდა მოსალოდნელია, რომ ქალები უკეთესად უნდა ემორჩილებოდნენ კარგი ურთიერთიერთობების შენარჩუნებაზე ორიენტირებულ სტრატეგიებს (შეგუება, თანამშრომლობა), მაგრამ

ექსპერიმენტული კვლევის შედეგები საკმაოდ წინააღმდეგობრივია, მაგალითად: მექსიკასა და აშშ-ში ჩატარებულ გამოკვლევაში (Gabrielidis et al., 1997) გენდერული განსხვავებები სხვადასხვა სტილებისადმი მიდრეკილების თვალსაზრისით არ გამოვლინდა. ანალოგიურ გამოკვლევაში, რომელიც საქართველოში ჩატარდა (ნიჟარაძე et al., 1997), ამგვარი განსხვავებები დაფიქსირდა: ქალები სტატისტიკურად სანდოდ უფრო ხშირად ავლენდნენ ორიენტაციას ისეთი სტრატეგიებისაკენ, როგორიცაა შეგუება, თანამშრომლობა, განრიდება; კაცები კი, უფრო იყვნენ მიდრეკილნი კონკურენციული სტილისადმი. გენდერული განსხვავება არ აღინიშნა მხოლოდ კომპრომისისადმი მზაობაში.

ეს შედეგები გვიჩვენებს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს კონკრეტულ კულტურას, ანუ ისტორიულად ჩამოყალიბებულ სოციალურ გარემოს, სადაც სრულიად გარკვეული ტრადიციები, ღირებულებები, ქცევის ნორმები, სტერეოტიპებია გავრცელებული; ნებისმიერი ადამიანი სწორედ მათი ძლიერი გავლენით ყალიბდება. უკვე ხსენებულ გამოკვლევაში (Gabrielidis et al., 1997) გაირკვა, რომ მექსიკელები, ქალებიც და კაცებიც, უფრო ზრუნავენ კარგი ურთიერთობების შენარჩუნებაზე, ხოლო ამერიკელები – შედეგზე და ინდივიდუალურ მიზნებზე. ჩვენს გამოკვლევაშიც გაირკვა, რომ ქართველებში ბევრად ჭარბობს "ურთიერთობითი" სტრატეგიები (კონკურენციისადმი მიდრეკილება კაცებმა კი გამოავლინეს უფრო ძლიერად, მაგრამ საერთო ფონზე ამ სტრატეგიის ხვედრითი წილი ქართულ ჯგუფში ძალზე დაბალი იყო).

კარგი ურთიერთობებისათვის ზრუნვა ე.წ. კოლექტივისტური კულტურებისათვისაა დამახასიათებელი. ასეთ კულტურაში ადამიანის ქცევა ძალზე მჭიდროდაა გადაჯაჭვული ჯგუფის ინტერესებთან, ხოლო ჯგუფი, საჭიროების შემთხვევაში, იცავს თავის წევრს და ზრუნავს მასზე; ძირითადი სოციალური რეგულატორია ჯგუფის ნორმები. ამის საწინააღმდეგოდ, ე.წ. ინდივიდუალისტურ კულტურებში ინდივიდს, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი თავის იმედი აქვს და სხვებს ნაკლებ ყურადღებას აქცევს; ძირითადი სოციალური რეგულატორია აბსტრაქტული ნორმა – კანონი. კოლექტივისტები ადამიანს აფასებენ უფრო ხშირად სიტუაციურ კონტექსტში ("ქრთამს არ აიღებს, მილიონიც რომ შესთავაზო"), ხოლო ინდივი-

დუალისტები – ე.წ. დისპოზიციურში ("ის პატიოსანია") (Triandis et al., 1988). საქართველო და მექსიკა ტიპური კოლექტივისტური კულტურებია, ხოლო აშშ – ინდივიდუალისტური (დამახასიათებელია ამერიკაში ძალზე გავრცელებული გამოთქმა – "It is your problem" - "ეს შენი/თქვენი პრობლემაა").

საქართველოში, ურთიერთობებიდან გამომდინარე ვალდებულებები, ფაქტობრივად, ყველაზე მაღალ ღირებულებას წარმოადგენს (ჩემი მეგობარია, ე.ი. ყოველთვის უნდა დავიცვა, თუნდაც საძრახის საქმეში). ამასთან, როგორც ექსპერიმენტული შედეგები უჩვენებს, ქართული კულტურის შიგნით მაინც ქალები უფრო არიან ურთიერთობაზე ორიენტირებულნი, ვიდრე კაცები. მაგრამ ეს არაა უნივერსალური კანონზომიერება, რაშიც მექსიკისა და აშშ-ის მაგალითები გვარწმუნებს.

ქართული კულტურის თავისებურებებს ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით, ახლა კი განვიხილოთ კიდევ რამდენიმე გენდერული განსხვავება კონფლიქტურ სიტუაციებთან დაკავშირებით. აქვე აღსანიშნავია, რომ, მოლოდინის საწინააღმდეგოდ, ამგვარი განსხვავება, რომელიც მყარად დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს, არცთუ ისე ბევრია.

ერთი გამოკვლევის შედეგი საკმაოდ ტრივიალურია: ფიზიკურ მუქარას მამაკაცები ქალებზე გაცილებით უფრო ხშირად პასუხობენ ასევე ფიზიკური მუქარით (Eagly & Steffen, 1986). სხვა სიტყვებით, მამაკაცი, თუ მას უხეშად ჰკრეს ხელი, უფრო ხშირად პასუხობს იგივეთი. მეორე შედეგი უფრო საინტერესოა და მოულოდნელი: უკანონობას ან უსამართლობას ქალები უფრო ენერგიულად და მძაფრად პასუხობენ (Da Gloria & De Riddler, 1979).

საკმაოდ ტრივიალურია შემდეგი დაკვირვებაც: 3-5 წლის ბავშვებში ბიჭები უფრო მეტ აგრესიას ავლენენ, ხოლო გოგონები უფრო კონფლიქტების შერბილებაზე ზრუნავენ. ბიჭები უმნიშვნელო საბაბზეც კი ჩხუბს ტეხენ, თანაც არ არჩევენ ბიჭს და გოგოს. რაც შეეხება გოგონებს, ისინი მუშტი-კრივს მიმართავენ მხოლოდ ბიჭებთან კონფლიქტისას და თითქმის არასოდეს, როდესაც უთანხმოება სხვა გოგონებთან მოსდით (Hooker & Wilmot, 1995, პ.196).

ბევრი გამოკვლევა მიეძღვნა გენდერულ განსხვავებებს მოლაპარაკებების პროცესში. აღმოჩნდა, მაგალითად, ქალები უფრო ად-

ვილად ექცევიან მიმზიდველი ოპონენტის გავლენის ქვეშ (Rubin et al., 1994,). იგივე ავტორები მიუთითებენ, რომ მოლაპარაკებების მონაწილეებს (სქესის მიუხედავად) უფრო ხშირად გადააქვთ აქცენტი სადავო საკითხებზე მაშინ, როდესაც შუამდგომელი ან დამკვირვებელი მამაკაცია, ხოლო ორივე მხარისათვის საერთო მომენტებზე, როდესაც იმავე როლს ქალი თამაშობს (Hooker & Wilmot, 1995, p.196). ორივე სქესის ინდივიდები უფრო ადვილად მიდიან თანამშრომლობაზე, როცა საწინააღმდეგო მხარეს ქალი წარმოადგენს. და ბოლოს, ორივე სქესი კონკურენციულ სტილს უფრო ხშირად მიმართავს სამსახურში, ხოლო თანამშრომლობითსა და შემგუებლურს – სახლში (ibid.).

სოციოლოგია

მეოცე საუკუნეში ფემინისტური მოძრაობა საკმაოდ გააქტიურდა. დასავლურ საზოგადოებას (არა მარტო მას) ფემინიზმმა არა ნაკლები დაღი დაასვა, ვიდრე ისეთმა იდეოლოგიებმა, როგორებიცაა ნაციონალიზმი, სოციალიზმი, ეკოლოგიზმი. როგორც ყველა მოძრაობას, ფემინიზმსაც ჰყავს თავისი რადიკალური ფრთა, რომლის აქტივისტებიც შიშის ზარს სცემენ უფრო ზომიერ საზოგადოებრივ მოღვაწეებსა თუ ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენლებს.

რასაკვირველია, ქალთა მოძრაობის ფართოდ გაშლას ობიექტური მიზეზები ჰქონდა. უპირველეს ყოვლისა, ეს იყო პატრიარქალური ოჯახის დაშლა. მამაკაცმა დაკარგა ოჯახის ერთადერთი მარჩენალის როლი, ეკონომიკურმა დამოუკიდებლობამ კი, როგორც ეს ყოველთვის ხდება, წარმოშვა პოლიტიკური თანასწორუფლებიანობის მოთხოვნა. ეს მიზანი მიღწეული იქნა, მაგრამ ფემინისტები მაინც თვლიან, რომ თანამედროვე დასავლურ საზოგადოებაში კაცებს ჯერ კიდევ გაბატონებული ადგილი უკავიათ. სხვათა შორის, დასავლურ სამყაროში ქალებისათვის ყველა პოლიტიკური უფლების მინიჭება იყო საყოველთაო თანასწორუფლებიანობის გზაზე უკანასკნელი ბარიერი. ჯერ გაუქმდა წოდებრივი დისკრიმინაცია, შემდეგ – რასობრივი თუ ეთნიკური, ბოლოს – გენდერული.

ფემინიზმი უდავოდ ინდივიდუალისტური კულტურის პირმშოა. დღევანდელ მსოფლიოში შეიმჩნევა ინდივიდუალიზაციის ზრდა, მაგრამ ჯერჯერობით მაინც კოლექტივისტური კულტურები ჭარბობს.

ყოფილ საბჭოთა კავშირში ლაპარაკი რაიმე ფემინისტურ მოძრაობაზე, რა თქმა უნდა, ზედმეტი იყო, მაგრამ სოციალური ძვრები, რომლებმაც დასავლეთში ფემინიზმის ჩამოყალიბება განაპირობა, აქაც არსებობდა. სახელდობრ, სქესთა შორის განსხვავება ეკონომიკურ, დასაქმების, განათლების ასპექტებში აქ კიდევ უფრო მცირე იყო, ვიდრე დასავლეთში. ამასთან, საბჭოთა ქალს დატვირთვა საგრძნობლად მეტი ჰქონდა, ვიდრე მამაკაცს – სამსახურის გარდა, მის კისერზე იყო ძალზე მძიმე ოჯახური მეურნეობა. მაგრამ მუსლიმურ რესპუბლიკებში საბჭოთა წლებმაც ვერ დაანგრია გენდერული როლების ტრადიციული განაწილება. ამიტომ, მოსალოდნელია, რომ ქალების სოციალური ენერგიის აფეთქება ამ რესპუბლიკებში ჯერ კიდევ წინაა, თუ, რა თქმა უნდა, თავისი სიტყვა შარიათმა არ თქვა.

ცნობილია, რომ ფიზიოლოგიური თუ ფსიქოლოგიური თავისებურებების გამო, ქალი უკეთ ართმევს თავს სტრესს, ვიდრე მამაკაცი (სხვათა შორის, ესაა მიზეზი იმ ფაქტისა, რომ ქალის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა მთელ მსოფლიოში მეტია, ვიდრე მამაკაცისა). ამასთან, ქალი უფროა ჩართული ყოველდღიურობაში, ოჯახის საქმეებში და ამ სფეროში პოულობს თვითრეალიზაციის საშუალებებს, დადებითი ემოციების წყაროებს, თუნდაც საყოფაცხოვრებო პირობები ძალიან მძიმე იყოს. დადგენილია ისიც, რომ მამაკაცი უფრო ხშირადაა შეყვარებული, თუმცა სასიყვარულო ურთიერთობებში ქალი უფრო ღრმად, უფრო ინტიმურად არის ხოლმე "ჩაფლული" (Майерс, 1997). ისიც ცხადია, რომ ბავშვებთან დედის ურთიერთობა გაცილებით ინტიმურია, ვიდრე მამისა. მაგრამ ეს ყველაფერი სამართლიანია იქამდე, ვიდრე გარემომცველ სოციალურ რეალობას მეტ-ნაკლები სტაბილურობა ახასიათებს. როდესაც ორიენტირები ინგრევა, მომავალი გაურკვეველი ხდება, გარშემო ქაოსი და ანარქია ისადგურებს, ქალი კარგავს სულიერ წონასწორობას. არა მარტო ქალი, რა თქმა უნდა, მაგრამ მაინც, როგორც ეტყობა, სოციალური კატაკლიზმები ქალზე უფრო დესტრუქციულად მოქ-

მედებს, რამდენადაც ნიადაგი ეცლება მის არქეტიპულ ფუნქციას – "მცველის" როლის შესრულებას. გარეფაქტორებით გამოწვეული კრიზისის პირობებში ადამიანისათვის საერთოდ დამახასიათებელია თუნდაც რაიმე, თუნდაც ძალიან საეჭვო სულიერი დასაყრდენის ძიება. ხოლო, თუკი ამგვარი "ხავსი" მოიძებნა (ეს კი, როგორც წესი, ასე ხდება), ქალი მას მთელი არსებით მაგრად ეჭიდება. გარდამავალ ეპოქებში ასეთი დასაყრდენის როლში ხშირად გამოდის ქარიზმატული ლიდერი, როგორც წესი, მამაკაცი, რომელიც მარტივი ლოზუნგებისა და "ძლიერი პიროვნების" იმიჯით კრიზისიდან საიმედო გამოსავლის ილუზიას ქმნის. ამასთან, საკუთრივ იდეოლოგია, რომელსაც ამგვარი ლიდერი ქადაგებს, მეორეხარისხოვანია – ჯერ კიდევ 1953 წელს ჩატარებულმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ ფაშისტური და კომუნისტური დაჯგუფებების წევრთა პიროვნული მახასიათებლები პრაქტიკულად იდენტურია (Ringer & Sills, 1953, according: Inkeles & Levinson, 1969). აქ მთავარია მხოლოდ ლიდერის ქარიზმა და რადიკალიზმი. თუკი გავითვალისწინებთ, რომ ქალები უფრო შთაგონებადნი არიან, გასაგები ხდება, რომ ქარიზმატული ლიდერების ყველაზე ერთგულ და ემოციურ მხარდამჭერებს სწორედ ქალები შეადგენდნენ.

არსებობს სპეკულაციური მოსაზრება, რომ სტალინის სიცოცხლეში იგი ქალებს უფრო უყვარდათ, ვიდრე მამაკაცებს; მისი სიკვდილის შემდეგ მხარდამჭერთა გენდერული თანაფარდობა შეიცვალა, ვინაიდან თვით პიროვნება აღარაა და მისი ქარიზმის უშუალო ზემოქმედება შეწყდა; დარჩა მხოლოდ მისი "საქმეები", რაც მამაკაცისათვის უფრო მიმზიდველია.

გენდერული როლების ნორმატული განაწილება საქართველოში ტიპურია კოლექტივისტური კულტურისათვის. მამაკაცი დომინირებს საზოგადოებრივი ცხოვრების პრაქტიკულად ყველა სფეროში; მას მეტი უფლებები აქვს, ითვლება, რომ იგი უფრო ჭკვიანია და უნარიანი, ვიდრე ქალი. ამასთან, ქართული კულტურა მამაკაცისაგან მოითხოვს ე.წ. "მაჩისტური" თვისებების დემონსტრირებას (ესპანური სიტყვისაგან "macho" – "მამრი"; უებსტერის ლექსიკონში განმარტებულია: "მაჩიზმო" – გადამეტებული ან აგრესიული სიამაყე მამაკაცად ყოფნის ფაქტის გამო). ასეთი თვისებებია: სექსუალობა, აგრესია, დომინანტობა. ის თვისებები, რომლებიც უკავშირდება

მამაკაცის არა ბიოლოგიურ, არამედ სოციალურ ფუნქციას – ნებისყოფა, რაციონალიზმი, პროფესიონალიზმი – ჩვენს კულტურაში მეორეხარისხოვან ღირებულებებს განეკუთვნება.

რაც შეეხება ქალს, საქართველოში მისი უმთავრესი სოციალური ფუნქციაა, იყოს კარგი დედა, ხოლო შემდეგ – კარგი დიასახლისი (ქალის ამგვარი სოციალური როლი საკმაოდ ტიპურია. მაგალითად, მე-19 საუკუნის ბოლომდე ითვლებოდა, რომ გერმანელი ქალის ნორმატული ფუნქციები შემოიფარგლება სამი "K"-თი: Kinder – ბავშვები; Kuche – სამზარეულო; Kirche – ეკლესია. თანამედროვე დასავლეთში მდგომარეობა, რასაკვირველია, განსხვავებულია).

როგორც აღვნიშნეთ, ზემოთქმული ეხება ქართულ კულტურაში გენდერული როლების ნორმატულ განაწილებას; ფაქტობრივი მდგომარეობა კი განსხვავებულია. როგორც დაკვირვება გვიჩვენებს, ქართულ სინამდვილეში გადაწყვეტილების მიმღების როლში ძალიან ხშირად ქალი გვევლინება; ამასთან, ეს ეხება არა მარტო ოჯახურ გარემოს ("ჩემი შვილი ექიმი უნდა გამოვიდეს"), არამედ უფრო ფართო საჯარო სფეროებს "მაღალი" პოლიტიკის ჩათვლით – გავიხსენოთ მჟავანაძისა და გამსახურდიას მეუღლეების მასშტაბური გავლენა ქვეყნის საქმეებზე. ერთი სიტყვით, ფორმალური ლიდერი ქართულ კულტურაში ხშირად მამაკაცია, ხოლო რეალური – ქალი.

ამგვარი ვითარების მიზეზი, ალბათ, უნდა ვეძიოთ ჩვენს კულტურაში სწორედ იმ თვისებების დეფიციტში, რომლებიც ზემოთ ვახსენეთ და, რომლებიც, "ცივილიზებული მამაკაცის" ხატს უკავშირდება – რაციონალობა, ნებისყოფა და მისთ. ამ დეფიციტს კი განსაზღვრავს ქართულ საზოგადოებაში ე.წ. "დედობრივი სიყვარულის" და, შესაბამისად, დედის ხატის ჰიპერტროფია. "დედობრივი სიყვარული" განისაზღვრება, როგორც უპირობო სიყვარული – "ჩემია, ამიტომ ყოველთვის მეყვარება, რაც არ უნდა ჩაიდინოს და როგორიც უნდა იყოს"; ხოლო "მამობრივი სიყვარულია" – "მეყვარები, თუ იქნები ასეთი და ასეთი" (Fromm, 1967). გასაგებია, რომ ტერმინები "დედობრივი" და "მამობრივი" პირობითია და სიყვარულის აღწერილი სახესხვაობები შეიძლება ახასიათებდეს ნებისმიერი სქესისა და ოჯახური მდგომარეობის ადამიანებს. ამისი კარგი მაგალითია სწორედ ქართული კულტურა, სადაც დე-

დობრივი სიყვარული მსჭვალავს პრაქტიკულად ყველა ძირითად სოციალურ ურთიერთობას, სადაც კი სიყვარულის ადგილია – მშობლებისა და შვილების, მეუღლეების, ნათესაურს, მეგობრულს... დედობრივი სიყვარულის გარემოში აღზრდილი მამაკაცისათვის ხშირადაა დამახასიათებელი ინფანტილიზმი, სხვებზე მიჯაჭვულობა, არასრულფასოვნების კომპლექსი; სწორედ ამ უკანასკნელის კომპენსაციაა ის "მაჩოისტური", "მამაკაცობის" აღმნიშვნელი სტერეოტიპები, რომლებზეც უკვე გვქონდა საუბარი.

ყველა ამ პროცესისა თუ ტენდენციის შედეგია ის, რომ, როგორ პარადოქსულადაც უნდა ჟღერდეს, ქართული კულტურის წიაღში მამაკაცური საწყისის დეფიციტი იგრძნობა (უფრო დეტალურად – ნიჟარაძე, 1994; საქართველოში გენდერული პრობლემების ფსიქოანალიტური ინტერპრეტაცია – მაისურაძე, 1997); ამ დეფიციტს, უპირველეს ყოვლისა, ქალები გრძნობენ (თუმცა, უნებლიეთ თვითონ უწყობენ ხელს). ამ ფაქტორს უნდა მივაწეროთ, ნაწილობრივ მაინც, რომ, ექსპერიმენტული მონაცემებით, ქართველი ქალები, მამაკაცებთან შედარებით, სტრესის უფრო მაღალ ხარისხს ავლენენ (ნიჟარაძე et al., 1997).

კონფლიქტთან დაკავშირებით, საინტერესოა, ქართული კულტურის კიდევ ერთი თავისებურება. ყველა ჩვენგანი მრავალ სოციალურ როლს ასრულებს. ზოგი მათგანი სქესთანაა დაკავშირებული (ქმარი, დედა, ძმა, ქალი...), ზოგი კი არა (ექიმი, ინტელიგენტი, მოქალაქე...). ექსპერიმენტულმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ ქართულ კულტურაში გენდერული როლები უფრო ღირებულია. სახელდობრ, ცდისპირებს ევალებოდათ, წარმოსახვით კონფლიქტში წარმოსახვითი ოპონენტისათვის წყენინება და შეურაცხყოფა. როგორც გაირკვა, ასეთ შემთხვევაში უფრო ხშირად, ფარულად თუ აშკარად, "სამიზნედ" იქცევა ხოლმე ოპონენტის გენდერული, ძირითადად, საოჯახო როლი (თუმცა არა მარტო) (Mkheidze&Nizharadze, 1996). სხვა სიტყვებით, "საშუალო" ქართველისათვის ნაკლებად მტკივნეულია და შეურაცხმყოფელი, თუ მოწინააღმდეგე აქცენტს აკეთებს მის, ასე ვთქვათ, "ზოგადსაკაცობრიო" თვისებებზე, მაგალითად, მიუთითებს ჭკუის ან პატიოსნების ნაკლებობაზე; გაცილებით მძაფრ რეაქციას იწვევს ეჭვის შეტანა გენდერული როლის სრულყოფილად შესრულებაში. სამწუხაროდ, ანალოგიური მონაცემები სხვა

კულტურების მასალაზე არ მოიპოვება, მაგრამ მაინც საფიქრებელია, რომ ამ მხრივ მნიშვნელოვანი კულტურული განსხვავებები უნდა არსებობდეს.

გენდერულ კვლევებს კონფლიქტთან მიმართებაში საკმაოდ მცირე ხნის ისტორია აქვს და მოპოვებული მასალა არცთუ ისე ბევრია, მაგრამ ეს მიმართულება უეჭველად პერსპექტიულია და ბევრ საინტერესოს გვპირდება.

გენდერული თანასწორობა

ტრენინგის მიზნები

- გენდერული ცნებებისა და მიდგომების გააზრება;
- გენდერული სტერეოტიპების, დისკრიმინაციისა და გენდერული უთანასწორობის ამოცნობა და კრიტიკული გადააზრება;
- ჟურნალისტის, როგორც გენდერული თანასწორობის მიმართულებით ცვლილებათა აგენტის როლის აქტივაცია;
- გენდერულად მგრძნობიარე ჟურნალისტური რეაგირებისთვის საჭირო ხერხებისა და ინსტრუმენტების გამოყენ[illegible] განვითარება.

ტრენინგის თემატიკა დღეების მიხედვით

1 დღე

გენდერი, გენდერული თანასწორობა

- გენდერის ცნება, სქესის და გენდერის მიმართება;
- გენდერული თანასწორობის ფორმები;
- განსხვავებული გენდერული პოლიტიკა;
- გენდერული თანასწორობა საქართველოს და საერთაშორისო კანონმდებლობით.

2 დღე

გენდერული სტერეოტიპები, დისკრიმინაცია

- გენდერული ძალადობა, გენდერული ძალაუფლება, სოციალიზაცია;
- გენდერული სტერეოტიპები, რას იწვევს ეს, გენდერული სტერეოტიპების მახასიათებლები;

- გენდერული სტერეოტიპების დაძლევა. გენდერული დისკრიმინაცია –პირამიდა. დისკრიმინაციის გამოვლინებები;
- ინსტიტუციური დისკრიმინაცია;
- გენდერული სოციალიზაცია.

3 დღე

გენდერულად სენსიტიური გაშუქება

- მედია ანალიზის ელემენტები;
- ტენდენციურობის ამოცანა;
- სტერეოტიპული იმიჯები;
- არა-სტერეოტიპული იმიჯები;
- ტენდენციურობის ამოცანა რეკლამაში;
- საკითხების გაშუქება გენდერულად სენსიტიური ენით.

გენდერის განსაზღვრებისათვის

“გენდერი“ ინგლისური სიტყვაა. ადრე იგი მხოლოდ გრამატიკაში გამოიყენებოდა, სადაც აღნიშნავდა არსებით სახელთა სქესს. XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ცნება “გენდერი“ სოციალურ მეცნიერებებში შემოვიდა ხმარებაში, რათა აღნიშნულიყო ქალისა თუ მამაკაცის ფუნქციობა სოციალურ და კულტურულ გარემოში. გენდერის გასაგებად, აუცილებელია, გავმიჯნოთ იგი ცნებისაგან “სქესი“.

რას ეხება სქესი და გენდერი

სქესი ეხება ქალისა და მამაკაცის ფიზიოლოგიურ ატრიბუტებს. ადმიანები იბადებიან მამაკაცებად ან ქალებად და ეს განაპირობებს იმას, რომ მათ შეუძლიათ მაგ., იმშობიარონ, ასწიონ უფრო მძიმე საგნები, ძუძუთი კვებონ, იმღერონ უფრო მაღალ ხმაზე და ა.შ. ამიტომ ვამბობთ, რომ სქესი ბიოლოგიით განისაზღვრება.

გენდერი ეხება შეხედულებებს, მოლოდინებსა და წესებს ქალებისა და მამაკაცებისათვის. იგი სოციალურად არის განპირობებული: ადამიანები იბადებიან ქალებად ან მამაკაცებად, მაგრამ მათ ასწავლიან და მათგან მოელიან, თუ როგორ უნდა მოიქცნენ, რა თვისებები განივითარონ, რა ადგილი უნდა დაიკავონ ოჯახსა და საზოგადოებაში, როგორი ურთიერთობები იქონიონ, რა წესებს დაემორჩილონ და ა.შ. ამ შეხედულებების გადამცემია ოჯახი, ავტორიტეტული ადამიანები, რელიგიური და კულტურული დაწესებულებები, სკოლა, მედია, თანატოლთა წრე და სხვა, ადამიანის სოციალიზაციისთვის მნიშვნელოვანი ადამიანები და ინსტიტუტები.

გენდერი სოციალურ-კულტურულ გარემოში ყალიბდება (ზოგჯერ ამბობენ, რომ გენდერი იქმნება ან “კეთდება“) და წარმოადგენს თვისებების, სოციალური ქცევების, როლებისა და სტატუსების ერთობლიობას, რომლებიც განსაზღვრულია ქალისა და მამაკაცისთვის კონკრეტულ საზოგადოებაში. გენდერში ასევე იგულისხმება შეხედულებები ქალურობისა და მამაკაცურობის შესახებ.

ნასწავლი ქცევა ქმნის გენდერულ იდენტობას და განსაზღვრავს გენდერულ როლს. გენდერულ როლებზე მოქმედებს: ასაკი, ეთნიკური კუთვნილება, სოციალური კლასი, ეკონომიკური პირობები, რელიგია.

გენდერული როლები ქალებისა და მამაკაცებისთვის საკმაოდ განსხვავებულია სხვადასხვა კულტურაში და ასევე ერთი კულტურის (საზოგადოების) სხვადასხვა სოციალურ ჯგუფში. ამასთან, კულტურა იცვლება, იგი დინამიურია, იცვლება სოციალურ-ეკონომიკური პირობებიც, ამდენად, იცვლება გენდერიც.

საინტერესოა, რომ, მიუხედავად კულტურათა განსხვავებისა, მათ უმრავლესობაში გაბატონებულია მამაკაცთა დომინირების სისტემები (საზოგადოების პატრიარქალური წყობა), ამიტომ გენდერული როლები ასიმეტრიულია და არათანასწორი, მამაკაცთა პრივილეგირებული, ხოლო ქალების მეორეხარისხოვანი პოზიციების გამომხატველია. თუმცა, ორივე პოზიციას თავისი პრობლემები აქვს და ამას ქვემოთ განვიხილავთ.

მცდარია, გავაიგივოთ გენდერი მხოლოდ ქალების საკითხთან. მის ფოკუსში ორივე სქესი და მათი ურთიერთმიმართება ექცევა. გენდერი ნეიტრალური ცნებაა და არ გულისხმობს კარგს ან ცუდს, არამედ წარმოადგენს სოციალური პროცესების გაგებისა და კლასიფიკაციის ერთ-ერთ ინსტრუმენტს. გენდერი გვაძლევს საშუალებას, გავიგოთ: როგორაა განაწილებული ძალაუფლება, ვინ დომინირებს და ვინ იღებს გადაწყვეტილებებს, ვინ არის კულტურაში "უჩინარი", ვინ ხდება დისკრიმინაციის ან ძალადობის ობიექტი და ა.შ.

როგორც ვთქვით, გენდერი ნეიტრალური ცნებაა და, თავისთავად, არც თანასწორობას მოიაზრებს, არც უთანასწორობას. რაც შეეხება გენდერულ მიდგომას, იგი ნამდვილად არ არის ნეიტრალური და მკაფიოდ ორიენტირებულია, ჩამოაყალიბოს და განამტკიცოს პიროვნების თვითრეალიზაციის თანასწორი და სქესისგან დამოუკიდებელი შესაძლებლობები ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. გენდერული თანასწორობის საკითხი ამ მიდგომისთვის უპირატესია. გენდერული მიდგომის გამოყენება გულისხმობს ორივე სქესის პრობლემებისა და მოთხოვნილებების მუდმივ გათვალისწინებას,

ქალებსა და მამაკაცებს შორის განსხვავებისა თუ მსგავსების, მათ შორის ურთიერთობის დანახვასა და შესწავლას.

განსხვავება გენდერსა და სქესს შორის

სქესი	**გენდერი**
მამრობითი/მდედრობითი	ქალური/მამაკაცური
ბიოლოგიური, თანდაყოლილი	სოციალური, შეძენილი
უცვლელი	ცვალებადი
ქალები/მამაკაცები ბიოლოგიურად არ განსხვავდებიან რასის, ეროვნების, რელიგიის, სტატუსის და ა.შ. მიხედვით	ქალები/მამაკაცები განსხვავდებიან რასის, ეროვნების, რელიგიის, სტატუსის და ა.შ. მიხედვით

გენდერული მიდგომით მუშაობა

სამი ძირითადი არგუმენტი არსებობს ამისათვის:

ადამიანის უფლებები: როგორც მამაკაცისათვის, ისე ქალისათვის ადამიანის უფლებაა, რომ თანაბრად ხელმისაწვდომი იყოს შესაძლებლობები და რესურსები, მათი განსხვავებული მოთხოვნილებები მხედველობაში იყოს მიღებული, მათ ღირსეულად მოექცნენ და ისინი არ იყონ დისკრიმინირებულნი;

განვითარება: ადგენს რა ქალისა და კაცისთვის ქცევის, თვისებების, პროფესიების და მისწრაფებების მისაღებობის და მართებულობის მკაცრ საზღვრებს, გენდერული ნორმები და სტერეოტიპები ზღუდავს მამაკაცებისა და ქალების პოტენციალის სრულ რეალიზაციას და მათი უნარებისა და მიდრეკილებების მიხედვით განვითარებას.

ეს, თავის მხრივ, **საზოგადოების სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაზე** უარყოფითად აისახება; მის გარეშე შეიძლება დაიკარგოს მრავალი შემოქმედებითი იდეა, თუ არ იქნება გათვალისწინებული ქალებისა და კაცების განსხვავებული მოთხოვნილებები, მაგალითად, პრობლემათა "ქალური" გადაწყვეტის გზები.

გენდერული თანასწორობა ⚥

გენდერული თანასწორობა გულისხმობს ქალებისა და მამაკაცების თანაბარ მატერიალურ კეთილდღეობას, თანაბარ საშუალებებს, ისეთ ღირებულებებს, რომლებიც თანასწორობის რწმენას ემყარება, თანაბარ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღებაში და თანაბარ კონტროლს რესურსებსა და მოგებაზე.

თანასწორობა არ ნიშნავს, რომ ქალები და კაცები ერთნაირები უნდა გახდნენ, ეს ნიშნავს, რომ ქალთა და მამაკაცთა უფლებები, მოვალეობები და შესაძლებლობები არ იქნება დამოკიდებული იმაზე, ქალად დაიბადა ადამიანი თუ – მამაკაცად.

♀ ♂

თანასწორობას აქვს რაოდენობრივი და თვისობრივი ასპექტები. რაოდენობრივი – ნიშნავს ქალებისა და მამაკაცების რაოდენობრივად თანაბარ განაწილებას საზოგადოებრივი ფუნქციონირების

ყველა სფეროში, როდესაც დაცულია ქალებსა და მამაკაცებს შორის რაოდენობრივი წონასწორობა, ბალანსი, რაც განაპირობებს გადაწყვეტილების, ძალაუფლების, უფლებების და თავისუფლებების თანაბარ განხორციელებას. მაგალითად, თანაბარი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიმღებ სტრუქტურებში.

თანასწორობის თვისობრივი ასპექტი ნიშნავს, რომ ქალთა და მამაკაცთა ცოდნას, გამოცდილებასა და ღირებულებებს, თვით ქალურობას და მამაკაცურობას თანაბარი წონა ეძლევა.

გენდერული თანასწორობა არ ნიშნავს მხოლოდ ქალების ინტერესების დაცვას, არამედ ქალებისა და მამაკაცების განსხვავებული მოთხოვნილებისა და ინტერესის გაცნობიერებას და გათვალისწინებას.

გენდერული თანასწორობა წარმოადგენს საყოველთაო ღირებულებას, რომელიც საფუძვლად უდევს ადამიანის უფლებებს და დემოკრატიული ქვეყნების კონსტიტუციებს. გენდერული თანასწორობის მოთხოვნა ხაზგასმულია საერთაშორისო დოკუმენტებში.

2010 წლის 26 მარტს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი "გენდერული თანასწორობის შესახებ", რომლის უმთავრესი მიზანია, საკანონმდებლო დონეზე სქესის ნიშნით ადამიანთა თანასწორობის პრინციპის განმტკიცება და გენდერული თანასწორობის მისაღწევად შესაბამისი საკანონმდებლო გარანტიების შექმნა. საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ ასე განსაზღვრავს გენდერულ თანასწორობას და დისკრიმინაციას, ანუ – თანასწორობის პრინციპის დარღვევას:

ბ) გენდერული თანასწორობა – ადამიანის უფლებათა ნაწილი, რომელიც გულისხმობს ქალისა და მამაკაცის თანასწორ უფლებამოვალეობებს, პასუხისმგებლობას და თანასწორუფლებიან მონაწილეობას პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში;

გ) დისკრიმინაცია – სქესის ნიშნით ნებისმიერი განსხვავება, გამიჯვნა ან/და შეზღუდვა, რომელიც გამოხატულია უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების განსხვავებული აღიარებით, შესაძლებლობების არათანაბარი წარმოჩენით, შესუსტებით ან უა-

რყოფით და ხორციელდება პირდაპირი თუ ირიბი დისკრიმინაციის ფორმით;

დ) პირდაპირი დისკრიმინაცია – სამართლებრივი აქტის, პროგრამის თუ სხვა საჯარო პოლიტიკის საფუძველზე პირის სქესის ნიშნით დისკრიმინაციულ მდგომარეობაში ჩაყენება (გარდა ამ პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა);

ე) ირიბი დისკრიმინაცია – სამართლებრივი აქტი, პროგრამა თუ სხვა საჯარო პოლიტიკა, რომელიც პირდაპირ არ მიუთითებს დისკრიმინაციაზე, მაგრამ რომლის განხორციელება დაკავშირებულია დისკრიმინაციული შედეგის დადგომასთან (გარდა ამ პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა);

ვ) განსაკუთრებული ღონისძიება – ღონისძიება, რომელიც მიზნად ისახავს დისკრიმინაციული შედეგების გამოსწორებას და მიმართულია პირთა წრისადმი, რომელიც საჭიროებს განსაკუთრებულ დაცვას გენდერული თავისებურებებიდან გამომდინარე;

ზ) თანასწორი შესაძლებლობები – ქალისა და მამაკაცის უფლებებისა და თავისუფლებების თანასწორობის მიღწევის საშუალებებისა და პირობების სისტემა;

თ) თანასწორი მოპყრობა – განათლების, შრომისა და სოციალური პირობების დადგენისას, საოჯახო ურთიერთობებსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სხვა სფეროებში ორივე სქესის პირთა თანასწორი უფლებებისა და შესაძლებლობების აღიარება, სქესის ნიშნით დისკრიმინაციის დაუშვებლობა.

იმისათვის, რომ მიღწეული იქნეს გენდერული თანასწორობა, აუცილებელია ფორმალური, იურიდიული თანასწორობა ყველა სფეროში. შემდეგ, აუცილებელია ისეთი ზომების გატარება, რომლებიც იმ ისტორიულ და სოციალურ პირობებს გააქრობს, რომლებიც არ აძლევს საშუალებას ქალსა და მამაკაცს ერთი და იმავე წესებში იღვაწონ. **თანასწორუფლებიანობა** – ეს საშუალებაა. **თანასწორობა –** საბოლოო შედეგი. იგი მიიღწევა, თუ კანონისმიერი თანასწორობა გამაგრებული იქნება სპეციალური პროგრამებით: მაგალითად ქალი მეწარმეების მომზადების პროგრამა და, იმავდროულად, კრედიტის გაცემის გენდერულად მგრძნობიარე პირობები – ესაა გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა რესურსებზე მისაწვდომობაში. პოზიტიური ქმედებანი (მაგ. ქვოტები), გენდერული

ბალანსის გამოსასწორებლად, ემსახურება გენდერულ თანასწორუფლებიანობას და მივყავართ თანასწორობისკენ.

ასხვავებენ ფორმალურ და არსებით თანასწორობას. "ფორმალური თანასწორობა" გულისხმობს მიდგომას, რომლის მიხედვითაც ქალები და კაცები თანასწორნი არიან კანონმდებლობით და იგულისხმება, რომ ქალებისადმი დამოკიდებულება ისეთივე უნდა იყოს, როგორც მამაკაცებისადმი. ქალებსა და კაცებს იგივე სტანდარტებით აფასებდნენ. სტანდარტები კი, ჩვეულებისამებრ, დადგენილია მამაკაცებთან შესაბამისობით. ეს მოდელი არ ითვალისწინებს ქალსა და კაცს შორის არსებულ განსხვავებას, რომ, ტრადიციულად, ქალსა და კაცს საზოგადოებაში განსხვავებული გენდერული როლები აკისრიათ და არ არიან თანაბარ სასტარტო პირობებში.

მაგალითად, ერთ ქალაქში გაიხსნა ახალი ქარხანა, რომელმაც გამოაცხადა, რომ ის თანაბარი პირობებით ასაქმებს მოქალაქეებს, რაც ნიშნავს, რომ ის თანაბრად ასაქმებს მამაკაცებსა და ქალებს. ქარხანამ ასევე განმარტა, რომ ყველა თანამშრომელს მოუწევდა ცვლაში მუშაობა და ისინი მზად უნდა ყოფილიყვნენ, რეგულარულად ემუშავათ ღამის ცვლაში. მაგრამ, ამ ქალაქში მცხოვრებმა ქალებმა არ შეიტანეს განაცხადი ქარხნის ვაკანტურ ადგილებზე, რადგან, მიიჩნევა, რომ ქალებისათვის ღამით მარტო მგზავრობა მიუღებელია და არასაიმედოა. პოლიტიკამ და კანონმდებლობამ, რომლებიც ქალებსა და კაცებს თანასწორუფლებიანად განიხილავს (იმ მნიშვნელობით, რომ მათ მიმართ მოპყრობა „თანაბარი" უნდა იყოს), შესაძლოა, ქალების დე ფაქტო დისკრიმინაცია გამოიწვიოს.

ასევე, არსებობს "პროტექციონისტული" მიდგომაც თანასწორობისადმი, რომელიც მხარს უჭერს ღონისძიებებს, რომლებიც "იცავენ" ქალებს ზოგიერთი სამუშაოების შესრულებისაგან, რომლებმაც, შესაძლოა, ზიანი მიაყენონ მათ ან მათი ინტერესების წინააღმდეგ იმუშაონ. თუ ზემოთ მოყვანილ სავარჯიშოს „პროტექციონისტული" მიდგომის ჭრილში განვიხილავთ, მივიღებთ იმას, რომ ქალებს ღამის ცვლაში არ ამუშავებენ უსაფრთხოების მიზეზით. შედეგად, პროტექციონისტული მიდგომა აღიარებს ქალსა და კაცს შორის არსებულ სხვაობას და ამ განსხვავებას ქალების სისუსტედ წარმოაჩენს. ასეთი მიდგომები არ ითვალისწინებს სპეციალურ ღო-

ნისძიებებს, რომლებიც სახელმწიფოს შეეძლო აემოქმედებინა იმ განსაზღვრულ საქმიანობებში ქალთა სრული მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, რომელთაგანაც ისინი „დაცულნი“ უსაფრთხო და ღია გარემოში არიან.

„არსებითი თანასწორობა“ (რეალური თანასწორობა) აღიარებს განსხვავებას ქალებსა და კაცებს შორის და მუშაობს “შედეგიანი თანასწორობის” მიღწევისათვის. არსებითი თანასწორობა სწავლობს თანაბარი შესაძლებლობების და სარგებლობის უზრუნველყოფის საკითხს, მაგრამ ამასთან ერთად, აღიარებს დროდადრო საგანგებო ნაბიჯებისა და ზომების მიღების საჭიროებას რეალური (დე ფაქტო) თანასწორობის მიღწევის მიზნით.

არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად ხელისუფლებამ უნდა შეისწავლოს, თუ “როგორ” და “რატომ” ექცევიან ქალებსა და კაცებს განსხვავებულად და შეიმუშავოს პოლიტიკა/პროგრამები და საგანგებო ზომები ამ საკითხის მოსაგვარებლად. ამას “კორექციული მიდგომა“ ეწოდება.

ზემოთ მოყვანილი მაგალითის გამოყენებით და არსებითი თანასწორობის მიდგომის საფუძველზე, ქარხნის მმართველებმა ან მფლობელებმა უნდა შემოიღონ უსაფრთხო ტრანსპორტირების სისტემა ქალი თანამშრომლებისათვის სახლიდან ქარხნამდე. ეს იქნება ღონისძიება, რაც დაეხმარება ქალებსა და მამაკაცებს ქარხნის მიერ შემოთავაზებული ეკონომიკური შესაძლებლობებით თანაბრად სარგებლობაში.

ამრიგად, არსებითი თანასწორობა აღიარებს, რომ ზოგჯერ ქალებსა და კაცებს უნდა ეპყრობოდნენ განსხვავებულად, რათა უზრუნველყოფილი იყოს თანაბარი შესაძლებლობები და ამ შესაძლებლობებით სარგებლობა.

მიდგომები გენდერული თანასწორობისადმი

ფორმალური	**არ აღიარებს განსხვავებას**, ეფუძნება გენდერული თვალსაზრისით ნეიტრალურ კანონებს, რომლებიც ქალებსა და კაცებს განიხილავს თანასწორად და მოელის, რომ ქალები ისარგებლებენ შესაძლებლობებით და იმ სტანდარტებით იმოქმედებენ, რომლებიც შექმნილია კაცებისათვის. ქმნის არახელსაყრელ პირობებს, რადგან ქალები და კაცები არ არიან ერთნაირები. მათ ახასიათებს: • განსხვავებულობა; • შეუფერებლობა; • არახელსაყრელი მდგომარეობა
პროტექციონისტული	**აღიარებს განსხვავებას,** მაგრამ ცდილობს რა, დაიცვას ქალები ისეთი საქმიანობისაგან, რომელიც ზიანის მომტანად მიიჩნევა, უარყოფს მათ უფლებას, ჰქონდეთ თანაბარი საშუალება და შესაძლებლობები და, ამით, შეუძლია გრძელვადიანი უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს ქალებზე.
არსებითი	**აღიარებს განსხვავებას,** მაგრამ ნერგავს თანასწორობას ქალებსა და კაცებს შორის და აქცენტს აკეთებს შედეგების თანასწორობაზე. ქმნის პირობებს/საგანგებო ზომებს, რათა კორექცია შეიტანოს იმ გარემოში, რომელიც ქალს არასახარბიელო მდგომარეობაში აყენებს და ამას "კორექციული მიდგომა" ეწოდება. ამყარებს თანაბარ წესებს, ცნობს რა, რომ უთანასწორობა არსებობს მოითხოვს სხვადასხვა ინიციატივას (ხშირად მოიხსენიება, როგორც "საგანგებო ზომები" – მაგ.: სამართალი, პოლიტიკა, პროგრამები და მომსახურება), რათა მიღწეულ იქნას: • თანაბარი შესაძლებლობები; • თანაბარი ხელმისაწვდომობა; • თანაბარი შედეგები და სარგებელი.

გენდერული ტოლერანტობა

გენდერული ტოლერანტობა უარყოფს რომელიმე სქესის ნებისმიერი სახის დისკრიმინაციასა თუ პრივილეგირებას, ქმნის ორივე სქესისთვის თანაბარ და ფართო შესაძლებლობებს (იმ შეხედულების საწინააღმდეგოდ, რომ ქალები და მამაკაცები, ვითომდა, ბიოლოგიურად განსაზვრული და შეზღუდულნი არიან თავიანთ შესაძლებლობებსა და ქცევებში). ამ მიდგომის თანახმად, სრულიად დასაშვებია მამაკაცთა მონაწილეობა იქ, სადაც ტრადიციულად დომინირებენ ქალები – ბავშვების მოვლა და დაწყებითი განათლება ან საოჯახო საქმეები. ქალებისთვის კი სულიად დასაშვებია იმ სფეროებში მოღვაწეობა, სადაც მამაკაცები დომინირებდნენ – მეცნიერება, პოლიტიკა და ა.შ.

გენდერული ტოლერანტობა ეფუძნება გენდერული თანასწორობის იდეას და მისთვის არ არსებობს დომინანტური სქესი. გენდერულად ტოლერანტული საზოგადოება აღიარებს და პატივს სცემს სქესთა განსხვავებებს და ასწავლის თავის წევრებს, მოვლენები განიხილონ სხვადასხვა გენდერული საჭიროების, ხედვებისა და მიდგომების თვალსაზრისით.

გენდერული სტერეოტიპები

გენდერული სტერეოტიპები ფართოდ გავრცელებული და, ხშირად, არაზუსტი შეხედულებებია ქალისა და მამაკაცის უნარებზე, თვისებებზე, სოციალურ ქცევასა თუ სოციალურ ფუნქციებზე. რაც უფრო ტრადიციული საზოგადოებაა, მით უფრო ძლიერია გენდერული სტერეოტიპების როლი, ქალისა და მამაკაცის თვისებები და მათ მიერ შესრულებული როლები მკაცრად არის განსაზღვრული და რეგლამენტირებული. ეს როლები და თვისებები წარმოგვიდგებიან, როგორც ერთმანეთის საპირისპირო და ერთმანეთთან იერარქიულ მიმართებაში მყოფნი.

გენდერული სტერეოტიპები არსად წერია, მაგრამ ჩვენ ყველამ ვიცით ისინი და ჩვენი ყოველდღიურობა იმართება ამ წარმოდგენებით.

როგორია გენდერული სტერეოტიპის შინაარსი? ქალებთან დაკავშირებული სტერეოტიპი მიგვითითებს, რომ მათი ადგილია სახლშია, ქალი უნდა იყოს რბილი, დამთმობი, მზრუნველი, მას არ შეუძლია წარმატებით მართოს და უხელმძღვანელოს დიდ საქმეს, მას ხელეწიფება მხოლოდ წვრილმანი, ყოვლდღიური საქმეების შესრულება, ის კარგი შემსრულებელია, მაგრამ არა – შემოქმედი, მისი ინტელექტუალური შესაძლებლობები ჩამოუვარდება მამაკაცისას. ქალის მოვალეობაა თავი მოაწონოს კაცს, შეასრულოს „თავისი უპირველესი ფუნქცია" – დაბადოს და გაზარდოს რაც შეიძლება მეტი შვილი (უფრო მეტიც:" გაუზარდოს შვილები მეუღლეს"), იზრუნოს ქმარზე, საკვებსა და სისუფთავეზე.

მამაკაცი, სტერეოტიპის თანახმად, უფრო აგრესიული და უხეშია, ის აზროვნებს ლოგიკურად, სწრაფად იღებს გადაწყვეტილებებს, არის უფრო ნიჭიერი, შემოქმედებითი, უყურადღებო, ნაკლებად ემოციური, შეუძლია პრობლემის არსის დანახვა და არ წვრილმანდება დეტალებზე. აქედან გამომდინარე, საზოგადოებრივი და პოლიტიკური სტრატეგიული გადაწყვეტილებები, თავისუფალი დრო, გართობა, გადაადგილების თავსუფლება, აგრესიულობის გამოხატვის უფლება, ინტელექტუალური საქმიანობა და ყოვედღიურობისგან გათავისუფლება – მამაკაცის პრეროგატივაა. ამასთან, გენდერული სტერეოტიპი გვეუბნება, რომ ასეთი ვითარება ბუნებრივია, რომ ყოველთვის ასე იყო და იქნება.

სტერეოტიპულ აზროვნებას საფუძველი ეყრება აღზრდის დროს, როდესაც ბიჭებს ძველი წარმოდგენებით განსხვავებულ და არათანასწორ ადამიანებად ვზრდით.

პრობლემები გენდერულ სტერეოტიპებში

- საზოგადოება, რომელიც გენდერული სტერეოტიპებით იმართება, მრავალ შეზღუდვას უქმნის ქალებსა და მამაკაცებს იმაში, რომ იმოქმედონ ინდივიდუალური უნარებისა და შესაძლებლობების მიხედვით. ამის მაგივრად აწესებს მკაცრ კონტროლს, რომ ყველა – ქალიცა და კაციც, გოგონა, ბიჭი, მოქმედებდეს გენდერულად „სწორი" და „შესაბამისი" სქემით.

- სტერეოტიპული აზროვნება და პრაქტიკა უპირისპირდება ყოველგვარ სიახლესა და განვითარებას: ახალი სახის ურთიერთობებს, ფუნქციების უფრო თანასწორ გადანაწილებას ოჯახში და საზოგადოებაში, ქალებისა და კაცების წარმოჩენას ახალ როლებში, პროფესიებში, სტატუსებში.
- ლეგიტიმაციას უკეთებს უთანასწორობას, უსამართლობას, დისკრიმინაციას.

სექსიზმი



გენდერული სტერეოტიპი უქმნის საფუძველს ე.წ. **"სექსიზმს",** ანუ ადამიანთა დისკრიმინაციას მათი სქესიდან გამომდინარე. ეს ცნება შეიქმნა რასიზმის (დისკრიმინაცია რასობრივი კუთვნილების გამო) და ეიჯიზმის (ხანაზმულთა ან, პირიქით, ახალგაზრდათა, უფლებების დარღვევა მათი ასაკის გამო) ანალოგიით. სექსიზმის ობიექტი შეიძლება გახდეს როგორც ქალი, ისე – კაცი, თუმცა მამაკაცთა დომინირების საზოგადოებაში სექსიზმის ადრესატი, როგორც წესი, ხდება ქალი. სექსიზმში მოიაზრება ქალისადმი დამამცირებელი, დამაკნინენბელი მოპყრობა ან გახმოვანებული შეხედულება, ქალის მნიშვნებლობისა და წვლილის გაუფასურება, შეზღუდვა, ქალის მნიშვნელობისა და როლის დაყვანა მხოლოდ სექსუალურ ობიექტზე ან რეპროდუქციულ „მანქანაზე".

ხშირად შეხვდებით საყოფაცხოვრებო სიტუაციებში, გაზეთის ფურცლებზე, ცნობილი ადამიანების გამოსვლებში, ასეთ გამონათქვემებს: „ქალს რა ჭკუა მოეთხოვება", „ამ ქალს ეტყობა, პატრონი არა ჰყავს?" "ფრთხილად, საჭესთან ქალია!" და ა.შ. ან ასეთ ქცევას: კაცებს ურიგოდ უშვებენ რიგში, სადაც ქალები დგანან, მამაკაცები ხშირად მიადევნებენ გამვლელ ქალს უტიფარ მზერას, და შეურაცხმყოფელ სიტყვებს, ან სტვენას და ა.შ. – ეს სექსიქმის გამოვლინებებებია. სექსიზმის ყველაზე მძიმე გამოხატულებაა ძალადობა ქალის მიმართ, რომელსაც, შეიძლება, ადგილი ჰქონდეს როგორც ოჯახში, ისე – გარეთ, ქუჩაში, სამსახურში.

ძალადობა და ძალადობის ობიექტები

ძალადობა. სინონიმები: აგრესია, ძალმომრეობა, სასტიკი მოპყრობა, შეურაცხყოფა, იძულება, ხელყოფა, წამება, მუქარა.

ძალადობის ბევრი განმარტება არსებობს, მაგრამ საზოგადოდ, ეს არის ძალის გამოყენება ადამიანისათვის ზიანის მიყენების, მისი განადგურებისა და ტანჯვის მიზნით.

ძალადობა შეიძლება იყოს ქმედება ან სიტყვა. ძალადობა ანგრევს, აზიანებს და შეურაცხყოფს ადამიანს. ძალადობის დროს ითრგუნება ადამიანის ნება, შელახულია მისი ხელშეუხებლობა, ღირსება და თავისუფლება. ესენი კი ადამიანის განუყოფელი უფლებებია.

რა თქმა უნდა, ძალადობა შეიძლება განხორციელდეს არა მარტო ადამიანის მიმართ. ძალადობის მსხვერპლი ხშირად ხდება დაუცველი ცხოველი ან ბუნება. სასტიკი მოპყრობა განსაკუთრებით საზარელია, როდესაც მას სუსტი და დაუცველი არსებების მიმართ სჩადიან. როგორც წესი, სწორედ ასეც ხდება.

ე.წ. **«სიძულვილის პირამიდის»** მოდელი გვეუბნება, რომ ყოველგვარი ძალადობა ჯერ უთანასწორობაზე აგებული სტერეოტიპებიდან იწყება.

ძალადობას განვრცობა/გაფართოების ტენდენცია ახასიათებს – ძალადობა ძალადობას ბადებს. ძალადობით განიმსჭვალება მთელი საზოგადოება. ასე იქცევა ძალადობა ნორმად.

ძალადობის თავიდან ასარიდებლად, პირველ რიგში, აუცილებელია არსებული ძალადობისა და მისი განხორციელების ინსტრუმენტების ანალიზი.

გენდერული ძალადობა

ხშირად, ძალადობას სქესისმიერი ხასიათი აქვს. რას ნიშნავს ეს?

- მეზობლებს ხშირად ესმით მამაკაცის ყვირილი, უშვერი სიტყვები და საგნების ლეწვის ხმა, რომელიც მეზობლად მცხოვრები ცოლ-ქმრის ბინიდან გამოდის.
- მაღალანაზღაურებად სამსახურში უფროსი თანამშრომელ ქალებთან სექსუალურ ხუმრობებს ხმარობს, ხელებს უცაცუნებს, დროს რომ მოიხელთებს, უხერხულ შეთავაზებებს უკეთებს. თანამშრომლებს სამსახურის დაკარგვის ეშინიათ და ამაზე არსად ლაპარაკობენ.
- N ქვეყანაში, რელიგიური წესის თანახმად, ქალი არ უნდა გამოჩნდეს საზოგადოებრივ ადგილებში, თუ ჩაითვალა, რომ ქალმა დაარღვია ქცევის წესები. საზოგადოებას, გარეშე პირებს, სხვა მამაკაცებს, უფლება აქვთ, ჩაქოლონ ეს ქალი და ამგვარი ფაქტები ხშირია.
- ზოგიერთ საზოგადოებაში გავრცელებული პრაქტიკაა ქალის მოტაცება მისი ცოლად შერთვის მიზნით.
- N ქვეყანაში ლტოლვილი ქალებისა და ბავშვების ჯგუფის საზღვარზე გადაყვანის საფასურად მესაზღვრეები ქალებისგან სექსუალურ მომსახურებას ითხოვდნენ.
- ქმარი უკრძალავს თავის ცოლს სწავლის გაგრძელებას და ეუბნება, რომ სამსახურსაც არ დააწყებინებს, რადგან მას საკმარისი შემოსავალი აქვს და ცოლმა კი ოჯახს და ბავშვებს უნდა მიხედოს. მაგრამ, როდესაც ცოლი ფულს ხარჯავს ოჯახის საჭიროებებისთვის, ქმარი ეჭვობს, რომ ცოლი ფულს უყაირათოდ ხარჯავს ან სხვა დანიშნულებისთვის იყენებს. ქმარს სურს,

მთლიანად აკონტროლოს ყველაფერი, რასაც ცოლი აკეთებს ან გრძნობს.

როგორც ვთქვით, უფრო მოსალოდნელია, რომ ძლიერი ძალადობდეს სუსტზე; ადამიანები ძალადობენ იმაზე, ვინც მათზეა დამოკიდებული და მათ გარეშე არსებობა გაუჭირდება. პირველ რიგში, ძალადობა შედეგია ძალაუფლების არათანაბარი განაწილებისა მამაკაცებსა და ქალებს შორის.

როდესაც მამაკაცი ქალის მიმართ ძალადობრივ ქცევას ახორციელებს იმის გამო, რომ ის ქალია, მისი სტატუსიდან, როლიდან, ტრადიციებიდან გამომდინარე, ამას გენდერული ხასიათის ძალადობა, ანუ გენდერული ძალადობა ეწოდება.

> *„გენდერული ძალადობა არის ისეთი ძალადობა, რომელიც მიმართულია ადამიანის მიმართ მისი სქესის საფუძველზე. იგი შეიცავს იმგვარ ქმედებას, რომელიც იწვევს ფიზიკურ, გონებრივ ან სექსუალურ ზიანს და ტანჯვას, ასეთი ქმედების მუქარას, ძალდატანებას ან თავისუფლების სხვაგვარ შეზღუდვას საჯარო თუ პირად ცხოვრებაში“.*

გენდერული ძალადობა ზოგადი ცნებაა, რომელიც აღნიშნავს ადამიანის – ქალისა თუ მამაკაცის – ნების წინააღმდეგ მისთვის ნებისმიერი ზიანის მიყენებას და რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს მის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ჯანმრთელობაზე, განვითარებასა და პიროვნულ მეობაზე. ოღონდ, აქ მთავარი ისაა, რომ ძალადობა ხდება სწორედ იმის გამო, რომ ადამიანი ქალია ან კაცი. აქ არავითარ შემთხვევაში არ იგულისხმება ბიოლოგიურად ქალი და კაცი, აქ მოიაზრება ქალი ან მამაკაცი, მათი სოციალური, კულტურული და ოჯახური ფუნქციების გათვალისწინებით.

გაერო-ს კომიტეტმა, რომელიც ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის წინააღმდეგ შეიქმნა, თავის მე-11 სესიაზე გენდერული ძალადობა ასე განსაზღვრა:

მართალია, გენდერული ძალადობის მსხვერპლი, პრინციპში, შეიძლება გახდეს ყველა ქალი, კაცი, გოგონა თუ ბიჭი, გენდე-

რული ძალადობის პირველადი მსხვერპლები უფრო ქალები და გოგონები ხდებიან.

გენდერული ძალადობა მოიცავს შემდეგ შემთხვევებს (თუმცა არ შემოიფარგლება ამით):

1. ფიზიკური, სქესობრივი, ფსიქოლოგიური ძალადობა, რომელსაც ადგილი აქვს ოჯახში, მოიცავს ცემას, სქესობრივი კავშირის იძულებით დამყარებას ბავშვებთან, ცოლის გაუპატიურებას ქმრის მიერ, ქალის სქესობრივი ორგანოების დაზიანებას, ძალადობას ქორწინებაში არმყოფი პარტნიორის მხრიდან და ძალადობას ექსპლუატაციის მიზნით.

2. ფიზიკური, სქესობრივი, ფსიქოლოგიური ძალადობა, რომელიც ხდება საზოგადოებაში და რომელშიც იგულისხმება გაუპატიურება, სქესობრივი კავშირის დაძალება და არასასურველი შემოთავაზებანი სამსახურებში, საზოგადოებრივ ადგილებში, სამედიცინო და სასწავლო დაწესებულებებში. ამაში შედის ტრეფიკინგი და პროსტიტუციაში ჩართვა.

3. ფიზიკური, სქესობრივი, ფსიქოლოგიური ძალადობა, რომელსაც ადგილი აქვს სახელმწიფოს მხრიდან ან სახელმწიფოს უმოქმედობის გამო, სადაც არ უნდა ხდებოდეს, (გაეროს გენერალური ასამბლეის დეკლარაციის საფუძველზე UNHCR-ის მიერ შემუშავებული განსაზღვრება, 1993 წ.).

გენდერული ძალადობის ფორმები

გენდერულ ძალადობას მრავალფეროვანი გამოვლინებები აქვს. ზოგჯერ მისი გარჩევა ძნელია ძალადობის სხვა ფორმებისგან, იმდენად მსგავსია სიმპტომები, მოძალადისა და მსხვერპლის მახასიათებლები, გარემო, სიტუაცია და ძალადობის შედეგები. ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც უნდა გვახსოვდეს გენდერული ძალადობის ამოსაცნობად, ისაა, რომ ადგილი უნდა ჰქონდეს ერთი სქესის მიმართ მისი ამ სქესისადმი (ოღონდ, აქ ვგულისხმობთ გენდერულ როლს) მიკუთვნებულობის გამო ჩადენილ ძალადობას. ნებისმიერი ძალადობა, რომლის მსხვერპლი ქალი იყო, როდია გენდერული ძალადობა. თუ ქალი გახდა ძარცვის მსხვერპლი ან

თუ მას კონფლიქტური ურთიერთობა აქვს მეზობლებთან ან ოჯახის წევრებთან, ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ ადგილი ჰქონდა გენდერულ ძალადობას. მაგრამ თუ ოჯახი ქალს სისტემატურად ავიწროვებს, რადგან ითვლება, რომ ქალი ვალდებულია, მორჩილი იყოს ოჯახის წევრი მამაკაცებისა, აიტანოს ტკივილი და თავისუფლების შეზღუდვა – აქ უკვე გენდერული ძალადობის ყველა ნიშანი აშკარაა.

ასევე, ყოველი სიტუაცია, სადაც კაცი იჩაგრება ან მას ტკივილს და ტანჯვას აყენებენ, არ ჩაითვლება გენდერულ ძალადობად, ხოლო თუ ის ძალადობის მსხვერპლი იყო მისი სქესის გამო, მხოლოდ მაშინ ვამბობთ, რომ საქმე გენდერულ ძალადობასთან გვაქვს. ქალისა და კაცის ურთიერთმიმართებაში ასეთი შემთხვევები არ არის ტიპური, რადგან, საზოგადოდ, კაცი პრივილეგირებულ მდგომარეობაშია და მის ხელში იყრის თავს კონტროლისა და ძალაუფლების მექანიზმები. გაგვიჭირდება ისეთი საზოგადოების დასახელება, სადაც ქალი ფლობს სტრუქტურულ ძალაუფლებას და ამით ბოროტად სარგებლობს კაცის საზიანოდ.

კაცის მიმართ გენდერული ძალადობის მაგალითად შეიძლება გამოდგეს ზოგიერთ საზოგადოებაში ახალგაზრდა მამაკაცებისათვის ადრეული, მისი ნების წინააღმდეგ ქორწინება, სხეულის დაზიანების ტრადიციული პრაქტიკები და ა.შ.. გენდერულ ძალადობას მამაკაცზე, მამაკაცის მიმართ, შეიძლება მივაკუთვნოთ მამაკაცზე ფსიქოლოგიური ძალადობა ოჯახის წევრების მხრიდან, თუ ის მისი ტრადიციული გენდერული როლის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს, მაგალითად, არ შეუძლია, ოჯახი არჩინოს, ან ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა თანატოლების მხრიდან ახალგაზრდა მამაკაცზე, თუ იგი არ არის საკმარისად აგრესიული.

ქვემოთ ჩამოთვლილია გენდერული ძალადობის ყველაზე გავრცელებული სახეები, რომლებიც მთელ მსოფლიოში გვხვდება. ისინი ერთიანდება 4 კატეგორიაში: ფიზიკურ, სექსუალურ ფსიქოლოგიურ და სტრუქტურულში. ძალადობის ეს ფორმები ან ცალ-ცალკე გვხვდება ან რამდენიმე ფორმა ერთად მონაწილეობს.

- **გაუპატიურება, მათ შორის გაუპატიურება მეუღლის მიერ;**
- **გაუპატიურების მცდელობა;**

- **სქესობრივი ექსპლუატაცია;**
- **იძულებით პროსტიტუციაში ჩაბმა;**
- **სექსუალური შევიწროვება (ჰარასმენტი);**
- **ფიზიკური შეურაცხყოფა;**
- **ტრეფიკინგი;**
- **სიტყვიერი შეურაცხყოფა;**
- **დისკრიმინაცია და შესაძლებლობების/ რესურსების შეზღუდვა;**
- **იზოლაცია, გამოკეტვა;**
- **კანონმდებლობის მხრიდან (გენდერულად დისკრიმინაციული, უსამართლო ან გენდერულად ბრმა კანონები);**
- **ადრეული ან იძულებითი ქორწინება;**
- **საზიანო ტრადიციები (მაგ. გენიტალიების დამახინჯება);**
- **ღირსების მკვლელობა;**
- **ინფანტიციდი (ახალშობილის მოკვდინება) და ბავშვის უარყოფა მისი სქესის გამო.**

გენდერული ძალადობის კერძო სახეა **ოჯახური ძალადობა.** საქართველომ 2006 წელს მიიღო კანონი ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ, სადაც ოჯახურ ძალადობას დანაშაულად აღიარებს და გვთავაზობს პრევენციულ და დაცვით ღონისძიებებს (იხ. კანონი "ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ").

ოჯახში ძალადობა არ არის მხოლოდ გენდერული ძალადობა, რადგან მასში შედის ძალადობა ბავშვის მიმართ, ასაკოვანი ოჯახის წევრების მიმართ და, საერთოდ, ოჯახის ნებისმიერი წევრის მიმართ, მათი სქესისგან დამოუკიდებლად. თუმცა, როგორც სტატისტიკა გვეუბნება, აქაც რაოდენობრივად ქალის მიმართ ძალადობის მრავალფეროვანი ფორმები ლიდერობს.

ცალკე აღსანიშნავია ძალადობის ისეთი ფორმა, როგორიცაა ტრეფიკინგი. ტრეფიკინგი საქართველოს კანონმდებლობაში განისაზღვრება, როგორც "ადამიანის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე იძულებით, შანტაჟით ან მოტყუებით ადამიანის გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა ანდა მიღება ექსპლუატაციის მიზნით". ადამიანთა ტრეფიკინგის მნიშვნელოვანი წილი სექს-ტრეფიკინგზე მოდის და სწორედ ეს

სახეა ჩვენთვის საინტერესოა, რადგან აქ სწორედ ძალადობა ქალის მიმართ ხდება.

ქალის მოტაცება კიდევ ერთი ფორმაა, რომელიც არ არის უცხო ჩვენი რეალობისთვის. ქალზე ძალადობის ეს სახეც კომპლექსურია, მას ხშირად ფიზიკურ ძალადობასთან ერთად, როგორც წესი, ერთვის გაუპატიურება და ფსიქოლოგიური/ემოციური ძალადობა. სამწუხარო ტენდენცია ის გახლავთ, რომ გენდერული ძალადობის ამ ფორმის მიმართ თუმც კანონი მკაცრია, საზოგადოება საკმაოდ ლოიალურია. აქაც განათლება მთავარ იარაღად გვევლინება. მანამდე კი ქალის მოტაცება მიღებული და ნორმალური მოვლენაა, რომელშიც მხოლოდ მოტაცებული ქალი იჩაგრება.

გენდერული ძალადობის საფუძველი

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ გენდერული ძალადობის მიზეზები გენდერულად დისკრიმინაციულ სტერეოტიპებში და ძალაუფლების არათანაბარ განაწილებაში უნდა ვეძიოთ. ეს არის შეზღუდვების და პრივილეგიების, როლებისა და შესაძლებლობების სისტემა, რომელსაც მარტივად ვერ მოვერევით. ის საჭიროებს ხანგრძლივ და სისტემურ ცვლილებებს, რისი ძირითადი ელემენტიც განათლებაა.

ძალადობრივი ქცევის ელემენტები:

დაშინება – მზერით, ქცევით, მიმიკით, ხმის აწევით, ნივთების მტვრევით.

მუქარა – თავის მოკვლით, რომ ბავშვებს წაართმევს და ა.შ.

იზოლაცია – კონტროლი იმაზე, თუ რას აკეთებს ქალი, ვისთან ურთიერთობს, სად დადის, ჩაკეტვა, არგაშვება.

ემოციური ძალადობა – დამცირება, დაცინვა, დააჯერო, რომ გიჟია.

ეკონომიკური ძალადობა – ხელის შეშლა სამსახურის შოვნაში, იძულება, რომ გთხოვოს ფული, ფულის წართმევა.

სექსუალური ძალადობა – გქონდეს სექსი ქალის ნების გარეშე, მოექცე, როგორც სექსუალურ ობიექტს.

ბავშვების გამოყენება – იძულება, რომ ბავშვების წინაშე დამნაშავედ იგრძნოს თავი, ბავშვის გამოყენება დანაბარების გადასაცემად.

მამაკაცის უპირატესობის გამოყენება – მოეპყრო, როგორც მსახურს, დასცინო მის გადაწყვეტილებებს, მოიქცე, როგორც ბატონ-პატრონი.

ოჯახური ძალადობისთვის დამახასიათებელია ის, რომ ძალადობის მსხვერპლი ვერ თავისუფლდება ამ ძალადობისგან და რჩება ზეწოლის/იძულების პირობებში, ვერ მიმართავს დახმარებას და არავის აცნობებს ამის შესახებ. რატომ შეიძლება ეს ხდებოდეს?

შესაძლოა, ფინანსური დამოკიდებულების გამო; შეიძლება, არის მუდმივი შიში და უნდობლობა სხვების მიმართ; შეიძლება იყოს ძალადობის ესკალაციის შიში; შეიძლება ჰყავდეთ შვილები, რომლებიც მათზე არიან დამოკიდებულნი ფინანსურად და ემოციურად; შეიძლება, უხერხულობას გრძნობდეს თავისი ოჯახის ან მეგობრების წინაშე; შეიძლება იყოს კულტურული ან რელიგიური შეხედულებების გამო, რომელიც ოჯახის შენარჩუნებას გულისხმობს ნებისმიერ პირობებში. შეიძლება ჯერ კიდევ გიყვარდეს პარტნიორი; შეიძლება, თავად იყო აღზრდილი იძულებისა და ზეწოლის პირობებში და სხვანაირი ურთიერთობის შესახებ არაფერი იცოდე.

პრევენციული ზომები

მხოლოდ ხელშემწყობი და ზეგავლენის მქონე ფაქტორების გაგებით შევძლებთ გენდერული ძალადობის წინააღმდეგ ეფექტიანი ზომების მიღებას. პრევენციული ზომები მიმართულია როგორც პოტენციური მოძალადეების, ისე პოტენციური მსხვერპლების მიმართ და, ასევე, იმათ წინააღმდეგ, ვინც შეიძლება მათ ეხმარებდეს.

ეფექტიანი პრევენციული ღონისძიებები მოიცავს 5 ამოცანაზე მიმართულ ქმედებებს:

1. სოციო-კულტურული ნორმების შეცვლა ქალთა გაძლიერების მიმართულებით;
2. ოჯახური, საზოგადოებრივი და დახმარების სტრუქტურების გამყარება;
3. ეფექტიანი სამსახურების შექმნა;
4. ფორმალურ და ტრადიციულ სამართლის სისტემებებთან მუშაობა, რათა უზრუნველვყოთ მათი შესაბამისობა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან.
5. გენდერული ძალადობის შემთხვევების მონიტორინგი და დოკუმენტირება.

გენდერული სოციალიზაცია

ყოველი ჩვენგანი თავს მიაკუთვნებს ერთ-ერთ სქესს, როგორც ერთ–ერთ კატეგორიას. დაბადების მომენტიდან გვასწავლიან, რომ უნდა ვიფიქროთ, ვიგრძნოთ და ვიმოქმედოთ ისე, როგორც შესაბამისია ჩვენი სქესისათვის. ასეთ სწავლებას გენდერული სოციალიზაცია ეწოდება. საბავშვო ბაღისა და სკოლის ადრეული ასაკიდან გოგონები „არ დაიშვებიან" ბიჭების სპორტის სახეობებში მაგ.: ფეხბურთში. ასევე, ბიჭებს დასცინებენ, თუ „გოგონების" თამაშებში, მაგალითად, რეზინობაში ან კლასობანაში მიიღებენ მონაწილეობას. ჩვენს საზოგადოებაში ე.წ. ნორმალური ქცევის წესები ერთობ მკაფიოდ არის განსაზღვრული. გენდერული სოციალიზაცია შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც გენდერული როლებისა და სტერეოტიპების შეთვისების და მათი გათავისების პროცესი. ჩვენ ვლაპარაკობთ ასევე, დიფერენცირებულ სოციალიზაციაზე, რომლითაც ხაზი ესმევა იმას, რომ სოციალიზაციის პროცესში ქალები და მამაკაცები (გოგონები, ბიჭები) სრულიად განსხვავებულ სოციალ-ფსიქოლოგიურ პირობებში არიან ჩაყენებულნი.

დიფერენცირებული სოციალიზაციის პროცესში ჩვენ ვასწავლით ქალებსა და კაცებს, რომ არის ისეთი რამ, რაც დამახასიათებელია მხოლოდ ერთი სქესისთვის და არადამახაისათებელია მეორისთვის. ბავშვების დიფერენცირებული სოციალიზაცია, პრაქტიკულად,

ყველა კულტურაში გვხვდება. გოგონებსა და ბიჭებს ყველგან განსხვავებულ სოციალიზაციას სთავაზობენ.

მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს, რომ სქესისთვის შესაბამისი წესები და როლები, ანუ გენდერი, სოციალური წარმონაქმნია და სულაც არ არის ბუნებრივი კატეგორია, რომელსაც უსათუოდ უნდა მივეკუთვნოთ. რა თქმა უნდა, შეგვიძლია ვიკამათოთ იმაზე, რომ გენდერი ბუნებრივია, რადგან ქალი და კაცი ბიოლოგიურად განსხვავდებიან ერთიმეორისგან. თუმცა, ბიოლოგიური განსხვავებები სქესის კატეგორიაა, ხოლო ქალური და მამაკაცურის კატეგორიები – კულტურების მიერ შემოთავაზებული კატეგორიებია და ჩვენი ქცევა, აზრები და გრძნობები როდი გამომდინარეობს ფიზიკური მახასიათებლებიდან. ამას მოწმობს განსხვავებები სხვადასხვა კულტურაში ქალურობასა და მამაკაცურობაზე. ამასვე მოწმობს ე.წ. „მამაკაცურ" პროფესიებში ქალების, როგორც სქესის, დასაქმება.

ვინ არის ჩართული გენდერულ სოციალიზაციაში?

როგორ ხდება გენდერული სოციალიზაცია და ვინ მოქმედებს მასზე? განასხვავებენ ცალკე გენდერული სოცილიზაციის ინსტიტუტებს და აგენტებს. სოციალიზაციის მრავალრიცხოვანი ინსტიტუტებია: ენა, ოჯახი, საბავშვო ბაღი, სკოლა, სკოლისგარეშე ჯგუფები, კულტურა, მასმედია. ხოლო აგენტებად, ანუ გენდერული სოციალიზაციის გამტარებლებად, წარმოსდგებიან მშობლები, მასწავლებლები, თანატოლები და მათი ე.წ. როლური მოთხოვნები. ეს ორივე – ინსტიტუტებიცა და აგენტებიც – ემსახურება არსებული „გენდერული წესრიგის" კვლავწარმოებას და ტრადიციული ქალისა და კაცის ფუნქციების შენარჩუნებას.

გენდერული ძალაუფლება

გენდერული უთანასწორობა და დისკრიმინაცია, ძირითადად, გამოიხატება ძალაუფლების არათანაბარ განაწილებაში. რა არის ძალაუფლება? ეს არის უნარი, ჩამოაყალიბო პირადი მიზნები და

მოახდინო გავლენა სხვებზე, რათა ამ მიზნებს მიაღწიო. ეს არის შესაძლებლობა, შეინარჩუნო, რაც გაქვს და მოახდინო გავლენა მოვლენებზე საკუთარი ინტერესების საპასუხოდ. მოკლედ რომ ვთქვათ, ძალაუფლება გულისხმობს გავლენას და კონტროლს მოვლენებსა და სხვებზე.

ბოროტად გამოყენებული ძალაუფლება საშუალებას იძლევა, აკონტროლო და შეზღუდო სხვათა უფლებები და თავისუფლებები, შეაფერხო მათი განვითარება და მონაწილეობა საზოგადოების ცხოვრებაში და ა.შ., ეს კი იწვევს ამ სხვათა (მაგალითად, ქალების, ეროვნული ან რელიგიური უმცირესობათა) სოციალურ მარგინალიზაციას და დასუსტებას.

ძალაუფლება საზოგადოების დომინანტური ჯგუფის ხელშია თავმოყრილი. დომინანტური ჯგუფი აწესებს სტანდარტებს, მოვლენებს თავისი პერსპექტივიდან აფასებს, თავის უპირატესობაშია დარწმუნებული, აკონტროლებს, ახორციელებს თავისივე შექმნილ კანონებს, სჯის ან წაახალისებს, მდიდრდება და ძლიერდება.

ძალაუფლება შეიძლება იყოს რეალური ან წარმოსახული. ძალაუფლების სხვადასხვა სახეა:

- **სოციალური** ძალაუფლება (კლასი, უფრო მაღალი სტატუსის ჯგუფი);
- **ეკონომიკური** ძალაუფლება;
- **პოლიტიკური** ძალაუფლება;
- **ფიზიკური** ძალაუფლება;
- **გენდერული** ძალაუფლება;
- **ასაკზე** დაფუძნებული ძალაუფლება.

პატრიარქალურ საზოგადოებაში ძალაუფლება გაიგივებულია დომინირებასთან. ესაა ძალაუფლება ვინმეზე. ასეთ საზოგადოებაში მამაკაცი დომინირებს ქალზე. იქმნება მამაკაცი გმირების კულტი, ამ როლში ხაზგასმულია მასკულინური ნიშნები და სხვაზე გამარჯვების ჟინი. ქალის როლი იფარგლება დედის როლით, რომელმაც უნდა გაზარდოს მომავალი მეომრები/გმირები (კაცები) და გმირების მხარში ამოდგომის ან მსხვერპლის როლით.

დომინირება თუ პარტნიორობა

განასხვავებენ საზოგადოების ორი ტიპის მოდელს, იმის მიხედვით, თუ რომელი ტენდენციები პრევალირებს მათში: დომინირების თუ პარტნიორობის.

აი, როგორ ხასიათდება ეს მოდელები:

კომპონენტები	დომინირების მოდელი	პარტნიორობის მოდელი
გენდერული ურთიერთობები	მამაკაცი/კაცური (მასკულინური) უფრო ფასობს, ვიდრე ქალი/ქალური (ფემინური)	ერთნაირად ფასობს ორივე სქესი და ფემინურობა და მასკულინობა. სოციალურ სფეროში და იდეოლოგიაში თანასწორობაა ღირებულება.
ძალადობა	მაღალი მაჩვენებელი სოციალური ძალადობის, მათ შორის ოჯახური და გენდერული. ძალისმიერი მეთოდები და ომი მისაღებია. ძალადობა მთელი სტრუქტურის კომპონენტია	დაბალი მაჩვენებელი სოციალური ძალადობის, ცოლის ცემა, გაუპატიურება და ომი არ არის სტრუქტურის ნაწილი.
სოციალური სტრუქტურები	იერარქიული და ავტორიტარული სოციალური ორგანიზაცია	ეგალიტარული, თანასწორობაზე ორიენტირებული სტრუქტურა

პარტნიორობა – დომინირების კონტინუუმი: ძირითადი კონფიგურაციები (აისლერი, 2000, გვ.11)

სხვადასხვა გენდერული პოლიტიკა

პოლიტიკასა თუ ყოველდღიურ ურთიერთობაში, სამსახურში თუ საგაზეთო ტექსტებში, კულტურის პროდუქციაში (ლიტერატურა, კინო, ტელევიზია, ხელოვნება და ა.შ.), ჩვენ გენდერული მგრძნობელობის თვალსაზრისით განსხვავებულ მიდგომებს ვხვდებით:

1. გენდერულად დისკრიმინაციული – ასეთი პოლიტიკის საფუძველია ის, რომ ქალი მეორეხარისხოვანი არსებაა, მას არ სჭირდება დამოუკიდებლობა, საკუთარი შემოსავალი. იგი გონებრივი და მორალური თვისებებით ჩამორჩება მამაკაცს. მისი მთავარი ფუნქციაა დედობა და ოჯახზე ზრუნვა.

2. გენდერულად ბრმა ან ნეიტრალური – ასეთი პოლიტიკა უგულებელყოფს ქალებისა და მამაკაცების განსხვავებულ მდგომარეობას და შემზღუდავი სტერეოტიპების არსებობას. გავრცელებული ფორმულაა ფრაზა – "ჩვენ ყველას ერთნაირად ვეპყრობით", ან, "რა უშლით ქალებს, რომ მოვიდნენ პოლიტიკაში?"

ასეთ შემთხვევებში:

- არ ხდება ქალისა და მამაკაცის მოთხოვნილებების, პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინება. მოსახლეობა, სამუშაო კოლექტივი ან სხვა ჯგუფი, განიხილება ერთგვაროვან ჯგუფად;
- არ იწარმოება დაცალკევებული სტატისტიკა: მაგ.: ვის უკავია უმაღლესი თანამდებობები; ვის აქვს გადამზადებისა და კვალიფიკაციის მიღების მეტი შესაძლებლობა;
- არ კეთდება შრომასთან დაკავშირებული საკითხების დიაგნოსტირება: ჯანმრთელობა და უსაფრთხოება,; კარიერული ზრდა; გაცდენები;
- უცვლელი რჩება რესურსებისა და პასუხისმგებლობების არსებული განაწილება და არ ექცევა ყურადღება იმ ფაქტს, რომ მამაკაცებს, შეიძლება, მეტი ძალაუფლება და გავლენა ჰქონდეთ გადაწყვეტილებებზე.

3. გენდერულად მგრძნობიარე – ამ მიდგომისას გაცნობიერებულია გენდერული განსხვავებანი და თვალსაჩინო ხდება გენდერულად დისკრიმინაციული აზრებისა და პრაქტიკის არსებობა.

ასეთ შემთხვევებში:

- გაცნობიერება და აღიარება, რომ არსებობს განსხვავებანი საჭიროებებში და შესაძლებლობებში;
- გენდერულად დაცალკევებული მონაცემების შეგროვება;
- კონსულტირება, როგორც მამაკაცებთან, ისე – ქალებთან.

4. გენდერულად ტრანსფორმაციული – იმასთან ერთად, რომ ცნობიერდება გენდერული განსხვავებები, ქალისა და კაცის განს-

ხვავებული მოთხოვნილებები, ჩაგვრის ინსტიტუციური ფორმები, ამ მიდგომისას ორიენტაცია ხდება საზოგადოებაში გენდერული თანასწორობის მიმართულებით ცვლილებების მოხდენზე, სამართლიანობის აღდგენაზე და ქლისა და კაცის როლების ჰარმონიზაციზე. ხდება ზრუნვა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფაზე ორივე სქესის ადამიანების გაძლიერებასა დ პასუხისმგებლობების მინიჭებაზე.

ამ პოლიტიკისას ადგილი აქვს:

- არსებული განსხვავებების, დისკრიმინაციისა და ჩაგვრის მიზეზების შესწავლას;
- ორივე სქესის პრაქტიკული და სტრატეგიული მოთხოვნილებების გათვალისწინებას (ქალისა და მამაკაცის თვალსაზრისიდან);
- არსებული გენდერული როლებისა და ტრადიციების ეჭვის ქვეშ დაყენებას;
- ქალებისა და მამაკაცების ურთიერთობის გაუმჯობესების გაძღოლას მთელ საზოგადოებაში.;
- გარკვეული უპირატესობებისა და პასუხისმგებლობების მინიჭებას ქალებისა და მამაკაცებისთვის (ჰარმონიული და სამართლიანი პირობების მისაღწევად);
- ქალების და მამაკაცების პოტენციალის გაძლიერებას, რათა მათ ჰქონდეთ თანაბარი შანსები, იყვნენ დაქირავებულნი, არჩეულნი და მომზადებულნი.

გენდერული ანალიზი

გენდერული ანალიზი შეეხება იმის სისტემატურ ანალიზს, თუ რა განსხვავებული გავლენა აქვს ამა თუ იმ კონცეფციას, პროგრამასა და პოლიტიკას ქალისა და მამაკაცის განვითარებაზე. გენდერული ანალიზისთვის უნდა განვასხვაოთ რესურსები, აქტივობები, პოტენციალი და ხელის შემშლელი ფაქტორები ცალკეული პროგრამის/პროექტის განხორციელების დროს ცალკე ქალებისთვისა და მამაკაცებისათვის. გენდერული ანალიზი მოითხოვს სქესით განცალკევებული მონაცემების შეგროვებას და იმის გაგებას, თუ

როგორ არის განაწილებული და შეფასებული შრომა. გენდერული ანალიზი კეთდება განვითარების პროცესის ყველა სტადიაზე რათა აღმოიფხვრას უთანასწორობა და მიიღწეს განვითარების მიზნების შესაბამისი მაქსიმალური შედეგიანობა.

გენდერული საკითხები და მასმედია

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თამაშობს უმნიშვნელოვანეს როლს გენდერული როლებისა და სტერეოტიპების ასახვასა და ფორმირებაში და, სწორედ, ამიტომაა აუცილებელი ამ სფეროში გენდერული თანასწორობის დანერგვა.

ქალებისა და მამაკაცების უარყოფითი ან სტერეოტიპული სახეების გამუდმებული გამოყენება არ უზრუნველყოფს ქალებისა და მამაკაცების მრავალფეროვანი როლების, გაცილებით ფართე შესაძლებლობებისა და მათი წვლილის რეალისტურ ასახვას. გენდერული სტერეოტიპებისგან გათავისუფლება აუცილებელია, რადგან ისინი ზღუდავს ქალისა და მამაკაცის სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ შესაძლებლობებს.

მედიაში განმტკიცებულ წარმოდგენებს ქალებსა და მამაკაცებზე შეუძლიათ ან განამტკიცონ ან შეებრძოლონ სტერეოტიპებს. მაგალითად, ცნობილი პოლიტიკოსი ქალები და მამაკაცები ხშირად განსხვავებულად არიან წარმოსახულნი. მამაკაცის აგრესიული პოლიტიკური ტაქტიკა შეიძლება წარმოდგენილი იყოს, როგორც "მტკიცე და ძლიერი ლიდერის თვისებები", იმ დროს, როცა ქალის ასეთივე ქცევა არამიმზიდველი ფერებით იქნება წარმოდგენილი. დამახასიათებელია, ასევე, რომ მასმედია უფრო მეტ ყურადღებას იჩენს ქალი პოლიტიკოსის გარეგნობის, ოჯახური ცხოვრებისა და მისი ემოციური მხარეების მიმართ.

გენდერული თანასწორობა და უარყოფითი გენდერული სტერეოტიპების აღმოფხვრა იშვიათად ხდება საგამომცემლო პოლიტიკის ნაწილი. არ არსებობს ჟურნალისტური ეთიკის მეტნაკლებად გაზიარებული კოდექსი. ჟურნალისტურ ეთიკაზე დიდადაა დამოკიდებული, მოხდება თუ არა უარყოფითი სტერეოტიპების კვლავწარმოება. მაგალითად, მანერა, რომლითაც ჟურნალისტები საუბრობენ ოჯახურ ძალადობაზე ან სექსუალურ ხელყოფაზე შეიძლება ხელს უწყობდეს ისეთი მითების არსებობას, როგორიცაა, მაგალითად, მითი, რომ ქალი თვითონაა პასუხისმგებელი იმ ძალადობაზე, რომელიც მის მიმართ ხდება.

რეკლამა (კომერციული), ასევე, უფრო ხელს უწყობს გენდერულ სტერეოტიპებს, ვიდრე – მათ დანგრევას. მაგალითად, საყოფაცხოვრებო რეკლამაში გამოიყენებიან ქალები, ხოლო ბიზნესისა და ფინანსური საქმიანობისთვის – მამაკაცები.

ნაწერ მასალაში გენდერული ტენდენციურობის ყველაზე ტიპური ფორმებია:

- გენდერული როლების **სტერეოტიპიზაცია;**
- ქალების **უჩინარობა** ან ქალების წვლილის **დამცრობა;**
- ფაქტების **შელამაზება,** იმისათვის, რომ არ გამოჩნდეს მწვავე გენდერული პრობლემა;
- გენდერული კორექტულობისთვის მხოლოდ **კოსმეტიკური ზომების** მიღება;
- **ანდროცენტრისტული** ტენდენციები.

ქალის უჩინარობა – პატრიაქალური აზროვნებისთვის და პრაქტიკისთვის დამახასიათებელია ტენდენცია, გარიყოს ქალი საზოგადოებრივი და კულტურული სფეროდან (კონტექსტიდან), დატოვოს ის მხოლოდ შინა, რეპროდუქციულ სფეროში, რაც იწვევს მისი (ქალის) როლის დაკნინებას და მის უჩინარობას მნიშვნელოვან საზოგადოებრივ სფეროებში. ამის შედეგად, ქალის როლი და ღვაწლი არ ჩანს მსოფლიო ისტორიაში, ლიტერატურაში, პოლიტიკაში, მეცნიერებაში და ა.შ. ქალის უჩინარობა დამახასიათებელია თანამედროვე ქართული სინამდვილისთვისაც: ქალი ხშირად წევს მთელ საორგანიზაციო ან დამხმარე საქმიანობის ტვირთს,

ასრულებს შავ სამუშაოს, მაგრამ არ ჩანს წამყვან პოზიციებზე. ეს ეხება პოლიტიკურ ცხოვრებას, განსაკუთრებით, არჩევნებს, მასმედიის მუშაობას, განათლების სფეროს, ბიზნესს.

ანდროცენტრული შეხედულებები – ანდროცენტრული თვალსაზრისით მამაკაცი განასახიერებს კაცობრიობას; ქალი ერთგვარი დამატებაა, დაქვემდებარებული, დამხმარეა, ძირითადად მოწოდებული ახალი ადამიანების შესაქმნელად.

ანდროცენტრიზმი ნიშნავს, რომ მამაკაცი რეალობას მხოლოდ თავისი თვალებით უყურებს და, რასაც ხედავს, აღწერს ეგოცენტრული ან ანდროცენტრული თვალსაზრისიდან გამომდინარე. ის (მამაკაცი) რეალობას ჰყოფს "მე"-ზე და "სხვა"-ზე და ამ სხვას, ქალის ჩათვლით, განიხილავს საკუთარ თავთან მიმართებაში.

მამაკაცის საკუთარი არსება და გამოცდილება მათთვის ათვლის წერტილია ან კულტურის სტანდარტი. ყველაფერი განისაზღვრება მამაკაცისთვის საჭიროების და მნიშვნელობის ტერმინებში. საუკუნეების მანძილზე ქალი განისაზღვრებოდა ან მისი ოჯახური და რეპროდუქციული ფუნქციების ტერმინებში ან იმის ტერმინებში, თუ როგორ აღძრას და დააკმაყოფილოს მამაკაცის სქესობრივი მადა. ეს ტენდენციები მკაფიოდ ჩანს და გამოყენებულია რეკლამაში. მაგალითად, ვკითხოთ ჩვენს თავს, ვის მოთხოვნილებას აკმაყოფილებს და ვის მზერას გულისხმობს ნახევრად შიშველი ქალის გამოსახულება ჟურნალების ყდებსა ან ახალი მოდელის მანქანის რეკლამაში?

საგულისხმოა, რომ ანდროცენტრულ ტენდენციებს მხოლოდ მამაკაცები როდი ამჟღავნებენ. მათ მდედრობითი სქესის ჟურნალისტებიც იზიარებენ, ან იძულებულნი არიან, მიმართონ, როგორც მიღებულ, საყოველთაო ნორმას.

რამდენიმე რჩევა გენდერულად კორექტული წერისთვის

ქალები არ უნდა იყვნენ წარმოდგენილნი მხოლოდ იმ სტატიებში, რომლებიც კონკრეტულად ქალთა საკითხებსა და პრობლემებს ეხება. როცა კი ამის შესაძლებლობა გექნებათ, ჩართეთ ქალები და გამოიყენეთ ისინი ინფორმაციის წყაროდ. თუ ხელოვნების რა-

მე მიმართულებაზე წერთ, მოძებნეთ ერთი-ორი ხელოვანი ქალი, რომელიც განხილული საკითხების კომენტირებას შეძლებს. თუ თქვენს რეგიონში მიმდინარე პოლიტიკური დებატების შესახებ წერთ, ეცადეთ, იპოვოთ ქალი პოლიტიკოსი, რომლის აზრებსაც გააშუქებთ სტატიაში. მიზანი ის კი არ არის, რომ სტატიაში ქალის შეხედულებები ხელოვნურად ჩართოთ, არამედ ის, რომ გაიგოთ, რაოდენ ფასეულია, როდესაც ქალებს რიგ საკითხებზე საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალება ეძლევათ.

გადახედეთ იმათ სიას, ვისაც ჩვეულებრივ უკავშირდებით ხოლმე იდეების ჩამოყალიბებისა და სტატიის წერის პროცესში ინფორმაციის მოწოდებისა და დახმარებისათვის. თუ თქვენს სიაში უმრავლესობას მამაკაცები წარმოადგენენ, მიიღეთ ზომები, რომ სია გააფართოვოთ. მიუხედავად იმისა, რომ მამაკაცები ბიზნესის, პოლიტიკის, აკადემიურ და კულტურულ სფეროებში უმრავლესობას წარმოადგენენ, ისეთი ქალის პოვნა, რომელიც ზუსტად ისევე შეასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, თქვენ რომ გგონიათ, იმაზე ადვილია.

მასალაში ქალი ისევე უნდა აღწეროთ, როგორც ამას მამაკაცზე გააკეთებდით. თუ ჩვეულებრივ არ აღწერთ ხოლმე მამაკაცი ბიზნესმენის ჩაცმულობასა და ვარცხნილობას, ქალის შემთხვევაშიც ნუ გააკეთებთ ამას, თუკი ეს განხილულ თემას არ ეხება. მოერიდეთ ისეთი სიტყვის ხმარებას, როგორიცაა "ქალური". ეს სიტყვა უამრავ ასოციაციას იწვევს და ბევრნაირად შეიძლება იქნას გაგებული.

კონკრეტული დეტალები იხმარეთ, რომ ახსნათ, რას გულისხმობთ – ნარნარად დადის თუ რბილი და სასიამოვნო ხმა აქვს.

ყურადღებით იყავით, რომ თქვენს სტატიებში რაიმე მოსაზრება არ გამოთქვათ ქალის „მართებული" როლის შესახებ. ჟურნალისტები, ხშირად, იზიარებენ და უნებლიედ ავრცელებენ საზოგადოებაში ქალისა და მამაკაცის შესახებ არსებულ სტერეოტიპებს. ყველა ქალი არ არის მხოლოდ მოდითა და საჭმლის მზადებით დაინტერესებული. ბევრი ქალი აქტიურად ერთვება საზოგადოების მეტად რთულ პოლიტიკურ და სოციალურ პრობლემებში. ზოგი ბიზნესს იწყებს და წარმატებითაც უძღვება. მოიძიეთ ისეთი ქალები, რომელთა ცხოვრებაც ქალებისა და მათი „შესაფერისი"

ადგილის შესახებ არსებული შეხედულებების საპირისპიროს ამტკიცებს.

შეხვდით ქალთა ორგანიზაციების წარმომადგენლებს და გაიგეთ, რა აწუხებთ მათ. შესაძლოა, მათთვის ისეთი საკითხები აღმოჩნდეს მნიშვნელოვანი, რომელთა შესახებ არც თქვენ და არც თქვენმა რედაქტორმა არაფერი იცოდეთ. ურჩიეთ, რომ დაგიკავშირდნენ, თუკი რამე საინტერესო და მნიშვნელოვანი ექნებათ თქვენთვის სათქმელი. მაგრამ, რასაც მოგითხრობენ, საბოლოო სიტყვად ნუ მიიღებთ. ასევე ნუ გეგონებათ, რომ ყველა ქალთა ორგანიზაციას ერთი და იგივე ექნება სათქმელი. ზოგს, შესაძლოა, განსხვავებული აზრი და შეხედულება ჰქონდეს, რომლებიც ასევე უნდა გაითვალისწინოთ მასალაში.

ეცადეთ, დაწეროთ ოჯახში ძალადობისა და სექსუალური შევიწროების შესახებ. ეს ძალზე სერიოზული პრობლემებია და იგნორირებული იყო, ან არც ისე მნიშვნელოვნად ითვლებოდა, როგორც სამართლებრივი სისტემის, ასევე მასმედიის მიერ. ოჯახში ძალადობა ხშირად არა დანაშაულებრივ, არამედ შიდა ოჯახურ საკითხად მიაჩნიათ, მაშინაც კი, როდესაც შედეგად მძიმე ფიზიკურ ტრავმებს ვიღებთ. გაიგეთ, როგორ უდგებიან ამ საკითხებს თქვენს რეგიონში. იცავს თუ არა კანონი ქალებს ქმრისა თუ პარტნიორის მიერ ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებისგან? როგორ რეაგირებს პოლიცია და ხელისუფლების სხვა ორგანოები? არსებობს თუ არა ისეთი დაწესებულებები, სადაც ქალებსა და ბავშვებს დახმარების მიღება და თავშესაფრის პოვნა შუძლიათ?

სექსუალური შევიწროება სამსახურის ადგილებში, ასევე ერთ-ერთი საკითხია, რომელსაც დიდი ყურადღება ეთმობა დასავლეთში მაშინ, როდესაც ბევრი ამ პრობლემას უმნიშვნელოდ მიიჩნევს. ფაქტია, რომ ნებისმიერ საზოგადოებაში ქალებს ხშირად უწევთ მამაკაც თანამშრომლებთან და უფროსებთან დაპირისპირება, რომლებიც დაწინაურებისა თუ ხელფასის გაზრდის სანაცვლოდ, ანდა, სულაც, სამსახურიდან დათხოვნის მუქარით, სექსუალურ "შეღავათებს" ითხოვენ მათგან. ზოგჯერ შევიწროება პირდაპირი მოთხოვნის ფორმით კი არ ხორციელდება, არამედ – ქალის მიმართ ვულგარული, შეურაცხმყოფელი და უხამსი სიტყვების თქმით.

ამგვარი მოპყრობისას სამსახური გაუსაძლისი ხდება. და ისევ, გაიგეთ, რა კანონები არსებობს ამ საკითხების შესახებ თქვენს რეგიონში. რამდენად დიდია ეს პრობლემა და როგორ ებრძვიან მას ქალები?

პროსტიტუციის საკითხი ძირითადია, როდესაც საქმე მასმედიის მიერ ქალთა პრობლემების გაშუქებას შეეხება. ეს, უდავოდ, ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ, იმავდროულად, უნდა ეცადოთ, რომ შეწყვიტოთ იმ ქალების შეფასება, ვისთვისაც პროსტიტუცია, შესაძლოა, ერთადერთ საარსებო საშუალებას წარმოადგენდეს. მაშინაც კი, როცა ქალი ამ გზას საკუთარი ნებით ირჩევს, ეცადეთ, რომ ცხოვრებას მისი თვალით შეხედოთ. ასევე ეცადეთ, რომ სტერეოტიპებს მიღმა გაიხედოთ. ყველა მეძავი აუცილებლად ნარკომანი ან ცუდი დედა სულაც არ არის. ზოგიერთ ქვეყანაში მეძავებმა შემოიღეს ტერმინი "სექს-მუშაკი". მათთვის ეს მიმართვა ნაკლებად შეურაცხმყოფელია. ჰკითხეთ, რატომ ურჩევნიათ, რომ ამ ტერმინით მოიხსენიონ და დაწერეთ, რას ნიშნავს ეს ცვლილება მეძავებისათვის. გაიგეთ, ხომ არ ცდილობენ ისინი, ანუ სექსის მუშაკები, საკუთარი ორგანიზაციებისა და ასოციაციების ჩამოყალიბებას? ხომ არ ცდილობენ, თავისთვის ჯანდაცვის გაუმჯობესების ლობირებას? ხომ არ ცდილობენ, რომ ხელი შეეწყოს ინფორმაციის გავრცელებას იმის შესახებ, როგორ უნდა ხდებოდეს თავის დაცვა შიდსის ან სხვა სქესობრივი გზით გადამდები დაავადებებისაგან?

ქალთა ტრეფიკინგი ბოლო წლებში მეტად მნიშვნელოვანი საკითხი გახდა. გაიგეთ, რა მდგომარეობაა ამ მხრივ თქვენს რეგიონში, საიდან მიჰყავთ ქალები, რა გზებით ახერხებენ მათ გატყუებას საკუთარი ქვეყნებიდან და რა ხერხებით აძალებენ სხვაგან დარჩენას? გაესაუბრეთ ამ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს და სთხოვეთ, დაგაკავშირონ იმ ქალებთან, რომლებიც ამგვარ სიტუაციაში აღმოჩნდნენ.

გენდერული ბალანსის დაცვა

ის, რომ მედია ობიექტურია, მითია. ახლა ჟურნალისტებს ასწავლიან, რომ მათ უნდა გაითავისონ, რომ არიან მიკერძოებულნი და ამბის მოყოლისას, წყაროების შერჩევისას, ციტატის მოყვანისას, ადგილი აქვს მათი პერსონალური, მათ შორის, გენდერულ საკითხებში მიკერძოების, წარმოჩენას. ამისათვის ობიექტურობის სანაცვლოდ უნდა შეეცადონ, დაიცვან ბალანსი, რაც შემდეგნაირად მიიღწევა:

- ერთზე მეტი პერსპექტივის და მხარის წარმოჩენა;
- იმაზე მეტის გაშუქება, ვიდრე მხოლოდ ის კაცები ან მხოლოდ ის ქალები და კაცები, რომლებიც ავტორიტეტულ თანამდებობებს იკავებენ;
- ეძებონ მასალაში, თუ ვინ აკლია, ვისი ხმა არ ჩანს;
- გათვითცნობიერებულები იყვნენ იმ ენის შესახებ, რომელიც სტერეოტიპებს ახალისებს და ამყარებს;
- შეეცადონ ჩართონ გენდერული პერსპექტივა ნებისმიერი საკითხის გაშუქებისას.

მედიას შეუძლია, იყოს პროაქტიური ენის გამოყენებისას. იმ წარმოდგენების შესაცვლელად, რომლებიც დამკვიდრებულია საზოგადოებაში, რაც, შესაძლოა, მოხდეს ახალი ტერმინოლოგიის გამოყენებით, იმის ახსნით, თუ რატომ შეიძინა ტერმინმა უარყოფითი მნიშვნელობა.

გენდერული საჭიროებები

გენდერული საჭიროებების ეს კლასიფიკაცია შემოთავაზებულია კაროლინ მოზერის მიერ. პრაქტიკული გენდერული საჭიროებანი – ქალებსა და მამაკაცებს თავიანთი ტრადიციული ფუნქციების პირობებში სჭირდებათ მხარდაჭერა და დახმარება ამ როლების შესრულებაში. მაგალითად, მამაკაცებისთვის შრომის მექანიზაცია, ხოლო ქალებისთვის – წყლის გაყვანა სახლებში ან ქალის შრომის გაადვილება სამზარეულოს ტექნიკით.

პრაქტიკულ გენდერულ საჭიროებებზე მიმართული სტრატეგია არ არის ორიენტირებული ტრადიციული როლების შეცვლაზე.

პრაქტიკული გენდერული საჭიროებები გამომდინარეობს კონკრეტული პირობებიდან, რომლებშიც იმყოფება ქალი, იმ პოზიციიდან, რომელიც ქალს უკავია ტრადიციული შრომის დანაწილების სიტუაციაში და, რომელიც ეფუძნება მათ პრაქტიკულ საარსებო ინტერესს. პრაქტიკული გენდერული საჭიროებები პასუხია მოცემულ სიტუაციაში ქალების აღქმით გადაუდებელ აუცილებლობაზე. როგორც წესი, ქალები ვერ ახდენენ ისეთი სტრატეგიული მიზნების გამოყოფას, როგორიც არის ქალთა თანასწორობა ან უფლებების გაფართოვება, ისინი ვერ ხედავენ ძალაუფლების არათანაბარ განაწილებას და იმას, რომ მათი პრაქტიკული საჭიროებები სწორედ აქედან გამომდინარეობს.

მაგალითი: სოფელში არ არის გაყვანილი წყალი. ყოველდღიურად ქალებს უხდებათ დღეში რამდენჯერმე წყლით სავსე მძიმე ჭურჭლის ზიდვა წყაროდან სახლში. ეს უმძიმესი შრომაა და კაცებს, რომლებიც სოფლის თავშეყრის ადგილზე დგანან, ძალიან ეცოდებათ თავიანთი ცოლები, დები, ქალიშვილები, მაგრამ მათ არ შეუძლიათ დაეხმარონ. წყლის ზიდვა ხომ "ქალის საქმეა".

ამ სოფლის პრაქტიკული გენდერული საჭიროება იქნება ქალებისთვის წყლის სახლებში ან სადმე უფრო ახლოს გაყვანა, რათა მათი შრომა შემსუბუქდეს. მაგრამ ტრადიციული როლების გადანაწილება, რა თქმა უნდა, არ მოხდება.

სტრატეგიული გენდერული საჭიროებები არის ისეთი საჭიროებები, რომლებიც გამომდინარეობს მამაკაცის მიმართ ქალის დაქვემდებარებული მდგომარეობის გაცნობიერებიდან და მისი დაძლევის სურვილიდან. სტრატეგიული გენდერული საჭიროებანი შეიძლება შეიცავდეს შემდეგს:

- შრომის არსებული სქესობრივი განაწილების შეცვლა;
- ოჯახური შრომის და ბავშვთა მოვლის შემსუბუქება;
- დისკრიმინაციული წეს-ჩვეულებების დაკანონების გაუქმება, მაგალითად, უფლება მიწაზე და საკუთრებაზე, კრედიტის აღებაზე; პოლიტიკური თანასწორობის განხორციელება; არჩევანის თავისუფლება შვილების ყოლის საკითხში; მამა-

კაცთა ძალადობის და კონტროლის წინააღმდეგ ეფექტიანი ზომების შემოღება.

მაგრამ სტრატეგიულ საჭიროებებში ყველაზე მნიშვნელოვანია ქალთა მდგომარეობის რეალური შეცვლა. ამგვარ ცვლილებას შეიძლება მივაღწიოთ, მაგ.: ქალებისთვის კვალიფიკაციის მიღების შესაძლებლობების შექმნით, რათა მათ მოახერხონ მამაკაცის თანასწორი პროფესიონალიზმის მიღწევა, თანასწორი პოზიციისა და სტატუსის დაკავება;

სტრატეგიულ საჭიროებებისაკენ მიმართული ქმედებები წორედ არსებული გენდერული როლების გარდაქმნას ისახავს მიზნად.

საერთაშორისო და ადგილობრივი მისწრაფებები გენდერული თანასწოროობისთვის

ჯერ კიდევ 1948 წლის გაერო-ს ქარტიაში აღინიშნა, რომ მამაკაცი და ქალი თანასწორია, რომ ყველა ინდივიდი, რასის, რელიგიის, სტატუსის, ასაკისა და სქესის მიუხედავად, სარგებლობს ღირსებითა და უფლებებით. თუმცა, ეს განცხადება საკმარისი არ აღმოჩნდა საიმისოდ, რომ მსოფლიოში ქალების ცხოვრება და ბედი შეცვლილიყო. საყოველთაო დეკლარაციამ ვერ უზრუნველყო ღრმად გამჯდარი ტრადიციებისა და უსამართლობის აღმოფხვრა მსოფლიოს სხვადასხვა ხალხსა თუ კულტურაში, რაც ქალის მიმართ ძალადობას და მის დაბალ სტატუსს აღიარებდა. 1967 წლის 7 ნოემბერს გაერო-ს გენერალურმა ასამბლეამ დაამტკიცა დეკლარაცია ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ. გაეროს წევრი სახელმწიფოებისათვის აღნიშნული დოკუმენტი სავალდებულო არ იყო. ამიტომაც, აღნიშნულმა დოკუმენტმა ვერ უზრუნველყო ახალი, უფრო სამართლიანი გარემო, სადაც ქალები და მამაკაცები საერთო და თანასწორი უფლებებით ისარგებლებდნენ.

ქალის სტატუსზე მომუშავე გაეროს კომისიამ მთელი სამოცდაათიანი წლები მოანდომა ქალების დამცველ კონვენციაზე მუშაობას, რომელიც გაეროს წევრი სახელმწიფოებისათვის სავალდებულო უნდა გამხდარიყო. საბოლოოდ, 1979 წელს დამტკიცდა კონვენცია ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ. დღეს

კონვენცია რატიფიცირებულია 185 ქვეყნის მიერ. საქართველო ამ დოკუმენტს 1994 წელს მიუერთდა. დღეს განვითარებული დემოკრატიის ქვეყნებში მოქმედებს ქალისა და მამაკაცის თანასწორობის უზრუნველსაყოფი ეფექტიანი კანონები და ინსტიტუციური მექანიზმები. განვითარებად ქვეყნებშიც სულ უფრო მეტად აქტიურდება საზოგადოებრივი მოთხოვნა და ქალთა ორგანიზაციების ხმა, რათა ქვეყნებმა შეასრულონ საერთაშორისო ვალდებულებები და გადადგან ქმედითი ნაბიჯები ქალთა დისკრიმინაციისა და ტრადიციული გენდერული უთანასწორობის აღმოსაფხვრელად.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი ბოლო 6 წელი, 2006 წლიდან, აქვეყნებს ყოველწლიურ ანგარიშს, გლობალური გენდერული განსხვავების ინდექსი, რომელიც ადგენს გენდერული ნიშნით გამოვლენილ ხარვეზებს, უთანასწორობას და, ასევე, დინამიკას დროის მანძილზე.

2011 წლის რეიტინგის შედგენისას ქალებისა და მამაკაცების შესაძლებლობები შეადარეს ოთხი ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით, ესენია:

1. **მონაწილეობა ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში**
2. **თანამდებობრივი წინსვლა**
3. **განათლების ხელმისაწვდომობა**
4. **ჯანმრთელობის მდგომარეობა.**

2011 წელს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ინდექსში 135 ქვეყანა მოხვდა. მათ შორის საქართველომ 86-ე ადგილი დაიკავა; მიუხედავად იმისა, რომ წინა წელთან შედარებით საქართველომ გააუმჯობესა პოზიცია და 88–დან 86-ე ადგილზე გადაინაცვლა, უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო 6 წლის მანძილზე საქართველოს შეფასება ამ ინდექსის მიხედვით გაუარესდა. მაგალითისთვის ,საქართველო 2006 წელს 54-ე ადგილზე იმყოფებოდა. გენდერული თანასწორობის კუთხით, გენდერული ინდექსის გათვალისწინებით სამაგალითო ქვეყნების პირველ ათეულში კვლავ რჩებიან ის ქვეყნები, რომლებიც ქვეყნის რესურსს ქალებსა და მამაკაცებს შორის თანაბრად ანაწილებენ.

2011 წლის გენდერული განსხვავების ინდექსის გათვალისწინებით ქვეყნების ტოპ-ათეული ასე გამოიყურება:

1. ისლანდია
2. ნორვეგია
3. ფინეთი
4. შვედეთი
5. ირლანდია
6. ახალი ზელანდია
7. დანია
8. ფილიპინები
9. ლესოთო
10. შვეიცარია

საქართველოს სახელმწიფოს ნაბიჯები გენდერული თანასწორობის მისაღწევად

1994 წლიდან საქართველო შეუერთდა ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაერთიანებული ერების კონვენციას და ამ კონვენციის მოთხოვნების შესრულების ვალდებულება იკისრა ცხოვრების ყველა სფეროში. **1995 წელს** საქართველო ასევე შეუერთდა პეკინის სამოქმედო პლატფორმას და ვალდებულება იკისრა, ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების ეროვნული სამოქმედო გეგმა შეემუშავებინა. ეს გეგმა **1998-2000** წლებში შემუშავდა.

კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ

მუხლი 5 წევრი სახელმწიფოები ყველა საჭირო ზომას იღებენ, რათა შეცვალონ ქალთა და მამაკაცთა ქცევის სოციალური და კულტურული მოდელები იმისთვის, რომ აღმოიფხვრას ყველა წინა განსჯა, ადათ–წესი თუ ტრადიცია, რომელიც საფუძვლად უდევს მამაკაცის უპირატესობას ქალზე.

1999 წელს საქართველომ პირველად წარადგინა ანგარიში გაეროს ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის კომიტეტში **(CEDAW).** სახელმწიფო ანგარიშთან ერთად, ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მომზადდა ე.წ. ჩრდილოვანი ანგარიშიც. ამის შემდეგ კომიტეტმა შეიმუშავა რეკომენდაციები საქართველოში ქალთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, გენდერული სტერეოტიპების აღმოსაფხვრელად. ამის საპასუხოდ გამოიცა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება „საქართველოში ქალთა უფლებების დაცვის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“.

2006 წლის 24 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფცია, ხოლო **2007 წელს** დაამტკიცა გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა **2007-2009 წლების** სამოქმედო გეგმა.

დიდი პროგრესი გენდერული თანასწორობის მიმართულებით უკავშირდება **2010 წლის 26 მაისს** პარლამენტის მიერ გენდერული თანასწორობის შესახებ საქართველოს კანონის მიღებას.

გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად განსახორციელებელი 2011–2013 წლების სამოქმედო გეგმამ, რომელიც დაამტკიცა პარლამენტმა 2011 წლის 25 მაისს, კანონის იმპლემენტაცია უფრო რეალისტური გახადა. განათლებისა და ცნობიერების ამაღლების მიმართულებით ღონისძიებები ამ გეგმის ცალკე მიზანშია გაწერილი.

მიზანი: გენდერული ასპექტების განათლების სფეროში შეტანისა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა

2.3.2. გენდერული თანასწორობის საკითხების შესახებ მედიაკამპანიების განხორციელება შემდეგი საშუალებებით:

- უფასო სოციალური რეკლამები;
- თოქშოუები;
- საგაზეთო სტატიები;
- საინფორმაციო მასალები;
- რადიოგადაცემები.

2014 წელს საქართველომ ხელი მოაწერა „ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროსაბჭოს კონვენციას“ (სტამბოლის კონვენცია).

მრავალფეროვნება

სამიზნე ჯგუფი:

უფროსკლასელები, მასწავლებლები, მედიის წარმომადგენლები, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები (ეთნიკურად შერეული ჯგუფი).

მიზანი:

- ეთნიკურად მრავალფეროვან გარემოში თანაცხოვრებისა და ტოლერანტული დამოკიდებულების შემუშავება;
- გენდერული მგრძნობელობის განვითარება;
- ჯგუფების მომზადება მომავალი არჩევნებისათვის ერთობლივი ღონისძიების ჩასატარებლად.

თემები:

- დომინანტური და მარგინალური ჯგუფები;
- სტერეოტიპები;
- დისკრიმინაცია;
- სუბიექტური რეალობა;
- ქცევის სტრატეგიები;
- კოოპერატიული მოდელი, ინტეგრაციული მოდელი;
- მულტიკულტურალიზმი;
- გენდერი, როგორც დიფერენციაციის სტარტეგია;
- დიფერენციაციიდან ტრანსფორმაციამდე;
- იდენტობა;
- მრავალფეროვნება;
- გუნდური მუშაობა.

სავარჯიშოები:

- "მოლოდინი – წვლილი" (ეროვნული მრავალფეროვნების მართვა, ჯანა/ნოდარი)
- მრავალფეროვნება -"დადგეს ის, ვინც . . .?" "დომინო"

- დომინანტური/სუბორდინირებული: "პრივილეგირებული სვლა";
- ვქმნით "უმრავლესობა, უმცირესობა" ჯგუფებს, (სტიკერები, კონსტიტუცია, სახელები);
- სტერეოტიპები: სურათები – პერსონაჟები;
- დისკრიმინაცია:"არათანაბარი სტარტი" (ტოლერანტობა);
- სუბიექტური რეალობა: ბორინგის ნახატი;
- იდენტობა – "მე ვარ";
- ეთნიკური და მოქალაქეობრივი იდენტობა;
- გენდერი: "გენდერული როლები – რომელი გაძლიერებს, რომელი გასუსტებს";
- როგორ შევცვალოთ გენდრული სტრუქტურა – სტრატეგიული გენდერული საჭიროებები (მოვიგონოთ მაგალითი);
- სტრატეგიები – "ცერები";
- გუნდი – "კვადრატები", სიარული შეერთებული კოჭებით, "მდინარეზე გადასვლა";
- კონსენსუსი: "აბიგაილი".

მრავალფეროვნების სხვადასხვა კონტექსტი

სოციალური კონტექსტი

მრავალეფროვნება გულისხმობს ერთ პოპულაციაში უამრავი განსხვავებული კულტურის, აზრის, ეთნიკური ჯგუფის, სოციოეკონომიკური ფონის (და ა.შ.) არსებობას.

გლობალური, პლანეტარული კონტექსტი

საერთაშორისო, გლობალურ დონეზე, მრავალფეროვნება გულისხმობს უამრავი ადამიანის არსებობას, რომელთაც თავისი უნიკალური გამოცდილების წილი შეაქვთ კაცობრიობის კულტურაში.

პოლიტიკური კონტექსტი

ამ სფეროში მარავლფეროვნება, ხშირად, იხმარება ტერმინ "ტოლერანტობასთან" ერთად, რაც მხარს უჭერს იმ იდეას, რომ მრავალფეროვნება ღირებული და სასურველია. მრავალფეროვნების

კონცეფციის კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ პოლიტიკურ არენაზე "მრავალფეროვნება" არის კოდური სიტყვა, რომელიც აიძულებს ხალხს, აიტანოს და გაამართლოს ადამიანები და საქმიანობები, რომლებიც მათთვის მიუღებელი და შეუფერებელია. ასევე, გამოთქვამენ კრიტიკას იმის თაობაზე, რომ მრავალფეროვნების პროგრამები განათლებასა და ბიზნესში აქცენტს აკეთებენ უმცირესობათა ჯგუფებზე (მაგ.: ჰომოსექსუალისტებზე) და გაცილებით ნაკლებ დროს უთმობენ უმრავლესობათა ჯგუფებს.

ეკოლოგიური კონტექსტი

ბიომრავალეფროვნება აღწერს ეკოლოგიური ერთობლიობების სტრუქტურას. აქ იგლუსხმება არა მხოლოდ სახეობათა მრავალფეროვნება, არამედ თითოეულ სახეობაში არესბულ ინდივიდთა მრავალფეროვნებაც.

ბიზნეს კონტექსტი

ბიზნეს-კონტექსტში გარეგნული მრავალფეროვნება (რასა, კანის ფერი, სქესი) განიხილება, ერთი მხრივ, როგორც თანამშრომელთა მოზიდვისა და შენარჩუნების, ხოლო, მეორე მხრივ, როგორც მომხმარებლის ნდობის გაზრდის სტრატეგია. გლობალურ და მრავალფეროვან ბაზარზე კომპანიას, რომლის რასობრივი და სქესობრივი შემადგენლობა ასახავს იმ ბაზრის დემოგრაფიას, რომელსაც ემსახურება, მეტი და უკეთესი შანსები აქვს საიმისოდ, რომ შეინარჩუნოს ბაზარი და წარმატებას მიაღწიოს.

როგორც უკვე ვნახეთ, ადამიანებთან მიმართებაში მრავალფეროვნება ნიშნავს ადამიანებს შორის არსებულ განსხვავებებს – სქესის, განათლების, რწმენების, ფასეულობებისა და სხვა მრავალი კუთხით. მრავალფეროვნების ყველა განზომილება მნიშვნელოვანია, მაგრამ ჩვენი ქვეყნისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ეთნიკური, კულტურული და რელიგიური მრავალფეროვნება, რომელიც როგორც დადებითი, ისე უარყოფითი პოტენციალის მატარებელია.

მრავალფეროვნებას შეუძლია ხელი შეუწყოს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას. როდესაც შედარებით მცირე ერი ცდილობს, გლო-

ბალურ გარემოში გადარჩენას, ამ პროცესში სხვადასხვა იდეის, კულტურის, წეს-ჩვეულების მონაწილეობა ფასდაუდებელია. მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, შემოქმედებითობა, ინოვაციურობა და ერთგვარი გამოწვევა, რომლის წინაშეც დგება საყოველთაოდ აღიარებული ფასეულობები და სიბრძნეები, ძლიერი პოტენციალია საიმისოდ, რომ ჩვენ გავაუმჯობესოთ საქმიანი, სამუშაო და სავაჭრო ურთიერთობები, რაც, თავისთავად დადებითად აისახება მთლიანად საზოგადოების და ცალკეული ოჯახების ცხოვრების დონეზე.

არსებობს ფაქტები, რომლებიც ადასტურებენ, რომ სამუშაო ძალის მრავალფეროვნება ეხმარება კომპანიებს პროდუქტების ახალ ბაზრებზე გატანაში. მაგალითად, თუ ქართულ კომპანიებს სურთ აზიურ (ჩინურ) ბაზარზე შეღწევა, ისინი ნამდვილად იხეირებენ, თუკი თანამშრომელთა შორის ჩინელებიც ეყოლებათ: ჩინელი თანამშრომელი ასეთი კოპანიისთვის არის ადამიანი, რომელიც საუბრობს ჩინურად, აბსოლუტურად გარკვეულია ჩინეთის კულტურულ წეს-ჩვეულებებსა და ნორმებში და, იმავდროულად, კარგადაა გარკვეული ქართულ ყოველდღიურ საქმიან ცხოვრებაშიც. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩინელი თანამშრომელი ამ შემთხვევაში ითამაშებს გარკვეული ხიდის როლს და მნიშვნელოვნად გააიოლებს ქართულ და ჩინურ კომპანიებს შორის საქმიანი ურთიერთობების დამყარებისა თუ შენარჩუნების პროცესს.

რაც მრავალფეროვანია მოსახლეობა ქვეყანაში, მით უფრო მრავალფეროვანი ხდება ბაზარზე არსებული მოთხოვნა; ასე რომ, ახალი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით, ბაზარიც იწყებს ახალი მიმართულებებით განვითარებას. მრავალფეროვნება მიმზიდველობას და სიცოცხლეს მატებს ქალაქებს, რის გამოც ისინი სასურველი საცხოვრებელი ადგილი ხდებიან; ეს კი, თავის მხრივ, ხელს უწყობს კიდევ უფრო მეტი ადამიანური რესურსის შედინებას ამ ქალაქებში.

მაგრამ, იმავდროულად, როგორც ამას პარიზსა და ლონდონში მომხდარი ბოლოდროინდელი მოვლენები ადასტურებს, მრავალფეროვნებამ, შესაძლოა, შეამციროს საზოგადოების "შეკრულობა" და ერთიანობა; მოსახლეობა თავს საფრთხის ქვეშ გრძნობს, მატულობს დაუცველობის განცდა და, შედეგად, თავს იჩენს მტრობის, რა-

სიზმისა და დისკრიმინაციის ფაქტები ცალკეულ უმცირესობათა მიმართ.

გარდა ამისა, მრავალფეროვანი მოსახლეობის სულ უფრო მრავალფეროვანი მოთხოვნილებები ხარჯებს ზრდის სხვადასხვა მომსახურების მიმწოდებელი სამთავრობო სტრუქტურებისთვის, რადგან საჭირო ხდება ამ მომსახურების გაუმჯობესება, დივერსიფიკაცია და ცალკეულ მოთხოვნებზე მორგება.

როგორ მივაღწიოთ იმას, რომ მრავალფეროვნება ჩვენს საზოგადოებაში მაქსიმალურად დადებითი პოტენციალის მატარებელი იყოს? ამ საკითხზე პასუხის გაცემა არც ისე იოლია. აქ წინა პლანზე გამოდის მრავალფეროვნების მართვის, ქვეყნისა და საზოგადოების სასიკეთოდ მისი ეფექტურად გამოყენების საკითხი. ამიტომ, ზემოხსენებულ კითხვაზე პასუხის ძენბის პროცესში რამდენიმე მიმართულებით უნდა ვიფიქროთ და ვიმსჯელოთ:

რა ტიპის საზოგადოებაში გვსურს ვიცხოვროთ?

- როგორ აისახება ჩვენი საზოგადოების მრავალფეროვნება იმ სოციალურ-ეკონომიკურ მიზნებზე, რომელთა მიღწევასაც ვცდილობთ?
- რას ნიშნავს, იყო ქართველი?
- როგორ შეიცვლება ის, თუ რას ნიშნავს, იყო ქართველი, ჩვენი საზოგადოების მრავალფეროვნების ზრდის შედეგად?
- როგორ ვცდილობთ, მივაღწიოთ იმას, რომ საქართველოში მცხოვრებ ადამიანებს გააჩნდეთ საერთო იდენტურობისა და ლოიალობის გრძნობა?
- გააჩნია თუ არა დღეს ჩვენს საზოგადოებას ისეთი ფასეულობები, რომლებიც ფუნდამენტური და საერთოა ყველასთვის?

როგორ შეგვიძლია გავზარდოთ მრავალფეროვნებასთან დაკავშირებული შესაძლებლობები?

- როგორ მივაღწიოთ იმას, რომ ადამიანებმა შეძლონ ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში სრული მონაწილეობის მიღება?

- რას შეიძლება ნიშნავდეს გაზრდილი მრავალფეროვნება იმ საჯარო და კერძო სააგენტოებისთვის, რომლებიც მომსახურებაზე არიან ორიენტირებულები?
- რას ნიშნავს გაზრდილი მრავალფეროვნება ჩვენი საკონსტიტუციო ფასესულობებისა და სტრუქტურებისთვის?
- რამდენად წარმომადგენლობითია ჩვენი ინსტიტუტები, "დაწესებულებები?"
- ხომ არ საჭიროებს ჩვენი მრავალფეროვანი მოსახლეობა მთავრობასთან ურთიერთობის ახალ გზებს?

როგორ ვმართოთ მრავალფეროვნებასთან დაკავშირებული რისკები?

- როგორ უნდა უზრუნველვყოთ კანონის უზენაესობა მაშინ, როდესაც ის, შესაძლოა, არ შეესაბამებოდეს დიდი რაოდენობით ადამიანების ფასეულობებსა და რწმენებს?
- როგორ უნდა დავარწმუნოთ ადამიანები, დაემორჩილონ კანონს მაშინაც კი, როდესაც ისინი მას არ ეთანხმებიან?
- რას ვაკეთებთ, როდესაც ზოგიერთი ფასეულობა არ შეესაბამება ადამიანის უფლებების ჩვენეულ გაგებას?
- რომელი უფლებებია ფუნდამენტური და სად უნდა მოვნიშნოთ ტოლერანტობისა და თავისუფლების საზღვრები?
- უნდა შევზღუდოთ ზოგიერთი ადამიანის თავისუფლება იმისათვის, რომ მივცეთ ეს თავისუფლება სხვებს?
- რისი გაკეთება შეგვიძლია იმისათვის, რომ აზრიანად და შედეგიანად მოვუწოდოთ საზოგადოებას ტოლერანტობისკენ?
- როგორ უნდა გავაუმჯობესოთ ქვეყნის შიგნით ჩვენი ურთიერთობები ისე, რომ საქართველოში მცხოვრებმა ადამიანებმა არ იგრძნონ თავი დამცირებულად ან საფრთხეში?

როგორ მივაღწიოთ იმას, რომ ყველა ქართველმა მიიღოს სარგებელი იმ შესაძლებლობებისგან, რომლებიც თან სდევს მრავალფეროვან საზოგადოებაში ცხოვრებას?

- როგორ გავლენას ახდენს ეთნიკური მრავალფეროვნება საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებზე?

ეთნიკური მრავალფეროვნება: კულტურა და მემკვიდრეობა

მემკვიდრეობა არის კონკრეტული მნიშვნელობის მქონე ცნება: ის, რაც წარსულში მცხოვრები ადამიანებისგან მემკვიდრეობით გვერგო. თუმცა, მიუხედავად ასეთი მკაფიო განმარტებისა, ამ სიტყვის მნიშვნელობა მაინც ძალიან ფართეა. ის შეიძლება ნიშნავდეს მატერიალურ სიმდიდრეს, პრივილეგიებს, იდეებს, შენობებს, ისტორიას – ყველაფერს, რაც არ არის უშუალოდ ჩვენ მიერ შექმნილი ან შეძენილი.

კულტურის ცნებას კი რამდენიმე მნიშვნელობა გააჩნია. გაერო-ს 1966 წლის ეკონომიკის, სოციალური და კულტურული უფლებების შეთანხმების მიხედვით, ის ნიშნავდა განათლებას და კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობას – ანუ ხელოვნებასა და მეცნიერებას. ყველას უნდა ჰქონოდა კულტურის (წიგნების, თეატრის, ცეკვის და ა.შ.) ხელმისაწვდომობის უფლება. არქეოლოგებისა და ანთროპოლოგებისთვის კულტურა ერთი რომელიმე კონკრეტული ჯგუფის ცხოვრების წესს აღნიშნავდა. მაგალითად, "ნეოლითური" კულტურა ნიშნავდა ქვის ხანის ადამიანების მთლიან ყოფას: მათ საკვებს, იარაღს, სხვადასხვა ქცევას, რიტუალებს და ა.შ.

დღევანდელობაში, კულტურის ანთროპოლოგიური მნიშვნელობა უკვე საყოველთაოდ გამოიყენება. სხვადასხვა მცირე თუ მსხვილი ჯგუფის კულტურის შესახებ განზოგადოებები უკვე არა მხოლოდ მეცნიერთა, არამედ ნებისმიერი ადამიანის მიერ კეთდება. მაგალითად, ადამიანებს შეუძლიათ ისაუბრონ ოფისის კულტურაზე, როდესაც აღწერენ იმ ადამიანთა ჩვევებსა და ქცევის წესს, რომლებიც მუშაობენ ამ ოფისში.

თუ კულტურას განვიხილავთ, როგორ განწყობების, დამოკიდებულებების, ქცევის მოდელებისა და რწმენების ერთობლიობას, მაშინ საქართველოში ნამდვილად ბევრი სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელი ცხოვრობს და მათ შორის განსხვავებები განპირობებულია სოციალური კლასით, რეგიონით, ენითა თუ დიალექტით. მშვიდობიანი თანაარსებობისთვის მნიშვნელოვანია, რომ ეს

სხვადასხვა კულტურა ერთმანეთს კარგად იცნობდეს და ესმოდეს ერთმანეთის; თუმცა, ასევე ვერ უარვყოფთ იმ ფაქტს, რომ შესაძლოა გაჩნდეს პრობლემები – თუნდაც, მაგალითად, ქორწინების წესის მიმართ სხვადასხვაგვარი დამოკიდებულების გამო. გარდა ამისა, არსებობს კიდევ პრობლემა, რომელიც გამომდინარეობს კულტურის გადამეტებული ხაზგასმიდან: ზოგიერთ ადამიანს მიაჩნია, რომ ინდივიდუალური პიროვნების კულტურა ერთმნიშვნელოვნად განპირობებულია მისი ამა თუ იმ ჯგუფისადმი მიკუთვნებით. როგორც ოფიციალური პირები, ისე ჟურნალისტები, სწრაფად და იოლად აერთიანებენ ადამიანს ჯგუფებში და შემდგომ საკმაოდ თავდაჯერებულად საუბრობენ ამ ჯგუფების "კულტურაზე".

რასა, ეროვნება

სიტყვა "რასა" თავიდან უბრალოდ "ოჯახს" ნიშნავდა. მე-19 საუკუნეში, მეცნიერებმა გამოიყენეს ეს ცნება, რათა აღეწერათ ადამიანის რასები, ანუ ჯგუფები, რომლებიც გამოიკვეთა ისეთი ფიზიკური განსხვავებების საფუძველზე, როგორებიცაა კანის ფერი, თმის ტიპი, სხეულის მოყვანილობა და სხვ.

რასების შესახებ უამრავი თეორია შეიქმნა, მაგრამ ერთსულოვნება რასის განმარტების ირგვლივ მაინც ვერ ჩამოყალიბდა. ზოგიერთი მეცნიერი აერთიანებდა ყველა ევროპელს ერთ კატეგორიად, სხვები ყოფდნენ მათ "ნორდიულ", "ალპიურ" და "მედიტერანეულ" რასებად, ან "ტევტონურ" და "ლათინურ" რასებად ან ყველა თეთრკანიან ადამიანს "კავკასიურ" რასად აერთიანებდნენ. მიიჩნეოდა, რომ თითოეულ რასას უნდა ჰქონოდა მხოლოდ მისთვის (უფრო სწორად, ამ რასის ფიზიკური აგებულებისთვის) დამახასიათებელი მორალურ-ინტელექტუალური თვისებები. თეორეტიკოსები, რომელთა უმრავლესობა ჩრდილოეთ ევროპელები იყვნენ, ერთხმად აღიარებდნენ ჩრდილო-ევროპელების უპირატესობას გონებრივი და მორალური თვალსაზრისით. ყველას მიაჩნდა, რომ რასა მნიშვნელოვნად განაპირობებს ინდივიდუალურ თვისებებს.

ყველა ეს თეორია ამჟამად დისკრედიტირებულია, როგორც არამეცნიერული და არასწორი, მაგრამ, რასისტული თეორიების გავლენა პოლიტიკაზე, მხატვრულ ლიტერატურასა და ჟურნა-

ლისტიკაზე საკმაოდ ძლიერი და ხანგრძლივი აღმოჩნდა. რასისტული თეორიებით ხელმძღვანელობდა 1990-იან წლებამდე აპარტეიდის პოლიტიკა სამხრეთ აფრიკაში და შეერთებული შტატების საიმიგრაციო პოლიტიკა წინა საუკუნის 60-იან წლებში (რომელიც წაახალისებდა გერმანული, ბრიტანული და ირლანდიური წარმოშობის მიგრანტების შემოშვებას, და ბლოკავდა ინდოეთიდან და ჩინეთიდან მომავალ ადამიანებს); ეს თეორიები ედო საფუძვლად ბრიტანულ კოლონიალიზმს (მეორე მსოფლიო ომამდე) და ბრიტანეთის მთავრობის საიმიგრაციო პოლიტიკას (ომის შემდგომ პერიოდში).

ამ თეორიების ავტორები იყვნენ მე-19 საუკუნის მოწინავე მეცნიერები, რომელთა აზრს დიდი გავლენა ჰქონდა არა მხოლოდ "მაღალ ეშელონებში", არამედ – მთლიანად საზოგადოებაშიც. შედეგად მივიღეთ რასობრივი დისკრიმინაცია.

რასობრივი ურთიერთობების 1976 წლის აქტის მიხედვით, რასობრივი დისკრიმინაცია ჩნდება, როდესაც ერთსა და იმავე გარემოებებში, რასობრივ საფუძველზე, გარკვეულ ადამიანს ან ჯგუფს ეპყრობიან უარესად, ვიდრე სხვებს. "რასობრივ საფუძველში" იგულისხმება კანის ფერი, "რასა" (რომელიც არ კონკრეტდება, თუ რას ნიშნავს), ეროვნება (მოქალაქეობის ჩათვლით), ეთნიკური წარმომავლობა. ასეთი ფართო განმარტება საჭირო გახდა იმიტომ, რომ უსამართლო მოპყრობის ძალიან ფართე დიაპაზონი არსებობდა; დისკრიმინაცია ხდებოდა იმიტომ, რომ ადამიანი შავკანიანია ან, პირიქით, თეთრკანიანი (ფერი), იმიტომ, რომ ის მალაიზიაში მცხოვრები ჩინელია (ეთნიკური წარმომავლობა), იმიტომ რომ პაკისტანელია (ეროვნება), ევროპელია, გერმანელია და ა.შ.

ეთნიკური ჯგუფი

სიტყვა "ეთნიკური" წარმოიშვა ბერძნული "ეთნოსიდან", რაც ნიშნავს რასას, ხალხს, ერს, ან თემს. დღესდღეობით ეს ტერმინი, პირველ რიგში, "ხალხის" აღსანიშნავად გამოიყენება. ეთნიკური ჯგუფი არის ადამიანთა ჯგუფი, რომელიც იზიარებს შემდეგი ჩამონათვალიდან ერთ ან რამდენიმე მახასიათებელს: ენა, ნათესაობა,

წარმოშობა, რასა, კულტურა, წარმომავლობა, რელიგია, ისტორია და/ან ფიზიკური გარეგნობა.

ეთნიკურ ჯგუფს გააჩნია აშკარა და ფარული ნიშნები

აშკარა ნიშნებია:

1. სხეულთან დაკავშირებული:
   ა) დაბადებიდან განსაზღვრული კანისა და თმის ფერი, ფიზიონომია, სიმაღლე ან სხეულის მოყვანილობა;
   ბ) სხვა ფიზიკური ნიშნები, რომლებიც არაა განსაზღვრული დაბადებისას, მაგრამ უკავშირდება ტრადიციებს, ან რელიგიურ ნორმებს;
2. ქცევასთან დაკავშირებული, როგორებიცაა პოზა, ჟესტები, ურთირთობისა და ჩაცმის სტილი და ა.შ.

ფარული ნიშნებია:

1. ენა, ლექსიკონი და აქცენტი;
2. სახელები, საკვები (სამზარეულო) და სხვა კულტურული ნორმები, ტრადიციები, ფასეულობები.

ადამიანები ქმნიან ეთნიკურ ჯგუფებს საკუთარი უსაფრთხოებისა და მიკუთვნების მოთხოვნილებების დაკმაყოფილების გამო. ჯგუფში გაერთიანება შეიძლება მოხდეს საერთო წარმოშობის, ნათესაური კავშირების, საერთო მითებისა ან ტრავმების ან საერთო მტრის არსებობის საფუძველზე.

ეთნიკურ ჯგუფებს ხშირად ადარებენ მაცივარს, რომელიც უკუღმა მუშაობს. თუ მაცივარი შიგნით აცივებს და გარედან კი თბება, ეთნიკურ ჯგუფში პირიქითაა: მთელი სითბო მიდის ჯგუფის წევრების მიმართულებით, შესაბამისად ჯგუფის გარეთ სიცივეა.

როგორ ვსაზღვრავთ ჩვენს ინდივიდუალურ და ჯგუფურ იდენტურობას

ეთნიკური წარმოშობა ჩვენი ინდივიდუალურობის მნიშვნელოვანი ასპექტია. შესაძლოა, ადამიანის სოციალური განვითარების

ადრეულ ეტაპებზე, როდესაც ადამიანები ამბობდნენ "ჩვენ", ისინი გულისხმობდნენ მხოლოდ მცირე და იზოლირებულ ჯგუფს, რომლის შიგნითაც უშუალოდ ცხოვრობდნენ. დღესდღეობით, როდესაც ადამიანები ამბობენ "ჩვენ", მათ მხედველობაში აქვთ გაცილებით უფრო მრავალფეროვანი და დიდი ჯგუფი და არსებობს ტენდენცია იმისა, რომ ეს ჯგუფები კიდევ უფრო მეტად გაიზარდოს.

ერთ პიროვნებას შეიძლება მრავალი ინდენტურობა გააჩნდეს; ასეთი პიროვნება, ამბობს რა "ჩვენ", ერთდროულად რამდენიმე ჯგუფისადმი გრძნობს მიკუთვნებას. ასეთ სხვადასხვა ჯგუფს ეწოდება პიროვნების იდენტურობის შრე.

იდენტურობის პიროვნული შრეების სიმბოლური იმიჯია ერთ-ერთი ეგოცენტრული პლანეტარული სისტემა, სადაც პიროვნების თვით-იმიჯი (ანუ მისი პიროვნული იდენტურობა) არის ცენტრში, ხოლო იდენტურობის სხვა შრეები კი ორბიტებივითაა განლაგებული მის ირგვლივ; მათ შორის ყველაზე დაშორებულია ის ორბიტა, ის შრე, რომელიც კაცობრიობისადმი მიკუთვნებას აღნიშნავს. გარდა იმისა, რომ ადამიანს გააჩნია ეთნიკური, ოჯახური, ან მოქალაქეობრივი იდენტურობა, ის შეიძლება მიეკუთვნებოდეს, აგრეთვე, მრავალ სხვადასხვა ჯგუფს პროფესიონალური, კულტურული, სპორტული და ა.შ. ინტერესების საფუძველზე.

რომელი შრე იწვევს ყველაზე მეტ ემოციურ მიჯაჭვულობას ადამიანებში?

ერთ-ერთი ჰიპოთეზის მიხედვით, ადამიანები ყველაზე მეტ ემოციებს ამჟღავნებენ ე.წ. "გადარჩენის" შრის მიმართ. "გადარჩენის" შრე ნიშნავს როგორც ფიზიკურ, ისე სულიერ "გადარჩენას" და ადამიანების ყველაზე ფუნდამენტურ მოთხოვნილებებს – საკვებს, თავშესაფარს, ტანსაცმელს, დაცვას, აღიარებას, სიყვარულსა და საკუთარი ღირსების გრძნობას ეხება.

ამ ჰიპოთეზას შეუძლია ახსნას იმ ეთნიკური კონფლიქტების ზოგიერთი მიზეზი, რომლებიც მოხდა ყოფილ კომუნისტურ ქვეყანაში ბოლო ათწლეულების განმავლობაში. სახელმწიფოების საზოგადოებრივი წყობის ნგრევამ და შედაგად დამყარებულმა ქაოსმა ადამიანებს დაუცველობის გრძნობა გაუჩინა. მათ დაკარგეს "გადა-

რჩენის" შრე, რადგან სახლემწიფო, რომლის მოქალაქეებიც ისინი იყვნენ, ვეღარ უზრუნველყოფდა მათ არსებით მოთხოვნილებებს. ადამიანები ცდილობდნენ, ეპოვათ სხვა, ახალი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც მისცემდა მათ საშუალებას, უსაფრთხოდ ეგრძნოთ თავი. ასეთი ახალი "გადარჩენის" შრე მათთვის გახდა მათი ეთნიკური იდენტურობა, რადგან ეთნიკური ჯგუფები უკეთ და უფრო იოლად უზრუნველყოფდნენ მათთვის ახლობლურ დამოკიდებულებას, ემოციურ მხარდაჭერას და ურთიერთდახმარებას.

ზუსტად ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ძალიან ბევრ კონფლიქტს თან დაერთო ეთნიკური "ფრონტიც" და უამრავი კონფლიქტი, როგორც თავის დროზე ჩახშული, ისე – ახლად აღმოცენებული, გადაიზარდა კონფლიქტებში ეთნიკურ ჯგუფებს შორის. ასეთი კონფლიქტების მართვა და მოგვარება კი გაცილებით უფრო რთულია.

რა ტიპის დამოკიდებულებები არსებობს ეთნიკურ ჯგუფებს შორის? ეთნიკურ ჯგუფებს ერთმანეთის მიმართ, შესაძლოა, ჰქონდეთ რანჟირებული ან არარანჟირებული დამოკიდებულება.

რანჟირებული ეთნიკური ჯგუფები

როდესაც ეთნიკურობის საზღვრები გადაფარულია სოციალურ-კლასობრივი ან ძალაუფლებრივი საზღვრებით, საუბარია რანჟირებულ დამოკიდებულებაზე. რანჟირებული ეთნიკური ჯგუფები დალაგებულია სოციალური იერარქიის მიხედვით; ერთ-ერთ ეთნიკურ ჯგუფს მოპოვებული აქვს ძალაუფლების მონოპოლია, ხოლო სხვებს თითქმის არანაირი ძალაუფლება არ გააჩნიათ და სიღარიბესა და უმეცრებაში არსებობენ. რესურსების ასეთი გადანაწილება, როგორც წესი, გამყარებულია სხვადასხვა ტიპის აკრძალვისა და შეზღუდვის დაწესებით. ასეთი იერარქიის დაკანონებაში დიდ როლს თამაშობს რელიგია. რანჟირებულ სისტემებში ეთნიკურ კონფლიქტს სოციალური-კლასობრივი შეფერილობა აქვს, რადგან ამ დროს ეთნიკურობა და სოციალური კლასი ძირითადად ემთხვევიან ერთმანეთს.

გავრცელებული სტერეოტიპის მიხედვით, ასეთი დაქვემდებარებული და დაჩაგრული ჯგუფები განიხილება, როგორც შენელებული აზროვნების მქონე, მოძალადე, უზრდელი და ბინძური

ადამიანებისგან შემდგარი. სხვათაშორის, ძალიან ხშირად, ასეთი ჯგუფები მართლაც ასრულებენ ბინძურ სამუშაოს.

დაქვემდებარებული (სუბორდინირებული), მარგინალური ქცევა ხშირად ხასიათდება:

- ჯგუფის სხვა წევრების დადანაშაულებით;
- უნდობლობით მათ მიმართ, ვინც მსგავსად არ იქცევა (ანუ არ ადანაშაულებს სხვებს).

მათ გრძნობებში პრევალირებს შიში, დაბალი თავმოყვარეობა, შფოთვა, სიძულვილი და შინაგანი ძალა, რომელიც ეხმარება მათ, წინააღმდეგობა გაუწიონ უსამართლობას და ტანჯვას.

ძალაუფლების მქონეთა ქცევა ხშირად მოიცავს:

- დაქვემდებარებულ ჯგუფთა უფლებების სისტემატურ უარყოფას;
- დისკრიმინაციისა და ჩაგვრის გამართლების პოვნას;
- დაჩაგრული ადამიანების მიმართ სიძულვილს;
- ძალადობის ხშირ გამოყენებას.

მათ გრძნობებში შერეულია შიში, შფოთვა, სიძულვილი და უპირატესობის გრძნობა.

გლობალური მასშტაბით ეთნიკური სუბორდინაცია მცირდება; მის აღმოფხვრას ხელს უწყობს უნივერსალისტური, ეგალიტარული და მიღწევაზე ორიენტირებული ფასეულობებისა და, აგრეთვე, განათლების ფართე გავრცელება. ადამიანის უფლებების უნივერსალური კონცეფციების მხარდამჭერი საერთაშორისო საკანონმდებლო ჩარჩოები და პოლიტიკა ცდილობენ დანერგონ ეგალიტარული და ინკლუზიური იდეოლოგიის შესაბამისი პროცესები და პრაქტიკა.

არარანჟირებული ეთნიკური ჯგუფები

არარანჟირებული ჯგუფები არსებობენ პარალელურად და თითოეულ მათგანს საკუთარი სოციალური სტრატიფიკაცია გააჩნია. ისინი უწყვეტ შეჯიბრში იმყოფებიან, ცდილობენ რა დაამტკიცონ საკუთარი კულტურის უპირატესობა. არარანჟირებულ ჯგუფებს შორის დამოკიდებულებები არაა პროგნოზირებადი, როგოც ეს რანჟირებულების შემთხვევაში იყო. ძალიან ბევრია გაუგებრობა და ფაქტების არასწორი ინტერპრეტირება. როგორც წესი, არარან-

ჟირებული ჯგუფები, მიგრაციებისა და ტერიტორიების არასრული დაპყრობის შედეგად, ერთსა და იმავე ტერიტორიაზე ცხოვრობენ და თითოეულ მათგანს საკუთარი ისტორიული უკმაყოფილება გააჩნია: ის ჯგუფი, რომლის დამპყრობლური ქმედებები ბოლომდე ვერ განხორციელდა, აღვივებს დაუკმაყოფილებელ ტერიტორიულ ამბიციებს, ხოლო ის ჯგუფი, რომლის მიწებიც ნაწილობრივად მიტაცებულია, შეპყრობილია შურისძიების სურვილით.

არარანჟირებულ ჯგუფებს კონფლიქტისა და ძალადობის სერიოზული პოტენციალი გააჩნია. ძალადობა ჩნდება მაშინ, როდესაც არარანჟირებულ ჯგუფებს სურთ სუვერენული ავტონომიის მოპოვება, პარალელურად არსებული ეთნიკური ჯგუფებისთვის ძალაუფლებისა და უფლებამოსილების ჩამორთმევა ან იდეალისტური, ეთნიკურად ჰომოგენური სტატუს ქვოს დაბრუნება.

ამასთან ერთად, არარანჟირებულ ჯგუფებს აქვთ დიდი პოტენციალი, რათა განვითარდნენ ისეთ საზოგადოებებად, სადაც ეთნიკური დაყოფები აღარაა მნიშვნელოვანი.

ერთ მოცემულ ქვეყანაში, შესაძლოა, არსებობდეს მრავალი ეთნიკური ჯგუფი, ზოგს, ერთმანეთის მიმართ, შესაძლოა, რანჟირებული დამოკიდებულება გააჩნდეს, ზოგს კი – არარანჟირებული. დამოკიდებულებების ამ ორ ტიპს შორის განსხვავებების სწორი გააზრება მნიშვნელოვანია, ეთნიკური კონფლიქტის მიზეზების გარკვევისა და შესაძლო მოგვარებების კორექტული დადგენისათვის.

ისტორია გვიჩვენებს, რომ მრავალეთნიკური საზოგადოებები, როგორც რანჟირებული, ისე არარანჟირებული ურთიერთობებით, ცდილობდნენ, მოენახათ ისეთი სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფდა სოციალურ სტაბილურობასა და წესრიგს. სოციოლოგებმა დაადგინეს, რომ არსებობს მრავალეთნიკური საზოგადოებების სოციალური ორგანიზების სამი ძირითადი მოდელი:

1. სეგრეგაცია
2. ინტეგრაცია
3. თანაარსებობა

ყველა ეს ცნება ეხება, აგრეთვე, იმ ოფიციალურ პოლიტიკას, რომლის მეშვეობითაც ეთნიკური უმცირესობების არსებობის მართვა ხორციელდება ქვეყანაში. გარდა ამისა, ამ სიტყვებით, შესა-

ძლოა, აღიწეროს არსებული სიტუაცია, იმის მიუხედავად, არის ეს სიტუაცია გატარებული პოლიტიკის შედეგი, თუ არა.

სეგრეგაციის მოდელი

ერთ ეთნიკურ ჯგუფს გააჩნია ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული და სოციალური ძალაუფლების მონოპოლია. ეს ჯგუფი ცდილობს, სხვა ჯგუფებს თავზე მოახვიოს საკუთარი კულტურა და იგონირირება გაუწიოს მათ უფლებას იყვნენ განსხვავებულები.

სტატუს ქვოს შენარჩუნების მიზნით გამოიყენება შემდეგი სტრატეგიები:

- იურიდიული და ფიზიკური განცალკევება: აკრძალულია სოციალური კონტაქტი მმართველ ჯგუფსა და სხვა ჯგუფებს შორის; სტერეოტიპები გადაეცემა და მყარდება განათლების სისტემისა და ტრადიციების მეშვეობით, ინსტიტუტები და კანონიერი ჩარჩოები შექმნილია იმისათვის, რომ აკონტროლონ სიტუაცია და შეინარჩუნონ მისი სტაბილურობა.
- დესტრუქცია: ყველაფერი, რაც არ ეკუთვნის მმართველ კულტურას, ნადგურდება მკვლელობებისა და დეპორტაციების გზითაც კი.

ისტორია გვიჩვენებს, რომ მრავალი სეგრეგაციული საზოგადოების დასასრული იყო შეტაკებები და ძალადობა. სეგრეგაციის პოლიტიკის მაგალითია აპარტეიდის პოლიტიკა, რომელიც გაატარა სამხრეთ აფრიკის სახელმწიფომ 1948-დან 1994 წლამდე პერიოდში. ამ პოლიტიკის მიხედვით, მკაცრად განისაზღვრა (მათ შორის კანონითაც) რასობრივი ჯგუფები და დადგინდა მათთვის განცალკევებული საცხოვრებელი ადგილები, სკოლები, რესტორნები, საჯარო პარკები და სამსახურები (თუმცა, მაგალითად, დაშვებული იყო შავკანიანი ადამიანების მოსამსახურეებად მუშაობა "თეთრ" ოჯახებში). სეგრეგაცია არსებობდა აგრეთვე აშშ-ს ზოგიერთ ნაწილში, სადაც ზოგიერთი საცხოვრებელი უბანი იყო დახურული შავკანიანებისა და ე.წ. "აზიელებისთვის"; ეს არ ხდებოდა კანონის ფარგლებში, ეს იყო ერთგვარი ჩუმი შეთანხმება უძრავი ქონების მფლობელებს, აგენტებსა და სხვ. შორის. თუმცა, იმის გამო, რომ

ეს სეგრეგაცია არ იყო კანონით "გამაგრებული", მან ვერ შეიძინა ძალიან დიდი მასშტაბები.

ინტეგრაციის მოდელი

ერთი ეთნიკური ჯგუფი დომინირებს ისე, რომ ყალიბდება მონოკულტურული, ჰომოგენური საზოგადოება. დომინანტური ჯგუფი არწმუნებს სხვა ჯგუფებს, დათმონ ზოგიერთი ნაკლებად მნიშვნელოვანი რამ, უფრო მნიშვნელოვანი მონაპოვარის ნაცვლად.

გამოიყენება ორი ტიპის სტრატეგია.

- **ასიმილაცია** ნიშნავს უმცირესობების აბსორბციას უმრავლესობაში – იმ მოთხოვნით, რომ მათ მიიღონ და გაითავისონ უმრავლესობის ენა, ჩვეულებები და ფასეულობები. ფართო გაგებით, ეს არის ლოიალობა უმრავლესობისადმი და უმრავლესობასა და უმცირესობას შორის არსებული განსხვავებების შემცირება უმცირესობის ხარჯზე. ასეთი ტიპის ასიმილაცია ახასიათებდა, მაგალითად, საფრანგეთის ოფიციალურ პოლიტიკას, თუმცა, ასიმილაციით მაინც ვერ მოხერხდა დაპირისპირებების თავიდან აცილება. ასიმილაციის პოლიტიკის ერთ-ერთი პრობლემაა ის, რომ მისი წინაპირობაა უმრავლესობაში ერთიანი შეხედულებებისა და ცხოვრების ერთიანი წესის არსებობა, რაც რეალობაში არ არსებობს. ასიმილაცია იოლად გადადის ნაციონალიზმში; ის, ფაქტობრივად, არანაირ ანგარიშს არ უწევს კონკრეტული ადამიანების სურვილებს. ასიმილაციის პოლიტიკის გამტარებელი იყო საბჭოთა კავშირი.
- ოფიციალური აღიარება: მმართველი ჯგუფი აძლევს სრულ ენობრივ და კულტურულ ავტონომიას ყველა ეთნიკურ ჯგუფს, მაგრამ მოუწოდებს პარალელური საზოგადოებების ჩამოყალიბებისკენ, რომლებსაც ერთმანეთთან ძალიან მცირე კონტაქტი ექნებათ. იმისათვის, რომ შენარჩუნდეს სოციალური ერთიანობა და სტაბილურობა, ეს სტრატეგია ფუნქციონირებს თუ:

ა) ის ხორციელდება ავტორიტარული სისტემების მიერ, რომელთა ძლიერი და ქარიზმატული ლიდერები ყველა ეთნიკური ჯგუფისათვის მისაღები და პატივსაცემია ან
ბ) ის ხორციელდება დემოკრატიული სისტემებით, რომლებშიც ყველა ეთნიკურ ჯგუფს, ზოგიერთი განმასხვავებელი ნიშნის დათმობის ხარჯზე, შეუძლია ახალ ჰომოგენურობას მიაღწიოს.

თანაარსებობის მოდელი

ამ მოდელში არც ერთი ჯგუფი არაა დომინანტური და არ გააჩინა ძალაუფლების მონოპოლია. სხვადასხვა განსხვავებული ჯგუფი თანამშრომლობს საერთო ინტერესების საფუძველზე და ინაწილებს როგორც ძალაუფლებას, ისე – რესურსებს. საზოგადოების ნორმების მიხედვით ყველა აღიარებს და პატივს სცემს ერთმანეთის უნიკალურობას და უფლებებს; ჯგუფები ინარჩუნებენ საკუთარ კულტურას და, იმავდროულად, იღებენ სხვა კულტურების არსებობის ფაქტს. გადაწყვეტილების მიღების სისტემა დეცენტრალიზებულია და ეთნიკურ ჯგუფებს შორის საკმაოდ ეფექტური ქსელები ფუნქციონირებს (მაგალითად, პროფესიული ქსელები). საზოგადოების ადმინისტრირება ხდება ორი ან მრავალენობრივი სისტემით.

საზოგადოებები, რომლებიც ცდილობენ, ამ მოდელით ორგანიზებას, უნდა ეფუძნებოდნენ მოქნილ და ინკლუზიურ იდეოლოგიას, რომელიც მოუწოდებს თანამშრომლობისკენ, კონსენსუსისა და მონაწილეობისკენ. დახურული და ექსკლუზიური იდეოლოგია სახიფათოა: მას შეუძლია უთანხმოებების და სოციალური ღელვის გამოწვევა.

სტერეოტიპები

ქცევა, რომელიც ემყარება სტერეოტიპებსა და ცრურწმენებს, ხშირად გაუგებრობების და კონფლიქტების, განსაკუთრებით კი, ეთნიკური კონფლიქტების მიზეზი ხდება.

თავდაპირველად, ეს ცნება "სტერეოტიპი" ლითონის ან რეზინის საბეჭდ შტამპს, კლიშეს აღნიშნავდა, რომელიც გამოიყენება ტიპოგრაფიაში დედნიდან ასლების გასამრავლებლად. გამოჩენილმა ჟურნალისტმა, ვალტერ ლიპმანმა, გამოიყენა ეს ცნება, რათა აღეწერა ის, თუ როგორ ხდება საზოგადოებაში ადამიანების კატეგორიებში მოქცევა და მათი "დაშტამპვა" გარკვეული ნიშან-თვისებების მიხედვით.

სტერეოტიპების მინიჭება ადამიანის გონების ბუნებრივი ფუნქციაა და მისი მიზანია რთული რეალობის გამარტივება; ასეთი გამარტივების შედეგად ჩვენი სხეული და გონება უკეთ ადაპტირდება გარემოში: მსგავს სტიმულებზე (გამღიზიანებლებზე) იგი ერთსა და იმავე ავტომატურ საპასუხო რეაქციას იძლევა, ხოლო უცნობი სტიმულის (გამღიზიანებლის) მიღებისას, მაშინათვე ავლენს მომატებულ შფოთვასა და შიშს. სტერეოტიპებს გააჩნიათ სასარგებლო ფუნქცია სოციალური ურთიერთობების პროცესშიც: ისინი იძლევიან ინდივიდების კლასიფიკაციის, მათი ქცევის ერთგვარი პროგნოზირების და, შესაბამისად, ამ ქცევაზე შესატყვისი რეაგირების დაგეგმვის საშუალებას.

მაგრამ სტერეოტიპები, ასევე, ძალიან საშიშიცაა, რადგან ისინი ამარტივებენ ადამიანის რთულ ბუნებას, მის უნიკალურობას. როდესაც ამა თუ იმ კონკრეტული ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის შესახებ ინფორმაცია გვაკლია, სტერეოტიპული აზროვნება გვიბიძგებს, რომ ეს სიცარიელე საკუთარი კულტურის "მონაცემთა ბაზებიდან" შევავსოთ. მაგრამ რაც უფრო განსხვავებული კულტურის წარმომადგენლები არიან ეს ადამიანები, მით უფრო დიდია შეცდომის დაშვების ალბათობა.

ეთნიკური სტერეოტიპები, ხშირად, ბადებენ ცრურწმენებს, რომლებიც ამა თუ იმ ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთა მიმართ სხვადასხვა ტიპის ნეგატიური ქმედებებითა და ემოციებით ვლინდება. ცრურწმენებს, ხშირად, საკმაოდ ტრაგიკული შედეგები – ძალადობა, დისკრიმინაცია და გენოციდიც კი მოყვება.

სტერეოტიპებს 4 ძირითადი მახასიათებელი გააჩნია:

1. **სტერეოტიპები მარტივია**. სტერეოტიპი გაცილებით უფრო მარტივია, ვიდრე რეალობა; მისი შეჯამება ხშირად სულ რაღაც ორიოდე წინადადების მეშვეობითაა შესაძლებელი;
2. **სტერეოტიპები შეძენილია**. ადამიანები იღებენ და ითავისებენ სტერეოტიპებს უფრო მეტად ე.წ. "კულტურული მედიატორებისგან", ვიდრე საკუთარი გამოცდილებიდან. თანდაყოლილი "კულტურული" ლინზები ფილტრავენ რეალობას და რწმენებისა თუ ფასეულობების გამარტივებულ იმიჯებს გვაწვდიან;
3. **სტერეოტიპები მცდარია**. ყველა სტერეოტიპი არის იმთავითვე არასწორი, გამომდინარე მათი ბუნებიდან. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი სტერეოტიპი სხვებზე უფრო ნაკლებად მცდარი, ან ნაკლებად საზიანოა.
4. **სტერეოტიპები რთულად იცვლება**. სტერეოტიპები, განსაკუთრებით კი ბავშვობაში შეძენილი, ძალზე მყარია; ისინი მუდმივად ზემოქმედებენ ჩვენს აღქმებსა და ქცევაზე.

როგორაა შესაძლებელი ჩვენს ცხოვრებაში არსებული სტერეოტიპების შემცირება ან გადალახვა?

- მოახდინეთ ფოკუსირება ადამიანების ინდივიდუალობაზე. ყველა ადამიანი უნიკალურია და იმსახურებს, განიხილებოდეს ასეთად;
- შეეცადეთ, უკეთ გააცნობიეროთ, თუ რა არის სტერეოტიპები და როგორ ცვლიან ისინი ადამიანებთან ურთიერთობის ჩვენს უნარს; სტერეოტიპებისა და ცრურწმენების ბუნების გაგება – პირველი ნაბიჯია მათი დაძლევისკენ;
- გახსოვდეთ, რომ შესაძლოა ერთი ჯგუფის შიგნით უფრო მეტი და უფრო ძლიერი განსხვავებები არსებობდეს, ვიდრე სხვადასხვა ჯგუფს შორის;
- გააცნობიერეთ, რომ თითოეული ჩვენგანი ბევრ ჯგუფსა და დაჯგუფებაშია გაერთიანებული; ამ ჯგუფებიდან ვერც ერთი ვერ ახსნის სრულად ჩვენს პიროვნებას;
- ისწავლეთ, შეხედოთ სიტუაციას სხვა ადამიანების თვალებით;

- შეეცადეთ, უფრო მოკრძალებულად შეაფასოთ საკუთარი მოსაზრებების სისწორე (სიზუსტე);
- მოინდომეთ და შეისწავლეთ თქვენგან განსხვავებული ადამიანების კულტურა და წარმომავლობა;
- ყოველთვის შეეცადეთ, გაანეიტრალოთ სხვების მიერ გამოთქმული სტერეოტიპული მოსაზრებები.

როგორ უნდა მოვახდინოთ ეფექტიანი რეაგირება სტერეოტიპებსა და ცრურწმენებზე?

რეაქცია ცრურწმენით პროვოცირებულ ქმედებაზე ყველაზე ეფექტიანია მაშინ, როდესაც რეაგირებს არა ის, ვის წინააღმდეგაც იყო მიმართული ეს ქმედება, არამედ იმ ჯგუფის წევრი, რომელსაც მიეკუთვნება თავად ქმედების ჩამდენი პირი. ეს სავსებით გასაგებიცაა: ვერავინ დაგვიცავს უკეთესად, ვიდრე იმავე ჯგუფის წარმომადგენელი, რომელიც თავს გვესხმის.

ცრურწმენების აღმოსაფხვრელად, აუცილებელია, რომ შეწყდეს მათი ჩუმი (პასიური) მხარდაჭერაც კი. მღვდელი მარტინ ნიმოელერი ასე აღწერდა მის გამოცდილებას მეორე მსოფლიო ომის დროს:

"“გერმანიაში დაიწყეს კომუნისტების დევნა; მე ვდუმდი, რადგან არ ვიყავი კომუნისტი. შემდეგ მიადგნენ ებრაელებს, და მე ვდუმდი, რადგან არ ვიყავი ებრაელი. შემდეგ დადგა პროფკავშირების რიგი, და მე ისევ ჩუმად ვიყავი, რადგან არ ვიყავი პროფკავშირების წევრი. მერე შეუტიეს კათოლიკებს და მე ვდუმდი, რადგან ვიყავი პროტესტანტი. ბოლოს ისინი მოვიდნენ ჩემთან, მაგრამ ამ დროისთვის ხმის ამომღები უკვე აღარავინ დარჩა.”

კონფლიქტი და კულტურა

ჩვენ კულტურის სივრცეში ვცხოვრობთ. ეს ის სულიერი სივრცეა, რომელიც შედგება მოცემული კულტურისათვის დამახასიათებელი სიმბოლოების, ნორმების, ღირებულებების, იდეალებისაგან. კულტურა ბავშვობიდან "აპროგრამებს" პიროვნებას – კარნახობს და შთააგონებს მას, თუ რა არის კარგი და ცუდი, ლამაზი და უშნო, სწორი და არასწორი, რაციონალური და ირაციონალური, ამაღლებული და მდაბალი.

მაგალითად, ქრისტიანებისათვის ღვინო არა მარტო სასმელია, მას საკრალური დატვირთვაც გააჩნია, საეკლესიო რიტუალებში ღვინო მაცხოვრის სისხლის სიმბოლოა; მუსლიმისთვის კი, იგი აკრძალულია და "ეშმაკეულ" სითხეს წარმოადგენს. მაგრამ ქრისტიან ხალხებშიც ღვინოს განსხვავებული სიმბოლური და "პრაქტიკული" მნიშვნელობა აქვს. ვთქვათ, ქართველისათვის იგი ეკლესიის გარეთაც შეიცავს საკრალურ ელემენტს, რაც წარმართობის გადმონაშთად უნდა ჩაითვალოს (გავიხსენოთ ღვინის საფლავზე დაღვრის რიტუალი და სხვ.); ფრანგისათვის ღვინოს საკრალური სიმბოლიკა მხოლოდ ეკლესიაში აქვს, სამაგიეროდ, იგი სხვებზე უკეთ ერკვევა ღვინის ნიუანსებში... ყოველივე ეს კულტურითაა შთაგონებული.

ყოველი კონფლიქტიც გარკვეულ კულტურულ გარემოში ვითარდება. და რადგან კულტურა ბევრწილად განსაზღვრავს ადამიანების აზრთა წყობასა და ქცევას სხვადასხვა სიტუაციაში, იგი იგივეს აკეთებს კონფლიქტისას.

ყოველ საზოგადოებაში არსებობს ნორმების მეტ-ნაკლებად ერთიანი სისტემა, რომელიც გარკვეულ შეზღუდვებს უწესებს ადამიანის ქცევას როგორც ზოგადად, ისე საკუთრივ კონფლიქტურ სიტუაციებში. თუ არ ჩავთვლით საერთაშორისო და სხვა ფართომასშტაბიან კონფლიქტებს, თანამედროვე მსოფლიოში კონფლიქტები, ძირითადად, ვითარდებახდება სახელმწიფოს მიერ დადგენილი კანონების სამართლებრივ სივრცეში. მორალისა და სამართლის ნორმების დარღვევა, რასაკვირველია, ხდება, მაგრამ ასეთი შემთხვევები საზოგადოებრივ გაკიცხვას იწვევს და კანონდამცველი ორგანოების მიერ ზომების მიღებას განსაზღვრავს. კონფლიქტის

მსვლელობისას ძალიან მნიშვნელოვანია, არ დავუშვათ მორალური და სამართლებრივი ნორმების დარღვევა, ვინაიდან ეს, ერთი მხრივ, მეორე მხარის უფრო "გაბოროტებას" იწვევს, მეორე მხრივ, საზოგადოების აღშფოთებას და სამართალდამცავი ორგანოების რეაქციას აპირობებს. დაძაბულობის შესანელებლად და კონფლიქტის მშვიდობიანი მორიგებისათვის კი, სასარგებლოა, თუ კონფლიქტანტებს შორის თანხმობა არსებობს მათ შორის კონტაქტების მარეგულირებელი რაიმე სპეციალური წესების თაობაზე.

როდესაც კონფლიქტანტები ერთ კულტურულ წრეს (ანუ ერთ სუბკულტურას) მიეკუთვნებიან, მათ შორის თავს იჩენს მნიშვნელოვანი მსგავსება ცოდნაში, ღირებულებებში, ურთიერთობის სტილსა და ნორმებში. ეს კი ნიშნავს, რომ კონფლიქტის მსვლელობისას ორივე მხარეს მსგავსი შეხედულებები აქვს, თუ როგორ უნდა მოიქცე კონფლიქტურ სიტუაციაში, რა შეიძლება და რა არა ამ პირობებში. რა თქმა უნდა, ადამიანის პიროვნული თავისებურებები (ტემპერამენტი, ინტელექტი და მისთ.) თავის დაღს დაასვამს კონფლიქტში მის ქცევას, მაგრამ, მაინც, ამა თუ იმ კულტურულ გარემოში მიღებული ნორმებისა და ტრადიციების ჩარჩოების გარეთ გასვლა ძნელია და თანაც სახიფათო, რადგან ასეთ შემთხვევაში, საზოგადოებამ შეიძლება გარიყოს წესების დამრღვევი (გავიხსენოთ ალუდა ქეთელაური). ამიტომ ერთი კულტურული წრის ადამიანები, თუ უგულებელვყოფთ პიროვნულ თვისებებს, კონფლიქტში დაახლოებით ერთნაირად იქცევიან.

რაც უფრო მეტია კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შორის კულტურული ერთობა, მით უფრო მსგავსია მათი ქცევა კონფლიქტის მსვლელობისას.

ავიღოთ ევროპული სათავადაზნაურო სუბკულტურა. კონფლიქტები ხშირი იყო. ჰიპერტროფირებული ღირსების კოდექსი მოითხოვდა, ჩვენი თვალსაზრისით, უმნიშვნელო საბაბით დუელში გამოწვევას. ამავე დროს, თვით დუელი და თანმხლები პროცედურები ძალზე მკაცრად იყო რეგლამენტირებული. გამოწვევაზე უარის თქმა უდიდესი სირცხვილი იყო; ასევე უაღრესად უღირსად ითვლებოდა დუელის წესების დარღვევა. დუელანტების ხასიათს შეიძლება გავლენა ჰქონოდა ბრძოლის მსვლელობაზე, მაგრამ თი-

თოეული დარწმუნებული იყო, რომ მოწინააღმდეგე იგივე წესებს დაიცავდა, რასაც იცავდა თვითონ.

როდესაც ქცევის მარეგლამენტირებელი ნორმების საერთოობა ქრება, კონფლიქტი განსაკუთრებით სახიფათო და დამანგრეველი ხდება. დამნაშავეთა წრეშიც არსებობს კონფლიქტში ქცევის რაღაც ნორმები. კრიმინალური სამყარო თავის სუბკულტურას ქმნის, თავისი წესებითა და ნორმებით, რომელთა დამრღვევები მკაცრად ისჯებიან. ნორმების სრული არარსებობა აშინებს ყველაზე სისხლიან დამნაშავეს.

კონფლიქტანტებს შორის კულტურულმა განსხვავებებმა და ურთიერთობის წესების არარსებობამ შეიძლება ძალზე გაართულოს კონფლიქტის მიმდინარეობა. თუ მხარეებს სხვადასხვა ღირებულებითი ორიენტაცია და ქცევის პრინციპები ახასიათებთ, თითოეული მეორის დადანაშაულებას იწყებს ყველა ცოდვაში, რადგან დაუშვებლად და უპატიოსნოდ მიაჩნია ოპონენტის ქცევის სტილი საერთოდ. ეს კი აუარესებს კონფლიქტის კონსტრუქციული მოგვარების პერსპექტივებს.

კულტურაში ჩამოყალიბებული "თამაშის წესები", ჩვეულებრივ, მოითხოვს, რომ ცხოვრების რაიმე სფეროში დაპირისპირებული მხარეები მიმართავდნენ იმ ხერხებს, რომლებიც სწორედ ამ სფეროს შეესაბამება. ვთქვათ, ვაჭრობაში კონკურენტი ფირმები უნდა აუმჯობესებდნენ წარმოებული საქონლის ხარისხს, უკეთ "იჭერდნენ" მომხმარებლის მოთხოვნებს და გემოვნებას, კარგ სარეკლამო პოლიტიკას ატარებდნენ და მისთ., ამ გზით ცდილობდნენ კონკურენტებთან ბრძოლას. მეცნიერებაში სხვადასხვა შეხედულებების მქონე მხარეებს შორის ბრძოლა უნდა მიმდინარეობდეს ამ შეხედულებების მეცნიერული არგუმენტაციის გზით. მაგრამ, ხშირად ხდება, რომ რომელიმე მხარე "სამართლიანი თამაშის" ჩარჩოებიდან გადის და სხვა სფეროებიდან აღებულ ხერხებს მიმართავს – მაგალითად, ადმინისტრაციული, იდეოლოგიური, პოლიტიკური ან, სულაც, კრიმინალური მეთოდებით ცდილობს ოპონენტის დათრგუნვას.

მაგალითად, საბჭოთა კავშირსა და ნაცისტურ გერმანიაში მეცნიერული დავის გადამწყვეტი არგუმენტი იდეოლოგია ხდებოდა. ერთ შემთხვევაში კომუნისტურმა, ხოლო მეორეში ნაცისტურმა

პარტიამ მიისაკუთრა უფლება გადაეწყვიტა, თუ რომელი მეცნიერული მიმდინარეობაა "ჭეშმარიტი" და რომელი – არა. საბოლოო ჯამში, ამან ამ ქვეყნებში მეცნიერების განვითარებას უდიდესი ზიანი მოუტანა. ვთქვათ, საბჭოთა კავშირი მრავალი წლით ჩამორჩა დასავლეთს სოციალურ მეცნიერებებში, გენეტიკაში, კიბერნეტიკაში და სხვ.

განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენს კულტურათშორისი განსხვავებების პირობებში მიმდინარე კონფლიქტი. იგი უფრო დეტალურად შემდგომ იქნება განხილული, აქ კი იმას აღვნიშნავთ, რომ ყოველ ხალხს გააჩნია კულტურული თავისებურებანი, რომელთა არცოდნამ შეიძლება კონფლიქტის პროვოცირება მოახდინოს.

ვთქვათ, ჩვენთვის თავისთავად ცხადია, რომ მამაკაცმა კარებში გასვლისას წინ უნდა გაატაროს ქალი. მაგრამ თუ იაპონელ ქალბატონს დავუთმობთ გზას, მისთვის ეს უხამსი წინადადების ტოლფასი იქნება და სრულიად მოულოდნელად კონფლიქტური სიტუაცია შეიძლება აღმოცენდეს.

ოკეანიის ერთ-ერთ კუნძულზე ამერიკულმა სამშენებლო ფირმამ არ მიაქცია ყურადღება იქ მცხოვრები ორი ტომის ბელადთა რაღაც უცნაურ გამონათქვამებს და სამუშაოდ აიყვანა ერთი ტომის მეტი წარმომადგენელი, ვიდრე მეორისა. გაირკვა, რომ ამით დაირღვა ტომებს შორის ურთიერთობის ტრადიციული სისტემა; მთელი კუნძული შეიძრა აღშფოთებისაგან. ერთხელაც, ღამის ტრადიციულ შეხვედრაზე, ბელადებმა მოილაპარაკეს, თუ როგორ უნდა გამოსწორებულიყო სიტუაცია და ღამითვე, დიდი ბრბოს თანხლებით, მიადგნენ ფირმის წარმომადგენლის სახლს. მაგრამ მათ, თავის მხრივ, ვერ გაითვალისწინეს ამერიკული ტრადიციები, რომლის მიხედვითაც ღამით ადამიანის გაღვიძება, თუ რაიმე ექსტრაორდინარული არ მოხდა, არ შეიძლება; შესაბამისად, ამერიკელმა ჩათვალა, რომ კუნძულის მცხოვრებნი ამბოხდნენ და სამხედრო ნაწილს გამოუძახა – საქმე კინაღამ სისხლისღვრით დასრულდა...

თავისი სპეციფიკა აქვს კონფლიქტურ სიტუაციებს საქართველოში. XX საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებულმა პოლიტიკურმა კატაკლიზმებმა არა მარტო გაზარდა კონფლიქტურობის დონე საზოგადოებაში, არამედ შეასუსტა ქცევის ნორმატიულობა, მათ შორის, კონფლიქტურ სიტუაციებში. განვითარებულ ქვეყნებ-

თან შედარებით, კონფლიქტური სიტუაციების მიმდინარეობაზე დიდ გავლენას ახდენს სამართლებრივი კულტურის დაბალი დონე. ეს გამოიხატება სამართლებრივი აქტების მოუწესრიგებლობასა და წინააღმდეგობრიობაში, სასამართლო სისტემის ხარვეზებში, რომელიც კიდევ უფრო აძლიერებს სასამართლოს მიმართ ტრადიციულ უნდობლობას საქართველოში, მოსახლეობის იურიდიულ გაუნათლებლობაში – მხოლოდ ერთეულებმა იციან, როგორ დაიცვან თავიანთი კანონიერი უფლებები და ამის გაკეთებას საჭიროდ თვლიან; კონფლიქტის კონსტრუქციული გადაწყვეტა იშვიათობას წარმოადგენს – კონფლიქტანტები, ხშირად, სამუდამოდ "იბუტებიან" ერთმანეთზე (კონფლიქტი ქრონიკულ სახეს ღებულობს) ანდა არ ერიდებიან ძალის გამოყენებას, განსაკუთრებით ახალგაზრდები, თუმცა იგივე პარლამენტშიც კი ხდება. მომრიგებლის როლში არცთუ იშვიათად გამოდის კრიმინალური "ავტორიტეტი", რომლის სტილი დირექტიულია, ავტორიტარული და ფრიად საეჭვო ღირებულებებით ნაკარნახევი. ყოველივე ამას, გარდა ბოლოდროინდელი პოლიტიკური მოვლენებისა, განსაზღვრავს ქართული კულტურის მნიშვნელოვანი თავისებურება – ორიენტაცია მცირე ჯგუფებზე (ოჯახი, ნათესაობა, სამეგობრო, სამეზობლო) და საჯარო ცნობიერების დეფიციტი.

საინტერესოა განვიხილოთ, თუ როგორ იცვლებოდა საქართველოში კონფლიქტში ქცევის ნორმები. XX საუკუნის დაახლოებით 70-იან წლებამდე ახალგაზრდულ კონფლიქტებში ცივი იარაღის, დანის გამოყენება გამონაკლისს წარმოადგენდა და უარყოფით შეფასებას იწვევდა თვით ახალგაზრდულ გარემოში. შემდგომ ათწლეულებში დანა, მაგრამ არა ცეცხლსასროლი იარაღი, კონფლიქტის ჩვეულებრივი "ატრიბუტი" გახდა; 90-იანი წლების დასაწყისში, ძალაუფლების სისუსტისა და ანარქიის პირობებში ხშირი სროლა უკვე აღარავის აკვირვებდა. დღეს, სახელმწიფო სტრუქტურების, ხსენებულ პერიოდთან შედარებით, მომძლავრების პირობებში ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება შედარებით იშვიათია.

ამრიგად, კულტურის თავისებურებები მნიშვნელოვან დაღს ასვამს კონფლიქტურ სიტუაციებში ქცევის სტილს. ამასთან, არსებობს ამგვარი ქცევის უნივერსალური ნიშნები და თავისებურებები, რომლებიც, ასე თუ ისე, ყველა კულტურაში ვლინდება.

კულტურათაშორისი კონფლიქტი

კულტურაზე და კონფლიქტზე მისი გავლენის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი. აქ უფრო დაწვრილებით განვიხილავთ კულტურის ცნებას და კონფლიქტებს სხვადასხვა კულტურების წარმომადგენლებს შორის.

რა არის კულტურა? ფართო მნიშვნელობით, ესაა ყველაფერი ის, რაც განასხვავებს კაცობრიობას ცხოველთა სამყაროსაგან. ესაა მთელი არაგენეტიკური ინფორმაცია, რომელსაც კაცობრიობა ფლობს, ესაა ნიშნები და ნიშანთა სისტემები, ესაა ტექნიკა და ტექნოლოგია.

ვიწრო გაგებით, კულტურა არის ის, რაც ერთ ეთნიკურ ჯგუფს განასხვავებს სხვებისაგან. ესაა ენა, ცხოვრების წესი, ადათ-წესები, სიმბოლოები, სტერეოტიპები და იდეალები... ვლაპარაკობთ ფრანგულ, ესკიმოსურ, ჩინურ, ქართულ და უამრავ სხვა კულტურებზე.

კულტურის ერთ-ერთი უმთავრესი განმსაზღვრელი ენაა. განსხვავებულ ენებში სამყარო სხვადასხვანაირადაა ასახული. შეიძლება ითქვას, რომ ენები განსხვავებულად აკოდირებენ სინამდვილეს.

მაგალითად, ფიზიკურ სამყაროში ისეთი ფენომენი, როგორც ფერი, არ არსებობს. არსებობს სხვადასხვა სიხშირის ელექტრომაგნიტური გამოსხივება, რომელსაც აღიქვამს ადამიანის თვალი და შესაბამის სიგნალებს გადასცემს ტვინს. ტვინი კი მიღებულ ინფორმაციას ფერებად "ალაგებს". სხვადასხვა ენაში ფერთა რიცხვი განსხვავებულია. ვთქვათ, "ინგლისურენოვანი" ტვინისათვის ლურჯი და ცისფერი ერთი ფერის ორ ელფერს შეადგენს, ჩვენთვის კი ეს ორი განსხვავებული ფერია. არსებობს ენები, რომლებშიც მთელი სპექტრი სულ ორ ფერადაა დაყოფილი. ეს არ ნიშნავს, რომ ამგვარი კულტურების წარმომადგენლები ჩვენზე უარესად არჩევენ ფერებს; არა, მათი ენები სხვანაირად აკოდირებენ სამყაროს.

კულტურა მრავალწილად განსაზღვრავს არა მარტო ჩვენს აზრთა წყობას, გემოვნებას, მიდრეკილებებს, არამედ, ზოგჯერ, იმასაც კი, თუ რა ემოცია უნდა განვიცადოთ ამა თუ იმ სიტუაციაში.

ვთქვათ, ტრფობის საგანმა უარი უთხრა შეყვარებულ მამაკაცს საპასუხო სიყვარულზე. რას განიცდიდით ამგვარ სიტუაციაში? ალბათ, გულისტკივილს, იმედგაცრუებას, შესაძლოა, გაღიზიანებას ან

აგრესიასაც კი. ასეა კულტურათა უმრავლესობაში. მაგრამ სემაის ტომის (სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია) წარმომადგენელი ასეთ ვითარებაში ძლიერ შიშს გრძნობს, რადგან ამ კულტურაში ითვლება, რომ ქალის უარი შეყვარებულს "მისაწვდომს" ხდის ბოროტი სულებისათვის.

ამრიგად, კულტურა მეტ-ნაკლებად აწესრიგებს გარე სამყაროს და შედარებით მყარ ორიენტირებს უნერგავს ამ კულტურის წარმომადგენლებს. ამგვარ გარემოში ცხოვრება, ასე თუ ისე, წინასწარმეტყველებადია, ეს კი გარკვეული ფსიქოლოგიური კომფორტის საფუძველს იძლევა – ჩვენ ვიცით, რომ გარშემომყოფები იგივე ღირებულებებს იზიარებენ, რასაც ჩვენ – ეს იქნება ზრდილობის წესები, ფეხბურთის სიყვარული თუ არაპუნქტუალობა. მაგრამ ამგვარი წესრიგი ერთ სერიოზულ საფრთხეს შეიცავს – ცხოვრების ჩვეული წესი ერთადერთ სწორად, ნორმალურად და უნივერსალურად შეიძლება ჩაითვალოს. ბერნარდ შოუს გამოთქმით, ბარბაროსი იმიტომაა ბარბაროსი, რომ თავისი ტომის წესებს ბუნების კანონებთან აიგივებს. საგულისხმოა, რომ ბევრი ხალხის თუ ტომის თვითდასახელება ადამიანის სინონიმია. რას ნიშნავს ეს? იმას, რომ ისინი, ვინც სხვანაირი წესით ცხოვრობენ, ვინც, ვთქვათ ორ საყურეს კი არა, ერთს ატარებს, ჭამს იმას, რაც ჩვენ საზიზღრობად მიგვაჩნია, სხვა ღმერთი ჰყავს, სხვა, "ბარბაროსულ" ენაზე ლაპარაკობს – ადამიანად ან, ყოველ შემთხვევაში, სრულფასოვან ადამიანად არ ჩაითვლება. ყოველივე ეს არ ნიშნავს გარდაუვალ კონფლიქტს, მაგრამ თუ კონფლიქტი მოხდა, იგი განსაკუთრებით მძაფრად მიმდინარეობს, რადგან იგი ღირებულებათა და ინტერპრეტაციათა კონფლიქტის სახეს იღებს; რაც უფრო ნაკლებია საერთო ნორმა თუ ღირებულება მხარეებს შორის, მით უფრო დამანგრეველია კონფლიქტი. მოლაპარაკების პროცესის დაწყება კონფლიქტანტებს შორის შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც მხარეები შეთანხმებას მიაღწევენ კონფლიქტის კულტურული ასპექტის შესახებ, აღიარებენ, რომ მათ სამყაროს განსხვავებული ხედვა აქვთ.

თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ ძალზე მწვავე და დაუნდობელი კონფლიქტები ხდება კულტურის ასპექტში ახლომდგომ ეთნიკურ ჯგუფებს შორის. ასეთ შემთხვევაში ხდება

არსებული კულტურული განსხვავებების გაზვიადება, მსგავსების უარყოფა და საერთო ღირებულებებზე ცნობიერი, ხშირად ხაზგასმული უარის თქმა, უფრო სწორად, მოწინააღმდეგე მხარის "გამოძევება" ღირებულებისა თუ ზნეობრივი ნორმის "მოქმედების არიდან". ამის მაგალითია ბალკანეთში ან კავკასიაში ბოლო დროს მომხდარი კონფლიქტები.

არქაული და თანამედროვე კულტურები. არქაული კულტურა ორიენტირებულია არსებული ტექნიკური, ინტელექტუალური თუ ქცევითი ნორმების მაქსიმალურ "გაყინვაზე", გახევებაზე. ამ გზით კულტურა ცდილობს, თავი დაიცვას მტრული გარე სამყაროსაგან, რომელიც მუდამ იმუქრება ეპიდემიით, წყალდიდობით, შიმშილით და მისთ. არსებობის ძირითადი გარანტია ხდება მეხსიერება – ცხოვრების გამომუშავებული ნორმების ხელშეუხებლად შენარჩუნების უნარი. ამიტომ არქაული კულტურა წვრილმანებისაგან შემდგარად გვეჩვენება: ლამის ყოველ მოქმედებას აკონტროლებს ტაბუ (აკრძალვა), რიტუალი, მარჩიელობა, წინასწარმეტყველება. არ შეიძლება თანამოძმის ჩრდილზე დაბიჯება, სიდედრთან პირისპირ დარჩენა, მტაცებლის სახელის წარმოთქმა, საკუთარი თმის გადაგდება... როცა ცოლი მშობიარობს, ქმარმა უნდა წარმოსახოს, თითქოს თვითონ აჩენს ბავშვს, ცოლის და კი ამ დროს წინასწარ მომზადებულ კვანძებს უნდა ხსნიდეს... ყველაფერი უჩვეულო სახიფათოა, მას უნდა ერიდო, რომ არ გამოიწვიო გვალვა თუ მიწისძვრა. წინ წამოწეულია კოლექტიური საწყისი, ყველა ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი წესით უნდა იქცეოდეს, ინდივიდუალური ვარიაციები მინიმუმამდეა დაყვანილი. პირად გამოცდილებას მცირე ფასი აქვს თქმულების ავტორიტეტთან შედარებით. სავალდებულოს ჩამონათვალი დიდია და დაწვრილებითი, ამასთან, მთავარი და მეორეხარისხოვანი თითქმის არ განირჩევა. პირადი პასუხისმგებლობა ძირითადად რეალიზდება მორჩილებაში, წესების დაცვასა და ჯგუფური ცხოვრებისადმი ერთგულებაში. ღმერთებმა და წინასწარმეტყველებმა უკვე ამცნეს ხალხს ყველაფერი, ასწავლეს, რაც სასწავლებელი იყო და მომავალიც განსაზღვრეს. სიახლე ძალზე ნელა იკვლევს გზას, კრიტიკული აზროვნება საეჭვოა და ცოდვიანი, გამომგონებლობა ჯადოქრობას უტოლდება.

ამიტომ ტექნიკურ გამოგონებას და ნოვატორულ იდეას, ფესვები რომ გაიდგას, უამრავი დრო სჭირდება.

თანამედროვე კულტურა ორიენტირებულია დინამიკურობაზე, ღიაობაზე, შემოქმედებაზე. ფასობს ინდივიდუალური სასარგებლო გამოცდილება, რომელიც ფართო საზოგადოების მონაპოვარი შეიძლება გახდეს. კრიტიკული აზროვნება მიღებულია და წახალისდება; არავითარი ავტორიტეტი არაა აბსოლუტური. თვითდაჯერებულ მონოლოგზე გაცილებით მეტად ფასობს დისკუსია, დიალოგი. სხვა კულტურების დადებითი მონაპოვარი ადვილად შეითვისება და მოცემული კულტურის ნაწილად იქცევა. ითვლება, რომ მომავალი ცვლილებას ექვემდებარება და მასზე ზეგავლენა თითოეული ინდივიდის ძალისხმევას შეუძლია მოახდინოს.

მაგრამ სუფთა სახით არც არქაული (თუ არ ჩავთვლით განვითარების პრეინდუსტრიულ ეტაპზე მყოფ მცირერიცხოვან ტომებს) და არც თანამედროვე კულტურა თითქმის არ გვხვდება. საქმე ისაა, რომ განვითარებული კულტურები არაა ერთგვაროვანი. სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს თუ ფენებს განსხვავებული მსოფლხედვა გააჩნიათ. ასე რომ, სამყაროს სხვადასხვანაირი ხედვა არსებობს არა მარტო განსხვავებულ კულტურებში, არამედ ერთი კულტურის შიგნითაც. ახალ, საშუალო თუ ძველ თაობებს განსხვავებული მსოფლმხედველობა აქვთ, იგივე შეიძლება ითქვას ქალაქისა და სოფლის მცხოვრებლებზე, ლიბერალებსა და კონსერვატორებზე, უფრო- და ნაკლებგანათლებულებზე, კრიმინალურ ელემენტებზე და სხვ. ამ მრავალფეროვნებაში შეიძლება გამოიყოს უფრო არქაულად და უფრო თანამედროვედ ორიენტირებული სუბკულტურები.

ნაკლებად განათლებული სოციალური შრეები უფრო არიან მიდრეკილნი დოგმატური მოძღვრებებისა და შაბლონური აზროვნებისადმი, უფრო მომთმენნი დიქტატურის მიმართ. გასაგებია, რომ ერთ კულტურაში რადიკალურად განსხვავებული ტენდენციების არსებობა კონფლიქტის რისკს შეიცავს, კონფლიქტისა, რომელიც არანაკლებ სახიფათოა, ვიდრე კულტურათაშორისი კონფლიქტები.

საერთოდ, თუ არქაული და თანამედროვე ორიენტაციის ჯგუფებს შორის მოხდა კონფლიქტი, სულ ერთია, კულტურათაშორისი თუ ინტრაკულტურული, მისი მოგვარება განსაკუთრებით

ძნელია, ვინაიდან არქაული ორიენტაციის მქონეთ უჭირთ მეორე მხარის პოზიციის გაგება, რის გარეშეც ნებისმიერი კონფლიქტის მოგვარება პრაქტიკულად შეუძლებელია. იგივე ითქმის ორ არქაულ კულტურას შორის კონფლიქტის შესახებ. სამაგიეროდ, თანამედროვე კულტურებს შორის კონფლიქტი, რომელიც არცთუ იშვიათია, პრაქტიკულად არასოდეს არ მიდის სისხლისღვრამდე. ერთ-ერთი ძლიერი არგუმენტი დემოკრატიული წყობის სასარგებლოდ ისაა, რომ ჭეშმარიტი დემოკრატიის ქვეყნებს შორის არც ერთი შეიარაღებული კონფლიქტი არ მომხდარა.

პიროვნებათაშორისი კონფლიქტი

ჩვენ შორის, შეიძლება დარწმუნებით ითქვას, არ მოიძებნება ადამიანი, რომელსაც არასოდეს მოსვლია კონფლიქტი. ზოგჯერ ადამიანი თვითონ ხდება კონფლიქტის ინიციატორი, ზოგჯერ ჩათრეული აღმოჩნდება მისთვის მოულოდნელად და საკუთარი სურვილი წინააღმდეგაც კი. ხდება ისეც, რომ იგი სხვათა კონფლიქტის მონაწილე ხდება და უხდება ან შემრიგებლის, ან ერთ-ერთი მხარის დამცველის როლში გამოსვლა. ყველა მსგავს სიტუაციაში შეიძლება ორი ურთიერთდამოკიდებული ასპექტის დანახვა: პირველი – კონფლიქტის შინაარსობრივი მხარე, ანუ კამათის საგანი, საკითხი, საქმე; მეორე – კონფლიქტის ფსიქოლოგიური მხარე, რომელიც დაკავშირებულია მონაწილეთა პიროვნულ თავისებურებებთან, მათ ურთიერთდამოკიდებულებებთან, მათ ემოციურ რეაქციებთან კონფლიქტის მიზეზებზე, ერთმანეთზე და კონფლიქტის მსვლელობაზე. სწორედ ეს მეორე მხარე წარმოადგენს პიროვნებათაშორისი კონფლიქტების სპეციფიკურ ნიშანს – განსხვავებით სოციალური, პოლიტიკური და სხვა კონფლიქტებისაგან.

როცა პიროვნულ თავისებურებებზე ვლაპარაკობთ, იგულისხმება ისიც, თუ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, რა ტიპს წარმოადგენს ესა თუ ის ადამიანი, მაგ., როგორი ტემპერამენტი აქვს (ადვილად აგზნებადი თუ მშვიდი) ან ინტროვერტია თუ ექსტრავერტი (ძირითადად თავისი შინაგანი სამყაროსკენ არის მიმართული თუ გარესამყაროსკენ) და ა.შ.; აგრეთვე ისიც, თუ როგორია ეს კონკრეტული განუმეორებელი პიროვნება თავისი კონკრეტული განუ-

მეორებელი ცხოვრებისეული გამოცდილებით. თუ ტემპერამენტი განსაზღვრავს იმას, ერთსა და იმავე სიტუაციაში ყვირილს იწყებს ადამიანი, ტირილს, სიცილს თუ სიმშვიდეს ინარჩუნებს, მისი კონკრეტული გამოცდილება განსაზღვრავს იმას, თუ რა მოგონებები და რა გრძნობები უკავშირდება მისთვის მოცემულ მოვლენას.

ადამიანები ერთმანეთისაგან მრავალი განზომილების მიხედვით განსხვავდებიან.

ფსიქოლოგიაში პიროვნულ თავისებურებათა, ინდივიდუალურ განსხვავებათა მრავალი ტიპოლოგია არსებობს. განვიხილოთ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული – ბრიქს-მაიერსის ტიპოლოგია, რომელიც, სხვა ღირსებების გარდა, კარგად აშუქებს ჩვენთვის საინტერესო – კონფლიქტების – ასპექტს, კონფლიქტებისა, რომლებიც შეიძლება გამოიწვიოს პიროვნულმა განსხვავებებმა. ეს ტიპოლოგია შეიცავს, აგრეთვე, პრაქტიკულ რეკომენდაციებს, თუ როგორ შეიძლება ავარიდოთ თავი მსგავს კონფლიქტებს.

გამოყოფენ პიროვნების ოთხ ძირითად ტიპს, თითოეულს თავისი "პოლუსებით":

1) შეგრძნებითი ან ინტუიციური ტიპი;
2) ინტროვერტი ან ექსტრავერტი;
3) აზროვნებითი ან ემოციური ტიპი;
4) აღქმითი ან განსჯითი ტიპი.

ამ ძირითადი ტიპების კომბინაციით თექვსმეტი ტიპი მიიღება. ნებისმიერი ადამიანი, ამ თეორიის მიხედვით, შეიძლება აღიწეროს თექვსმეტი ტიპის ფარგლებში.

მაგალითად, ადამიანი შეიძლება იმით განსხვავდებოდეს მეორისგან, რომ სამყაროს აღქმისას იგი ეყრდნობა ან უფრო შეგრძნებებს (სმენა, მხედველობა, შეხება, ა.შ.), ან ინტუიციას. ამის მიხედვით იგი იქნება ან შეგრძნებითი, ან ინტუიციური ტიპი. თუ იგი უფრო შინაგან სამყაროზეა ორიენტირებული – იგი ინტროვერტია, თუ გარე სამყაროზე – ექსტრავერტი და ა.შ.

კომბინაციები, შესაბამისად შეიძლება იყოს, მაგალითად, ინტუიციურ-ექსტრავერტ-აზროვნებით-აღქმითი ან შეგრძნებით-ინტროვერტ-ემოციურ-განსჯითი და ა.შ. სულ, როგორც აღვნიშნეთ, თექვსმეტი კომბინაციაა შესაძლებელი (4x4=16).

განვიხილოთ ზოგიერთი ძირითადი ტიპთაგანი. მაგალითისთვის, მოაზროვნე ტიპი ორიენტირებულია ლოგიკაზე. იგი გრძნობებს – არც საკუთარს და არც სხვისას – დიდ ყურადღებას არ აქცევს. მისთვის უფრო მნიშვნელოვანია საქმე და არა ურთიერთობა, ამიტომ, თუკი რამეში არ ეთანხმება ვინმეს, ამას პირდაპირ გამოხატავს. ემოციური ტიპი, პირიქით, ორიენტირებულია გრძნობებზე და ურთიერთობები მისთვის ძალზე მნიშვნელოვანია. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა სირთულეებს შეიძლება წააწყდეს ამ საწინააღმდეგო ტიპის ადამიანთა ურთიერთობა: მოაზროვნე ტიპს აღიზიანებს ემოციური ტიპის "არასაქმიანი", ზედმეტად მგრძნობიარე ურთიერთობა, ხოლო ემოციური ტიპი, თავის მხრივ, მოაზროვნის პირდაპირობისა და მისი გრძნობების უგულებელყოფის გამო, თავს შელახულად გრძნობს.

ასევე მოსალოდნელია გაუგებრობა შეგრძნებითსა და ინტუიციურ ტიპებს შორის, რადგან მეორენი ეყრდნობიან ზოგად იდეებს, არაცნობიერს, ხოლო შეგრძნებითი ტიპები – კონკრეტულ ფაქტებს, თვალსაჩინო მონაცემებს. მათი ურთიერთობა თავიდანვე ჩაიშლება ხოლმე, რადგან ინტუიციური ტიპის პიროვნება საუბრისას ბევრს გულისხმობს და არ ამბობს, ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს კონკრეტულ ფაქტებს და ერთეულ შემთხვევებს, მისთვის მთავარია ზოგადი იდეა, ხოლო შეგრძნებითი ტიპისთვის კი – პირიქით.

კონფლიქტი განსხვავებული ტიპის ადამიანების ურთიერთობისას ჩნდება იმიტომ, რომ ისინი ხშირად სწორად ვერ აფასებენ ერთმანეთს.

საწინააღმდეგო მიდრეკილებების ადამიანები, შესაძლოა, მთელი ცხოვრება ერთად იყვნენ, მაგრამ წარმოდგენა არ ჰქონდეთ იმაზე, თუ როგორ უნდა ააწყონ ეფექტიანი ურთიერთობა. მაგალითად, მოაზროვნეების ურთიერთობა განსაზღვრულია აზროვნებით, ემოციური ადამიანებისა კი – გრძნობებით. ეს სტრატეგია წარმატებულია მაშინ, როცა ერთი ტიპის ადამიანები ურთიერთობენ, მაგრამ როცა აუცილებელი ხდება საწინააღმდეგო ტიპის ადამიანთან ურთიერთობა, ამგვარი სტრატეგია აღარ ამართლებს, ჩნდება პრობლემა. თანამშრომლობა ან შეთანხმება საკმაოდ ძნელი ხდება.

სად არის გამოსავალი?

გამოსავალი ისაა, რომ ადამიანებმა უნდა გაითვალისწინონ, გააცნობიერონ მეორე მხარის განსხვავებები და თავისებურებები.

კერძოდ, თუკი თქვენ უფრო მოაზროვნე ტიპს მიეკუთვნებით და ურთიერთობთ ემოციური ტიპის ადამიანთან, უნდა ეცადოთ, არ უგულებელყოთ მისი გრძნობები. თუ მისი გაკრიტიკება გსურთ, საუბარი დაიწყეთ იმ პუნქტებიდან, რომელშიც ეთანხმებით ერთმანეთს. ემოციური ტიპი დარწმუნდება, რომ თქვენ "მასთან" ხართ და რაკი საერთოდ ამ ტიპის ადამიანები აფასებენ ჰარმონიას და, თუკი შესაძლებლობა მიეცემათ, თანხმობისკენ იხრებიან, ამიტომ მზად იქნება, რომ დათმობაზე წავიდეს.

რეკომენდაცია ემოციური ტიპისთვის, როცა მას მოაზროვნესთან აქვს ურთიერთობა, ისაა, რომ ეს ურთიერთობა უნდა იყოს იმდენად ლოგიკური, რამდენადაც ეს საერთოდ შესაძლებელია ემოციური ტიპისთვის. ემოციურო ტიპებო, მოერიდეთ ფაქტებისა და მიზეზების იგნორირებას. მართალია, დარწმუნებული ხართ თქვენი მტკიცების ღირებულებაში, მაგრამ პატივი ეცით მოაზროვნის ღირებულებებსა და დასკვნებსაც. გახსოვდეთ, თუმცა მოაზროვნეები კარგად ამყარებენ კავშირს მიზეზსა და შედეგს შორის, მათ, ჩვეულებრივ, არ იციან, თუ რას გრძნობენ ადამიანები ამასთან დაკავშირებით, სანამ ამას პირდაპირ არ ეტყვიან. გააგებინეთ მათ ღიად და გულწრფელად, რას გრძნობთ ამა თუ იმ გარემოებასთან დააკავშირებით ისე, რომ მათ მოახერხონ თქვენი გრძნობების ჩართვა თავიანთ ლოგიკურ სისტემაში იმ მიზეზთა შორის, რომელთაგანაც რაიმე ეფექტია მოსალოდნელი.

რეკომენდაცია ინტუიციური ტიპებისათვის, როცა ისინი თავის საპირისპირო – შეგრძნებით – ტიპთან ურთიერთობენ: 1. დასაწყისშივე გარკვევით თქვით, რაზე ლაპარაკობთ (წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი შეგრძნებითი მსმენელი თქვენი დაფარული აზრის გამოსატანად თავს არ შეიწუხებს); 2. დაამთავრეთ წინადადება, რადგან თქვენ კი იცით, რითი გრძელდება იგი, მაგრამ თქვენმა მსმენელმა არ იცის; 3. მიანიშნეთ, როცა საუბრის საგანს ცვლით; 4. უკან ნუ უბრუნდებით და წინ ნუ უსწრებთ საუბრის საგანს – თქვენი მსმენელი ვერ იჭერს თანმიმდევრობას. დაამთავრეთ ერთი პუნქტი და გარკვევით გადადით შემდეგზე.

რეკომენდაცია შეგრძნებითი ტიპისთვის ინტუიციურთან ურთიერთობისას: ინტუიციურის სიტყვები შეიძლება უმნიშვნელო და თქვენთვის ცნობილი ფაქტების საწინააღმდეგო მოგეჩვენოთ, მაგრამ ნუ უგულებელყოფთ მათ ან სისულელეს ნუ მიაწერთ. ისინი შეიძლება შეიცავდნენ იდეას, რომელიც, შესაძლოა, სასარგებლო იყოს თქვენთვის. ასევე, თქვენი ფაქტები შეიძლება სასარგებლო იყოს იდეის ავტორისათვის. კონსტრუქციული მიდგომა იდეის უარყოფა კი არაა, არამედ საერთო საქმეში თქვენი ფაქტების, როგორც წვლილის, შეტანა.

ამრიგად, შეგრძნებითი ტიპისთვის, მნიშვნელოვანია, გადაწყვეტილების მიღება, მოაზროვნისთვის – სისტემატიზება, ემოციურისთვის – ადამიანური თანხმობა, ინტუიციურისათვის – თავისუფალი სივრცე ზრდისათვის. ყველა ეს სურვილი აზრიანია და თუკი კეთილი ნება იარსებებს – მიღწევადიც. წარმატებული ურთიერთობა იმის გამოყენებაა, რაც ყველა ტიპს ყველაზე მნიშვნელოვნად მიაჩნია.

პიროვნებათაშორისი კონფლიქტების კავშირი ჯგუფურ კონფლიქტებთან

პიროვნებათაშორისი კონფლიქტები შეიძლება გამოწვეული იყოს მათი ჩართულობით სხვა დონის – ჯგუფურ კონფლიქტებში. როცა არსებობს უთანხმოება ან შეტაკება ადამიანთა განსხვავებულ ჯგუფებს შორის, ამ ჯგუფის წევრები დაპირისპირებული ჯგუფის წევრებს აღიქვამენ, როგორც მოწინააღმდეგეებს. ამ დროს ჯგუფებს შორის წარმოქმნილი დამოკიდებულების პრინციპი "ჩვენ – ისინი" პიროვნულ ურთიერთობებზეც გადადის. ასეთ შემთხვევებში ჯგუფთაშორისი კონფლიქტი წარმოადგენს ნიადაგს პიროვნებათშორისი კონფლიქტების წარმოქმნისა და განვითარებისათვის.

ამერიკელ სოციოლოგ ლიპმანს შემდეგი ამბავი მოჰყავს: 1914 წელს წყნარი ოკეანის ერთ-ერთ კუნძულზე არსებობდა ევროპელების კოლონია. იქ მეგობრულად ცხოვრობდნენ და თანამშრომლობდნენ ინგლისელები, ფრანგები, გერმანელები. კუნძულზე ფოსტას იღებდნენ იშვიათად მისული გემებით და, ამიტომ, მხოლოდ სექტემბერში გაიგეს, რომ უკვე თვენახევარია, რაც მათ ქვეყნებს შორის ომი

მიდის. კოლონიაში მაშინვე მკვეთრად შეიცვალა ურთიერთობა. ინგლისელები და ფრანგები უფრო მჭიდროდ შეკავშირდნენ, ხოლო გერმანელები მტრობდნენ მათ. მანამდე არსებული მეგობრული კავშირები დაიშალა. მაგრამ კოლონიის ცხოვრებაში შორეულ ევროპაში მიმდინარე ომის შესახებ ინფორმაციის მიღების გარდა რეალურად ხომ არაფერი მომხდარა! მტრობა წარმოიშვა მხოლოდ იმის გამო, რომ ადამიანებმა გადაიტანეს თავიანთ პიროვნულ ურთიერთობებზე მათ ქვეყნებს შორის არსებული მტრობა.

ჩვენს რეალობაში რომ გადავინაცვლოთ, ყველაზე მკაფიო მაგალითი საქართველოს უახლესი ისტორიიდან არის პრეზიდენტ გამსახურდიას მომხრეებისა და მოწინააღმდეგეების ურთიერთობა. ყველას ახსოვს, თუ რა ძლიერ ზეგავლენას ახდენდა ამ დაჯგუფებებისადმი მიკუთვნებულობა ადამიანთა პირად ურთიერთობებზე. დაირღვა არა მარტო მეგობრული, არამედ ბევრი ოჯახური კავშირიც.

პიროვნებათაშორისი კონფლიქტების მიზეზები

კონფლიქტების კლასიფიკაციისას ყველაზე ზოგადი სახის კლასიფიკაცია, რომელსაც კონფლიქტოლოგები მიმართავენ, არის მათი დაჯგუფება რესურსულ და ღირებულებით კონფლიქტებად. ასეთი პრინციპი შეიძლება მივუყენოთ ნებისმიერ, მათ შორის, ჩვენთვის საინტერესო – პიროვნებათშორის კონფლიქტებსაც.

რესურსული კონფლიქტები დაკავშირებულია სასიცოცხლო საშუალებათა (მატერიალურ, ტერიტორიულ, დროის და ა.შ.) განაწილებასთან, მაგალითად, პიროვნებათაშორისი კონფლიქტები, რომლებიც წარმოიშვება ორგანიზაციებში თანამშრომლებს შორის საპრემიო ფონდის განაწილებისას.

ღირებულებითი კონფლიქტები დაკავშირებულია განსხვავებებთან რწმენაში, პრინციპებში, შეფასებებში, კულტურულ სტერეოტიპებში, მაგალითად, კონფლიქტები, რომელიც ხდება ოჯახში მშობლებსა და შვილებს შორის განსხვავებული ღირებულებითი ორიენტაციების გამო.

განსხვავებული ღირებულებებით გამოწვეული პიროვნებათშორისი კონფლიქტების კონტექსტში საინტერესოა კროსკულტურული ასპექტი:

გამოკვლევის მიხედვით, ამერიკელები და ინგლისელები თუმცა ძირითადი განზომილებების მიხედვით მსგავსები არიან, მაინც გამოავლინეს ნიშანდობლივი განსხვავება სამუშაო ურთიერთობებში. დანკენლიმ (1997) გამოკითხა ინგლისში მომუშავე ამერიკელი და ბრიტანელი მენეჯერები ამერიკულ და ბრიტანულ სამუშაო ურთიერთობების სტილში მსგავსებისა და განსხვავებების შესახებ. აღმოჩნდა, რომ ამერიკელები უპირატესობას ანიჭებდნენ "პირდაპირ" ურთიერთობებს მუშაობის დროს, განსხვავებით ბრიტანული ურთიერთობების არაპირდაპირი ფორმებისა. ერთ-ერთი ამერიკელი რესპონდენტის თქმით, "შემაწუხებელია ის, რომ ინგლისელებს გადაწყვეტილების მიღება არასოდეს უნდათ; ჩვენ, ამერიკელებს, გვთვლიან მოუთმენლებად და უხეშებად, როცა ვცდილობთ, გადავწყვიტოთ რამე". ამერიკელი მენეჯერები მიდრეკილები არიან კრიტიკული სტილისკენ, რომელსაც მიიჩნევენ "უფრო პირდაპირად და არაამბიციურად", მაგრამ იგივე სტილი ინგლისელი მენეჯმენტის თვალსაზრისით ფასდება, როგორც "უხეში და დესტრუქციული".

ამრიგად, სხვადასხვა კულტურისადმი მიკუთვნებულობის გამო განსხვავებული ღირებულებითი სისტემა შეიძლება ცალკეულ ადამიანებს შორის გაუგებრობებისა და კონფლიქტების მიზეზი გახდეს. ცხადია, რაც უფრო დიდია ეს განსხვავებები, მით მეტია კონფლიქტის საბაბი, რისკი (დაწვრილებით იხილეთ ამ წიგნის თავში კულტურისა და კონფლიქტების შესახებ).

პიროვნებათაშორისი კონფლიქტების მიზეზები შესაძლებელია სხვადასხვა იყოს, მაგალითად: რესურსების შეზღუდულობა; ურთიერთდამოკიდებულება (მაგალითად, როცა ვინმე იქცევა უხეშად, შელახავს ჩვენს თვითშეფასებას, იწვევს სტრესს, დისკომფორტს, უხერხულობას და ა.შ.); განსხვავებული წარმოდგენა ღირებულებებზე; განსხვავებები ქცევის მანერასა და ცხოვრებისეულ გამოცდილებაში; არადამაკმაყოფილებელი კომუნიკაცია (მაგალითად, არადამაკმაყოფილებელი კომუნიკაცია ან კონფლიქტის ინფორმაციული ფაქტორი გვაქვს, როცა კონფლიქტს იწვევს არასრული ან არაზუსტი ინფორმაცია; ჭორი ან უნებლიე დეზინფორმაცია, ინ-

ფორმაცია, მიწოდებული დროზე ადრე ან დროზე გვიან და ა.შ.); კონფლიქტის მონაწილეთა პიროვნული თავისებურებები და სხვ.

როგორ მოვაგვაროთ პიროვნებათაშორისი კონფლიქტები

თუ კონფლიქტის მონაწილეებს სურთ კონფლიქტის მოგვარება, მათ უნდა გაითვალისწინონ შემდეგი რეკომენდაციები:

- დაძაბულ, ემოციურად დატვირთულ სიტუაციაში გადა-იტანეთ ყურადღება სხვა რამეზე;
- ყურადღებით მოუსმინეთ მოპირისპირე მხარეს, შეეცადეთ, დაამყაროთ კონტაქტი;
- მოექეცით პატივისცემით, კეთილმოსურნედ, მოთმინებით, ნუ დაკარგავთ თვითკონტროლს;
- მეტი ყურადღება დაუთმეთ ფაქტებს, გადაამოწმეთ რე-ალობით;
- მიმართეთ ოპონენტს რჩევისთვის, დაინტერესდით მისი აზრით.

ტოლერანტობა

ტოლერანტობის ცნების არსი

თანამედროვე მსოფლიოში ტოლერანტობის კონცეფციამ დიდი მნიშვნელობა შეიძინა. მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა არაერთგვაროვნების საფუძველზე შეუწყნარებლობის საფრთხეს შეეჯახა. თუმცა, შეუწყნარებლობა არ არის მხოლოდ გლობალური პრობლემა. დღეს ამ პრობლემის წინაშე მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა დგას რაც, თავის მხრივ, ახალი გამოწვევის წინაშე აყენებს კაცობრიობას.

რა არის შემწყნარებლობა? რას ნიშნავს ტოლერანტობის სწავლება? 1995 წლის 16 ნოემბერს იუნესკოს წევრმა სახელმწიფოებმა ტოლერანტობის პრინციპებს მოაწერეს ხელი. დეკლარაციაში განიმარტა შემწყნარებლობა და ნათელი გახდა, რომ აღნიშნული ცნება მეტად დინამიკურია და თანამედროვეობის მოთხოვნებს პასუხობს. ‘ტოლერანტობა მხოლოდ მორალური ვალდებულება არ არის, იგი პოლიტიკური და სამართლებრივი მოთხოვნაა. შემწყნარებლობა მშვიდობისა და მშვიდობის კულტურის ქვაკუთხედია’, – ნათქვამია დეკლარაციაში. შემწყნარებლობის კონცეფცია ფარავს დემოკრატიულ ღირებულებებს. შემწყნარებლობა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ფილოსოფიის, მიმღებლობისა და თანასწორობის საფუძველია. ამასთან ერთად, ტოლერანტობა, პირველ რიგში, პასუხისმგებლობაა.

ტოლერანტობის ცნებას თანამედროვე შინაარსი ფრანგმა განმანათლებლებმა, კერძოდ, ვოლტერმა შესძინა. განმანათლებლობის პერიოდის საზოგადო მოღვაწეები წინ აღუდგნენ შეუწყნარებლობისა და რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირების ფაქტებს. თავის ტრაქტატში რწმენის თავისუფლების შესახებ, ვოლტერი, რომელიმე ცალკე აღებულ რელიგიას არ აკრიტიკებს, მაგრამ გვიჩვენებს, რომ რელიგიები, რომლებიც თავისი არსით სიკეთის მქადაგებელნი არიან, სინამდვილეში სხვა რწმენის მიმართ წინაგანსჯითა და შეუწყნარებლობით გამოირჩევიან. ყველა რწმენას უნდა ჰქონდეს თვითგამოხატვის საშუალება, რადგან “სრული სიგიჟეა ვიფიქროთ,

რომ ყველა ადამიანს განყენებულ საგნებზე ერთნაირი აზრი ექნება", წერდა ვოლტერი.

განმანათლებლობის ეპოქაში ტოლერანტობა აღიარებულ იქნა საყოველთაო ღირებულებად და რელიგიებს, ხალხებსა და სხვადასხვა ჯგუფებს შორის თანხმობის მთავარ კომპონენტად. ვოლტერის სიკვდილიდან 11 წლის შემდეგ, 1789 წლის 27 აგვისტოს, საფრანგეთის დამფუძნებელმა კრებამ მიიღო ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია, რომელშიც გაცხადებულია სიტყვისა და აზრის თავისუფლება. ეს დეკლარაცია დაედო საფუძვლად ადამიანის უფლებათა თანამედროვე დეკლარაციებს, რომელთა აპოთეოზია 1948 წელს მიღებული ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. მასში მოცემულია მშვიდობის, არაძალადობისა და დემოკრატიის მთავარი პრინციპები. დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ ძალადობა და ომები დემოკრატიის ჩახშობის მცდელობისა და შეუწყნარებლობის შედეგია.

ბოლო ათწლეულში, იუნესკოს ძალისხმევით, ტოლერანტობის ცნებამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. ტოლერანტობა გულისხმობს ადამიანთა ერთობისა და ურთიერთდამოკიდებულების ინტუიციურ შეგრძნებას, სხვათა უფლებების პატივისცემასა (მათ შორის განსხვავებულობის უფლება) და სხვისთვის ზიანის არმიყენებას, რადგან ეს ზიანი ნიშნავს ზიანს ყველასთვის და, მათ შორის, საკუთარი თავისთვისაც. თანამედროვე საზოგადოებაში ტოლერანტობა უნდა გახდეს ადამიანთა, ხალხთა და ქვეყანათა ურთიერთობების გაცნობიერებული მოდელი. ამიტომ ჩვენს ქვეყანაში ტოლერანტობის სწორედ ასეთი გაგება უნდა ჩამოვაყალიბოთ, ვეცადოთ, რომ იგი გახდეს ჩვეული ყოფითი მეტყველებისთვის. ეს უახლოეს მომავალში მოხდება, თუკი ცნება "ტოლერანტობა" მყარად შევა მასწავლებლის ლექსიკონში.

ტოლერანტობის, ანუ შემწყნარებლობის გაგება სხვადასხვა კულტურაში, მათი ისტორიული რეალობიდან გამომდინარე, განსხვავებულია. ინგლისურ ენაში, ოქსფორდის განმარტებითი ლექსიკონის თანახმად, ტოლერანტობა არის მზაობა და უნარი, უპროტესტოდ აღიქვა ადამიანი ან მოვლენა. ფრანგულში ტოლერანტობა სხვათა თავისუფლების, ქცევის, პოლიტიკური და რელიგიური შეხედულებების მიმართ პატივისცემას გულისხმობს. ჩინურში ტოლე-

რანტობა ნიშნავს სხვებისთვის უფლების მიცემას, დაშვებასა და სულგრძელობას; არაბულში ტოლერანტობა არის პატიება, თანაგრძნობა, მოთმინება და კეთილგანწყობა სხვათა მიმართ; სპარსულად ტოლერანტობა მოთმინებასა და შერიგებისთვის მზაობას ნიშნავს.

სამეცნიერო ლიტერატურაში ტოლერანტობა, პირველ რიგში, განიხილება, როგორც თანასწორობის პატივისცემა და აღიარება, ძალადობაზე უარის თქმა, ადამიანთა კულტურის, ნორმებისა და რწმენების მრავალფეროვნებისა და მრავალგანზომილებიანობის აღიარება და იმის უარყოფა, რომ ეს მრავალფეროვნება შეიძლება დავიყვანოთ ერთგვაროვნებამდე, ან ერთ-ერთი შეხედულების დომინირებამდე. ტოლერანტობა გულისხმობს მზაობას, მიიღო, სხვა ისეთად, როგორიც ის არის და თანხმობის საფუძველზე ააგო მასთან ურთიერთობა. ტოლერანტობა არ უნდა გავაიგივოთ ინდიფერენტულობასთან, კომფორმიზმთან ან საკუთარი ინტერესების დათმობასთან. პირველ რიგში, ეს არის აქტიური პოზიცია, რომელიც მოიაზრებს ურთიერთქმედებას ყველა დაინტერესებულ მხარეს შორის. შემწყნარებლობა პიროვნების ცხოვრებისეული პოზიციის მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელსაც აქვს თავისი ღირებულებები, ინტერესები და რომელიც მზადაა დაიცვას ეს ინტერესები, მაგრამ, იმავდროულად, პატივისცემით მოეკიდოს სხვათა პოზიციებსა და ღირებულებებს.

ტოლერანტობა საკმაოდ აბსტრაქტული ცნებაა, იგი ძნელად ექვემდებარება დაკვირვებას და გაზომვას. ქვემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმები ეხება საზოგადოების ყველა ჯგუფს. სამწუხაროდ, ისინი ყოველთვის არ ჩანს "შეუიარაღებელი თვალით".

ცნება ტოლერანტობა აქტიურად შემოვიდა ჩვენს ცხოვრებაში, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სხა და სხვა ადამიანები სხვადასხვა აზრს დებენ ამ ცნებაში. ტოლერანტობა ხშირად ახსნილია, როგორც თვალის დახუჭვა ადამიანთა ნაკლზე. ასევე, ხშირად გვხვდება მოსაზრება, რომ ტოლერანტობა არის ადამიანის, ან სახელმწიფოს უნარი, გაგებით მოეკიდოს და პატივი სცეს სხვების აზრს, არ მიიღოს მტრულად განსხვავებული შეხედულებები.

ბევრი თვლის, რომ ტოლერანტობა სხვების მიმართ მეგობრული დამოკიდებულება, მშვიდობიანი თანაარსებობაა. ის, ვინც ამ აზრს ეთანხმება, თვლის, რომ ტოლერანტული ადამიანი პატი-

ვისცემით ეკიდება სხვების ინტერესებსა და ჩვევებს, ცდილობს, გაუგოს სხვებს და მათთან შეთანხმებას ძალის გამოყენების გარეშე მიაღწიოს.

ტოლერანტობა არის განსაკუთრებული ზნეობრივი თვისება, რომელიც ასახავს პიროვნების აქტიურ სოციალურ პოზიციას და ფსიქოლოგიურ მზაობას, რათა მან პოზიტიურად იურთიერთოს განსხვავებული ნაციონალობის, რელიგიურობის, სოციალური წარმოშობის, ან განსხვავებული შეხედულებების, მსოფლმხედველობის, აზროვნების და ქცევის მქონე ადამიანებთან.

თავისი სოციალური აზრით ექსტრემიზმი ტოლერანტობის საპირისპირო კატეგორიაა, რომელიც პრობლემის მოგვარების უმთავრეს საშუალებად ძალადობას მიიჩნევს.

დღევანდელ დღეს არატოლერანტობა განიხილება, როგორც სერიოზული საფრთხე, რადგან ის ნიშნავს, რომ ერთ ადამიანს, ან სოციალურ-კულტურულ ჯგუფს მიაჩნია, რომ მათი რწმენათა სისტემა და ცხოვრების წესი ყველაზე მაღლა მდგომია. აქედან გამომდინარეობს მათი გარკვეული დამოკიდებულება "სხვების", ანუ მათგან განსხვავებული ადამიანების მიმართ დისკრიმინაცია, შეურაცხყოფა, დევნა, დაშინება, სეგრეგაცია და ძალადობა, როგორც ამგვარი დამოკიდებულების უკიდურესი გამოხატულება. ტოლერანტობის ცნება გულისხმობს განსხვავებული აზრის მიმართ კეთილგანწყობისა და შემწყნარებლობის მაღალ დონეს და ამ აზრის თანასწორუფლებიანობის აღიარებას. იგი არ ნიშნავს გულგრილობას, "მოთმენას", ან "დაუსჯელობას". ამ ცნების არსი იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოების ყვალა ჯგუფის წევრი გრძნობს საერთო პასუხისმგებლობის აუცილებლობას საზოგადოებრივ ურთიერთობებში. ტოლერანტობა დაუშვებელია დამნაშავე პირების ან დაჯგუფებების, ექსტრემისტული ძალების მიმართ. იგი გულისხმობს არა მხოლოდ განსხვავებული აზრის აღიარებას, არამედ მომთმენ დამოკიდებულებას ოპონენტებთან ურთიერთობის დროს; იგი კონსტრუქციული ურთიერთობის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის საფუძველია.

პრობლემები, რომელიც საერთოა საზოგადოების სხვადასხვა წევრებისათვის, ვერ გადაწყდება მხოლოდ რომელიმე ერთის ძალისხმევით. ამგვარი პრობლემების გადაწყვეტისას აუცილებელი

ხდება ჭეშმარიტი, კონსტრუქციული თანამშრომლობა, რომლის განხორციელებაც შესაძლებელია მხოლოდ თანასწორუფლებიანი მონაწილეების ურთიერთგაგებითა და ერთობლივი ძალისხმევით.

მრავალეთნიკურ საზოგადოებაში, რომელშიც სუსტია კავშირები ეთნიკურ ჯგუფებს შორის, ყოველთვის არსებობს ეთნიკური ძალადობის რისკი. სახელმწიფოებმა და მთავრობებმა უნდა აქტიურად იმოქმედონ, წაახალისონ ეთნიკურ ჯგუფებს შორის ურთიერთობა და გაატარონ მათთან თანაბარი შესაძლებლობების მინიჭების პოლიტიკა.

არანაკლებ ეფექტიანი შეიძლება აღმოჩნდეს სამოქალაქო საზოგადოების განვითარება და ინტეგრირებული სამოქალაქო ქსელების შექმნა. სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ორგანიზაციები და ჯგუფები, რომლებსაც ერთობლივი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ინტერესები გააჩნიათ, საკმაოდ ეფექტურნი არიან ძალადობისა და კონფლიქტების პრევენციაში. ერთობლივი მუშაობა ან სწავლა – საუკეთესო გზაა ქსელების შექმნისა და თანამშრომლობითი ურთიერთობების განვითარებისთვის.

ტოლერანტობის კრიტერიუმები

- თანასწორობა – ეროვნული, რასობრივი, სქესობრივი, რელიგიური კუთვნილების მიუხედავად სოციალური სარგებლის თანაბარი მისაწვდომობა;
- საზოგადოების წევრების ურიერთპატივისცემა, კეთილგანწყობა საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების მიმართ (შეზღუდული შესაძლებლობის პირები, ლტოლვილები, ჰომოსექსუალები და ა.შ.);
- თანასწორი პოლიტიკური მონაწილეობა;
- კულტურული თვითმყოფადობისა და ეროვნული უმცირესობების ენების შენარჩუნება და განვითარება;
- ინფორმაციის ხელმისაწვდომობა;
- საზოგადოებაში სხვადასხვა ჯგუფების მიერ საკუთარი ტრადიციების შენარჩუნება;
- რწმენის თავისუფლება, იმ პირობით, თუ ეს არ შელახავს საზოგადოების სხვა წევრების უფლებებს;

- საერთო პრობლემების გადაწყვეტისას თანამშრომლობა და სოლიდარობა;
- დადებითი ლექსიკა ყველაზე მტკივნეულ თემებზე (ეროვნებათაშორისი, რელიგიათაშორისი, სქესთაშორისი და ა.შ. საკითხები).

ტოლერანტობის გაგება მიიღწევა მისი საწინააღმდეგო ცნების – არატოლერანტობის, ანუ შეუწყნარებლობის, გამოხატულების გააზრებიდან.

არატოლერანტობა იმ რწმენას ემყარება, რომ ჩემი ჯგუფი, მრწამსი, ღირებულებათა სისტემა და ცხოვრების წესი უპირატესია სხვებთან შედარებით, რამაც შეიძლება გამოიწვიოს რიგი უარყოფითი შედეგები და იმგვარი სოციალური სისტემების ამოქმედებამდე მიიყვანოს საზოგადოება, როგორიცაა აპართეიდი, გენოციდი, განადგურება. არატოლერანტობა უარყოფს განსხვავებულობის არსებობის უფლებას. შეუწყნარებლობა ხელს უწყობს კაცობრიობისთვის სამარცხვინო დანაშაულებრივ ქმედებებს. აუცილებელია, გავიაზროთ არატოლერანტობის შედეგები და შევაფასოთ, როგორც ადამიანის უფლებათა დარღვევა. შეუწყნარებლობის გამოვლინებებია:

- შეურაცხყოფა, დაცინვა;
- იგნორირება;
- უარყოფითი სტერეოტიპები, წინასწარი უარყოფითი განწყობები, წინაგანსჯები (განზოგადებული აზრის შემუშავება ადამიანზე იმის გამო, რომ იგი იმ კულტურას, რელიგიას, ეთნიკურ ჯგუფს და ა.შ. მიეკუთვნება);
- ეთნოცენტრიზმი (მოვლენების შეფასება შენი ეთნიკური ჯგუფის თვალსაზრისით, სადაც შენი ჯგუფი ეტალონია და უკეთესია სხვა ჯგუფებთან შედარებით);
- მტრის ძიება (ბრალის გადატანა ერთ რომელიმე ჯგუფზე, "განტევების ვაცის" ცნების შემოტანა);
- დევნა, მუქარა, დაშინება;
- დისკრიმინაცია (სქესობრივი, რელიგიური, ეთნიკური და ა.შ .განსხვავებების საფუძველზე); ადამიანის უფლებათა უარყოფა, იზოლაცია;
- რასიზმი;

- ქსენოფობია, ეთნოფობია, რელიგიური ფობიები, მიგრანტოფობია (სხვა კულტურების მიმართ სიძულვილი, შიში, იმის გამო, რომ მათ ზიანი მოაქვთ);
- ფაშიზმი (რეაქციული, ანტიდემოკრატიული რეჟიმი, რომელსაც ახასიათებს ძალადობისა და ტერორის უკიდურესი გამოხატულებები);
- იმპერიალიზმი (სიმდიდრესა და რესურსებზე კონტროლის მიზნით, ერთი ხალხის მიერ მეორის დამორჩილება);
- ექსპლუატაცია (სხვისი დროისა და შრომის გამოყენება შესატყვისი ანაზღაურების გარეშე; რესურსებისა და ბუნებრივი სიმდიდრის არათანაბარი გამოყენება);
- რელიგიური და კულტურული სიმბოლოების წაბილწვა, შეურაცხყოფა;
- რელიგიური დევნა (კონკრეტული რწმენის, მისთვის უცხო ღირებულებებისა და წეს-ჩვეულებების ძალით თავს მოხვევა);
- განდევნა (ოფიციალური ან ძალადობრივი);
- სეგრეგაცია, აპართეიდი, რეპრესიები, განადგურება, გენოციდი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტოლერანტობა არის არატოლერანტობის ანტითეზა, მისი სრულიად საწინააღმდეგო ღირებულება და ქცევა. ტოლერანტობა წარმოადგენს სოციალურ პასუხისმგებლობას, არ დაუშვას ადამიანის უფლებათა დარღვევა. ტოლერანტობის სწავლება გულისხმობს ისეთი უნარების განვითარებას, რომელიც დაგვეხმარება, გავაცნობიეროთ, აქტიურად შევებრძოლოთ, შევაჩეროთ და პროტესტი გამოვთქვათ არატოლერანტობაზე. ასეთ პოზიციას შეიძლება "აქტიური ტოლერანტობა" ვუწოდოთ.

"განათლება შეუწყნარებლობის პრევენციის ყველაზე ეფექტიანი საშუალებაა, პირველი ნაბიჯი, ასწავლო ადამიანებს, რომ მათ საერთო უფლებები და თავისუფლებები გააჩნიათ...

ტოლერანტობის სწავლება უმთავრესი იმპერატივია. ამიტომაც საჭიროა, ტოლერანტობის სწავლების სისტემური და რაციონალური მეთოდების განვითარება და ამით შეუწყნარებლობის, ძალადობისა და მიუღებლობის კულტურული, სოციალური, ეკონომიკური, პოლი-

ტიკური და რელიგიური საფუძვლების დაძლევა. საგანმანათლებლო პოლიტიკა და პროგრამები უნდა უზრუნველყოფდეს ინდივიდებს, ეთნიკურ, სოციალურ, რელიგიურ და ენობრივ ჯგუფებსა და ერებს შორის ურთიერთგაგების, სოლიდარობისა და შემწყნარებლობის განვითარებას' (1994 წლის დეკლარაცია ტოლერანტობის შესახებ).

ტოლერანტობის კონცეფცია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მრავლისმომცველი ცნებაა. მასთან მიმართებაში მრავალი საკითხი განიხილება. ჩვენ ამ საკითხების ორ ჯგუფად დაყოფას გთავაზობთ: არატოლერანტობის გამოვლინებები და ის ღირებულებები, რომელთაც, ერთი მხრივ, ეფუძნება შემწყნარებლობა და მეორე მხრივ, თავად ქმნის მათ.

შეუწყნარებლობა

კაცობრიობის ისტორია სავსეა არატოლერანტული ქმედების ფაქტებით. შეუწყნარებლობის გამოვლინებებზე დაკვირვება გვაძლევს ტოლერანტობის არსში გარკვევის საშუალებას, გვარწმუნებს იმაში, რომ ტოლერანტობა აუცილებელი პირობაა მომავლის განვითარებისათვის. არსებობს არატოლერანტული ქმედების სხვადასხვა ფორმები და გამოვლინებები, ხშირად ისინი თავისი მახასიათებლებით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, მაგრამ სრულ და ნათელ წარმოდგენას გვაძლევენ იმის შესახებ, თუ რა არის შეუწყნარებლობა.

შეუწყნარებლობის მიზეზი, უმეტესწილად, სტერეოტიპები და წინაგანსჯებია, ისტორიულად, თუ ტრადიციულად ჩაკირული ადამიანთა ცნობიერებაში, ამა თუ იმ ერის, ეთნიკური, თუ რელიგიური ჯგუფის მიმართ. თუ სტერეოტიპების არსში ღრმად ჩავიხედავთ, არატოლერანტობის გამოვლინების ბევრი ფორმა ჩვენთვის უფრო გასაგები გახდება. სტერეოტიპები და წინაგანსჯები "შეუწყნარებლობის, სიძულვილის პირამიდის" საფუძველია, რომელსაც ქვემოთ დაწვრილებით განვიხილავთ.

სტერეოტიპი

სამყაროს შემეცნება დაუსრულებელი პროცესია. ამ უსასრულობის მიზეზი, სხვა მიზეზთა შორის, ისიც არის, რომ ადამიანის გონებას, მის შემეცნების უნარს გარკვეული საზღვრები აქვს. ფსიქოლოგ ჰერბერტ საიმონის აზრით, იმისთვის, რომ გაუმკლავდეს სინამდვილეს, ადამიანი ამარტივებს მას. ამ გამარტივების ერთ-ერთი საშუალებაა სტერეოტიპული აზროვნება და წინაგანსჯები. სტერეოტიპი არის განზოგადებული წარმოდგენა, აზრი პიროვნებაზე, ან ჯგუფზე. ამ მხრივ, სტერეოტიპი დადებით როლს თამაშობს ადამიანის სინამდვილესთან ურთიერთობის პროცესში: ხდება ადამიანის ფსიქიკური რესურსების ეკონომიური ხარჯვა. მაგრამ განზოგადების ამ დადებითი მხარის გარდა, სტერეოტიპულმა აზროვნებამ, შესაძლოა, უარყოფითი შედეგიც მოგვცეს. იგი ისევე როგორც, ვთქვათ, მეცნიერული თეორია, შეიძლება მცდარი აღმოჩნდეს. ასეთ შემთხვევაში ის ვერ შეუწყობს ხელს ადამიანის ადეკვატურ რეაქციას გარემოს მიმართ. სტერეოტიპების უარყოფითი შედეგი განსაკუთრებით საგრძნობია, როცა საქმე ეხება ახალ რეალობას ან შეგუებას ცვლილებებთან. სტერეოტიპული აზროვნების საფრთხეზე კარგად მიანიშნებს ერთ-ერთ ენციკლოპედიაში მოცემული მისი განსაზღვრება: "ეს არის სქემატური ხატი, ან წარმოდგენა სოციალურ მოვლენაზე, ობიექტზე, პიროვნებაზე, რომელიც შექმნილია სოციალური პირობებისა, თუ პირადი გამოცდილების საფუძველზე. იგი ემოციურად არის შეფერილი. სტერეოტიპი განწყობის შემადგენელი ნაწილია. ხშირად იგი "განწყობასთან" დაკავშირებული მოძველებული, ახირებული წარმოდგენაა". სტერეოტიპებს მივმართავთ მაშინ, როდესაც არ გვინდა ან არ შეგვიძლია მივიღოთ სრული ინფორმაცია განსასჯელი საგნის ან პიროვნების შესახებ. სტერეოტიპი იძლევა მშვენიერ საშუალებას, ისე "შევქმნათ მოვლენის სრული სურათი", რომ ადგილი არ დავტოვოთ განსხვავებული ხედვის, დეტალებისა და გამონაკლისებისათვის. ზემოთ ნათქვამის საილუსტრაციოდ განვიხილოთ შემდეგი მაგალითი: წარმოვიდგინოთ, რომ ვსეირნობთ შებინდებისას ბაღში და ვხვდებით ერთ შემთხვევაში ლაბადაშემოსხმულ მამაკაცს, რომელიც ხელჯოხის ქნევით მოდის ბაღში და, მეორე

შემთხვევაში, ტყავის ქურთუკში გამოწყობილ ახალგაზრდა კაცს, რომელსაც ქურთუკსა და შარვალზე რკინის ჯაჭვები ჰკიდია. ვისი უფრო შეგვეშინდება? გამოკითხვებმა აჩვენა, რომ, უმეტეს შემთხვევაში, ეშინიათ ახალგაზრდა კაცის. რატომ მივიღეთ ასეთი შედეგი? სწორედ განზოგადების გამო. თითოეული შემთხვევა ჩავსვით გარკვეულ კატეგორიაში, ანუ მივმართეთ სტერეოტიპს.

არც ერთი დაპირისპირება, იქნება იგი ჯგუფებს თუ სახელმწიფოებს შორის, უეცრად არ იწყება. სანამ საზოგადოება კონფლიქტში ჩაებმება, გაივლის გარკვეული დრო, ჩამოყალიბდება დამოკიდებულება კონფლიქტის მიმართ, გაირკვევა პოზიციები, მოხდება ფაქტების კატეგორიზაცია და აქტუალური გახდება სტერეოტიპები. ამ უკანასკნელს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ კონფლიქტოლოგები. კონფლიქტში მყოფი მხარეების მიერ "დადებითი" და "უარყოფითი" სტერეოტიპებით ოპერირება დაპირისპირების გაღვივების ან ჩაქრობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იარაღია.

კატეგორიზაციისა და სტერეოტიპიზაციის კიდევ ერთ ეფექტს ილუზორული კორელაცია (კავშირი) ეწოდება. მისი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ვხედავთ ურთიერთკავშირს იქ, სადაც იგი, ჩვენი აზრით, უნდა იყოს, მაგრამ სინამდვილეში არ არის. მოვიყვანოთ ერთი მაგალითი.

სრულიად უცნობი ადამიანები შეიძლება გაერთიანდნენ ჯგუფებად სავსებით ტრივიალური და არალოგიკური კრიტერიუმით. ჩატარდა ჯგუფში გაერთიანების ორი, ჩვენი აზრით, ძალიან საინტერესო ექსპერიმენტი. ცდისპირები თვალს ადევნებდნენ ექსპერიმენტატორს, რომელიც ანაწილებდა მათ ჯგუფებში შემთხვევითი განაწილების პრინციპით, იმის მიხედვით, როგორ დავარდებოდა მონეტა. მეორე შემთხვევაში ცდისპირებს სთხოვდნენ, გამოეთქვათ აზრი მათთვის უცნობი მხატვრების რეპროდუქციებზე. შემდეგ მათ, ვითომდა მათივე გამოთქმული აზრის შესაბამისად, აკუთვნებდნენ ორ ჯგუფს: "კანდინსკის მოყვარულებს' და "კლეეს მოყვარულებს'. მიუხედავად იმისა, რომ ექსპერიმენტის დაწყებამდე ცდისპირები ერთმანეთს არ იცნობდნენ, ექსპერიმენტის განმავლობაში ერთმანეთთან არ ურთიერთობდნენ და არც მომავალში გეგმავდნენ ურთიერთობას, იქცეოდნენ ისე, თითქოს ადამიანები, ვისთან ერთადაც ჯგუფში აღმოჩნდნენ, ახლო ნათესავები ან მე-

გობრები ყოფილიყვნენ. ისინი თავიანთი ჯგუფის წევრებს ბევრად უფრო მაღალ შეფასებას აძლევდნენ, ვიდრე სხვა ჯგუფისას. ადვილი წარმოსადგენია, რა ხდება, როდესაც ჯგუფები ნაცნობი ადამიანებისგან შედგება. მსგავსი ტენდენციები შეიძლება დაედოს საფუძვლად რასობრივ და ეთნიკურ ცრურწმენებს.

სადაც უნდა აღმოცენდეს ილუზორული კორელაცია, იგი ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ითამაშებს ჩვენი თავდაპირველი სტერეოტიპის და რწმენის გამყარებაში. სტერეოტიპი ხშირად გვაიძულებს დავინახოთ ურთიერთკავშირი, რომელიც, თავის მხრივ, იქნება საბუთი თავდაპირველი სტერეოტიპის სისწორისა. სტერეოტიპების ასეთი ზეგავლენის გამო მეცნიერები ცდილობენ მოახდინონ კორეგირება ყალბი, გაქვავებული შეხედულებებისა და ამით აიცდინონ მოსალოდნელი უთანხმოება მცირე, თუ დიდ ჯგუფებს შორის. ამდენად, სტერეოტიპების ცოდნა და გათვალისწინება აუცილებელია მათთვის, ვინც ცდილობს თავიდან აიცილოს, ან შეარბილოს კონფლიქტი.

სტერეოტიპის გავლენის შემცირება, ჩარჩოდან გასვლა, მნიშვნელოვანია ადამიანის, ან რაიმე ფაქტის შეფასების დროს. სტერეოტიპის დაძლევა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ გაცნობიერდა, რომ ჩვენს შეფასებას, ან ქცევას სწორედ მისი ზეგავლენით ვახდენთ. ამაში მოგვეხმარება:

- სტერეოტიპის უარყოფითი ზეგავლენის საკუთარ თავზე გამოცდა;
- სტერეოტიპების დაძლევის უნარ-ჩვევების შემუშავება;

ამ მიზნის მიღწევა შეიძლება სათანადო სავარჯიშოების საშუალებით.

რელიგია და უარყოფითი წინასწარგანწყობა

"ნუ აპატიებ საკუთარ თავს და
მაშინ სხვებს ადვილად შეუნდობ"
თალმუდი

ხშირად, რელიგია მშვენივრად გამოყენებული ნიადაგია წინასწარგანწყობისა და სტერეოტიპების აღმოსაცენებლად. მას, ვინც სერიოზულად სარგებლობს სოციალური უთანასწორობით და თანაც აღიარებს, რომ "ყველა ადამიანი თანასწორადაა გაჩენილი", თავისი მომგებიანი მდგომარეობის გამართლება სჭირდება. რა შეიძლება იყოს უფრო მიმზიდველი, ვიდრე პოზიცია "არსებული მდგომარეობა ღვთის მიერ არის დაწესებული".

თითქმის ყველა ქვეყანაში ლიდერები ცდილობენ, მიიმხრონ და მოიხმონ ღვთის მსახურები არსებული რეჟიმების დაკანონებისა და გამართლებისათვის. ხიროსიმას დაბომბვიდან რამდენიმე წლის შემდეგ, ამერიკული საჰაერო ეკიპაჟის კაპელანი უილიამ ჯეიმსი, რომელმაც აკურთხა ეს ოპერაცია, თავის აღსარებაში წერდა: "ყველა საერო, რელიგიური და სამხედრო სტრუქტურა ცალსახად გვეუბნებოდა, იაპონელებს უნდა მიეზიღოთ და ეს სწორი იქნება, რადგან ღმერთი ჩვენს მხარეზეაო".

ფსიქოლოგებმა ალტემეიერმა და ჰანსბერგერმა შეისწავლეს ჩრდილოეთ ამერიკის მოსახლეობაში არსებული სტერეოტიპები და წინასწარგანწყობები. აღმოჩნდა, რომ რასობრივი ცრურწმენები მორწმუნეებში ჭარბობდა. ამასთანავე, ტრადიციული კონფესიის წარმომადგენლებს უარყოფითი წინასწარგანწყობა არატრადიციული კონფესიის წარმომადგენლებთან შედარებით მეტი ჰქონდათ. ეს მოვლენა მეცნიერებმა სწორედ იმით ახსნეს, რომ რელიგიას ხშირად იყენებენ სტერეოტიპებსა და წინასწარგანწყობებს უსამართლობის დასაკანონებლად. ძნელი სათქმელია, რელიგია განაპირობებს წინასწარგანწყობას, თუ პირიქით. ერთი რამ ცხადია: მათ შორის არსებობს გარკვეული ურთიერთმიმართება. თუ დავუშვებთ, რომ რელიგია ხელს უწყობს წინასწარგანწყობებს, მაშინ რელიგიურ ადამიანებს მეტი სტერეოტიპი და წინასწარგანწყობა უნდა ჰქონდეთ, მაგრამ კვლევებმა ეს არ დაადასტურა. აქვე გვინდა აღვნიშნოთ,

რომ მნიშვნელობა აქვს რელიგიისადმი დამოკიდებულებასაც. ვისთვისაც რელიგია უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ ცხოვრების წესი, მას სტერეოტიპიც ნაკლები აქვს. გარდა ამისა, ხშირად, სწორედ რელიგიური მოღვაწეები არიან სამოქალაქო უფლებების საუკეთესო დამცველები. მაშ რა ურთიერთობაა რელიგიასა და სტერეოტიპებს შორის? აძლიერებს თუ არა რელიგია სტერეოტიპებს? ფსიქოლოგ გორდონ ოლპორტის აზრით, "რელიგიის როლი პარადოქსულია. იგი ქმნის სტერეოტიპებსა და წინასწარგანწყობებს და, იმავდროულად, თვითონ არღვევს მათ".

დისკრიმინაცია

დისკრიმინაცია არატოლერანტული ქმედების ერთ-ერთი გამოვლინებაა. დისკრიმინაცია (ლათინურიდან discriminatio) სიტყვასიტყვით მხოლოდ განსხვავებას ნიშნავს, მაგრამ ამ ცნებას ბევრად უფრო დამძიმებული მნიშვნელობა აქვს და გულისხმობს ადამიანებსა და ადამიანთა ჯგუფებს შორის არსებული განსხვავებების საფუძველზე უსამართლო მოპყრობას, დევნას, გადასახლებას, რეპრესიებს, აკრძალვებს, ჩაგვრასა და ა.შ.

სამყარო მრავალფეროვანია, სავსეა სხვადასვა ეროვნების, ფერის, რასის, ჩაცმულობის და ტრადიციების ადამიანებით. მაგრამ იქმნება განსხვავებების საფუძველზე დისკრიმინაციული დამოკიდებულებების შექმნის საფრთხე.

დისკრიმინაცია თავისი არსით იგივეა, რაც არატოლერანტობა. ზოგიც დისკრიმინაციას განიხილავს, როგორც არატოლერანტობის ერთ-ერთ მთავარ შემადგენელ ნაწილს. ქვემოთ განხილულია "არატოლერანტობის პირამიდა', რომელიც ნათლად ასახავს დამოკიდებულებას სტერეოტიპებსა და წინაგანსჯებს, დისკრიმინაციასა და ძალადობას შორის. ძალადობამდე სტერეოტიპული აზროვნებით მივდივართ, თუ პრევენციულ ქმედებას არ ექნება ადგილი. აი, ტოლერანტობის სწავლების მიზანი: მოვახდინოთ აზროვნების მიმართულების კორექცია და ყველაზე დაბალ დონეზე ხელი შევუშალოთ შეუწყნარებლობის შემდგომ განვითარებას.

"არატოლერანტობის სიძულვილის" პირამიდა



ძალადობა შეუწყნარებლობის პირამიდის მწვერვალს წარმოადგენს. მასში იგულისმება ადამიანის მიმართ ფიზიკური ზიანის მიყენება. ძალადობის ზოგიერთი ფორმა სოციალურად და სამართლებრივად სანქცირებულია სახელმწიფოს მიერ ან დევს კულტურაში, მაშინ, როცა ძალადობის სხვა ფორმები დანაშაულად ითვლება.

ზოგადად, ძალადობის ოთხ ტიპს გამოყოფენ: ფიზიკური, კულტურული, სტრუქტურული და ფსიქოლოგიური. ძალადობის ის ფორმები, რომლებსაც ქვემოთ განვიხილავთ, ოთხივე ფორმის სინთეზს წარმოადგენს, მათ კაცობრიობის ისტორიაში მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს.

როგორც ვხედავთ, დისკრიმინაცია ამ პირამიდის შუაშია. რაც შესაძლოა ამგვარად ავხსნათ: არსებობს წინასწარი უარყოფითი განსჯები რაიმე ჯგუფის ან ადამიანის მიმართ, ჩვენ უკვე საფუძველი გვაქვს, განსხვავებულად მოვექცეთ მათ, შევუზღუდოთ ან ავუკრძალოთ ყველასათვის საერთო თავისუფლებებითა და უფლებებით სარგებლობა. ამ განსხვავებული მოპყრობიდან ერთი ნაბიჯია მათ მიმართ პირდაპირი ძალადობის გამოყენებამდე.

საინტერესოა, როგორ გარდაიქმნება წინასწარი განსჯა დისკრიმინაციად, ხოლო დისკრიმინაცია ძალადობრივ ქცევად. რა შეიძლება გაკეთდეს ამის თავიდან ასაცილებლად.

ყველაზე ხშირად დისკრიმინაციის საფუძველია რწმენა, რომ ჩვენგან განსხვავებული, ჩვენზე რაღაცით უარესია, რაც თითქოს ამართლებს მათდამი ნებისმიერ დამამცირებელ და მათი ადამიანური უფლებებისა და ღირსების შემლახავ დამოკიდებულებას. ამგვარ რწმენას "წინაგანსჯას" ვუწოდებთ.

წინაგანსჯა უარყოფითი განწყობაა გარკვეული სოციალური ჯგუფის წევრების მიმართ, გამომდინარე სწორედ იქიდან, რომ ისინი ამ ჯგუფს მიეკუთვნებიან. ფსიქოლოგიაში არსებობს მონაცემები, რომ რაც უფრო მეტი წინაგანსჯები აქვს ადამიანს სხვა ჯგუფის მიმართ, მით უფრო მეტ აგრესიასა და ძალადობას ავლენს.

რომელიმე სოციალური ჯგუფის მიმართ აგრესიის მოტივად შეიძლება იქცეს წარმოსახულ ინტერესთა კონფლიქტი. როდესაც ადამიანები ჩათვლიან, რომ მათი და სხვა ჯგუფის ინტერესები წინააღმდეგობრივია, ისინი იწყებენ სხვა ჯგუფის დეჰუმანიზაციას: ამჩნევენ ამ ადამიანებში მხოლოდ უარყოფით მხარეებს, არ თვლიან მათ პატივისცემისა და სიკეთის ღირსად. წარმოსახული კონფლიქტის დროს თავს ვარწმუნებთ, რომ "ისინი" სრულიად განსხვავებულ ღირებულებებს იზიარებენ და რომ ჩვენს შორის გადაულახავი ზღვარია.

დისკრიმინაცია ხშირად გამართლებულია იმით, რომ რომელიმე ჯგუფს თითქოს მართლაც მიუძღვის ბრალი საზოგადოების ყველა "უბედურებაში". ამიტომ ამგვარი ჯგუფისგან ქმნიან "განტევების ვაცს" და ადანაშაულებენ მას ყველა შესაძლო მანკიერებაში. გავიხსენოთ "კუდიანებზე ნადირობა" შუა საუკუნეების ევროპაში, ან ებრაელთა დევნა ნაცისტურ გერმანიაში. ამ მოვლენების საფუძველი ის რწმენა იყო, რომ უამინდობა, ცუდი მოსავალი, სიკვდილიანობა, ეკონომიკური კრიზისი, ომებში დამარცხება სწორედ, იმ ადამიანების ბრალი იყო. ყველამ ვიცით, რომ ამგვარ ბრალდებებს დისკრიმინაციის უმძიმესი გამოვლინებები – დევნა, განადგურება, წამება, გენოციდი – მოჰყვა.

სხვადასხვა დროს და სხვადასხვა საზოგადოებებში დისკრიმინაციის მსხვერპლი მრავალი ადამიანი და ადამიანთა ჯგუფი ხდებოდა: ბოშები, ფიზიკური ნაკლის მქონე ადამიანები, წითურები, შავკანიანები, რელიგიური სექტების წევრები, "უცხოტომელები" და ა.შ.

არსებობს დისკრიმინაციის ამგვარი გამოვლენაც. ზოგჯერ დისკრიმინირებული ადამიანისა და/ან ჯგუფის მიმართ იყენებენ ოსტრაკიზმს, ანუ ხდება მათი სრული იგნორირება, თითქოს "სხვა" (დისკრიმინირებული ჯგუფი) სულაც არ არსებობდეს, არ ელაპარაკები, არ აღიარებ მას, ან მის კულტურას.

როგორი ფორმითაც უნდა ვლინდებოდეს დისკრიმინაცია, იგი მის მსხვერპლში უმძიმეს გრძნობებს/განცდებს იწვევს: გარიყულობა, დათრგუნულობა, დაბალი თვითშეფასება, შესაძლებლობების დაქვეითება, დეგრადაცია, შიში, შფოთვა, ღირსების შელახვა, შეურაცხყოფილად ყოფნა, დაგროვილი აგრესია, შურისძიების სურვილი – ეს დისკრიმინირებული ადამიანის, ან ადამიანთა ჯგუფის გრძნობების/განცდების არასრული სპექტრია.

1968 წელს ამერიკელმა პედაგოგმა და მწერალმა ჯეინ ელიოტმა არაჩვეულებრივად უჩვენა თავის ექსპერიმენტში, თუ როგორ შეიძლება გადაიქცეს განსხვავებულობა დისკრიმინაციის საშუალებად და რა მოჰყვება მას შედეგად.

მან ერთი კლასის 7-8 წლის ბავშვები დაყო პრინციპით: "ცისფერთვალებები" და "თაფლისფერთვალებები". ექსპერიმენტის დასაწყისში მან გამოაცხადა, რომ ცისფერთვალებიანი ბავშვები განსაკუთებული ხალხია, ისინი უფრო გონიერები და წესიერები არიან, ამიტომ მათ უფლება აქვთ, პირველებმა უპასუხონ შეკითხვას, უფრო ადრე მიიღონ საუზმე. მათი ყველა საქციელი კარგია, იმიტომ რომ ისინი ცისფერთვალებები არიან. თაფლისფერთვალებები ზარმაცები არიან, ისინი სწორ პასუხებს ვერ იძლევიან, მათ არაფერი გამოსდით. თაფლისფერთვალებებს განსხვავებული ფერის ყელსახვევები გაუკეთა.

ცოტა ხანში ცისფერთვალებიანებმა დაიწყეს თაფლიფერთვალებიანების დისკრიმინაცია. მათი ჯგუფი შეიკრა და ერთობლივად შეუდგა სხვების ჩაგვრას. "თაფლისფერთვალებიანებმა" თავი გარიყულებად და უბედურებად იგრძნეს.

მეორე დღეს ელიოტმა შეცვლა სცენარი: ახლა თაფლისფერთვალებები გამოაცხადა საუკეთესოებად.... ყველაფერი განმეორდა, ოღონდ პირიქით.

ელიოტმა ექსპერიმენტი მოზრდილებთან გაიმეორა. 40 პროფესიონალს მან წარუდგინა ცრუ მეცნიერული მონაცემები "ცისფერ-

თვალება” ადამიანების არასრულფასოვნების შესახებ, რაც მიუთითებდა მათი ინტელექტის შეფასების ტესტის დაბალ შედეგებზე. მან განახორციელა აშკარა დისკრიმინაცია. რამდენიმე ხნის შემდეგ ცისფერთვალება მონაწილეებს დაეტყოთ დეპრესიული და დათრგუნული გუნება-განწყობილება, ისინი ვერ პასუხობდნენ უმარტივეს დავალებებზეც კი.

ელიოტის ექსპერიმენტი გვიჩვენებს, რომ კანონისმიერი დისკრიმინაციის გარეშეც კი სიძულვილის ენა, დაბალი მოლოდინები და უარმყოფელი ქცევა დამრთგუნველ ზეგავლენას ახდენს უმცირესობის მიღწევებზე.

დისკრიმინაციის მოვლენების განხილვისას აუცილებლად მივალთ ძალაუფლების პრობლემამდე. საინტერესოა ვიცოდეთ, თუ ვინ ფლობს მეტ ძალაუფლებას მოცემულ სიტუაციაში, რადგან ის, ვინც ფლობს, აწესებს სტანდარტებს იმის შესახებ, თუ რა ჩაითვალოს სწორად, უკეთესად ან სამაგალითოდ ძალაუფლების მატარებლები “სისწორისა“ და “სიკარგის” კრიტერიუმად საკუთარ ჯგუფს მიიჩნევენ.

ვის ხელშია ძალაუფლება? რა თქმა უნდა საზოგადოების დომინანტური ჯგუფის ხელში. სხვადასხვა საზოგადოებაში დომინანტური ჯგუფი სხვადასხვაა. ისინი, როგორც წესი, არიან: მამაკაცები, საშუალო და მაღალი კლასის წარმომადგენლები, საზოგადოების ეროვნული/ეთნიკური (ან რასობრივი), დომინანტური რელიგიის წარმომადგენელი ჯგუფი, ის ვის ხელშიც იარაღია.

დომინანტური ჯგუფი აწესებს სტანდარტებს, თავისი პერსპექტივიდან აფასებს მოვლენებს, დაწმუნებულია თავის უპირატესობაში და აკონტროლებს და ახორციელებს თავისივე შექმნილ კანონებს, სჯის ან წაახალისებს, მდიდრდება და ძლიერდება.

საინტერესოა, როგორ იქცევიან დომინანტური და მათდამი დაქვემდებარებული ჯგუფის წევრები. სოციალურმა მეცნიერებამ დაადგინა, რომ:

დომინანტური ჯგუფის წევრები

- თვლიან, რომ თითოეულს განსაკუთრებული ინდივიდუალობა აქვს;
- საკუთარ თავს ნორმად აღიქვამენ;

- დაწმუნებული არიან საკუთარ უპირატესობაში;
- დაქვემდებარებული ჯგუფის "კარგ" წევრს აღიქვამენ, როგორც ამ ჯგუფიდან გამონაკლისს;
- მოითხოვენ, რომ მათი ჯგუფის წევრებს არ ჰქონდეთ ძალიან ახლო ურთიერთობა სუბორდინირებულთან;
- დისკრიმინაციის შემთხვევებს აფასებენ, როგორც სხვათა ინდივიდუალურ ქმედებას და არა კანონზომიერებას;
- ფოკუსირებულები არიან უფრო მიზანზე, ვიდრე შედეგზე.

დაქვემდებარებული ანუ სუბორდინირებული ჯგუფის (ჯგუფების) წევრებს ამის სრულიად საწინააღმდეგო, მახასიათებლები უყალიბდებათ.

სუბორდინირებული ჯგუფის წევრებმა:

- იციან, რომ განსაზღვრულ ჯგუფს მიეკუთვნებიან, მათ ახასიათებთ ჯგუფად ყოფნის განცდა;
- საკუთარ თავს აუტსაიდერებად და განსხვავებულებად აღიქვამენ;
- იზიარებენ დომინანტური ჯგუფის შეხედულებებს საკუთარი ჯგუფის ნაკლოვანებების შესახებ;
- ბაძავენ დომინანტური ჯგუფის წევრებს;
- პირდაპირ ვერ პასუხობენ მათ მიმართ უარყოფით მოპყრობას;
- უვითარდებათ დომინანტური ჯგუფის მასიამოვნებელი, დამაკმაყოფილებელი თვისებები;
- მიმართული არიან უფრო შედეგზე, ვიდრე მიზანზე.

როდესაც საზოგადოებაში ასეთი დისპროპორციაა, კანონებით, ადამიანის უფლებებითა და თავისუფლებებით ერთნაირად ვერ სარგებლობს ყველა ადამიანი. ისინი განსხვავებულ "სასტარტო პირობებში" იმყოფებიან. ამ დროს შეიძლება განხორციელდეს, როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი დისკრიმინაცია.

ქსენოფობია

ქსენოფობია (ბერძნ. ξενοφοβία – „უცხოს შიში“, – ξένος ქსენოს – „უცხო“ და φόβος ფობოს – „შიში“) ნიშნავს უცხოს ან უჩვეულოს მიმართ შიშს. ტერმინი ხშირად გამოიყენება უცხოელთა ან განსხვავებულ ადამიანთა მიმართ შიშის ან სიძულვილის მინიშნებად. მაგ. რასიზმი ხშირად ქსენოფობიის ერთ-ერთ ფორმად განიხილება. ქსენოფობია ემყარება რწმენას, ცრუს ან ნამდვილს, რომ განხილვის სუბიექტი (ან ობიექტი) რაღაცით უცხოა.

ტერმინ ქსენოფობიას ორი მნიშვნელობა აქვს: 1. მტრობის გაძლიერებული განცდა, ან აკვიატებული შიში უცნობი ადამიანების მიმართ; 2. მტრული დამოკიდებულება ყველაფერი უცხოს, თუ სხვა ეთნიკური წარმომავლობის მქონე ადამიანთა მიმართ, რაც ხშირად ვლინდება ყოველგვარი უცხოს – ენის, ცხოვრების წესის, აზროვნების სტილისა და ა.შ. მიუღებლობაში.

ქსენოფობია განსხვავდება შოვინიზმისგან ფრანგულ ენაში ან ჯინგოიზმისგან, რომლებიც, თავის მხრივ, პატრიოტიზმის ჰიპერტროფირებულ გრძნობას ან მომატებულ ნაციონალურ თვითშეფასებას აღნიშნავს. ქსენოფობია ყოველთვის არსებობდა ცალკეულ ჯგუფებსა თუ მთლიანად საზოგადოებაში.

ქსენოფობიის ელემენტები უფრო ისეთ საზოგადოებებში შეიმჩნევა, სადაც ირღვევა ტრადიციული სტრუქტურები, მაგალითად, 1918 წლის შემდგომ გერმანიაში ან აღმოსავლეთ ევროპაში 1990-იანი წლებიდან, როდესაც დაიშალა კომუნისტური სისტემა. გამოიკვლიეს, რომ უფრო ხშირად ქსენოფობია მიმართულია ებრაელებისა და ემიგრანტების მიმართ.

ქსენოფობიაში ფობიის ორი ობიექტია. პირველია საზოგადოებაში მოსახლეობის გარკვეული ჯგუფი, რომელიც ამ საზოგადოების წევრად არ მიიჩნევა. ხშირად ესენი არიან ახალი იმიგრანტები, თუმცა, ქსენოფობია შეიძლება მიმართული იყოს ამ საზოგადოებაში საუკუნეების განმავლობაში არსებული ჯგუფის წინააღმდეგაც. ამ ფორმის ქსენოფობია შეიძლება მიზეზი გახდეს ისეთი ძალადობრივი რეაქციებისა, როგორიცაა იმიგრანტთა მასობრივი დევნა, ან უარეს შემთხვევაში, გენოციდი.

ქსენოფობიის მეორე ფორმა, ძირითადად, კულტურულ განსხვავებებს ეყრდნობა და ფობიის ობიექტი კულტურული ელემენტებია, რომელიც საზოგადოების მიმართ უცხოდ მიიჩნევა. ყველა კულტურა გარე სამყაროს ზეგავლენის ქვეშ იმყოფება, თუმცა კულტურული ქსენოფობია, ხშირად, სპეციფიურია, მაგ. უცხო სიტყვათა სესხება ეროვნულ ენაში. ის იშვიათად იწვევს ადამიანთა წინააღმდეგ აგრესიას, თუმცა შეიძლება საფუძველი გახდეს პოლიტიკური კამპანიებისა კულტურული და ლინგვისური სიწმინდის დაცვისთვის.

შოვინიზმი (ფრანგ. chauvinisme, სიტყვის წარმოშობა უკავშირდება ნიკოლა შოვენს. გადმოცემით იგი იყო ნაპოლეონის არმიის ჯარისკაცი, რომელიც შეუპოვარი ფრანგული პატრიოტიზმით გამოირჩეოდა. შოვენის არსებობა დოკუმენტურად დადასტურებული არ არის. იგი გახდა ფრანგული კომედიის La Cocarde Tricolore (1831) გმირი, რომლის შემდეგაც გაჩნდა ტერმინი შოვინიზმი) – სხვა ერების სიძულვილი, გადამეტებულ ნაციონალიზმი, რომელიც ქადაგებს ეროვნულ განსაკუთრებულობას. უფრო ზოგადად, შოვინიზმი შეიძლება აღნიშნავდეს რაიმე ჯგუფისადმი კუთვნილების ძლიერ გრძნობას, განსაკუთრებით მაშინ როდესაც ეს გულისხმობს სხვა ჯგუფების სიძულვილს (ეროვნული, რასობრივი ან რელიგიური ნიშნით განსხვავებული ჯგუფების სიძულვილს).

ჰომოფობია (ბერძნ. ὁμοφοβία – ὁμοιος ჰომოიოს – „იგივე“, „ტოლი“ და φόβος ფობოს – „შიში“)

– ტერმინი ნიშნავს შიშს, განდგომას, ან დისკრიმინაციას ჰომოსექსუალობისა და ჰომოსექსუალთა მიმართ. გამომდინარეობს სიტყვებისგან ჰომოსექსუალი და ფობია. ტერმინი ჰომოფობია თანამედროვე მნიშვნელობით პირველად ბეჭდვით სიტყვაში გამოყენებული იყო ჟურნალ თაიმში 1969 წელს. სიტყვის შემქმნელად შეიძლება ვიგულისხმოთ ფსიქოლოგი ჯორჯ ვაინბერგი, რომელმაც ამ სიტყვას პოპულარიზაცია საკუთარ წიგნში „საზოგადოება და ჯანსაღი ჰომოსექსუალი“ გაუკეთა 1971 წელს.

რასიზმი

რასიზმი არის რეაქციული იდეოლოგია, რომელიც დაფუძნებულია ადამიანთა რასის ვითომდა ბუნებრივ, ბიოლოგიურ, წინასწარგანსაზღვრულ არაერთფასოვნებასა და მათ დაყოფაზე "მაღალ-დაბალ", "სრულფასოვან-არასრულფასოვან" რასებად, რაც ერთი რასის მეორეზე ბატონობის საფუძველს იძლევა. რასებს შორის ბიოლოგიური განსხვავებები პრაქტიკულად არ არსებობს. ტერმინი "რასიზმი" ასევე გამოიყენება, რათა აღიწეროს შეურაცხმყოფელი ან აგრესიული დამოკიდებულება "უცხო რასის" წარმომადგენელთა მიმართ. რასიზმის ისტორიული ძირები ჯერ კიდევ უძველესი დროიდან მოდის. მოგვიანებით იგი ფართოდ გამოიყენებოდა კოლონიზატორების მიერ. მაგრამ რასიზმის თეორია მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა (ჟ. გობინო, "ესე ადამიანთა რასების უთანასწორობის შესახებ", 1884, ჰ. ჩემბერლენი, "მეცხრამეტე ასწლეულის საფუძვლები," 1889). მაგალითად, გობინო თვლიდა, რომ მხოლოდ არიელებს ახასიათებთ სულიერება და თავისუფლების სიყვარული მაშინ, როცა "შავი" რასა არ გამოირჩევა ინტელექტით, ხოლო ყვითელკანიანები მოკლებულნი არიან წარმოსახვის უნარს და მატერიალისტები არიან.

რასიზმის თანახმად, რასები თანაბარნი არ არიან და სწორედ ეს მოქმედებს ადამიანთა ხასიათსა და ქცევაზე, კულტურაზე, მთლიან სოციალურ ცხოვრებაზე; უპირველეს ყოვლისა, რასობრივი სხვაობა განაპირობებს შესაბამისი რასის წარმომადგენლების ინტელექტუალურ მონაცემებსა და შემოქმედებით შესაძლებლობებს; აღნიშნულით არის განპირობებული, აგრეთვე, რასების და ხალხების იერარქიული დაყოფა, რომელიც საზოგადოების განვითარების უცვლელ, მუდმივ კანონს წარმოადგენს. რასების აღრევა უარყოფითად მოქმედებს სოციალურ-კულტურულ პროცესებზე და ცივილიზებული საზოგადოება შეიძლება კატასტროფამდე მიიყვანოს.

რასიზმი ფაშისტური გერმანიისა და ნაციონალ-სოციალიზმის ოფიციალური იდეოლოგია და თეორია იყო. შემდგომ პერიოდშიც მრავალი ევროპული ქვეყანა ატარებდა პოსტიმპერიულ რასობრივ პოლიტიკას, რის შედეგადაც მათი ყოფილი კოლონიებიდან მოხდა მოსახლეობის მიგრაცია: ინდონეზიიდან და სურინამიდან – ჰო-

ლანდიაში, ჩრდილო და დასავლეთ აფრიკიდან – საფრანგეთში, აზიიდან და ვესტ-ინდოეთიდან – ინგლისში, ცენტრალური აფრიკიდან – ბელგიაში. 1970 წლისთვის ასეთი უმცირესობები ამ ქვეყნების მოსახლეობის 55% შეადგენდნენ. ამ ფაქტმა, თავის მხრივ, გამოიწვია რასისტული განწყობა თეთრი მოსახლეობის გარკვეული ჯგუფების მხრიდან. მსოფლიო თანამეგობრობა, გაერო რასიზმს, როგორც ადამიანის უფლებების საყოველთაო და უხეშ დარღვევას, მკაცრად კიცხავს და ყველა ადამიანისგან მის აღმოსაფხვრელად ბრძოლას მოითხოვს (1948 წლის ადამიანთა უფლებების საყოველთაო დეკლარაცია, 1963 წლის დეკლარაცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, 1978 წლის დეკლარაცია რასისა და რასობრივი გადმონაშთების შესახებ, 1995 წლის საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ და სხვ.). სამწუხაროდ, რასობრივი დისკრიმინაციის პოლიტიკა სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა რასიზმის, როგორც ინტელექტუალური საფუძვლის მქონე თეორიის, სცენიდან ჩამოსვლის შემდეგაც.

ანტისემიტიზმი

ქსენოფობიის ერთ-ერთი ფორმაა ანტისემიტიზმი (anti-Semitism) და სიტყვასიტყვით ებრაელი მოსახლეობის დევნასა და დისკრიმინაციას გულისხმობს. პირველად ეს ტერმინი 1870-იან წლებში იქნა გამოყენებული. ამ ტერმინის შემოღებას ერთნი გერმანელ ჰერმან მარს, ხოლო მეორენი – ფრანგ ერნესტ რენანის სახელს უკავშირებენ. გარკვეულწილად ეს ტერმინი არაზუსტი იყო თავიდანვე, რადგანაც იმ დროის რასისტული თეორიის მიმდევრები "სემიტებს" არაევროპული ნაციონალობების დიდი ჯგუფის წარმომადგენლებს, ანუ არაბებს უწოდებდნენ მაშინ, როდესაც ანტისემიტიზმი ანტიებრაულ რასიზმს გულისხმობს.

ებრაელთა დევნის საკითხი ისეთივე ძველია, როგორც თავად "დიასპორა" – ებრაელთა განსახლება ევროპასა და ხმელთაშუაზღვისპირეთში ძვ.წ.-აღ-ის 79 წელს, რომაელთა მიერ პალესტინიდან მათი დევნის შემდეგ.

ანტისემიტიზმი განსხვავდება რასიზმის სხვა მრავალი ფორმისაგან, რომლებიც ქადაგებენ ზოგიერთი რასის არასრულფასოვნებას (განსაკუთრებით, აფრიკული წარმოშობის). ასეთი დოქტრინები, ჩვეულებრივ, აღიარებენ რასობრივი ჰარმონიის შესაძლებლობას, ოღონდ იმ პირობით, რომ არასრულფასოვანი რასა მისთვის განკუთვნილ სოციალურად უფრო დაბალ საფეხურზე დარჩება.

ანტისემიტიზმი ებრაელებს ადანაშაულებს არაებრაელთა ინტერესებისადმი მტრულ დამოკიდებულებაში. იგი ფართოდ იყო გავრცელებული ევროპაში, განსაკუთრებით, საფრანგეთში, ავსტრიასა და გერმანიაში. საფრანგეთში არსებობდა ანტისემიტური ლიგა, ხოლო გერმანიაში ანტისემიტურ იდეებს ავითარებდა წარმოშობით ინგლისელი სოციოლოგი ჰიუსტონ სტიუარდ ჩემბერლენი. ებრაელებს მრავალ უარყოფით თვისებას მიაწერდნენ – ბიოლოგიური დეგენერაციიდან პარაზიტულობამდე და ასევე შეთქმულებას მთელი მსოფლიოს დაპყრობის მიზნით. ანტისემიტიზმის მომხრეები თვლიან, რომ ებრაელები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან სხვა ადამიანებისგან და რომ მათ სურთ მართონ მსოფლიო, ხოლო ამ მიზნის მიღწევას საერთაშორისო შეთქმულებით ცდილობენ.

შუა საუკუნეებში ებრაელები საზოგადოების მარგინალურ ფენას წარმოადგენდნენ. ძირითადად, ქალაქებში მათთვის სპეციალურად განკუთვნილ კვარტალებში, ქრისტიანთაგან გამოყოფილად – გეტოში ცხოვრობდნენ. ამ პერიოდში ხშირი იყო მათი დარბევისა და დევნის ფაქტები. პირველი დარბევები დაახლ. 1000 წელს განხორციელდა, ანტისემიტიზმი განსაკუთრებით გაძლიერდა ჯვაროსნული ლაშქრობების დროს. XIII საუკუნეში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ებრაელებს სპეციალური ნიშნები ეტარებინათ (1215 წელი, IV ლატერანის კრება) მათი დაბალი სოციალური სტატუსის გამოვლინებისთვის. გაჭირვებისა და ეპიდემიების დროს ებრაელები "განტევების ვაცებად" იქცეოდნენ ხოლმე; მაგალითად, XIV საუკუნეში შავი ჭირის ეპიდემიის დროს მათ ადანაშაულებდნენ ჭების მოწამლვაში.

თავის აპოგეას ანტისემიტიზმმა ჰიტლერისა და მისი მოკავშირეების ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში და, შესაბამისად, სუფთა რასის შესახებ ნაცისტური იდეოლოგიის გაჩენასთან ერთად მიაღწია. ანტისემიტიზმი სახელმწიფო პოლიტიკის რანგში

იქნა აყვანილი, ხოლო "ებრაული საკითხის საბოლოო გადაწყვეტა" გამოიხატა დაახლოებით 6 მილიონი ებრაელის ფიზიკურ განადგურებაში. ნაციზმის უკიდურესმა ექსტრემიზმმა ჰიტლერის დამარცხების შემდეგ ანტისემიტიზმის წინააღმდეგ მძლავრი მოძრაობა წარმოშვა. კომუნიზმის დაცემისა და გერმანიის გაერთიანების შემდეგ, 1989-91 წლებში ანტისემიტიზმი კვლავ გამოცოცხლდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. ამ დროისათვის აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ებრაელთა რაოდენობა შემცირდა. ამიტომ ამ ფენომენმა ახალი სახელი მიიღო – "ანტისემიტიზმი ებრაელების გარეშე".

ეთნოცენტრიზმი

ეთნოცენტრიზმი ბერძნული სიტყვაა და მასში ერთი რომელიმე ერის სხვებზე აღმატებულობის განცდა მოიაზრება. მსოფლიოში თითქმის ყველა კულტურა, რამდენად პარადოქსულად ან ირონიულად არ უნდა ჟღერდეს, ამ ელემენტის მატარებელია. ჩვენი აზრები და მსოფლმხედველობა, ხშირად, საკუთარი ცხოვრების სტილით შემოიფარგლება, საკუთარი კულტურის გარშემო მოძრაობს. ეთნოცენტრიზმი ვლინდება თითოეული ხალხის მითებში, ზღაპრებში, ანდაზებში. ენა კი, ყველაზე ნათლად ასახავს განსხვავებას "ჩვენსა" და "სხვებს" შორის. კულტურა თვითმყოფადობის მთავრი ელემენტია, კულტურა, ხშირად, დაუნდობელია "სხვა კულტურების" მიმართ. ეთნოცენტრიზმის ცნებას რამდენიმე განზომილება აქვს: ანთროპოლოგიური, პოლიტიკური და სოციოლოგიური. ცნება წარმოშობას ანთროპოლოგებს უნდა უმადლოდეს. ამ ტერმინით ანთროპოლოგები ხსნიან ჩვენი ქცევის თავისებურებას, ჩვენს კულტურულ მიდგომებს. პოლიტიკური მეცნიერება ნაციონალიზმს ეთნოცენტრიზმის გამოყენებით ხსნის. პოლიტიკოსები კი, სხვა ერებსა თუ ეთნიკურ ჯგუფებს ეთნოცენტრისტებს უწოდებენ, თუ სურთ ხაზი გაუსვან მათ მიერ კულტურული თვითმყოფადობის გამოვლენის მცდელობას. ამ შემთხვევაში, ეთნოცენტრიზმი იარლიყად იქცევა და გარკვეულ პოლიტიკურ ქცევაზე მიუთითებს.

მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულში ეთნოცენტრმის მრავალი ფორმა გამოვლინდა და, სწორედ, ეთნოცენტრიზმი იქცა მრავა-

ლი კონფლიქტისა და შეიარაღებული დაპირისპირების მიზეზად. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ეთნოცენტრიზმი ორ ფრონტზე მძინვარებდა. ერთი მხრივ, ნაცისტები გერმანელი ხალხის უზენაესობის იდეას ავრცელებდნენ, ხოლო მეორე მხრივ, იაპონელები აღმოსავლეთ აზიის ბატონებად მიიჩნევდნენ თავს.

ეთნოცენტრიზმი მრავალი შეიარაღებული კონფლიქტის მიზეზად იქცა მეოცე საუკუნის ბოლოს მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური ძვრების პერიოდში (ცივი ომის დასარული): იუგოსლავიის კონფლიქტები, კავკასიის კონფლიქტები და ა.შ.

ნაციონალიზმი

ნაციონალიზმი არის იდეოლოგია, რომელიც ქმნის და ავითარებს ერის, როგორც მოცემული ადამიანების ჯგუფის, საერთო იდენტობის კონცეფციას. ნაციონალიზმის თეორიების მიხედვით, ნაციონალიზმის ფუნდამენტური ფასეულობებია ერის შენარჩუნება, ერის, როგორც სუბიექტის თავისუფლება, კეთილდღეობა და წარმატება.

ნაციონალისტებისთვის მნიშვნელოვან როლს თამაშობს პოლიტიკური ლეგიტიმურობა. პოლიტიკურ ლეგიტიმურობას, შესაძლოა, საფუძვლად ედოს ერის კულტურული იდენტობის და ერთობის რომანტიკული თეორია, რომლის მიხედვით, ადამიანები ერთიანდებიან ჯგუფში იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ისინი "გრძნობენ" თავის კულტურულ განსაკუთრებულობას სხვა ადამიანებთან/ჯგუფებთან მიმართებაში. პოლიტიკური ლეგიტიმურობის ლიბერალური არგუმენტი მდგომარეობს მოცემულ ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანების თანხმობაში, დაარსონ ნაცია/ერი პრაგმატული და რეალისტური მოსაზრებებიდან გამომდინარე. ხშირ შემთხვევაში, პოლიტიკური ლეგიტიმურობა დაფუძნებულია როგორც რომანტიკულ, ასვეე ლიბერალურ ნაციონალიზმზე.

ნაციონალიზმის ფორმები:

სამოქალქო ნაციონალიზმი (civil nationalizm). ნაციონალიზმის ამ ფორმის მიხედვით, პოლიტიკური ლეგიტიმურობა გამომდინარეობს მოქალაქეების აქტიური ნებიდან და აქტიური მონაწილეობიდან ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. თეორია ეკუთვნის ჟან ჟაკ რუ-

სოს, რომელიც თავის ნაშრომში "სოციალური კონტრაქტის შესახებ" ავითარებს "ხალხის ნების" და "პოლიტიკური წარმომადგენლობის" ცნებებს. სამოქალაქო ნაციონალიზმი გამომდინარეობს რაციონალიზმის და ლიბერალიზმის ტრადიციებიდან. აღნიშნულ თეორიაზე დაფუძნებული წარმომადგენლობითი დემოკრატიის თვალსაჩინო მაგალითია ამერიკის შეერთებული შტატები და საფრანგეთი.

ეთნიკური ნაციონალიზმი წარმოადგენს ნაციონალიზმის ერთ-ერთ ფორმას. ეთნიკური ნაციონალიზმის შემთხვევაში, სახელმწიფოს პოლიტიკური ლეგიტიმურობა გამომდინარეობს მისი ისტორიულ-კულტურული და ეთნიკური მემკვიდრეობიდან. რომანტიკული ნაცინალიზმი (იგივე ორგანული ნაციონალიზმი და იდენტურობის ნაციონალიზმი) წარმოადგენს ეთნიკური ნაციონალიზმის ფორმას, რომლის მიხედვით, რასა არის ერის ის უმთავრესი კომპონენტი, რომლიდანაც ბუნებრივად (და ორგანულად) გამომდინარეობს სახელმწიფოს პოლიტიკური ლეგიტიმურობა. განმანათლებლობის პერიოდში, რომანტიკული ნაციონალიზმი უპირისპირდებოდა რაციონალიზმს. ფოლკლორი განვითარდა რომანტიკული ნაციონალიზმის საფუძველზე. ძმები გრიმების ცნობილი ზღაპრები სწორედ ჰერდერის რომანტიკული ნაციონალიზმით არის გაჯერებული.

კულტურული ნაციონალიზმი არის ნაციონალიზმის ერთ-ერთი ფორმა, რომლის მიხედვით მხოლოდ კუტლურა და არა მემკვიდრეობითი თვისებები (მაგ: კანის ფერი) წარმოადგენს ერის იდენტურობის ცენტრალურ კომპონენტს. კულტურული ნაციონალიზმის თვალსაჩინო მაგალითია ჩინეთი. ჩინელებისთვის, მათ ქვეყანაში მცხოვრები ეთნიკურად თუ ლინგვისტურად განსხვავებული 56 ჯგუფი აღიქმება როგორც ჩინური კულტურის განუყოფელი ნაწილი.

სახელმწიფო ნაციონალიზმი სამოქალაქო ნაციონალიზმის ერთ-ერთ ნაირსახეობას წარმოადგენს. ხშირ შემთხვევაში, სახელმწიფო ნაციონალიზმი ეთნიკურ ნაციონალიზმთან არის გადაჯაჭვული. ნაციონალისტური გრძნობები, ხშირად, იმდენად ძლიერია, რომ ისინი პრიორიტეტულ ადგილს იკავებენ უნივერსალურ უფლებებთან და თავისუფლებებთან მიმართებაში. აქედან გამომდინარე, ნაციონალისტური სახელმწიფოს წარმატებული მოღვაწეობა, ხშირად, დემოკრატიულ პრინციპებს ეწინააღმდეგება. სახელმწიფო ნაციონალისტებისთვის მთავარ არგუმენტს ეროვნული სახელმწი-

ფოს შენარჩუნება წარმოადგენს. სახელმწიფო ნაციონალიზმის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი ნაცისტური გერმანია იყო, მაგრამ სახელმწიფო ნაციონალიზმის მრავალი სხვა მაგალითიც არსებობს.

რელიგიური ნაციონალიზმი წარმოადგენს ნაციონალიზმის ერთ-ერთ ფორმას. რელიგიური ნაციონალიზმის შემთხვევაში, სახელმწიფოს პოლიტიკური ლეგიტიმურობა გამომდინარეობს ერთიანი რელიგიიდან. აღსანიშნავია, რომ ეთნიკური ნაციონალიზმი თითქმის ყოველთვის უკავშირდება რელიგიურ ნაციონალიზმს. მაგალითად, ირლანდიელების ნაციონალიზმი კათოლიკურ რწმენაზეა დაფუძნებული, ხოლო ინდური ნაციონალიზმი – ჰინდუიზმზე. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ რელიგიური ნაციონალიზმი ითვლება ეთნიკური ნაციონალიზმის ნაირსახეობად, თუმცა არსებობს "სუფთა" რელიგიური ნაციონალიზმის მაგალითებიც. ნომინალურად, ისლამი ეწინააღმდეგება ისეთ ცნებებს, როგორიც არის ნაციონალიზმი, რასიზმი ან ადამიანების კატეგორიებად დაყოფის სხვა ფორმა (რომელიც არ გამომდინარეობს ადამიანის რწმენიდან).

სიძულვილის ენა

სიძულვილის ენა წარმოადგენს ენას, რომელიც შეიძლება გამოხატული იყოს ზპირსიტყვიერად, წერილობით, ჟესტიკულაციითა თუ გამოსახვის სხვა საშუალებით, რომელიც შეიცავს დისკრიმინაციულ, ძალადობრივ შინაარსს ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის წინააღმდეგ, მათი რასობრივი, გენდერული, ეთნიკური, ნაციონალური, რელიგიური, სექსუალური ორიენტაციისა თუ სხვა ნიშნის გამო.

სხვადასხვა ქვეყანაში სიძულვილის ენა რეგულირდება სამოქალაქო, სისხლის სამართლის, ან ორივე კოდექსის მიხედვით.

სიძულვილის ენა ადამიანზე, ან ადამიანთა ჯგუფზე სიტყვიერი თავდასხმაა, რაც შეურაცხყოფისა და დისკრიმინაციისკენ არის მიმართული.

სიძულვილის ენის სამართლებრივი დეფინიცია საკანონმდებლო აქტებსა და საერთაშორისო ხელშეკრულებებში არ არსებობს. ეს ტერმინი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაჩნდა, როცა 1966 წელს მიიღეს კონვენცია "რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის

აღმოფხვრის შესახებ", სადაც პირდაპირ მოუწოდებდნენ მონაწილე სახელმწიფოებს, რომ სიძულვილის ენა, ანუ რასობრივ უპირატესობებზე დაფუძნებული იდეები, მოსაზრებები, ასევე ამ მოტივით ძალადობის წაქეზება კანონით დასჯადად გამოეცხადებინათ.

სიძულვილის ენისადმი თანამედროვე მსოფლიოში ორგვარი მიდგომა არსებობს – ამერიკული და ევროპული.

- ევროპული მიდგომა საერთოდ არ მოიაზრებს სიძულვილის ენის გამოყენებით გამოხატვის თავისუფლებას. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი, რომელიც ითვალისწინებს გამოხატვის თავისუფლებას, არ იცავს სიძულვილის ენას და ეს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსაც არაერთხელ განუცხადებია. ევროპული სტანდარტი ამბობს, რომ სიძულვილის ენა საერთოდ არ არის გამოხატვის თავისუფლებით დაცული, და ის უნდა აიკრძალოს.
- ამერიკის კონსტიტუციის პირველი შესწორების და მისი შესაბამისი პრეცედენტული სამართლის მიხედვით, გამოხატვის თავისუფლება არ უნდა შეიზღუდოს, თუ საფრთხე არ არის მყისიერი და არსებითი. რა არის მყისიერი საფრთხე, ეს ყველა კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად განისაზღვრება. ამერიკის უზენაესი სასამართლო ამბობს, რომ შეურაცხმყოფელი გამონათქვამები საკმარისი არ არის იმისთვის, რომ გამოხატვის თავისუფლება შევზღუდოთ. მოსაზრების გამოთქმა არ უნდა გახდეს აკრძალვის საფუძველი. ამერიკელები თვლიან, რომ სიძულვილის ენა ადამიანის გრძნობებს და განცდებს ეხება, გრძნობები კი, შეუძლებელია, კანონით იყოს დაცული. სხვადასხვა ადამიანს შეურაცხყოფის განსხვავებული აღქმა აქვს. ამას კანონი ვერც განსაზღვრავს და ვერც დაარეგულირებს. 1992 წელს ამერიკის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ "კუ-კლუქს-კლანის" ფორმაში გადაცმული ადამიანები, რომლებიც ჯვარს წვავდნენ აფრო-ამერიკელი პირის სახლის წინ, არ არღვევდნენ კანონს.

სიძულვილის ენას თან სდევს ქსენოფობიური და ფაშისტური იდეოლოგიის მქონე ადამიანების ჩართვა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მათთვის საჯარო სივრცის მიცემა.

მაგალითად, გერმანიის კონსტიტუცია ნაცისტურ ორგანიზაციებს კანონგარეშე აცხადებს. შეგვიძლია გავიხსენოთ რუანდის ტრიბუნალის გადაწყვეტილებები და ბრალდებები, სადაც პირდაპირ არის აღნიშნული, რომ ტუტსის ტომის წინააღმდეგ განხორციელებულ გენოციდს წინ უძღოდა აქტიური მედია კამპანია, სადაც პირდაპირ კეთდებოდა განცხადებები ტუტსის ტომის განადგურებაზე, რასაც 1994 წელს ამ ტომის მასობრივი ხოცვა მოჰყვა. სიძულვილის ენა არ არის მხოლოდ გრძნობებზე თამაში, ის ძალადობის დასაწყისია, იმის მიუხედავად, ეს მოწოდება პირდაპირ ისახავს თუ არა მიზნად კონკრეტული ჯგუფის განადგურებას.

ღირებულებები

რა არის ტოლერანტობა, ღირებულება, თუ ღირებულებების განხორციელების საშუალება, ერთგვარად ტექნიკა ამ ფასეულობების დამკვიდრებისა და შესისხლხორცებისა კაცობრიობის მიერ? ფაქტია, შემწყნარებლობის არსი დემოკრატიულ ღირებულებებში დევს, მათ ეფუძნება. ტოლერანტობა ამყარებს და ამკვიდრებს მათ.

ადამიანის უფლებები

ადამიანის უფლებების კავშირი ტოლერანტობის ცნებასთან, როგორც კონცეპტუალური, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით, მეტად თვალსაჩინოა. ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დამკვიდრება შემწყნარებლობის ცნების განზოგადებისა და ადამიანების მიერ ტოლერანტობის გათავისების შედეგად მოხდა. კაცობრიობის ერთი ნაწილი მივიდა იქამდე, რომ სხვანაირად ცხოვრება წარმოუდგენელია, ადამიანი თავისთავად ყველაზე დიდ ღირებულებად იქცა.

ადამიანის უფლებები არის "ის საბაზისო მორალური გარანტიები, რომლებიც უნდა გააჩნდეთ ადამიანებს თითოეულ ქვეყანაში და კულტურაში, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ისინი ადამიანები არიან". სიტყვა "გარანტია" მიგვთითებს იმ გარემოებაზე, რომ თითეულ ადამიანს შეუძლია მოითხოვოს ამ უფლებების დაცვა, რომ ეს უფლებები დიდ პრიორიტეტს წარმოადგენენ და

რომ ადამიანის უფლებების დაცვა არის აუცილებელი და არა ნებაყოფლობითი.

ადამიანის უფლებებს, ხშირად, მოიაზრებენ, როგორც "უნივერსალურ" ცნებას, რადგან ყველა ადამიანი ვალდებულია და უნდა სარგებლობდეს ამ უფლებებით. ასევე, ეს ცნება არის "დამოუკიდებელი". "დამოუკიდებელი", რადგან ის სამართლებრივი სისტემებისგან ან ქვეყნის მმართველების მიერ მისი აღიარება/არაღიარების მიუხედავად არსებობს.

ადამიანის უფლებების მორალური დოქტრინა მიზნად ისახავს გამოკვეთოს ის მთავარი წინაპირობა, რომელიც ესაჭიროება თითოეულ ადამიანს იმისათვის, რომ იცხოვროს მინიმალურად კარგი ცხოვრებით. ადამიანის უფლებები მოიცავს რიგ წინაპირობას "მინიმალურად კარგი ცხოვრებისთვის" (წინაპირობების სპექტრი ძალზე ფართოა, დაწყებული ადამიანის უფლებით წამების წინააღმდეგ და ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფის უფლებით დამთავრებული). ეს უფლებები ასახულია არაერთ დეკლარაციასა და იურიდიულ დოკუმენტში. 1948 წელს ხელი მოეწერა ადამიანის უფლებების უნივერსალურ დეკლარაციას, რომელსაც მოჰყვა ადამიანის უფლებების ევროპული კონვენცია (1954-ში) და სამოქალაქო და ეკონომიკური უფლებების საერთაშორისო შეთანხმება (1966-ში). სწორედ, ეს სამი დოკუმენტი წარმოადგენს მორალური დოქტრინის დედაარსს. ადამიანის უფლებების დოქტრინა დამყარებულია ფუნდამენტურ ფილოსოფიურ მოსაზრებაზე: რომ არსებობს რაციონალურად ხილული მორალური წესი, წესი, რომლის კანონიერება არ არის დაკავშირებული ამა თუ იმ ისტორიულ მომენტთან. ის ძალაშია ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილას და ვრცელდება თითოეულ ადამიანზე. სწორედ ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, მორალური ფასეულობები მიჩნეულია ფუნდამენტურ და უნივერსალურ ჭეშმარიტებად. ადამიანის უფლებების თანამედროვე დოქტრინა კი, სწორედ, ამ უნივერსალური ფასეულობების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

თანამედროვე ადამიანის უფლებები უფრო "ინტერნაციონალურ" ხასიათს ატარებს. ბუნებითი უფლებების დამცველებისაგან განსხვავებით, თანამედროვე ადამიანის უფლებების დამცველები მო-

ითხოვენ საერთაშორისო საზოგადოების ჩარევას ადამიანის უფლებების სერიოზული დარღვევის შემთხვევაში.

აპარტეიდის დროს, ბევრ ადამიანს მიაჩნდა, რომ სამართლებრივი საფუძვლის არარსებობის მიუხედავად, ე.წ. "შავ უმრავლესობას" ჰქონდა მორალური უფლება, მონაწილეობა მიეღო სამხრეთ აფრიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში. საინტერესოა, რომ აპართეიდული სისტემის ოპოზიციაში მყოფი ადამიანების არგუმენტები იყო მორალური, მაგრამ არალეგიტიმური. ოპოზიციის არგუმენტს წარმოადგენდა რწმენა იმისა, რომ არსებობს მორალური და ბუნებრივი უფლება და რომ სამართლებრივი მტკიცებულების არარსებობის მიუხედავად, ის ჭეშმარიტად მართებულია. ცნობილი მიზეზების გამო, ვერავინ იტყოდა, რომ აპართეიდის სისტემაში ირღვევა "უმრავლესობის" პოლიტიკური და ლეგიტიმური უფლება, რადგანაც ასეთი უფლება არ არსებობდა. Mმაგრამ სწორედ ამ უფლებების "არარსებობა" წარმოადგენდა ადამიანების ძირითადი უფლებების სერიოზულ დარღვევას.

ზემოთ აღნიშნული მაგალითიდან ჩანს, რომ ადამიანის უფლებები არ შეიძლება მოიაზრებოდეს მხოლოდ სამართლებრივი უფლებების ჭრილში. მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ აფრიკის მთავრობას არ ჰქონდა მოწერილი ხელი არც ერთ დოკუმენტზე, უნივერსალური კონვენცია და სხვა დოკუმენტები წარმოადგენდნენ უმთავრეს არგუმენტს აპართეიდის ოპონენტებისათვის. ამავდროულად, მოსაზრება, რომ ადამიანის უფლებები სრულად უტოლდება მორალურ უფლებებს, მცდარია. სინამდვილეში, ადამიანის უფლებები მოიცავენ როგორც მორალურ, ისე სამართლებრივ უფლებებს. ადამიანის უფლებების ჭეშმარიტება გამომდინარეობს მათი "მორალური" სტატუსიდან, ხოლო უფლებების პრაქტიკული ეფექტიანობა უშუალოდ არის დამოკიდებული მათ სამართლებრივ აღიარებაზე.

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზების საშუალება დემოკრატიული რეჟიმის პირობებში არსებობს. მმართველობის დემოკრატიული სისტემა ადამიანის უფლებების კონცეფციაზეა დამყარებული.

დემოკრატია

დემოკრატიის მრავალი დეფინიცია არსებობს. დემოკრატიული მმართველობის თანამედროვე გაგება, როგორც მინიმუმ, ხუთ კრიტერიუმს უნდა აკმაყოფილებდეს: 1. ეფექტიანი მონაწილეობა; 2. თანასწორი კენჭისყრა; 3. ინფორმირებულობაზე დაფუძნებული გაგება; 4. დღის წერიგის კონტროლი; 5. საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობა. დემოკრატიის კლასიკური თეორიის მიხედვით, დემოკრატია არის მმართველობის ფორმა, რომელიც მოქალაქეობის კონცეფციას ეფუძნება და მოქალაქეების პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურ ჩართულობას გულისხმობს. ტერმინი დემოკრატია ბერძნული სიტყვაა და ხალხის მმართველობას გულისხმობს. საუკუნეების განმავლობაში დემოკრატიის მნიშვნელობა იცვლებოდა. დემოკრატიული რეჟიმი იმგვარ კონსტრუქციას წარმოადგენს, როდესაც საზოგადოება განიხილავს დემოკრატიას არა როგორც საშუალებას, არამედ, როგორც ცხოვრების წესს. თანამედროვე დემოკრატიის არსი შემდეგი ინსტიტუტების არსებობაში მდგომარეობს: კონსტიტუცია, არჩევნები, არჩევნების უფლება, თვითგამოხატვის უფლება (სიტყვის, შეკრების თავისუფლება და ა.შ), პრესის თავისუფლება, ასოციაციების შექმნის თავისუფლება, კანონის წინაშე თანასწორობა, კანონის უზენაესობა, განათლებული მოქალაქეები, ინფორმირებულები თავიანთი უფლებებისა და სამოქალაქო თავისუფლებების შესახებ. დემოკრატიის ყველაზე მოკლე და ლაკონიური განსაზღვრებაა: "უმრავლესობის მმართველობა და უმცირესობების უფლებები".

კულტურული მრავალფეროვნება

კულტურას ადამიანი ითვისებს და სწავლობს. ადამიანური ცხოვრების მრავალი ნიშანი გენეტიკურად გადაეცემა თაობიდან თაობას. მაგალითად, საკვების მოთხოვნილება ჩვილ ბავშვებში. მოზრდილების სურვილი კი, დილით რძე და ბურღულეული მირთვან, გენეტიკური მიდგომით არ აიხსნება. ეს კულტურული პასუხია დილის შიმშილზე. კულტურა შესწავლილი, შეთვისებული ქცევების ერთობლიობაა, რომელიც თავისთავად ბევრ რამეს

ხსნის: საზოგადოების ორგანიზების წესს, გარესამყაროს აღქმის თავისებურებებსა და ასე შემდეგ. კულტურას ზოგადად ასე განმარტავენ: რწმენების, ღირებულებების, ქცევების, მახასიათებლების ერთობლიობა, რომლითაც საზოგადოების წევრები ხელმძღვანელობენ თავიანთი სამყაროს შიგნით ერთმანეთს შორის და გარესამყაროსთან მიმართებაში; ეს ყველაფერი თაობიდან თაობას საუკუნეების მანძილზე შესწავლითა და ათვისებით გადაეცემა. კულტურის განსაზღვრებიდან გამომდინარე ვასკვნით, რომ თუ სწავლის პროცესი კულტურის უმთავრესი მახასიათებელია, მაშინ სწავლებაც ასევე მნიშვნელოვანია. ანუ ის, თუ როგორ ისწავლება კულტურა და როგორ ხდება მისი კვლავწარმოება; რადგანაც მიმართება იმ კატეგორიებს შორის, რასაც გვასწავლიან და რასაც ვსწავლობთ არ არის აბსოლუტური (რასაც გვასწავლიან ხშირად იკარგება, თუმცა პარალელურად ხდება სიახლეების აღმოჩენა), კულტურა მუდმივი ცვალებადობის მდგომარეობაში იმყოფება.

საზოგადოების წევრები თანხმდებიან გარკვეული სიტყვების, ქცევებისა და სიმბოლოების მნიშვნელობაზე. ანუ კულტურა ამგვარი შეთანხმებებისა და შეთანხმებების მიღწევის პროცესის ერთობლიობაა.

კულტურის საფუძველია კულტურული მახასიათებლები, რასაც მრავალი ფორმა გააჩნია დაწყებული მატერიალური საგნებიდან დასრულებული აბსტრაქტული კონცეფციებითა და შეხედულებებით. ოჯახური კავშირები და ურთიერთობები, ეკონომიკური გაცვლის ფორმები, სამართლებრივი აზროვნება ყველა კულტურის მამოძრავებელი ღერძია. კულტურა თავისთავად სიმბოლოების ერთობლიობაა, სიმბოლოები მნიშვნელობას ერთმანეთთან მიმართებაში იღებენ. სიმბოლოების ინტერპრეტირებისათვის ანთროპოლოგები სწავლობენ ელემენტების ურთიერთმიმართებას და მათ გამაერთიანებელ პრინციპებს, ამით იქმნება უფრო დიდი კულტურული ერთობები.

კულტურული რელატივიზმი ეთნოცენტრიზმის საპირისპირო ცნებაა. მასში ასახულია სხვა კულტურების მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულება. სხვა კულტურის ძირითადი მახასიათებლების მიღებისა და საკუთარი კულტურის კონტექსტში გადატანისა და განხილვის მცდელობა. კულტურული რელატივიზმი სხვა კულ-

ტურის გაგებისათვის აუცილებელი მეთოდია. აღნიშნული ცნება განსხვავდება მორალური/ზნეობრივი რელატივიზმისაგან, რაც ჩვენთვის ასევე საინტერესოა და გულისხმობს შემდეგს: როგორც ინდივიდებს, ჩვენ არ შეგვიძლია განვსაზღვროთ, რა არის მცდარი და რა არის ჭეშმარიტი, არა გვაქვს უფლება, გავაკეთოთ ზნეობრივი შეფასებები. როგორც ზნეობრივ ინდივიდებს, როგორც მოქალაქეებსა და ამომრჩევლებს, ჩვენ გვაქვს უფლება და პასუხისმგებლობა, განვსაჯოთ, მაგრამ ჩვენი შეფასებები არ არის აბსოლუტური, ისინი ჩვენი კულტურიდან, წარსულიდან, გამოცდილებიდან გამომდინარეობს.

ოთხი ნაბიჯი კულტურული სხვაობის დასაძლევად

- გაკეთე ემოციური ეთნოცენტრისტული რეაქცია (შენ ამის უფლება გაქვს, თუნდაც ფიქრებში);
- ეჭვის ქვეშ დააყენე შეფასებები, შეეცადე ჩასწვდე ვითარების არსს და მიუდგე კულტურული რელატივიზმის მეთოდის გამოყენებით;
- გააკეთე საკუთარ შეფასებები, ოღოდ უკვე ტოლერანტული;
- გადმოიტანე საკუთარ კულტურაში და დაუსვი კითხვები საკუთარ კულტურას, გაითავისე სხვისი როლი.

მშვიდობის კულტურა

მშვიდობის კულტურა ძალადობისა და ომის ალტერნატივას წარმოადგენს. ძალადობის ესკალაცია უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში ნათლად გამოიხატა. ძალადობის კულმინაციად 11 სექტემბრის ტერაქტი, ავღანეთსა და ერაყში მიმდინარე მოვლენები უნდა მივიჩნიოთ.

ძალადობის ციკლები კაცობრიობის ისტორიაში ახალი არ არის. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ბიბლიური მოთხრობები, როგორც ახალი, ასევე ძველი აღთქმიდან, ძველბერძნული ეპიკური ნაწარმოებები, შუა საუკუნეების ჯვაროსნული ლაშქრობები და ა.შ. ისმის კითხვა გამოსავლის არსებობა – არარსებობის, დამიანის ძალადობისაკენ ბუნებრივი მიდრეკილების შესახებ. 1986

წელს გაეროს ეგიდით მსოფლიო მასშტაბის კვლევა ჩატარდა, ყველა სფეროს მეცნიერებმა სერიოზული მუშაობა გასწიეს იმის დასადგენად, არის თუ არა ადამიანის არსში გენეტიკურად ჩადებული ძალადობა. სევილიის ძალადობის დეკლარაცია გვარწმუნებს, რომ ეს ასე არ არის. ადამიანის ბიოლოგიური აგრესია, რომელიც მემკვიდრეობით გვერგო, უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის უნარების გამოვლენაა, რაც სამშვიდობო მოძრაობებისა და მშვიდობისათვის განათლების კარგი საფუძველია. თუ ომი ჩვენს გენში არ არის ჩადებული, საიდან მოდის ის? კაცობრიობამ შექმნა კულტურა, რომელიც ხელს უწყობს ძალადობას და იწვევს ომებს. მას "ომის კულტურა" ეწოდება.

ომისთვის საჭიროა:

- მტერი;
- შეიარაღება;
- საზოგადოება, რომელშიც ადამიანები ბრძანებებს ემორჩილებიან;
- რწმენა, რომ ძალაუფლების შენარჩუნება შესაძლებელია ძალადობით;
- ინფორმაციაზე კონტროლი (გასაიდუმლოება, პროპაგანდა).

თუ ერთერთი კომპონენტი არ არსებობს, ომი არ იქნება. საინტერესოა ასევე ომის კულტურის სამი მნიშვნელოვანი ასპექტი:

- მომგებიანობა – მრეწველობის, კოლონიების, ფინანსების კონტროლი;
- მამაკაცების დომინანტური როლი;
- განათლება ომისათვის.

ძალადობის ციკლიდან ერთი გამოსავალი არსებობს: მშვიდობის კულტურა, რაც გულისხმობს:

- მტრის ხატის ნაცვლად – ურთიერთგაგება, შემწყნარებლობა და სოლიდარობა;
- შეიარაღების ნაცვლად – განიარაღება საყოველთაო და კონტროლირებადი;

- ავტორიტარული მთავრობის საწინააღმდეგოდ დემოკრატიული მონაწილეობა;
- ინფორმაციის გასაიდუმლოებისა და პროპაგანდის ნაცვლად, ინფორმაციის თავისუფალი მოძრაობა და გაზიარება;
- ძალადობის ნაცვლად დიალოგი, მოლაპარაკებები, კანონის უზენაესობა და აქტიური არაძალადობრივი ქმედებები;
- მამაკაცების დომინირების ნაცვლად სქესთა თანასწორობა;
- ომისათვის განათლების ნაცვლად განათლება მშვიდობისათვის;
- სუსტის ექსპლუატაციის სანაცვლოდ მშვიდობის ეკონომიკა, მდგრადი განვითარება.

არაძალადობის ფილოსოფია

> "წინააღმდეგობა ძალადობის გარეშე ემყარება რწმენას, რომ სამყარო სამართლიანობის მხარესაა. აქედან გამომდინარე, არაძალადობრივი მეთოდების მომხრეებს მომავლის ღრმა რწმენა აქვთ. ეს რწმენა კიდევ ერთი საფუძველია იმისა, რომ არამოძალადე მოწინააღმდეგემ აიტანოს ტკივილი და ტანჯვა შურისძიების სურვილის გარეშე, რადგანაც იცის, რომ სამართლიანობისათვის ბრძოლაში მას მთელი სამყაროს ძალები უჭერენ მხარს."
>
> *მარტინ ლუთერ კინგი*

ძალადობის საპირისპიროდ, არაძალადობა ადამიანთა ის ქცევაა, რომელიც ხასიათდება კონფლიქტურ სიტუაციებში ძალის გამოყენებაზე უარის თქმით. ეს არის უარი პრინციპული მოსაზრებების გამო და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ძალადობა მათ ქმედით იარაღად არ მიაჩნიათ.

ადამიანის სიცოცხლის შენარჩუნება არაძალადობრივი ქმედების ძირითადი მიზანია. ამ თვალსაზრისით, არაძალადობა სიტყვასიტყვით იარაღის აღების, მკვლელობისა და ადამიანისათვის ფიზიკური ზიანის მიყენებაზე უარის თქმას გულისხმობს.

სიტყვა "არაძალადობა" მე-20 საუკუნეში გაჩნდა. ამ ტერმინს მე-17 – მე-19 საუკუნეებში "მორჩილებასთან", "პასიურობასთან"

აიგივებდნენ. განსხვავებით "დამორჩილებისაგან", ტერმინი "არა-ძალადობა" სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობის ან ძალადობის სხვა მიზეზების აღმოფხვრას არაძალადობრივი გზებით ცდილობს.

ძალადობის წამალი ძალადობა და შურისგება ვერ იქნება. არა-ძალადობრივი ბრძოლის მიზანი შერიგების მიღწევაა.

არაძალადობა სამოქალაქო გაფიცვებისა და ლოკალური კონ-ფლიქტების დროს გამოიყენება. ცვლილებების განხორციელების მიზნით, არაძალადობის სტრატეგიის განვითარება 20-იან – 40-იან წლებში მაჰათმა განდიმ გამოიყენა. იგი იმედოვნებდა, რომ არა-ძალადობრივი მეთოდი საუკეთესო იარაღი იყო მოწინააღმდეგის ცნობიერებასა და სულზე ზეგავლენის მოსახდენად. იგი კანონს განზრახ არღვევდა... მისი ძირითადი მიზანი ბრიტანეთისაგან გა-მოყოფა და ინდოეთის დამოუკიდებლობის მიღწევა იყო.

განდი თავისი ქვეყნის გათავისუფლებისათვის, მარგინალური ჯგუფების – ღარიბი გლეხების, მუშებისა და უდაბლესი კასტების უფლებებისათვის იბრძოდა. განდის კამპანიამ უამრავი ადამია-ნის ყურადღება მიიქცია. ეს იყო სამოქალაქო დაუმორჩილებლობა "მარილის აქტებისადმი", რომლის თანახმადაც მარილი მხოლოდ მთავრობისაგან უნდა შეესყიდა მოსახლეობას. აი, რას წერს მა-ჰათმა განდი აქციის დაწყებამდე. მან თავის წერილში ბრიტანელ მეფისნაცვალს ასე მიმართა: "ჩემი ამბიციაა, არაძალადობრივი მე-თოდებით გარდავქმნა ბრიტანელი ხალხი და დავანახო ის უსა-მართლობა, რაც მათ ინდოეთს დამართეს. მე არ ვაპირებ თქვე-ნი ხალხისათვის ზიანის მიყენებას. მე მსურს, ვემსახურო მათ ისევე, როგორც საკუთარ ხალხს... და თუ ინდოელი ხალხი მე გამომყვება, ვფიქრობ, რომ ტანჯვა, რომელსაც ისინი გაივლიან... საკმარისი იქნება ყველაზე გულქვა გულების მოსალბობადაც კი".

განდიმ და მისმა 75 მიმდევარმა 24 დღეში 250 მილი გაიარა ზღვისაკენ. ამ არაძალადობრივ აქციას სიხარულით ხვდებოდნენ ინდოეთის სოფლებში. 1930 წლის 5 აპრილს მათ ზღვამდე მი-აღწიეს. განდიმ აიღო წყლისაგან გამოხდილი მარილი და კანონი დაარღვია. ასე დაიწყო აჯანყება იარაღის გარეშე. სოფლის მცხოვ-რებლები ტაფებით ხელში ზღვისკენ მიემართებოდნენ და მარილს ამზადებდნენ. ერთ თვეში 60 ათასი ადამიანი გისოსებს მიღმა

აღმოჩნდა. ინდოელებს წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. პოლიცია თავს ესხმოდა დემონსტრანტებს და ხელკეტებით სცემდა. აქციის არცერთ მონაწილეს ხელი არ აღუმართავს, თუნდაც თავდაცვის მიზნით. ერთ-ერთ დემონსტრაციაზე 300-ზე მეტი დემონსტრანტი, რომელმაც დაზიანება მიიღო, საავადმყოფოში გადაიყვანეს. ბრიტანელები ინდოელებს ხელკეტებითა და იარაღის კონდახით სცემდნენ. მიუხედავად ყველაფრისა, ინდოელებს ქედი არ მოუხრიათ და არც უკან დაუხევიათ. ეს ინციდენტი ბრიტანეთის ადმინისტრაციისათვის დიდ სირცხვილად იქცა.

არაძალადობის საბოლოო მიზნად მიჩნეულია ძალადობრივი ეკონომიკური და სოციალური სტრუქტურების აღმოფხვრა. ძალადობა, თავის მხრივ, სტრუქტურულია, რადგან ის გამოხატულია ეკონომიკური ექსპლუატაციისა და პოლიტიკური იძულების ინსტიტუციონალიზებულ ფორმებში.

განდის ფილოსოფიის მიხედვით, ქაოსსა და ბატონობის სურვილს სიყვარულის მარცხი ახლავს თან. ნგრევისა და ტკივილის თავიდან ასაცილებლად, სიყვარულით უნდა დავეხმაროთ სხვებს ზრდასა და განვითარებაში. ჭეშმარიტების მიღწევის საშუალება ხომ ადამიანების მიმართ გამოვლენილი სიყვარული და შემწყნარებლობაა.

არაძალადობა ომისა და ექსპლუატაციის ინსტიტუტებს ებრძვის. არაძალადობა პოლიტიკური ძალების ცვლილების შესაძლებლობას იძლევა. არაძალადობრივი მოძრაობების უმნიშვნელოვანესი ამოცანა ერთობლივი სოციალური გეგმისა და ალტერნატიული ხედვის განვითარებაა.

საჯარო არაძალადობრივი ტექნიკა მოიცავს მარშებს, ბროშურების გავრცელებას, მჯდომარე აქციებს, პიკეტირებას, შიმშილობას, ბოიკოტს, გადასახადებზე უარის თქმას.

არაძალადობრივი კამპანიის მამოძრავებელია დიალოგი, რომლის არსს ოპონენტში სასურველი ცვლილების მიღწევა წარმოადგენს. არაძალადობრივი აჯანყება ასუსტებს მოწინააღმდეგე მხარის საბრძოლო სულს. ის ცდილობს გამოხატოს სიყვარული და მხარდაჭერა მოწინააღმდეგის მიმართ, იმავე დროს კი უარყოფს ბოროტებას, რომელიც ოპონენტში იღებს სათავეს. არაძალადობის ფილოსოფიის ფუძემდებელია მაჰათმა განდი.

პირდაპირი ქმედება

პირდაპირი ქმედება გულისმობს აქტუალურ საკითხებზე დაუყოვნებლივ რეაქციას. შიმშილის წინააღმდეგ პირდაპირი ქმედება ხალხის საკვებით მომარაგებას ნიშნავს. უსახლკაროთა დახმარება მათთვის საცხოვრებლის მიცემაში მდგომარეს. სამხედრო ხარჯების ზრდის შეჩერება საშემოსავლო გადასახადზე უარის თქმაში გამოიხატება. პირდაპირი ქმედება სიმბოლური საპროტესტო ქმედებისაგან განსხვავდება. სიმბოლური საპროტესტო ქმედება ლობირებას გულისხმობს, რომლის მიზანია მთავრობის პოლიტიკის შეცვლა. პირდაპირი ქმედების უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მასში არ იგულისხმება ხელისუფლებასთან თანამშრომლობა, რათა მისი საქმიანობა ეფექტური გახდეს. თუ ხელისუფლება ცდილობს ამ ქმედების შეჩერებას, ჩვენ დრამატული ისტორიის მოწმენი ვხდებით; თუ ის ჩვენს იგნორირებას ცდილობს, ჩვენ ჩვენი ცნობიერების კარნახით ვმოქმედებთ. მანამ, სანამ ქმედებას პირდაპირი ეფექტი გააჩნია, მას აქვს ძალა და სიძლიერე. პრაქტიკაში ყველაზე ეფექტურია პირდაპირი და სიმბოლური ქმედების სინთეზი.

პირდაპირი ქმედება სოციალური ცვლილებების განხორციელების საფუძველია, თუმცა არა მისი პირდაპირი მიზანი. პირდაპირი მოქმედების ნათელი მაგალითია დედა ტერეზას მოღვაწეობა. მისი საქმიანობის მიზანი არ ყოფილა სოციალური ან პოლიტიკური ცვლილებები იმ ქვეყნებში, სადაც მოგზაურობდა და მოღვაწეობდა. მისი ერთადერთი საზრუნავი გაჭირვებული ადამიანების თანაგრძნობა და დახმარება გახლდათ.

ჩვენ მიმოვიხილეთ ადამიანის უფლებების არსი, გავიაზრეთ დემოკრატია, როგორც მმართველობის სიტემა, შევეხეთ კულტურების ურთიერთკავშირსა და ერთმანეთის მიმართ მიმღებლობას, გვქონდა მცდელობა, დაგვეძლია კულტურული განსხვავებულობა ტოლერანტული ქმედებების დახმარებით, ჩავწვდით განდის არაძალადობის იდეას. ჩვენი თითოეული ნაბიჯი შემწყნარებლობის არსის უკეთ გაგებაში დაგვეხმარება.

დემოკრატიული სისტემა თავისთავად არ გულისხმობს ტოლერანტულ სისტემას. ეს არის მმართველობის ფორმა, რომელიც იმ

ღირებულებებზეა დაფუძნებული, რომლებიც მეტ შანსს იძლევა იმისა, რომ გარემო იყოს ტოლერანტული.

რელიგიური ტოლერანტობა

"არავინ არ უნდა იქნას დისკრიმინირებული საკუთარი რელიგიის ან შეხედულებების გამო ნებისმიერი სახელმწიფოს, დაწესებულების, ცალკეული პირების ან პირთა ჯგუფების მიერ".

აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად ტოლერანტობას რელიგიური დატვირთვა ჰქონდა და ჩამოყალიბდა ერთსა და იმავე ქვეყნაში სხვადასხვა კონფესიების მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპად. შემდგომში ტოლერანტობამ საფუძველი ჩაუყარა ყველა სხვა ტიპის თავისუფლებას და დემოკრატიული თეორიის ბაზისურ ღირებულებად იქცა.

დარწმუნებულობა საკუთარი რელიგიის განსაკუთრებულობაში, მის უპირატესობაში სხვა რელიგიებთან შედარებით, თითქმის ყველა რელიგიურ სისტემას ახასიათებს. ზოგს მიაჩნია, რომ ძალიან რთულია იყო მიმტევებელი იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც სხვა რელიგიური წარმოდგენებისანი არიან. ეს თვალსაზრისი ეყრდნობა ისეთ შეხედულებას, რომლის მიხედვითაც, რელიგია თავისი არსით ფანატიკურია. ერთი მხრივ, ეს დებულება არ არის აზრს მოკლებული, რამდენადაც იგი სრულ პიროვნულ თავგანწირვას გულისხმობს. მეორე მხრივ, იდეალში რწმენამ უნდა წარმოშვას არა ფანატიზმი, არამედ მიმტევებლობისა და ურთიერთგაგებისკენ უნდა უბიძგოს ადამიანებს, რადგანაც იგი ფრაგმენტულ და შეზღუდულ წარმოდგენებს აბსოლუტურ, ღვთიურ ღირებულებებს უპირისპირებს. მაგრამ რეალურად რელიგიური ადამიანი ხშირად თავის რელიგიურ მრწამსს ერთადერთ აბსოლუტურ ჭეშმარიტებად წარმოგვიდგენს და ამით შეურაცხყოფს სხვა რელიგიის მიმდევართა შეხედულებებს.

XVIII საუკუნის განმანათლებელთა ეპოქის თვალსაჩინო წარმომადგენლის – ვოლტერის ცნობილ აფორიზმში ფაქტობრივად გადმოცემულია ტოლერანტობის კლასიკური თეორია: "მე არ ვეთანხმები იმას, რასაც თქვენ ამბობთ, მაგრამ თქვენი აზრის გამოხატვის უფლების დასაცავად, სიცოცხლეს გავწირავ!» ვოლტერი

თვალყურს ადევნებდა ინგლისში მიმდინარე პროცესებს, სადაც XVII საუკუნეში რელიგიური პლურალიზმის პირობებში მიღწეულ იქნა

სამოქალაქო მშვიდობა და მიმღებლობის საერთო ატმოსფერო

ფაქტობრივად, ნებისმიერმა შეხედულებამ – რელიგიურმა, პოლიტიკურმა თუ კულტურულმა – შეიძლება შეუწყნარებლობამდე მიგვიყვანოს, თუ სრულიად დარწმუნებულნი ვართ იმ იდეების ჭეშმარიტებაში, რომლისაც გვწამს და იმ აზრების სიმცდარეში, რომელსაც არ ვეთანხმებით. პოლიტიკური თავისუფლება გულისხმობს, რომ ჩვენ საკმარისად ვენდობით ჩვენს პოლიტიკურ ოპონენტებს, რათა საშუალება მივცეთ მათ, საარჩევნო კამპანია ჩაატარონ და ახალი მთავრობა ჩამოაყალიბონ. ეკონომიკური თავისუფლება გულისხმობს კონკურენტული ეკონომიკური ინტერესებისადმი შემწყნარებლობას. კონკურენცია ხელს უწყობს უფრო ჰარმონიული საზოგადოების ჩამოყალიბებას და სტიმულს აძლევს ინდივიდებისა და სოციალური ჯგუფების ინიციატივებს. ტოლერანტობა იმ ადამიანთა მიმართ, რომლებიც განსხვავდებიან ჩვენგან თავისი შეხედულებებითა და ჩვევებით, მოითხოვს იმის გაგებას, რომ ჭეშმარიტება არ შეიძლება იყოს მარტივი, ცალსახა, რომ იგი მრავალმხრივია და რომ არსებობს განსხვავებული შეხედულებები.

რელიგიური არატოლერანტობა ვლინდება რელიგიურ ქსენოფობიაში, ასევე რელიგიური სტერეოტიპებისა და წინაგანსჯების არსებობასა და რელიგიური უმცირესობების უფლებების შელახვაში.

თანამედროვე პლურალისტურ სამყაროში უკვე არარეალურია მონოკულტურულ, იზოლირებულ საზოგადოებაში ცხოვრება, რადგან ჩვენ მუდმივად ჩვენს ირგვლივ არსებულ განსხვავებულ კულტურებთან გვაქვს შეხება. რელიგიური ქსენოფობია, რომელიც გარდაუვლად არსებობს რელიგიურ ცხოვრებაში და კულტივირებულია სხვადასხვა საზოგადოებრივი მდგომარეობის ადამიანთა ან, ზოგჯერ, მთელი ორგანიზაციების მხრიდან, ხშირად ვერ კონტროლდება ხელისუფლებისა და კონფესიური ხელმძღვანელობის მხრიდან. ერთი რელიგიის წარმომადგენელთა სიძულვილი სხვა რელიგიის წარმომადგენელთა მიმართ, საკმაოდ გავრცელებული

მოვლენაა. თუმცა ტოლერანტობის თანამედროვე სტანდარტები არ მიესალმებიან ასეთ შეუწყნარებლობას.

მეორე მხრივ, მულტიეთნიკური, მულტიკონფესიური და მულტიკულტურული გარემო ადამიანებს ტოლერანტულ განწყობას უყალიბებს და მათ შორის ურთიერთგაგებას უწყობს ხელს. კონფესიურ და ეთნიკურ კულტურათა დიალოგი იდენტობის ახალ მოდულს გვიყალიბებს და შემდეგ შეკითხვაზე დაგვაფიქრებს – "ვინ ვარ მე?" და სხვა ეთნოსებთან და კონფესიებთან, სამყაროსთან და კაცობრიობასთან მიმართებაში, არსებულ რეალობასთან ჩვენი ერთობის გაცნობიერებაში გვეხმარება.

ემპათია

ემპათია ტოლერანტობის ერთერთი ძირეული ღირებულებაა. ამავე დროს, ეს არის ადამიანის უნარი, თანაუგრძნოს სხვას, შეძლოს მასავით და მასთან ერთად შეიგრძნოს და განიცადოს. ემპათია განსაზღვრავს ადამიანურ ურთიერთობებს და სოციალურ განწყობებს. თუკი ოჯახში, ან რაიმე მცირე სოციალურ ჯგუფში, არ არის ემპათია, მაშინ მის წევრებს შორის განხეთქილება უფრო ადვილი მოსალოდნელია, ვიდრე იქ, სადაც ემპათიური გაგება არის. როგორც წესი, ახლობლებს შორის ემპათიური კავშირი არსებობს კიდევაც.

ემპათიური გაგება მიიღწევა, თუ საკუთარ თავს იმათ როლში წამოვიდგენთ, ვისი გაგებაც ან ვისი ქცევის ახსნაც გვსურს.

რადგან ტოლერანტობა სოლიდარობის, სხვათა პატივისცემის, ალტრუიზმის, ღიაობისა და გაზიარების გრძნობების გაღვივების უნარის განვითარებას გულისხმობს, გასაგებია, რომ ემპათია უნდა იყოს ერთერთი სამშენებლო აგური, რასაც დაეფუძნება ტოლერანტობის "სახლი".

ემპათია, ფსიქოლოგების აზრით, შეძენილი თვისებაა. მისი განვითარება დამოკიდებულია სხვადასხვა სოციალურ გარემოებაზე. ემპათიურ უნარს ივითარებს ის ადამიანი, რომლისთვისაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ამ თვისების ქონა: მშობელი, მასწავლებელი, მომვლელი, ფსიქოთერაპევტი, სოციალური მუშაკი, ექიმი – ეს ის როლებია, რომლებიც თავისთავად გულისხმობს

ემპათიური უნარის არსებობას, რადგან მის გარეშე ადამიანი ვერ იქნება ამ როლში ეფექტიანი. ემპათია უფრო მოვლით და მზრუნველობით ფუნქციასთან არის დაკავშირებული.

ემპათიას კულტურათაშორისი განსხვავებაც ახასიათებს: არის მეტნაკლებად "ემპათიური კულტურები", სადაც კარგ ურთიერთობებს, ახლობლების სულიერ მხარდაჭერას, გაზიარებას უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს. ასეთ კულტურებს ე.წ. კოლექტივისტურ კულტურებს მიაკუთვნებენ. თითქმის ყველა კულტურაში გვხვდება ახლობლის გლოვაში და სიხარულში თანამონაწილეობის სხვადასხვა სახის რიტუალები და ტრადიციული ქცევები, რაც ემპათიური ქცევის დემონსტრაციას წარმოადგენს, თუმცა ამას შეიძლება არაფერი ჰქონდეს საერთო ნამდვილ ემპათიურ გაგებასთან.

ტოლერანტობის თვალსაზრისით, ემპათიის უნარი მნიშვნელოვანია როგორც ინტერესით, გაუგო "სხვას" და დააყენო საკუთარი თავი მის ადგილზე, ასევე სურვილით უჩვენო მას/მათ, რომ თქვენ შეიძლება ერთნაირად იგრძნოთ: გტკიოდეთ, გიხაროდეთ, წუხდეთ, გეშინოდეთ და ა.შ.

ემპათიური ადამიანი თითქმის ყველა შემთხვევაში ტოლერანტულია, მაგრამ ტოლერანტობა შეიძლება არ იყოს აუცილებლად დაფუძნებული ემპათიაზე. მე შეიძლება არ თანავუგრძნობდე ვინმეს და არ ვიზიარებდე მის შეხედულებებს და მრწამსს, მაგრამ ვაღიარებდე მის უფლებას, იყოს ჩემგან განსხვავებული, ვაღიარებდე ადამიანის უფლებებს და კანონს, რომელიც ყველასთვის თანასწორია.

საქართველო და ტოლერანტული გარემო

საქართველო ისტორიულად მულტიკულტურული, მულტიეთნიკური და მულტიკონფესიური ქვეყანაა, რომელიც ცნობილი იყო თავისი ტოლერანტული განწყობით. თუმცა მისი ისტორია იცნობს როგორც ტოლერანტობის, ასევე არატოლერანტობის რიგ გამოვლინებებს.

დავით აღმაშენებლის დროს საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში საკუთრივ ქართულ მიწა-წყალთან ერთად არაქართული ქვეყნები (სომხეთი, შირვანი) და ქართულ მართლმადიდებლურ

მოსახლეობასთან ერთად მუსლიმი, ებრაული და სომხურ გრიგორიანული მოსახლეობაც შედიოდა. შემოერთებულ სომხეთ-შირვანის გარდა, მუსლიმი, ებრაული თუ სომხური მოსახლეობა მრავლად იყო საქართველოს ქალაქებშიც (განსაკუთრებით თბილისში). ამ გარემოებამ იმთავითვე დააყენა სხვა ეროვნებისა თუ სხვა სარწმუნოების აღმსარებელი ხალხებისადმი დამოკიდებულების საკითხი და საქართველოს მეფის კარმა, საზოგადოდ, შემწყნარებლური კურსი შეიმუშავა. ამ კურსის შესანიშნავი გამოვლინებაა ის შეღავათები, რაც დავითმა ქ. თბილისის მუსლიმებს მიანიჭა და ის დიდი ზრუნვა, რასაც ის სომხებისა თუ მუსლიმების მიმართ იჩენდა. მეორე მხრივ, XVIII საუკუნის დასაწყისში, 1715 წელს, დასავლეთ ევროპიდან დაბრუნებულ დიდ ქართველ მწერალსა და საზოგადო მოღვაწე სულხან-საბა ორბელიანს უღირსად, ძალადობრივად, შეურაცხმყოფელად მოეპყრნენ სვეტიცხოვლის ეზოში, სწორედაც რომ სხვა აღმსარებლობის (კერძოდ, კათოლიკური) მიღების გამო.

რა ვითარებაა დღესდღეობით საქართველოში რელიგიური ტოლერანტობის თვალსაზრისით? საქართველო კვლავაც მრავალკონფესიურ ქვეყნად რჩება:

	კონფესიები	რაოდენობა	%
1	სომხური სამოციქულო ეკლესია	200 000	5, 0
2	მაჰმადიანები	400 000	10, 0
3	კათოლიკეები	50 000	1, 25
4	იეზიდები	30 000	0, 75
5	იეღოვას მოწმეები	15 000	0, 375
6	იუდეველები	10 000	0, 25
7	ბაპტისტები	6 000	0, 15
8	ორმოცდაათიანელები	5 000	0, 125
9	მალაკნები	2 000	0, 05
10	დუხობორები	1 500	0, 04
11	ხსნის არმია	800	0, 02
12	ლუთერანები	700	0, 02
13	ახალი სამოციქულო ეკლესია	700	0, 02
14	ბაჰაისტები	500	0, 0125
15	მე-7 დღის ადვენტისტები	400	0, 01
16	კრიშნაიდები	200	0, 005
17	დანარჩენი ჯგუფები	200	0, 005

მოტანილია 2002 წ. საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგები, რადგან 2014 წ. ჩატარებული აღწერის შედეგები 2016 წელს გამოქვეყნდება.

ტრენინგის მოდულები

ტრენინგის მოდული

ტრენინგის მიზანი

- სხვა ადამიანების, მრავალფეროვანი კულტურების და საერთო ადამიანური ღირებულებების მიმართ ღიაობისა და მათი სრული გაგების უნარების განვითარება;
- ძალადობის მიუღებლობის, უთანხმოებისა და კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის შესაძლებლობებისა და უნარების განვითარება.

ტრენინგის ამოცანები:

- ☐ ტოლერანტობის არსისა და მნიშვნელობის გაცნობიერება;
- ☐ მონაწილეებისათვის ტოლერანტული ქცევის განხორციელებისათვის კონკრეტული ხერხების სწავლება.
- ☐ ტოლერანტობის არსისა და გამოვლინებების გაცნობიერება და მათი დაპირისპირების სტრატეგიების გაცნობა.
- ☐ რელიგიური ტოლერანტობის მნიშვნელობის გაცნობიერება.

ტრენინგის შინაარსი

გაცნობა

- ტრენინგის პროგრამის პრეზენტაცია;
- ტრენინგის მონაწილეთა წარდგენა. სავარჯიშო: “ინტერვიუ პირველ პირში”;
- მსგავსება და განსხვავება ტრენინგის მონაწილეთა შორის. სავარჯიშო: ”დომინო”.

ტოლერანტობის არსი და მნიშვნელობა

- ტრენინგის სამუშაო ცნებების შემუშავება. მუშაობა მცირე ჯგუფებში, პრეზენტაცია, დისკუსია;
- ტოლერანტობისა და შეუწყნარებლობის არეები. სავარჯიშო: ”ტოლერანტობის რუკა”;
- ტოლერანტული და არატოლერანტული ქცევის შედეგები. სავარჯიშო: ”აუტსაიდერები”.

სუბიექტური რეალობა

- სუბიექტური რეალობის არსი. სავარჯიშო: ”აგატა კრისტი”;
- სუბიექტური რეალობის გავლენა ქცევაზე. სავარჯიშო: “ფიგურები”.

შეუწყნარებლობის პირამიდა

- არატოლერანტობის საფუძვლები: ჯგუფის წამყვანის პრეზენტაცია.

სტერეოტიპები

- სტერეოტიპების გავლენა შეფასებაზე: სავარჯიშო: ”სურათები”;
- სტერეოტიპების გავლენა ქცევაზე: სავარჯიშო: “ცხვრები და მგლები”;
- სტერეოტიპებიდან განთავისუფლების გზები: სავარჯიშო: “სტერეოტიპების ხლართი”;
- გენდერული სტერეოტიპები;
- კულტურა და სტერეოტიპები. სავარჯიშო: “კულტურული ლექსიკონი”;
- სტერეოტიპების გავლენა და მათგან განთავისუფლების გზები (შეჯამება): მუშაობა მცირე ჯგუფებში, პრეზენტაცია, დისკუსია.

დისკრიმინაცია

- “ჩვენ და ისინი“. დისკრიმინაციის საფუძვლები;
- დისკრიმინაციის სახეები: ჯგუფის წამყვანის პრეზენტაცია;
- დისკრიმინაციით გამოწვეული ემოცია და რეაქცია მასზე: სავარჯიშო: “უცხოელები”/ “არათანაბარი სასტარტო პირობები”;
- სავარჯიშო გენდერულ დისკრიმინაციაზე;
- ფილმის ჩვენება. დისკუსია.

კომუნიკაციის მნიშვნელობა ტოლერანტული ქცევის განხორციელებისთვის

- მოსმენის მნიშვნელობა ტოლერანტული გარემოს შექმნაში: ჯგუფის წამყვანის პრეზენტაცია;
- სავარჯიშო ეფექტურ/ემპატიურ მოსმენასა და მოსმენის სხვა სახეებზე. მუშაობა მცირე ჯგუფებში დისკუსია;
- კითხვის დასმის ტექნიკა და კითხვის სახეები: სავარჯიშო: “აღადგინე დაკარგული ტექსტი“.

ორმხრივი ვერბალური კომუნიკაცია: ბარიერები და მათი დაძლევის გზები

- პარტნიორზე ორიენტირებული კომუნიკაციის მნიშვნელობა ტოლერანტული ქცევის განსახორციელებლად. ჯგუფის წამყვანის პრეზენტაცია
- დამარწმუნებელი კომუნიკაცია. სავარჯიშო: "კომპიუტერი";
- პარტნიორზე ორიენტირებული კომუნიკაცია. სავარჯიშო: "ტურისტული ბიურო".

ძალადობა

- ძალადობის სახეები. ჯგუფის წამყვანის პრეზენტაცია;
- ფიზიკური ძალადობა და მისი დაძლევის გზები. სავარჯიშო: "ოცნების ქვეყანა";
- სტრუქტურული და კულტურული ძალადობა. შემთხვევათა ანალიზი. მუშაობა მცირე ჯგუფებში.

ქცევის სტრატეგიები არატოლერანტობის სხვადასხვა გამოვლინებების დროს

- სტრატეგიების არსი და მნიშვნელობა. ჯგუფის წამყვანის პრეზენტაცია;
- სტრატეგიების სახეები და მათი შესაბამისობა ტოლერანტულ ქცევასთან. სავარჯიშო: "ცხოველთა სამყარო".

რელიგიური ტოლერანტობა

- რელიგიური სტერეოტიპები. სავარჯიშო: "მატარებელი";
- რელიგიური დისკრიმინაცია. სავარჯიშო: "იარლიყები";
- გენდერი და რელიგია. სავარჯიშო;
- ძალადობა რელიგიური ნიშნით. შემთხვევების ანალიზი. მუშაობა მცირე ჯგუფებში;
- რელიგიური ტოლერანტობის მნიშვნელობა სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის. მუშაობა მცირე ჯგუფებში.

ტოლერანტობის საზღვრები

- მითები ტოლერანტობის შესახებ. ჯგუფის წამყვანის პრეზენტაცია. დისკუსია;
- ადამიანის უფლებები. ჯგუფის წამყვანის პრეზენტაცია. სავარჯიშო:

ტოლერანტობის კოდექსის შემუშავება

- პრობლემაზე ერთობლივი მუშაობა.

ტრენინგის შეჯამება

- ტოლერანტობის ემბლემის შექმნა.

სავარჯიშოები

"დომინო"

ხანგრძლივობა: 35 წუთი
მიზნები:

- ჯგუფში ღიაობის შექმნა;
- "ყინულის გალღობა" (ხშირ შემთხვევაში, "ყინული" ჩნდება პირველ მეცადინეობაზე);
- მონაწილეების ჩართვა ღია დისკუსიაში, რომ მათ თავისუფლად ილაპარაკონ საკუთარ თავზე;
- იმის დემონსტრირება, რომ მონაწილეებს გააჩნიათ ერთმანეთისგან როგორც განსხვავებული, ისე საერთო, გამაერთიანებელი თვისებები.

სავარჯიშოს მსვლელობა:

შევახსენოთ მონაწილეებს "დომინოს" წესები. შევთავაზოთ "დომინოს" განსხვავებული თამაში.

თამაშის წესები:

პირველი მოთამაშე (სასურველია ეს იყოს წამყვანიც) გამოდის ოთახის ცენტრში და ასახელებს მისთვის დამახასიათებელ ორ თვისებას. მაგალითად, მან შეიძლება განაცხადოს: "ერთი მხრივ, მე ვატარებ სათვალეს, მეორე მხრივ, მიყვარს ნაყინი".

მონაწილე, რომელიც ასევე ატარებს სათვალეს და ასევე უყვარს ნაყინი, უახლოვდება პირველ მონაწილეს, ჰკიდებს ხელს და უზიარებს ჯგუფს მისთვის დამახასიათებელ თვისებებს (მაგალითისთვის: "ერთი მხრივ, მე მიყვარს ნაყინი, მეორე მხრივ – მე მყავს ძაღლი". თამაში გრძელდება მანამ, სანამ თითოეული მონაწილე არ ხდება დომინოს ნაწილი. დასაშვებია ვარიაციები თამაშის სტრუქტურაში. ეს შეიძლება იყოს წრე, თუ დომინოს სტრუქტურა. ასევე, მონაწილეებს შეუძლიათ ჩაჰკიდონ ერთმანეთს ხელები, მოეხვიონ ერთმანეთს, ისხდნენ, ან იწვნენ იატაკზე და ა. შ.

განხილვის საკითხები:

- □ რა განცდა ჰქონდათ მონაწილეებს, როცა ისინი ელოდებოდნენ, ვინ 'შემოუერთდებოდა' მათ?
- □ ცდილობდნენ თუ არა მონაწილეები ორდინარული და გავრცელებული თვისებების დასახელებას, თუ მათ ჰქონდათ სურვილი ყოფილიყვნენ "განსაკუთრებულ" მდგომარეობაში?
- □ რა გაიგეს მონაწილეებმა ერთმანეთის შესახებ?
- □ რას გრძნობდნენ მონაწილეები, ჯგუფში მათთვის ნაცნობი თვისებების მქონე ადამიანების აღმოჩენისას?
- □ როგორ აღიქვამთ ჯგუფში ამდენი განსხავებული ადამიანის არსებობას?

საშინაო დავალება:

დავფიქრდეთ, თუ რით განსხვავდებიან ერთმანეთისგან და რა აქვთ საერთო მონაწილეების ოჯახის წევრებს.

საინტერესო ადამიანები

ხანგრძლივობა: 40 წუთი

მიზნები:

- მონაწილეებში წარმოსახვითი უნარის განვითარება;
- ვერბალური კომუნიკაციის განვითარება;
- სტერეოტიპებზე ლაპარაკის დაწყება.

მასალები:

თქვენ დაგჭირდებათ ამონაჭრები გაზეთებიდან და ჟურნალებიდან, რომლებზეც გამოსახული იქნება ადამიანის სახეები. შეეცადეთ, რომ ფოტოებზე სხვადასხვა ეროვნების, რელიგიის თუ სოციალური ფენის წარმომადგენელი იყოს გამოსახული.

სავარჯიშოს მსვლელობა:

თითოეულმა მონაწილემ უნდა მიიღოს ფოტო (საინტერესოა, თუ ორ ადამიანს ექნება ერთნაირი ფოტოები);

მონაწილეებმა ყურადღებით უნდა დაათვალიერონ ფოტოები და შეეცადონ, გასცენ პასუხი შემდეგ შეკითხვებს:

- ვინ არის გამოსახული ფოტოზე;
- ამ ადამიანის სახელი;
- ასაკი;
- მისი წარმოშობა;
- სად მუშაობს;
- როგორ ცხოვრობს, რა პრობლემები აქვს, რაზე ფიქრობს, და ა.შ.

კარგია, თუ მონაწილეებს შორის იქნებიან ისეთებიც, ვისაც ერთნაირი ფოტოები აქვთ. ამ შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება მათ შორის აზრების გაზიარება.

მომდევნო ეტაპზე, წყვილები უზიარებენ ერთმანეთს თავის მოსაზრებებს.

განხილვა

რამდენად რთული/მარტივი იყო დავალება?

□ რა "ეხმარებოდა" მონაწილეებს ვარაუდების ჩამოყალიბების პროცესში?

- □ მონაწილეების აზრით, ემთხვევა თუ არა მათი ვარაუდი რეალურ სიტუაციას?
- □ განსხვავდებოდა თუ არა ვარაუდები მოცემულ წყვილში? რატომ?
- □ ხშირია თუ არა შემთხვევები, როცა ჩვენ გვიყალიბდება აზრი ადამიანზე მისი გარეგნული თვისებებიდან გამომდინარე (რასა, სქესი, ჩაცმულობა)?
- □ რა შეიძლება დაგვეხმაროს მსგავსი 'ვარაუდების უარყოფაში?

საშინაო დავალება:

სთხოვეთ თქვენი ოჯახის წევრებს, გიამბონ "უჩვეულო" ადამიანებზე, რომლებსაც ისინი შეხვედრიან. გამართეთ "უჩვეულო პროფესიების და ჰობის" საღამო. მოიწვიეთ ჯგუფის მონაწილეების ოჯახის წევრები, რომლებსაც უჩვეულო სამსახური, ან ჰობი აქვთ და რომლებსაც სურთ, ისაუბრონ საკუთარ თავზე.

მისალმება

მიზნები:

- სიტუაციის განმუხტვა;
- სტერეოტიპული ქცევის ფორმების დანერგვა;
- გართობა;
- სხვადასხვა კულტურებში არსებული მისალმების ფორმების გაცნობა;
- ჯგუფის შექმნა.

სავარჯიშოს მსვლელობა:

მონაწილეები ღებულობენ ბარათებს სხვადასხვა ქვეყნის მისალმების ტექსტით.

- □ შევაერთოთ ხელები მკერდის დონეზე (როგორც ლოცვის დროს) და დავიხაროთ (იაპონური მისალმება);
- □ გავეხახუნოთ ერთმანეთს ცხვირებით (ახალი ზელანდია);
- □ ჩამოვართვათ ერთმანეთს ხელი დიდი დისტანციიდან (დიდი ბრიტანეთი);
- □ ჩავეხუტოთ და 3-ჯერ ვაკოცოთ ერთმანეთს ლოყაზე (რუსეთი);
- □ ვაჩვენოთ ენა (ტიბეტი);
- □ დავდგეთ ახლოს და ძალიან აქტიურად ჩამოვართვათ ერთმანეთს ხელი (გერმანია);
- □ დავუქნიოთ ერთმანეთს ხელი;
- □ ჩავეხუტოთ და 4-ჯერ ვაკოცოთ ერთმანეთს ლოყაზე (პარიზი).

მონაწილეები დაიშლებიან ოთახში და ესალმებიან ერთმანეთს ბარათზე მითითებული ფორმის მიხედვით.

განხილვა:

- □ მოგეწონათ თუ არა თამაში?
- □ შეეცადეთ გამოიცნოთ, რომელ ქვეყნებს მიეკუთვნება თქვენი მისალმება.
- □ რთული იყო მოცემული მისალმების "გამოყენება"?
- □ მოგეჩვენათ თუ არა, რომ რომელიმე მისალმება სასაცილოა?
- □ როგორი რეაქცია ექნებოდათ ადამიანებს ამ ქვეყნებიდან თქვენს მისალმებაზე?
- □ რა როლს თამაშობს მისალმება თქვენს ცხოვრებაში?

საშინაო დავალება:

მოიფიქრეთ განსაკუთრებული მისალმების ფორმა თქვენი ჯგუფისთვის და "გამოიყენეთ" ის ყოველი მეცადინეობის წინ.

“აუტსაიდერები”

ხანგრძლივობა: 30 წუთი – 1 საათი

მიზნები:

- აგრძნობინეთ მონაწილეებს, რას ნიშნავს, იყო გარიყულის მდგომარეობაში და იმ ადამიანის როლში, ვინც სხვა ადამიანების განდევნის ინიციატორია;
- შემოიტანეთ დისკრიმინაციის თემა;
- მოიფიქრეთ უთანხმოების სიტუაციიდან გამოსავალი;
- განავითარეთ ჯგუფში ვერბალური და არავერბალური უნარ-ჩვევები.

ეს სავარჯიში არ უნდა გამოიყენებოდეს თქვენი და ჯგუფის შეხვედრების პირველ ეტაპზე (მან შესაძლოა შექმნას დაძაბულობა).

მხიარული თამაშის/სავარჯიშოს შემდეგ, “აუტსადერები” დის-კრიმინაციის ცნების შემოტანის კარგი ხერხია.

სავარჯიშოს მსვლელობა:

სთხოვეთ ჯგუფის 3 წევრს, დატოვონ ოთახი. სთხოვეთ დარ-ჩენილ მონაწილეებს, შეკრან წრე და დარჩნენ ამ მდგომარეობაში 3 მონაწილის შემოსვლის დროსაც. არ უთხრათ ჯგუფის წევრებს, რომ მათ არ უნდა შემოუშვან 3 მონაწილე წრეში.

მას შემდეგ, რაც პირველი მონაწილე შემოვა, ან არ შემოვა წრეში, სთხოვეთ ჯგუფს არ შემოუშვას წრეში მეორე და მესამე მონაწილეები.

შემოუშვით მეორე მონაწილე. მიეცით მას საშუალება, რომ გარკ-ვეული დროის განმავლობაში შეეცადოს ჯგუფის “გულის მოგებას”. შემდეგ (სანამ მეორე მონაწილე შეუერთდება წრეს) შემოუშვით მესამე მონაწილე. ეს სავარჯიშო არ უნდა გადაიქცეს დაჭერობა-ნაში. აუცილებელია თავიდანვე აუხსნათ თითოეულ მონაწილეს, რომ ფიზიკური ძალა და მოქნილობა თამაშის განმავლობაში არ დაიშვება.

განხილვა:

- როგორ იქცეოდა ჯგუფი, როდესაც პირველი მონაწილე შემო-ვიდა ოთახში?

- რატომ ცდილობენ ადამიანები თავის ჯგუფში "უცხოელის" არ შეშვებას?
- რას გრძნობდნენ ის მონაწილეები, ვინც ჯგუფის გარეთ რჩებოდნენ?
- რას გრძნობდნენ მონაწილეები, რომლებიც წრეში იდგნენ (მნიშვნელოვანია, განიხილოთ არა მხოლოდ უარყოფითი განცდები, არამედ სიამოვნება, რომელიც მათ (შესაძლოა) განიცადეს (მაგ: ერთობის განცდა).
- წრეში შესვლის რა საშუალებებს მიმართავდნენ "აუტსაიდერები"?
- რომელმა საშუალებამ გაამრთლა და რომელმა არა და რატომ?
- როგორ იქცეოდა ყოფილი "აუტსაიდერი" მას შემდეგ, რაც ის "მიიღეს" წრეში?
- ხდება თუ არა ყოველდღიურ ცხოვრებაში მსგავსი სიტუაციები?

გვიამბეთ ისეთ შემთხვევებზე, რომელიც პირადად თქვენ გადაგხდენიათ ან თქვენი თანდასწრებით მომხდარა.

დაიწყეთ უბრალო შემთხვევებით (მაგ: ახალი მონაწილე ჯგუფში).

რას ფიქრობთ მსგავს სიტუაციებზე საზოგადოებაში (როდესაც მთელი საზოგადოება ზურგს აქცევს გარკვეულ ჯგუფს?).

შენიშვნა: მნიშვნელოვანია ჯგუფის გარეთ დარჩენილ მონაწილეებს მიეცეთ გრძნობების / განცდების გაზიარების საშუალება, რათა მათ კვლავ იგრძნონ თავი ჯგუფის ნაწილად.

თხები და მგლები

ხანგრძლივობა: 40-50 წუთი

მიზნები:

- გამოვიკვლიოთ მიზეზები, რომლის მიხედვით ადამიანები იწვევენ, ან არ იწვევენ ნდობას;
- გამოვიკვლიოთ "გარიყულის" და ჯგუფის/ერთობის განცდა;
- ვიმუშაოთ შიშის და უსაფრთხოების განცდაზე.

თქვენ დაგჭირდებათ ქაღალდები წარწერით "თხა და მგელი"

სავარჯიშოს მსვლელობა:

თქვენ დაგჭირდებათ იმდენი ფურცელი, რამდენი მონაწილეც არის ჯგუფში.

სხვადასხვა ფურცელზე დაიწერება სიტყვები "ბეკეკა", "თხა" და "მგელი".

სთხოვეთ მონაწილეებს ამოიღონ ფურცლები და არ აჩვენონ ისინი ერთმანეთს.

შეახსენეთ მონაწილეებს ზღაპარი "7 ბეკეკაზე". აღწერეთ თამაშის წესები. ოთახის ერთ კუთხეში, ვიწრო წრეში, სხდებიან "ბეკეკები". ეს არის სახლი. დანარჩენი მონაწილეები დგებიან ოთახის მოპირდაპირე კუთხეში. თითეული სათითაოდ უახლოვდება "სახლს" და ცდილობს, დაარწმუნოს ბეკეკები, რომ ის თხაა. ბეკეკების მიზანია, გადაწყვიტონ, ღირს თუ არა პრეტენდენტის შემოშვება.

თუ ისინი შემოუშვებენ მგელს, იგი შეჭამს ერთ-ერთ ბეკეკას (ერთი მონაწილე გადის თამაშიდან).

თუ გააგდებენ ნამდვილ თხას, ერთი ბეკეკა იღუპება (იმიტომ, რომ დედამ არ მოიტანა რძე).

ბეკეკების მიზანია, გადარჩნენ. თხების და მგლების მიზანია, შეაღწიონ სახლში.

სინამდვილეში, ეს უბრალოდ საინტერესო თამაშია, რომელიც ეხმარება მონაწილეებს ნდობის გაძლიერებაში. ასევე, ეს თამაში აძლევს მონაწილეებს საშუალებას, გამოსცადონ თავი სხვადასხვა როლში.

განხილვის საინტერესო თემები შეიძლება იყოს:

- რას გრძნობდნენ ბეკეკები?

- რით ხელმძღვანელობდნენ ისინი გადაწყვეტილების მიღების პროცესში?
- რატომ იღებდნენ ისინი არასწორ გადაწყვეტილებას?
- გვექმნება თუ არა მცდარი წარმოდგენა ადამიანებზე?
- რას გრძნობდნენ თხები, როცა მათ მგლად აღიქვამდნენ?
- როგორ ცდილობდნენ ისინი ბეკეკების დარწმუნებას?
- აკლდება თუ არა რამე ჯგუფს ვინმეს არ შეშვების შემთხვევაში?
- სასიამოვნოა, თუ არა მგლისთვის, იყოს მგელი (იყოს აღიარებული მგლად)?
- ხშირად ხდება თუ არა, რომ პიროვნება აღმოჩნდება ხოლმე "მგელი" საკუთარი სურვილის მიუხედავად?

უცნაური ადამიანი

ასაკი: ნებისმიერი
ხანგრძლივობა: 1 საათი
მიზნები:

- შეიგრძნო ის განცდა, რომელიც უჩნდება ადამიანებს "უცხო" და მათგან განსხვავებულ ადამიანებთან შეხვედრისას;
- დაანახო მონაწილეებს მსგავს ადამიანებთან შეხვედრის დადებითი მხარეები;
- მისცე მონაწილეებს საშუალება, დაამყარონ კონტაქტი "უცხო" და "სხვანაირ" ადამიანებთან, დაცულ გარემოში.

სავარჯიშოს მსვლელობა:

1. დასხედით წრეში და სთხოვეთ მონაწილეებს, გაიხსენონ ის მომენტი, როდესაც ისინი შეხვდნენ "უჩვეულო" ადამიანს ქუჩაში, თუ სხვა საზოგადოებრივ ადგილას. შეეცადეთ, რომ მონაწილეებმა გაიხსენონ საზოგადოებაში მცხოვრები სხვადასხვა უმცირესობის წარმომადგენლები (მაგ: ბოშები). კარგია, თუ მონაწილეები გაუზიარებენ ჯგუფს თავის გამოცდილებას და გაიხსენებენ, თუ როგორ რეაგირებდნენ ამ "უჩვეულო" ადამიანებზე დანარჩენები. სთხოვეთ მონაწილეებს, რომ მათ გაუზიარონ ჯგუფს თავისი განცდები.

2. სთხოვეთ მონაწილეებს, მოიგონონ ისეთი პიროვნება, რომელიც იქნება საპირისპირო თვისებების მატარებელი.

- როგორია ეს ადამიანი?
- როგორ გამოიყურება ის?
- რამდენი წლის არის?
- რით არის დაკავებული?
- რა უყვარს მას?
- რა არ უყვრს?
- როგორი ხასითი აქვს?
- რა ეროვნების არის?
- რომელი რელიგიის წარმომადგენელია?
- როგორ ატარებს თავისუფალ დროს?
- სად ცხოვრობს?
- როგორი ოჯახი აქვს?

კარგია, თუ მონაწილეები დახატავენ "გამოგონილ" ადამიანებს, ან აღწერენ ფურცელზე მათ თვისებებს (მეთოდი დამოკიდებულია თქვენი ჯგუფის სპეციფიკაზე).

რამდენიმე ან ყველა მონაწილე (ეს დამოკიდებულია ჯგუფის სიდიდეზე) შემდეგ წარადგენს თავის "უჩვეულო ადამიანს".

დაუსვით მონაწილეებს დამატებითი შეკითხვები:

რატომ არის თქვენი "უჩვეულო ადამიანი" თქვენგან განსხვავებული?

როგორ უყურებთ თქვენ მას?

როგორი განცდა დაგეუფლებოდათ მასთან შეხვედრისას?

ბოლოს სთხოვეთ მონაწილეებს, მონახონ 3 საერთო თვისება, რომელიც აკავშირებთ მათ თავის "უჩვეულო ადამიანთან".

განხილვა:

როგორ რეაგირებენ ადამიანები იმ პიროვნებებზე, რომლებიც მათ არ ჰგვანან?

რატომ?

რა იქნებოდა, ყველა ადამიანი ერთნაირი რომ ყოფილიყო?

ჩვენ მიგვაჩნია, რომ "უჩვეულო" ადამიანები უცნაურები არიან. საინტერესოა, როგორ გვიყურებენ ისინი ჩვენ?

რა შეიძლება მოგვიტანოს ჩვენ "სხვანაირ" და "უჩვეულო" ადამიანებთან ურთიერთობამ?

საშინაო დავალება: აჩვენეთ თქვენი ნახატები ჯგუფს.

განსხვავებების სამყარო

ასაკი: ნებისმიერი

ხანგრძლივობა: 1.5 საათი.

მიზნები:

- გააცნობიეროთ პრაქტიკაზე განსხვავებებისა და მრავალფეროვნების უპირატესობა;
- ჯგუფში კომუნიკაციის განვითარება.

თქვენ დაგჭირდებათ ლურჯი, წითელი და მწვანე ფერის ფანქრები ან ფლომასტერები და ამავე ფერების "იარლიყები". ამავდროულად, "იარლიყების" რაოდენობა არ უნდა იყოს განაწილებული ფერების მიხედვით. ერთ-ერთი ფერი უნდა იყოს წარმოდგენილი მხოლოდ 1 იარლიყით.

სავარჯიშოს მსვლელობა:

მიაწებეთ მონაწილეებს შუბლზე იარლიყები. ფერების არჩევა უნდა მოხდეს სპონტანურად.

მონაწილეებმა უხმოდ უნდა შექმნან ჯგუფები ფერების მიხედვით. დაურიგეთ თითოეულ ჯგუფს ფურცლები და ფლომასტერები მათი ფერის შესაბამისად. ამასთანავე, თითოეული მონაწილე მიიღებს თავის საკუთარ ფანქარს/ფლომასტერს, რომელიც მან არ უნდა გადასცეს სხვა ადამიანს.

სთხოვეთ მონაწილეებს, დახატონ ქაღალდზე ქალაქის ქუჩა. გამოაცხადეთ, რომ ეს დავალება საკონკურსოა, ხოლო გამარჯვებული გუნდი მიიღებს პრიზს. მიეცით მონაწილეებს გარკვეული დრო დავალების შესასრულებლად.

სავარჯიშოს პირველ ეტაპზე აუცილებელია, შეიქმნას კონკურენტული ატმოსფერო, რომელსაც მონაწილეები "გაუმკლავდებიან" შემდგომ ეტაპზე. ამისთვის, ჯგუფებმა უნდა გამოიგონონ თავისი "გუნდის" სახელი ფერის შესაბამისად. კარგია, თუ გუნდის ნაწილი იმუშავებს ლოზუნგზე, სანამ დანარჩენი წევრები დახატავენ ქუჩას.

ჟიურის როლში შეგიძლიათ მასწავლებლები ან უფროსკლასელები მოიწვიოთ. შეუთანხმდით მათ წინასწარ. მიეცით გუნდებს საშუალება, წარმოადგინონ თავისი ნახატი, დასახელება და ლოზუნგი. ჟიური შეფასებას აძლევს გუნდების გამოსვლას და უწერს თითოეულ გუნდს დაბალ ქულას. თქვენ აცხადებთ, რომ პრიზს

არც ერთი გუნდი არ მიიღებს. შემდეგ ეკითხებით მონაწილეებს, თუ რით იყო განპირობებული ცუდი შედეგები. როდესაც მონაწილეები მივლენ იმ დასკვნამდე, რომ მთავარი პრობლემა – ნახატების ერთფეროვნებაა, თქვენ გამოაცხადებთ, რომ ყველას ეძლევა დამატებითი დრო. შესაძლოა, თქვენ ასევე უბიძგოთ მათ გაერთიანებისკენ და თანამშრომლობისკენ.

როდესაც მონაწილეები შექმნიან სხვადასხვა ფერების ჯგუფს, მიეცით მათ კიდევ ერთი ფურცელი, რომ მათ დახატონ ფერადი ქალაქი. სთხოვეთ თითოეულ მონაწილეს, შეიტანოს თავისი წვლილი ნახატში, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად კარგად ხატავს ის. დაურიგეთ ყველას პატარა პრიზები (ტკბილეული), ხოლო ერთობლივი ნახატი ჩამოკიდეთ საკლასო ოთახში. მოიფიქრეთ ამ ნახატისთვის სახელი.

განხილვა:

ნაწილი 1.

- რთული იყო თქვენი "ფერის" ადამიანების მოძებნა?
- რას გრძნობდნენ ყველაზე მრავალრიცხოვანი გუნდის წევრები?
- რას გრძნობდნენ დანარჩენები, "თავისიანების" პოვნის შემდეგ?
- რას გრძნობდა მონაწილე, რომელიც მარტო დარჩა?
- რას გრძნობდნენ მონაწილეები სხვა გუნდებთან მიმართებაში? სურდათ თუ არა, ყოფილიყვნენ პირველები და გამარჯვებულები?
- რა განიცადეს მაშინ, როდესაც ყველამ თანაბრად დაბალი ქულა მიიღო?
- რთული იყო თუ არა ერთობლივად ხატვის დაწყება?

როგორი გამოვიდა ერთობლივი ნახატი? უკეთესია თუ არა ის წინა ნახატებზე?

ნაწილი მე-2:

- მოიყვანეთ "წითლების", "მწვანეების" და "ლურჯების" მაგალითი ყოველდღიური ცხოვრებიდან.
- სხვადასხვა ადამიანებს სხვადასხვა სარგებელი მოაქვთ საზოგადოებისთვის. მოიყვანეთ თქვენი კლასის მაგალითი. როგორ როლს თამაშობს კლასში სხვადასხვა მოსწავლის ყოფნა კლასის ცხოვრებაში?

- თქვენს ქალაქში ცხოვრობენ სხვადასხვა ეროვნების, რელიგიის და ინტერესების მქონე ადამიანები. მოიყვანეთ მაგალითები, თუ როგორი საინტერესოა ქალაქი ცხოვრება ამ მრავალფეროვნების ფონზე.

კულტურული ლექსიკონი

ხანგრძლივობა: 40-60 წუთი

მიზნები:

- გამოვიკვლიოთ ცნებები, რომლებიც უკავშირდება ტოლერანტობას;
- გამოვიკვლიოთ ერთი და იგივე სიტყვის აღქმის ვარიანტები სხვადასხვა ადამიანების მაგალითზე;
- კომუნიკაციის პროცესის გაუმჯობესება ჯგუფში.

თქვენ დაგჭირდებათ ცნებების ჩამონათვალი, ქაღალდი, საწერკალამი თითოეული გუნდისათვის.

სავარჯიშოს მსვლელობა:

დაყავით მონაწილეები რამდენიმე ჯგუფად (3-4 ადამიანი). დაურიგეთ თითეულ ჯგუფს ფურცლები და ფანქრები.

მოიწვიეთ თითოეული ჯგუფის წარმომადგენელი და ჩუმად შეატყობინეთ "სიტყვა-დავალება".

გუნდის წარმომადგენლები უბრუნდებიან გუნდებს და ცდილობენ დახატონ ეს სიტყვა ფურცელზე. გუნდის მიზანია მიხვდეს, თუ რა არის ეს სიტყვა. ის გუნდი, რომელიც პირველი გამოიცნობს სიტყვას, მიიღებს ყველაზე მაღალ ქულას. მეორე რაუნდის დროს, პროცედურა მეორდება და თქვენ კვლავ "იწვევთ" თქვენთან გუნდების წარმომადგენლებს.

გამოყენებული სიტყვები შეიძლება იყოს რასიზმი, სიკეთე, ლტოლვილები, თანასწორობა, კავკასიელები, რუსები, და ა.შ.

თამაშის დასრულების და ქულების შეფასების მერე, სთხოვეთ მონაწილეებს, შეადარონ ერთი და იგივე სიტყვის დახატვის სხვადასხვა ვარიანტები.

განხილვა:

რთული იყო სიტყვის გამოცნობა? დახატვა?

რომელი სიტყვა იყო ყველაზე "მარტივი" და რომელი – "რთული"?

რატომ ხატავენ სხვადასხვა ადამიანები ერთსა და იმავე სიტყვას სხვადასხვანაირად?

რა აისახება ადამიანების მიერ სიტყვების დახატვისას?

განსხვავებული სტარტი

ხანგრძლივობა: 40 წუთი

მიზნები:

- დავანახოთ მონაწილეს, თუ რას გრძნობს ადამიანი, რომელიც თავისთვის უცხო კულტურაში ხვდება;
- განვიხილოთ ადამიანის შესაძლო რეაქციები მსგავს სიტუაციაში;
- განვიხილოთ, რა შეგვიძლია მოვიმოქმედოთ ამ ადამიანის დასახმარებლად.

თქვენ დაგჭირდებათ: ჟურნალები კოლაჟისთვის, მაკრატელი, ქაღალდი და სასუსნავი.

სავარჯიშოს მსვლელობა

თქვენ უნდა მოიფიქროთ მარტივი, მაგრამ შემოქმედებითი დავალება. მაგალითად, მოიტანოთ ძველი ჟურნალები, მაკრატელი, ქაღალდი და წებო. ამ შემთხვევაში, დავალება კოლაჟის შექმნა იქნება.

დაყავით ჯგუფი ოთხად. დაურიგეთ თითოეულ ჯგუფს სამუშაო მასალა. ჯგუფები ოთახის სხვადასხვა კუთხეში "დააბინავეთ". მიუახლოვდით პირველ ჯგუფს და ჩუმად სთხოვეთ, შექმნან "გაზაფხულის კოლაჟი". ასევე ჩუმად მიეცით დავალება დანარჩენ ჯგუფებში (მეორე ჯგუფს შესთავაზეთ შემოდგომის კოლაჟის შექმნა, მესამე ჯგუფს – ზაფხულის, და ა.შ.).

მიუახლოვდით მეოთხე ჯგუფს და უთხარით შემდეგი სიტყვები: "ოდ ავდარკუ მო პარსტახი კამ". არ უპასუხოთ არც ერთ შეკითხვას, რომელიც მეოთხე ჯგუფის მიერ იქნება დასმული. აქტიურად დაეხმარეთ დანარჩენ ჯგუფებს.

გარკვეული პერიოდის მერე შეამოწმეთ ვითარება და დახედეთ პირველი 3 ჯგუფის ნამუშევრებს. მიეცით მათ რამდენიმე რჩევა და შეაქეთ მონაწილეები.

მიუხლოვდით მეოთხე ჯგუფს. გამოხატეთ გულწრფელი აღშფოთება იმასთან დაკავშირებით, რომ მათ ჯერ არც დაუწყიათ მუშაობა. დატუქსეთ მონაწილეები. აღელვებული დაუბრუნდით თქვენს ადგილს.

გაიგეთ, რამდენი დრო სჭირდება კიდევ პირველ 3 ჯგუფს. დარწმუნდით, რომ ამ სამმა ჯგუფმა დაასრულა მუშაობა. შეაქეთ ისინი. ჩამოკიდეთ მათი ნამუშევრები კედელზე. მოიპატიჟეთ მეოთხე ჯგუფის წევრები "გამოფენასთან" და აჩვენეთ მათ 3 ჯგუფის ნამუშევარი სიტყვებით "აი, ხომ ხედავთ, როგორ უნდა მუშაობა". დააჯილდოვეთ პირველი 3 ჯგუფის წევრები გემრიელი პრიზებით. მთელი თამაშის განმავლობაში, ჯგუფებს შორის კომუნიკაცია აკრძალულია. მეოთხე ჯგუფის წევრები არ მიიღებენ პრიზს.

განხილვა:

დაიწყეთ განხილვა, მეოთხე ჯგუფის წევრებისთვის გემრიელი პრიზების დარიგებით.

- მიეცით მონაწილეებს ემოციების გამოხატვის საშუალება;
- რა განიცადეს მეოთხე ჯგუფის წევრებმა, როცა გაუგებარი დავალება მიიღეს?
- როგორ ვითარდებოდა მოვლენები და როგორ იცვლებოდა მათი ემოციური მდგომარეობა?
- რას გრძნობდნენ ისინი, როცა მათ აკრიტიკებდნენ და იგნორირებას უკეთებდნენ?
- რას განიცდიდნენ მაშინ, როდესაც პრიზების გარეშე რჩებოდნენ?
- რას გრძნობდნენ დანარჩენი ჯგუფების წევრები?
- უნდოდათ თუ არა სამართლიანობისთვის გაბრძოლება და დაჩაგრული ჯგუფის დაცვა, თუ პირიქით, სიამოვნებდათ, რომ მათ აქებდნენ, ხოლო სხვებს ჩაგრავდნენ?
- რატომ მოხდა ისე, რომ არც ერთმა ჯგუფმა არ დაარღვია წესი და არ დაეხმარა მეოთხე ჯგუფს? ამ შეკითხვაში დევს გარკვეული პროვოკაცია. თუ თქვენ მიიღებთ პასუხს "კი მაგრამ, თქვენ ხომ წინასწარ გაგვაფრთხილეთ, რომ კომუნიკაცია არ დაიშვება", თქვენ შეგიძლიათ დაუსვათ შეკითხვა: "და რა მოხდებოდა, თქვენ რომ ეს წესი დაგერღვიათ?"
- თუ აღმოჩნდა ისეთი მონაწილე, რომელიც დაეხმარა მეოთხე ჯგუფს, დაუსვით შეკითხვა ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. რამ გადაადგმევინა მას ეს ნაბიჯი?
- რა მისცა ამ სავარჯიშომ ჯგუფს?

- რას გრძნობენ უცხო ქვეყნებიდან ჩამოსული ადამიანები, რომლებსაც არ ესმით ჩვენი ენა და კულტურა?
- სარგებლობენ თუ არა ეს ადამიანები საზოგადოების მხრიდან პრივილეგიებით?
- როგორ იქცევიან საზოგადოების წევრები ჩამოსულ და "უცხო" ადამიანებთან მიმართებაში?
- რა შეიძლება შევცვალოთ ჩვენს ქცევაში ისეთი, რაც გაუადვილებს ამ ადამიანებს არსებობას?
- საჭიროა ცვლილებების შეტანა?
- ვინ წარმოადგენს "მეოთხე ჯგუფს" რეალურ სამყაროში (შეახსენეთ მონაწილეებს სოფლიდან ქალაქში ჩასულების, ობოლი და ლტოლვილი ადამიანების შესახებ).

საშინაო დავალება:

შეეკითხეთ თქვენი ოჯახის უფროსებს, მათ მიერ გამოვლილი სირთულეების შესახებ სამსახურის ძებნის, უმაღლესში ჩაბარების, სხვა ქალაქში/ქვეყანაში გადასვლის პროცესში.

დაფიქრდით იმ ადამიანებზე, რომლებსაც, თქვენი აზრით, შეიძლება შეექმნათ სირთულე სწავლების, დასვენების და ცხოვრებაში თავისი ადგილის პოვნის პროცესში (მათი ოჯახური თუ სხვა მიზეზების გამო).

რელიგიათაშორისი დისკუსია

თუ ჯგუფში სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლები გყავთ (ასევე აგნოსტიკოსები, ან ათეისტები), განიხილეთ განსხვავებული რელიგიის/იდეოლოგიის შეხედულებები. აირჩიეთ როლური თამაშებიდან ერთ-ერთი მაგალითი:

- □ რა იქნებოდა თქვენი განწყობა ამ სიტუაციაში? რატომ?
- □ რამდენად უნდა განსაზღვროს რელიგიამ თქვენი ცხოვრება? რატომ?

წინასწარი განსჯების (ან სტერეოტიპების) ქსელი

სტერეოტიპების, ან წინასწარი განსჯების ქსელში გახლართული ადამიანები მუნჯდებიან, ხდებიან დაუცველნი, დამცირებულნი და შეურაცხყოფილნი.

ამოცანა: მონაწილე უნდა მიხვდეს, თუ როგორ ზემოქმედებს სტერეოტიპი და წინაგანსჯა ადამიანებზე; მონაწილეები ისწავლიან, როგორ დაუჭირონ მხარი ადამიანს, რომელიც შეურაცხყოფილია ან დამცირებულია სხვებისგან.

სტრატეგია: ტრენერი ირჩევს ერთ მონაწილეს, რომელიც განასახიერებს რელიგიური (ან სხვა) უმცირესობის ჯგუფს. დანარჩენებმა უნდა მოიგონონ და უთხრან ისეთი ხუმრობები და ანეკდოტები, რომლებიც ამ ჯგუფის მიმართ უარყოფით სტერეოტიპს და წინაგანსჯას შეიცავს.

ყოველ ანეკდოტს ახლავს ტრენერის "ერთი სვლა". ტრენერი თოკის ერთი ხვეულით (ან წებოვანი ლენტით) აბამს "უმცირესობის" წარმომადგენელს და ამდენად იგი სტერეოტიპების ხლართში ექცევა. საბოლოოდ მას არ შეუძლია არც განძრევა და არც ხმის ამოღება.

დისკუსია: ამ გათამაშების შემდეგ ტრენერი ეკითხება "უმცირესობის" წარმომადგენელს, თუ როგორ გრძნობდა იგი თავს ამ სიტუაციაში. შემდეგ ეკითხება სხვა მონაწილეებს: თქვენ რას გრძნობდით? მოგინდებოდათ ამ როლის შესრულება?

შემდეგ წარიმართება დისკუსია ადამიანებსა და საზოგადოებაზე სტერეოტიპის გავლენის შესახებ.

იმისთვის, რომ "ტყვე" დაიხსნან ამ ქსელიდან, ტრენერი სთხოვს მონაწილეებს, უთხრან რაიმე დადებითი, ან სიყვარულის და გაგების ამსახველი სიტყვებით მიმართონ.

ტოლერანტობის დეფინიცია

ხანგრძლივობა: 2 სთ

მიზნები:

- მოიძებნოს საერთო საფუძველი ერთობლივი მუშაობისთვის;
- მოხდეს ტოლერანტობის თემაზე იდეების პროვოცირება და გენერაცია.

მასალა:

კალმისტრები და ქაღალდები თითოეული მონაწილისთვის, დაფა.

სავარჯიშო მსვლელობა:

სავარჯიშო 3 ნაწილისგან შედგება. მონაწილეები იყოფიან მცირე ჯგუფებად. პირველ ნაწილში იყოფიან 4 ხუთკაციან ჯგუფად, მეორე ნაწილში – 2 ათკაციან ჯგუფად, ხოლო მესამე ნაწილი პლენარულია.

მცირე ჯგუფებში (სასურველია ერთსქესიანი) ტოლერანტობის დეფინიცია კეთდება არაუმეტეს 3 წინადადებისგან (15 წუთი). შემდეგ ორ-ორი ჯგუფი გაერთიანებული მუშაობს ამ დეფინიციაზე და შეიმუშავებს საერთო განსაზღვრებას (30 წუთი).

მესამე პლენარულ ნაწილში ფასილიტატორი წერს დეფინიციებს დაფაზე. ჯგუფი ამატებს და ცვლის სანამ არ მიიღება საბოლოო ვერსია. ულოცავს მონაწილეებს.

იგივე კეთდება რელიგიური ტოლერანტობის ცნებაზე.

არატოლერანტობის რუკის შედგენა

საჭირო მასალა: მსოფლიო რუკა, ფერადი სტიკერები.

დავკიდოთ მსოფლიოს რუკა. მონაწილეებმა აღნიშნონ:

- მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტები და ომები სხვადასხვა ეთნიკურ ან ენობრივ ჯგუფს შორის;
- რელიგიური კონფლიქტები ერთი და იგივე ეროვნების (რასის) შიგნით;

- □ რასობრივი კონფლიქტები, რეპრესიები და სეგრეგაცია;
- □ პოლიტიკური, ეთნიკური ან რელიგიური ხასიათის კონფლიქტები უმრავლესობასა და უმცირესობას შორის;
- □ ქალების მიმართ ძალადობისა და ჩაგვრის მაგალითები.

დისკუსია:

- □ რა ჯგუფები არიან ჩართულნი?
- □ საიდან ჩანს, რომ ეს არატოლერანტობაა? სიმპტომები, ინდიკატორები, სპეციფიკური სიტუაციები და პირობები, რომლებიც მოწმობს, რომ სიმპტომები სახეზეა. ციფრები, მონაცემები.
- □ რა არის პრობლემა? რა არის თითოეული ჯგუფის ხედვა, მიზანი, ადამიანის უფლებების დარღვევის გარდა, სხვა რა ზიანი უნდა გამოიკვეთოს?
- □ აღწერეთ შემთხვევები. ახალია, თუ დროში გახანგრძლივებული? რა არის შეუწყნარებლობა თითოეული მხარისთვის?
- □ რა პერსპექტივებია კონფლიქტების გადაწყვეტისას.

(სავარჯიშო ადაპტირებულია Tolerance: the threshold of peace. A teaching/learning guide for education for peace, human rights and democracy. UNESCO)

"დისკრიმინაცია"

მონაწილეებმა მოიყვანონ დისკრიმინაციის მათთვის ცნობილი მაგალითები. გავყოთ მონაწილენი მცირე ჯგუფებად (3-4 კაცი) – თითოეულმა ჯგუფმა მოიფიქროს და წარმოადგინოს სცენა დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმაზე.

სავარაუდო ფორმები: დისკრიმინაცია სამსახურში მიღებისას, ასაკის გამო; ქალების დისკრიმინაცია რიგში; სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლის დისკრიმინაცია; ეთნიკური დისკრიმინაცია და ა.შ.

განხილვა:

- □ როგორ გრძნობდნენ თავს "მსხვერპლის როლის შემსრულებლები?
- □ როგორ გრძნობდნენ თავს "დისკრიმინატორები"?
- □ პრობლემის გადაწყვეტის რა გზები მოინახა?
- □ ვის მიმართ არის ჩვეულებრივ, მიმართული დისკრიმინაცია?
- □ რატომ ხდება საერთოდ დისკრიმინაცია?
- □ ვინ იწყებს დისკრიმინაციას?
- □ როგორ იქცევიან დამსწრენი?
- □ როგორ გრძნობს თავს დისკრიმინაციის მსხვერპლი?

(სავარჯიშო ადაპტირებულია კრებულიდან "Мир различий")

სავარჯიშო გენდერულ სტერეოტიპებზე "რატომ?..."

დავალების მიზანი:

წინააღმდეგობების გადალახვა სტერეოტიპულ შეხედულებებში დაეჭვების გზით.

ეფექტური სარგებლობა სიტყვით "რატომ"?

მაგალითად:

რატომ უნდა ვაკეთოთ ეს სწორედ ასე?

რატომ არ უნდა შეასრულოს ქალმა ეს სამუშაო?

რატომ არ შეუძლია მამაკაცს, რომ მიხედოს სახლის საქმეებს და ბავშვებს?

რატომ არ უნდა იკავებდეს ქალი მაღალ თანამდებობას?

რატომ არ შეიძლება, რომ ქალი გახდეს ჩვენი პრეზიდენტი?

რატომ არ იღებს ქალი მემკვიდრეობას ისე, როგორც კაცი?

რატომ არ ინაწილებს მამაკაცი ქალთან მთელ ყოველდღიურ საოჯახო საქმეს?

რატომ ვეთანხმებით ამ ტრადიციას?

რატომ ვაკეთებთ ამას ისე, როგორც ეს ადრე იყო?

დავალება: ა) ვთხოვთ მონაწილეებს, განიხილონ და შეადგინონ ამ საზოგადოებაში (რეგიონში) გავრცელებული ტრადიციების ნუსხა;

ვირჩევთ მაგალითს;

ვყოფთ მონაწილეებს წყვილებად;

ერთი წევრი წყვილიდან წარმოადგენს ტრადიციულ შეხედულებას;

მეორე სვამს შეკითხვას "რატომ"?

პირველი პასუხობს და ცდილობს, დაიცვას ტრადიციული პოზიცია;

ეს მეორდება 5-ჯერ;

წყვილები იცვლიან როლებს და ყველაფერი მეორდება სხვა მაგალითზე.

დავალება: ბ) დავყოფთ მონაწილეებს მცირე ჯგუფებად;

ვთხოვთ მონაწილეებს მივიდნენ იდეამდე, თუ როგორ უნდა შეიცვალოს ტრადიციული მეთოდები და მიდგომები (კონკრეტულად), გენდერული სამართლიანობის მიღწევის მიზნით.

დაწერეთ იდეები ფლიპჩარტზე დისკუსიისთვის.

(Lesley Abdela, Shevolution, 2001)

სავარჯიშო პრეზენტაცია – სტერეოტიპების და განწყობების გავლენა ინფორმაციის აღქმაზე და გადაცემაზე ურთიერთობის პროცესში

ხანგრძლივობა: 25 წუთი უკუკავშირთან ერთად

სავარჯიშოს მსვლელობა

ამოირჩიეთ ადამიანი, რომელსაც ყველაზე ნაკლებად იცნობთ (ნაკლებად ურთიერთობთ). თითოეულ თქვენგანს ეძლევა 3 წუთი, რათა მოყვეს საკუთარი თავის შესახებ. თქვენს მეწყვილეს შეუძლია დამაზუსტებელი შეკითხვების დასმა. შემდეგ ცვლით როლებს. გაითვალისწინეთ, რომ მოგიხდებათ თქვენი პარტნიორის შესახებ მოყოლა მისი სახელით.

დიალოგის დასრულების შემდეგ თითოეული მონაწილე დგება თავისი პარტნიორის უკან, ხელებს მის მხრებზე აწყობს და ერთი წუთის განმავლობაში ჰყვება მის შესახებ პირველ პირში: მე მქვია დათო... მიყვარს... არ მიყვარს როცა...” აქ არ არის არავითარი შეზღუდვა, გარდა ერთისა: გეძლევათ მხოლოდ ერთი წუთი. ამ დროის ამოწურვის შემდეგ მონოლოგი უნდა შეწყდეს, თუ დრო დარჩა, ჯგუფი ელოდება წუთის ამოწურვას, მთხრობელს შეუძლია რამე დაამატოს. ამის შემდეგ ჯგუფის წევრებს შეუძლიათ დაუსვან დამაზუსტებელი შეკითხვები. მონოლოგის წამყვანის ამოცანაა “იგრძნოს” თავისი პარტნიორი და შეეცადოს უპასუხოს მისი სახელით. მას, ვისი სახელითაც ლაპარაკობენ, არა აქვს უარყოფის ან კომენტარების უფლება “ჭეშმარიტების მომენტის” დადგომამდე, ანუ უკუკავშირამდე.

დამატებითი შენიშვნა: ზოგიერთ მონაწილეს უჭირს გაჩუმება, როცა ისინი ისმენენ თავის შესახებ მცდარ ინფორმაციას, მაგრამ ნებისმიერ კომენტარზე, გარდა მიმიკურისა, დაწესებულია ტაბუ: “ყველა დამატება და შესწორება მოისმინება მხოლოდ სავარჯიშოს დამთავრების შემდეგ. ახლა შეეცადეთ, აკონტროლოთ გრძნობები და დაიხსომოთ, სად გაჩნდა გაურკვევლობა“. თუ ამ შეზღუდვას არ შემოიღებთ, არის შანსი, გამოიწვიოთ კამათი და ვერ მიაღწიოთ საბოლოო შედეგს.

სავარჯიშოს საშუალებით ვგებულობთ, თუ რამდენად ძლიერი დამახინჯება შეიძლება მოჰყვეს თუნდაც ორ ადამიანს შორის ინ-ფორმაციის გაცვლას. განსაკუთრებით, ეს დამახასიათებელია შე-რეული სქესის წყვილებში.

სტერეოტიპები – ყველა ვაშლი წითელია

ხანგრძლივობა: 1 საათი

მიზანი:

- გავაცნოთ მონაწილეებს სტერეოტიპის განმარტება.
- სავარჯიშოს მსვლელობა:
- წაუკითხეთ მონაწილეებს ისტორია: "ელი ხილისა და ბოსტნეულის ქვეყანაში"

ელის ყველა იცნობს წიგნიდან "კეთილი ჯადოქარი ზურმუხტის ქალაქიდან".

მაგრამ თქვენ არ იცით, რომ ელის არასოდეს ენახა ხილ-ბოსტნეული, რადგანაც კანზასში ისინი არ იზრდებოდა. ხოლო ჯადოსნურ ქვეყანაში არასოდეს შეხვედრია.

ერთ მშვენიერ დღეს კანზასში ამოვარდნილმა ქარიშხალმა ელი ჯადოსნური ქვეყნის ნაცვლად ხილისა და ბოსტნეულის ქვეყანაში მიიყვანა.

თავიდან ელიმ დაინახა დიდი წითელი ბუშტი.

- ვინა ხარ? – ჰკითხა ელიმ.

- პომიდორი, – უპასუხა ბუშტმა. ელიმ გზა განაგრძო. იარა, იარა და ახლა დიდი ყვითელი ბუშტი დაინახა. ლიმონი გაეცნო ელის და შესთავაზა საკუთარი თავი. ელიმ ჩაკბიჩა ლიმონის ნაჭერი და ისეთი მჟავე იყო, რომ ელი კინაღამ ატირდა.

ელი გაბრაზდა ლიმონზე და გზა განაგრძო. მალე მან დაინახა მოგრძო ფორმის ხილი, რომელმაც შესთავაზა მისი გემოც გაესინჯა. ელიმ გასინჯა და ძალიან მოეწონა.

მოდი, დავიმახსოვრებ რა გქვია, – მიმართა ელიმ.

- ბანანი, – უთხრა ხილმა და ელიმ კვლავ განაგრძო გზა. დასასვენებლად მინდორში ჩამოჯდა. იქვე მდგარ ხეზე ასევე წითელი ბუშტი ეკიდა.

– პომიდორო, მოდი, ვიჭორაოთ, – უთხრა ელიმ.

– მე პომიდორი კი არა, ვაშლი ვარ. – გაისმა გულდაწყვეტილი ხმა.

– კარგი რა, მე ხომ შენ გიცნობ. შენ მრგვალი და წითელი ხარ. შენ პომიდორი ხარ და ნუ მატყუებ.

ვაშლი ძალიან განაწყენდა და ხიდან ჩამოვარდა.

ელიმ გზა განაგრძო. უცებ ძალიან მოშივდა. ის იმ მინდორზე იმყოფებოდა, სადაც ირგვლივ მხოლოდ ყვითელი ბუშტები ეკიდა. "გემო გაგვისინჯე, ჩვენ ძალიან ტკბილი ვართ", – ჩურჩულებდნენ ისინი.

"მნახეთ რა სულელი, თქვენ ყვითლები ხართ, ესე იგი მჟავე იქნებით". – თქვა ელიმ.

ასე დარჩა ელი მშიერი. ტკბილმა გოგრებმა კი მხრები აიჩეჩეს. ბილიკზე ელი გრძელი ნაყოფი დაინახა.

"მოდი გავსინჯავ" – თქვა მან. მწარე წიწაკა არასოდეს სარგებლობდა პოპულარობით.

ის მოხარული იყო ელის გამასპინძლებოდა. სიმწრისა და გაოცებისაგან ელი კვლავ ატირდა.

თვალსაჩინოებისთვის გაანაწილეთ როლები და სთხოვეთ მონაწილეებს, შეასრულონ ეს ისტორია როლების მიხედვით.

ჰკითხეთ, მონაწილეებიდან ვინ მიხვდა ელის პრობლემას.

რაში იყო მისი შეცდომა?

თუ ჯგუფს გაუჭირდა პასუხის გაცემა, დაეხმარეთ შემდეგი კითხვებით:

ყველა ვაშლი წითელია?

ყველა ყვითელი ხილი მჟავეა?

სთხოვეთ მონაწილეებს, დაეხმარონ ელის. დადგით პატარა სცენა. ერთმა შეასრულოს ელის როლი. დანარჩენები რიგრიგობით მივიდნენ და აუხსნან ელის, რა შეცდომა დაუშვა მან და ეცადონ, ელიმ უკეთესად იგრძნოს თავი ხილისა და ბოსტნეულის ქვეყანაში.

განხილვა:

-რატომ ჰქონდა ელის სხვადასხვა ხილზე არასწორი წარმოდგენა?

-ამის გამო მან წააგო თუ მოიგო?

-ხილმა?

აუხსენით ბავშვებს, რომ რასაც ჩვენ ვაკვირდებოდით ელის შემთხვევაში, ეწოდება "სტერეოტიპები".

ელის მაგალითზე მოუყევით მათ, თუ როგორ წარმოიქმნება სტერეოტიპები ცხოვრებაში. სთხოვეთ ბავშვებს, თავადაც მოიყვანონ სტერეოტიპების მაგალითები.

რა დადებით როლს თამაშობს სტერეოტიპები ცხოვრებაში?

რაში მდგომარეობს სტერეოტიპების უარყოფითი როლი?

რუსეთის ექსპრესი

ხანგრძლივობა: 40 წუთი

მიზანი:

- გამოვავლინოთ წინაგანსჯები ჯგუფში. გავაცნობიეროთ წინაგანსჯების გარდაუვალი არსებობა და ვისწავლოთ მათთან ერთად ცხოვრება. თქვენ დაგჭირდებათ მგზავრთა სია.

სავარჯიშოს მსვლელობა:

თითოეულ მონაწილეს დაურიგდება სია. კითხვა ასეთია:

"ამ ადამიანებიდან ყველაზე ნაკლებად ვისთან ერთად ისურვებდით მგზავრობას ერთ კუპეში?"

მონაწილეებმა უნდა განსაზღვრონ სამი ყველაზე არასასურველი და სამი ყველაზე მისაღები არჩევანი.

შემდეგ მონაწილეები იყოფიან სამკაციან ჯგუფებად. ყოველი ჯგუფი ცალკე კუპეა.

მიზანი: განავითარეთ სია იმისათვის, რომ აირჩიოთ მეოთხე თანამგზავრი. ამის შემდეგ ჯგუფი ერთად იკრიბება. განიხილეთ სხვადასხვა არჩევანი.

განხილვა:

რთული იყო თუ არა ერთ გადაწყვეტილებამდე მისვლა?

რატომ მოხდა, რომ სხვადასხვა ჯგუფებს სხვადასხვა პასუხები ჰქონდათ?

ხანდახან რატომ ემთხვეოდა ყველა ჯგუფის პასუხები?

რა არის ის მიზეზები, რის გამოც არ გსურთ იმ ადამიანთან ერთად კუპეში მგზავრობა.

რამდენადაა თითოეული შემთხვევა დასაბუთებული?

შეგვიძლია თუ არა რაიმე მოვუხერხოთ ჩვენს გრძნობებს ასეთ შემთხვევაში? საჭიროა კი რამე ვიღონოთ საერთოდ?

შეიძლება ვინმემ არ ისურვოს მგზავრობა თქვენთან ერთად? ეს თუ ხდება სხვა ქვეყანაში?

როგორ ვიქცევით, როცა ერთ კუპეში აღმოვჩნდებით არასასურველ ადამიანთან? ყოფილა თუ არა შემთხვევები, როცა თქვენ (ან

ვინმე თქვენი თანდასწრებით) მოექეცით იმ ადამიანებს ცუდად, რომლებიც არ მოგეწონათ?

დამნაშავეა თუ არა ის, ვისთანაც არ გვსურს მგზავრობა?

რას გრძნობენ ისინი, ვინც ხედავს ჩვენს უკმაყოფილებას?

როგორ სჯობს, რომ მოვიქცეთ ასეთ შემთხვევებში?

სია:

ბოშა ქალი,

აშკარა ჰომოსექსუალი,

შიდსით დაავადებული ახალგაზრდა,

არააკურატულად ჩაცმული ბავშვიანი ქალი,

კავკასიელი-მუსლიმი,

სოფლელი დიდი ტომრით,

აფრიკელი სტუდენტი,

ახალგაზრდა, რომელიც ძალიან ჰგავს ნარკომანს,

ყოფილი პატიმარი,

ტაჯიკი ნაციონალურ ტანსაცმელში,

პოლიციელი,

შეზღუდული შესაძლებლობის პირი დასაკეცი ეტლით,

კრიშნაიდი,

ჩინელი, რომელიც ჭამს საეჭვო სუნის საჭმელს,

გაუგებარ ენაზე მოსაუბრე ადამიანი,

ძალადობა

ხანგრძლივობა: -1 საათი

მიზანი:

- დავანახოთ მონაწილეებს, როგორ მივყავართ ძალადობამდე სტერეოტიპებსა და წინაგანსჯებს;
- მონაწილეებს გამოვუმუშაოთ უარყოფითი დამოკიდებულება ძალადობისადმი.

სავარჯიშოს მსვლელობა: ბარათები სიტუაციებით.

ასევე შესაძლებელია: მუსიკა, ამონაჭრები გაზეთებიდან, ვიდეო ჩანაწერები, კოსტიუმების ელემენტები.

ტრაგიკული შემთხვევა მოხდა თბილისის ერთ-ერთ სკოლაში. მე-5 კლასელმა მოსწავლემ თავის მოკვლა სცადა. საბედნიეროდ ბიჭი გადაარჩინეს. შეკითხვაზე თუ რა იყო ამ საქციელის მიზეზი, ბიჭმა თანაკლასელების მიერ მისი მასხრად აგდება, ფულის გამოძალვა, ცემა და დამცირება დაასახელა.

თანაკლასელებმა კი ასე განმარტეს საკუთარი საქციელი, რომ ბიჭი ებრაელია და უკეთეს მოპყრობას არ იმსახურებდა.

გუშინ 20.00 საათზე ერთ-ერთ ქუჩაზე მოზარდების ჯგუფმა სასტიკად სცემა 13 წლის არმენ ხოჩიანცი. ბიჭი მუსიკალური სკოლიდან ბრუნდებოდა სახლში. მოზარდები პოლიციამ დააკავა. თავდასხმის მიზეზად ერთ-ერთმა წინა კვირას მისი ძმის სომხების მხრიდან ცემის ფაქტი დაასახელა.

არმენი საავადმყოფოში მძიმე მდგომარეობაში იმყოფება.

დილით ჩვენი ქალაქის ცენტრში არეულობა მოხდა. მთავარ ქუჩაზე მოდიოდა ორი მუსლიმი გოგონა, ტრადიციულ ტანსაცმელში გამოწყობილი. გოგონებს გვერდით დაცინვით ჩაუარა ახალგაზრდების ჯგუფმა. მალე ხუმრობიდან ხულიგნობაზე გადავიდნენ და ერთ-ერთმა გოგონას ჩადრი ჩამოგლიჯა. დამნაშავენი მიიმალნენ. შეურაცხყოფილი გოგონას ოჯახი შურისძიებას აპირებს.

უცხოელი სტუდენტები აპირებენ ჩვენი ქალაქის დატოვებას. "სკინხედების" ჯგუფი მუდმივად მორიგეობს მათ საერთო საცხოვრებელთან. ისინი სცემენ ნიგერიელ და ვიეტნამელ სტუდენტებს და ართმევენ ძვირფასეულობას.

რაიონულმა პოლიციამ იცის არსებული სიტუაციის შესახებ, მაგრამ არანაირ ძალისხმევას არ მიმართავს.

მუშაობის მსვლელობა:

დაურიგეთ მონაწილეებს ბარათები სიტუაციებით და სთხოვეთ, წაიკითხონ.

სიტუაციების რაოდენობის მიხედვით, დაყავით მონაწილენი ჯგუფებად.

მონაწილეებს სთხოვეთ, განსაზღვრონ, რამდენი მოქმედი პირია ჩართული თითოეულ სიტუაციაში (კადრის მიღმა დარჩენილი დაზარალებულების ნათესავების ჩათვლით).

სთხოვეთ მონაწილეებს, მოამზადონ ისტორიები მომხდარ შემთხვევაზე სხვადასხვა მონაწილეთა სახით.

გაანაწილეთ დავალება. ჯგუფებმა გააკეთონ ისტორიების პრეზენტაცია.

შენიშვნა:

ამ სავარჯიშოს შესრულების დროს შეეცადეთ, შექმნათ განსაკუთრებული ატმოსფერო.

თუ გაქვთ საშუალება, გამოიყენეთ შესაბამისი ფოტოები ან ჩანაწერები. თუ თქვენს ქალაქში ადგილი ჰქონდა მსგავს შემთხვევებს, შეეცადეთ მოიძიოთ მათზე ინფორმაცია.

განხილვის ნაცვლად სთხოვეთ მონაწილეებს, წერილი მისწერონ ერთ-ერთ მსხვერპლს მოცემული სიტუაციებიდან და წაუკითხონ მეწყვილეებს.

იარლიყები

ხანგრძლივობა: 30 წუთი.

მიზანი:

- საშუალება მიეცეს მონაწილეებს, თავი იგრძნონ "სტიგმატიზებული" (იარლიყ-დადებული) ადამიანების ადგილზე.
- დაინახონ ადამიანებთან ასეთი მიდგომის ნაკლი;
- შეისწავლონ ის პროცესები, რომლებიც აიძულებს სტიგმატიზებულ ხალხს, დაადასტურონ მათზე ჩამოყალიბებული აზრი საზოგადოებაში.

სავარჯიშოს მსვლელობა:

თქვენ დაგჭირდებათ – სტიკერები წარწერებით, მასალები დავალებებისათვის.

თქვენ დაგჭირდებათ სტიკერები. დააწერეთ, მათზე სხვადასხვა განსაზღვრება, მაგალითად "ზარმაცი", "ჭკვიანი", "ლიდერი", "გულგრილი", და ა.შ.

მიდით თითოეულ მონაწილესთან და დააწებეთ წარწერიანი ქაღალდები შუბლზე. (წარწერების არჩევანი უნდა იყოს შემთხვევითი).

სთხოვეთ მონაწილეებს, არ უთხრან ერთმანეთს, რა აწერიათ შუბლზე.

აუკრძალეთ მონაწილეებს სარკეში ჩახედვა.

მიეცით მთელ ჯგუფს საერთო დავალება, (მაგალითად, დახატონ რამე, ან ააშენონ სახლი),

ამ დავალების შესრულების დროს მონაწილეები ერთმანეთს ისე უნდა ექცეოდნენ, რაც აწერიათ შუბლზე.

განხილვა:

რას გრძნობდით, როცა სხვისი დამოკიდებულება არაადეკვატური იყო თქვენი პიროვნებისადმი?

ამართლებდნენ თუ არა მონაწილეები თავიანთ წარწერებს?

რატომ ხდებოდა ასე?

შეხვდა თუ არა ყველას ერთნაირი სამუშაო?

როგორ უკავშირდება ეს წარწერებს?

რეალურ ცხოვრებაში თუ არსებობს წარწერები?

როგორ ვიგებთ სხვა ადამიანების ღირსებებს?

ყოველთვის შეესაბამება თუ არა სიმართლეს ჩვენი აზრი სხვა ადამიანის მიმართ?

აქვს თუ არა გავლენა ჩვენს წარმოდგენებს ამ ადამიანებთან დამოკიდებულებაზე?

წარწერების არარსებობის შემთხვევაში ჯგუფი ცუდად იმუშავებდა თუ უკეთ?

რეალურ ცხოვრებაში როგორ ხდება? მოიყვანეთ მაგალითები.

კულტურული ნორმები

ხანგრძლივობა: 40-60 წუთი.
მიზანი:

- მონაწილეებმა გააცნობიერონ:
- ნორმებისა და აკრძალვების ერთობლიობა;
- ნორმების მრავალფეროვნება სხვადასხვა კულტურაში;
- განიცადონ უცხოს შეგრძნება უცნობ კულტურაში.

სავარჯიშოს მსვლელობა:

ამოარჩიეთ რამდენიმე ადამიანი და სთხოვეთ დატოვონ ოთახი. ისინი გახდებიან "უცხოელები" (ეცადეთ, – რომ ეს ადამიანები იყვნენ ამ ჯგუფის აქტიური მონაწილეები ან ლიდერები)

გააცანით ჯგუფს წესები:

სანამ შეკითხვას დასვამთ, თავი უნდა დააქნიოთ სამჯერ (თუ ადამიანი არღვევს ამ წესს – იგნორირება გაუკეთეთ);

საუბრის დასრულების შემდეგ ენა უნდა გამოყოთ (თუ ადამიანი არღვევს ამ წესს – მას ეუბნებიან "შენ – საშინლად მოსაწყენი ადამიანი ხარ");

არავის აქვს უფლება, დაჯდეს იმ სკამებზე, რომელიც დგას ოთახის ცენტრში (თუ ადამიანი არღვევს ამ წესს, მას აგდებენ თამაშიდან);

მონაწილეებს სთხოვეთ, დაალაგონ სკამები წყვილებად. პირისპირ. ერთი წყვილი სკამი იდგმება ოთახის ცენტრში. მას დავუყენებთ მცველებს, რომლებიც თვალყურს ადევნებენ, არავინ დაჯდეს ცენტრალურ სკამებზე და თუ ვინმე დაჯდება, დამრღვევებს აგდებენ თამაშიდან;

სთხოვეთ მონაწილეებს არ აუხსნან წესები "უცხოელებს", სანამ ისინი არ დაარღვევენ ამ წესებს;

შემოუშვით ოთახში "უცხოელები". შემდეგ მთელ ჯგუფს მიეცით დავალება. თითოეულმა მონაწილემ ხუთ სხვა მონაწილეზე უნდა შეიტყოს სამი რამ, რომელიც მისთვის მანამდე უცნობი იყო და დაუსვას კითხვები, რომლებზეც შეიძლება პასუხი "კი" ან "არა";

საუბრის წარმოებისას მონაწილეები უნდა ისხდნენ სკამებზე. საუბრის დასრულების შემდეგ ორივე მონაწილე უნდა ადგეს და შეიცვალოს მეწყვილე და სკამი.

თვალი ადევნეთ, რა ხდება. თუ "უცხოელები" იჩივლებენ, უპასუხეთ, რომ "ასეთი წესია".

დაელოდეთ, სანამ ყველა დაამთავრებს დავალებას და გადადით განხილვაზე.

განხილვა:

აუხსენით, რომ დავალება, რომელსაც მონაწილეები ასრულებენ, არ არის მთავარი. მთავარი წესები და "უცხოელების" ამ წესებთან შეჯახებაა. სთხოვეთ თითოეულ უცხოელს, გვიამბოს, რას განიცდიდა ოთახში შესვლისას.

მალე მიხვდნენ თუ არა ისინი, რომ არსებობდა რაღაც წესები?

შეეცადნენ, თვითონ გაერკვიათ, თუ სხვა უცხოელებისაგან ცდილობდნენ გაეგოთ?

რას გრძნობდნენ და აკეთებდნენ, როცა ახდენდნენ მათ იგნორირებას.

სწყინდათ თუ არა, როცა მათ ლანძღავდნენ?

თუ იყო გაძევებული ვინმე და როგორ მოიქცა ეს ადამიანი?

მოეწონა, თუ არა ჯგუფს წესების დაცვა და უცხოელებისაგან მათი დამალვა?

თუ არსებობს წესები რეალურ ცხოვრებაში?

რითი იყო სასარგებლო ეს წესები ოთახში?

არის თუ არა ყოველთვის სასარგებლო ცხოვრებაში არსებული წესები?

ვისი მოგონილია ეს წესები? იქნებ არავის მოუგონია?

რატომ განსხვავდება ეს წესები სხვადასხვა კულტურაში? (მოიყვანეთ მაგალითი).

როგორი დამოკიდებულება გვაქვს მათ მიმართ, ვინც არღვევს ამ წესებს?

ხდება თუ არა ეს ყოველთვის დამსახურებულად?

სუბიექტური რეალობა – აგათა კრისტი

ხანგრძლივობა: 40 წუთი

მიზანი:

- ვაჩვენოთ მონაწილეებს, რამდენად სუბიექტურია ადამიანების წარმოდგენები სხვაზე, როდესაც ისინი ეყრდნობიან მოცემულობათა შეზღუდულ/ცალმხრივ რაოდენობას.

სავარჯიშოს მსვლელობა:

დაყავით მონაწილეები წყვილებად. თითოეულმა აირჩიოს მისთვის უცნობი მეწყვილე. დასვით წყვილები ერთმანეთის პირისპირ. დასაწყისში სთხოვეთ მათ, ნუ ისაუბრებენ;

შესთავაზეთ მონაწილეებს, შეიქმნან ერთმანეთზე აზრი უჩვეულო გზით. ამისთვის მათ მოუწევთ N "ნივთების ენის" სწავლა;

თითოეული მონაწილე აჩვენებს მეწყვილეს საკუთრ 6 ნივთს (მაგ. ჩანთა, წიგნი, სამკაული, საათი და ა.შ.). ამასთან ერთად არც ერთი არაფერს არ ჰყვება.

ეს ნივთები დევს მონაწილეების წინ და წამყვანი სთავაზობს მათ, კრიმინალისტების მსგავსად, ამ 6 ნივთზე დაყრდნობით, წერილობით გასცენ პასუხი შეკითხვას: "რა ტიპის ადამიანი ზის მათ გვერდით?" (5 წუთი).

ამის შემდეგ თითოეული მათგანი კითხულობს ჩანაწერს და უზიარებს ერთმანეთს შთაბეჭდილებას წაკითხულის ირგვლივ (ავსებს, ამატებს, ასწორებს მეწყვილეს ჩანაწერს, თუკი თვლის, რომ მიღებული შთაბეჭდილება არაზუსტია).

წყვილები ბრუნდებიან წრეში და წამყვანთან ერთად ჯამდება სავარიშოს შედეგები, სუბიექტური რეალობის კონტექსტში.

"ფიგურები"

ხანგრძლივობა: 20 წუთი

მიზანი:

- აჩვენოს მონაწილეებს, რამდენად განსხვავებული შეიძლება იყოს ერთი და იგივე რეალობა სხვადასხვა ადამიანისათვის.

სავარჯიშოს მსვლელობა:

წამყვანი ურიგებს მონაწილეებს თითო-თითო ფურცელს. სთხოვს მათ, დაიჭირონ ხელში ფურცელი და დახუჭონ თვალები.

შემდეგ წამყვანი სთხოვს მონაწილეებს, კითხვების დაუსმელად, გაკეცონ ფურცელი შუაზე და მოხიონ ზედა მარცხენა კუთხე.

წინა ინსტრუქციის შესრულების შემდეგ, წამყვანი ისევ სთავაზობს ჯგუფს, კიდევ ერთხელ გაკეცონ ფურცელი და ახლა შუა მხარე მოახიონ. ასე მეორდება რამდენჯერმე.

ბოლოს წამყვანი სთხოვს მონაწილეებს, გაახილონ თვალები, გაშალონ ფურცლები და შეადარონ ერთმანეთს მისი და ჯგუფის წევრების ფურცლები.

ჯგუფი წამყვანთან ერთად აანალიზებს სავარჯიშოს შედეგებს, მსჯელობს განსხავებებსა და მსგავსებებზე (თუ ასეთი არის), მსჯელობს, რით იყო გამოწვეული მიღებული შედეგი.

კომუნიკაცია – კითხვის დასმის ტექნიკა
“აღადგინეთ დაკარგული ტექსტი”

ხანგრძლივობა: 30 წუთი

მიზანი: მსმენელები დაეუფლონ კითხვის დასმის ტექნიკას

სავარჯიშოს მიმდინარეობა

წამყვანი უყვება ჯგუფს ისტორიას, სადაც გამოტოვებულია ფრაგმენტები.

წამყვანი სთავაზობს ჯგუფს, დახურული კითხვების დასმით აღადგინონ გამოტოვებული ფრაგმენტები და შეავსონ ისტორია.

სავარჯიშოს დასრულების შემდეგ წამყვანი ჯგუფთან ერთად იხილავს:

- რა გაკეთდა წარმატებულად;
- რა სირთულეები გაუჩნდა ჯგუფს კითხვების დასმის დროს;
- რა შეიძლება გაკეთდეს სავარჯიშოს უფრო ეფექტურად შესრულებისათვის.

შენიშვნა: ანალოგიური სავარჯიშო შეიძლება შესრულდეს ღია კითხვების დასმის ეფექტური ტექნიკის გამოსამუშავებლად.

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამათა ტრენინგების ამსახველი ფოტომასალა

ფოტომასალა ეკუთვნის ცენტს და დაცულია
მის ფოტო-ვიდეო არქივში.

გენდერული ტრენინგი. ცენტრის ოფისი, თბილისი, 2008 წ.

ახალგაზრდული ჯგუფი. ცენტრის ოფისი, თბილისი, 2009 წ.

ტოლერანტული გარემო, ტრენინგი. ცენტრის ოფისი, თბილისი, 2009 წ.

დავძლიოთ გენდერული ძალადობა. ცენტრის ოფისი, თბილისი, 2009 წ.

მრავალფეროვნების მართვის ტრენინგი. ახალციხე, 2010 წ.

გენდერული ტრენინგი. ქუთაისი, 2010 წ.

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი

ICCN

სერტიფიკატი

ეძლევა

მასზედ, რომ მან გაიარა ტრენინგი თემაზე:

"მრავალფეროვნება და გენდერი"

ახალციხე, ივლისი 2010 წ.

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო
კვლევითი ცენტრის დირექტორი, პროფესორი
გიორგი ხუციშვილი

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი

ICCN

UNFPA

სერტიფიკატი

ეძლევა

მასზედ, რომ მან გაიარა ტრენინგი განმანათლებლებისათვის თემაზე:

"დავბლიოთ გენდერული ძალადობა საქართველოში"

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო
კვლევითი ცენტრის დირექტორი, პროფესორი
გიორგი ხუციშვილი

UNFPA
საქართველოს წარმომადგენლის ასისტენტი
თამარ ხომასურიძე

გენდერული ლექსიკონი

გენდერის ცნებასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია

წარმოდგენილი გენდერული ლექსიკონი, საქართველოში გენდერული კვლევებისა და აქტივიზმის დაწყებით ეტაპზე, პირველი მცდელობა იყო, თავი მოეყარა გენდერთან დაკავშირებული ცნებებისთვის.

2000 წელს გადავწყვიტეთ, შეგვექმნა რესურსი, რომელიც დეხმარებოდა ქალთა მოძრაობას, საგანმანათებლო საქმიანობით დაკავებულ ადამიანებს, შეემუშავებინათ საერთო ენა იმ დროისთვის საკმაოდ არაერთმინშვნელოვან და საკამათო სიტყვებზე, თუნდაც ისეთზე, როგორიცაა თვით სიტყვა გენდერი, ქალწულობის ინსტიტუტი თუ პოზიტიურ ქმედებათა პროგრამა.

ლექსიკონის შედგენისას მრავალი რესურსით ვისარგებლეთ, ბევრი ვიკამათეთ, ვეცადეთ, შეგვენარჩუნებინა წერის აკადემიური და ნეიტრალური მანერა და, აგრეთვე, წარმოგვედგინა ფემინისტური თვალსაზრისი ამა თუ იმ საკითხზე. სწორედ ეს იყო იმ დროს საჭირო. თვით ლექსიკონი, მართალია, ცალკე წიგნად არ დაბეჭდილა, ის ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა (2002 წ.) და ჩვენი კოლეგებისთვისაც სასარგებლო რესურსი გახდა. მისი ყველზე ხშირი გამოყენება გენდერის თემებზე შექმნილი სატრენინგო მოდულებისთვის ხდებოდა.

გვსურს, რომ ეს ლექსიკონი, რომელიც 14 წელს ითვლის, კიდევ ერთხელ ნახოს მკითხველმა და თუმცა დღეს მას კიდევ მრავალ ახალ განსაზღვრებასაც დავუმატებდით, ვთვლით, რომ მას არა მხოლოდ ისტორიული ღირებულება აქვს.

ა

აბორტი – არასასურველი ორსულობის შეწყვეტის მეთოდი. მსოფლიოში დღესაც **ა**. ორსულობის შეწყვეტის ყველაზე გავრცელებული პრაქტიკაა. **ა**. გადაიქცა მორალურ/ეთიკურ და პოლიტიკურ პრობლემად, რომელიც ყოფს საზოგადოებრივ აზრს ორ დაპირისპირებულ მხარედ. ე.წ. **პრო-ლაიფის** (pro-life) წარმომადგენლები აქცენტს აკეთებენ ემბრიონზე (ფეტუს) და მიიჩნევენ, რომ **ა**. არის ემბრიონის "პიროვნების" წინააღმდეგ ჩადენილი კრიმინალური ან ზნეობრივი დანა-

შაული და, ამდენად, გამოდიან **ა**-ის აკრძალვის მოთხოვნით. პროლაიფისტური ორიენტაციის დამცველებად, როგორც წესი, გვევლინებიან ტრადიციული ინსტიტუტები, ეკლესია, კონსერვატიული პოლიტიკური პატიები, ტოტალიტარული რეჟიმები ან და სხვა ინსტიტუციები.

პრო-ჩოისის (pro-choice "არჩევანისთვის") წარმომდგენლები უპირატესობას ანიჭებენ ადამიანის უფლებებს და ე.ი. ქალის უფლებებს, და თვლიან, რომ **ა.** წარმოადგენს რა უკიდურეს ზომას, რომელსაც მიმართავს ქალი არასასურველი ორსულობის თავიდან ასაცილებლად, და რომელიც იწვევს ქალში უმძიმეს ფსიქოლოგიურ, ზნეობრივ და ფიზიკურ ტრამვას, ქალის კანონიერი უფლებაა, რომლის შეზღუდვა ან აკრძალვა ქალის რეპროდუქციული არჩევანის უფლების დაღვევაა. პრო-ჩოისის წარმომადგენლებისთვის ა.-ს აკრძალვა ქალის რეპროდუქციულ უფლებაზე გარეშე კონტროლის დაწესებას ნიშნავს, რაც პატრიაქალურ სისტემებში, ფაქტობრივად, ქალებზე მამაკაცთა კონტროლსაც გულსხმობს.

ანდროგინობა – Andro-მამაკაცური, gyn-ქალური (ბერძნ.). ფსიქოლოგიური მახასიათებელი, რომელიც გულისხმობს მასკულინური და ფემინური ფსიქოლოგიური ნიშნების ერთდროულ არსებობას პიროვნებაში და, ასევე, სქესობრივი როლების არამკაცრ დანაწილებას. (**ა**-ს არაფერი აქვს საეთო ჰერმაფროდიტიზმთან). ამ ცნებისა და შესაბამისი თეორიის ავტორმა *სანდრა ბემმა* შექმნა სქეს-როლური ტიპოლოგა, რომლის თანახმად გამოიყოფა ოთხი სვადასხვა ტიპის პიროვნება: მასკულინური (იხ.), ფემინური (იხ.), ანროგინული, და არადიფერენცირებული. ამ თეორიის თანახმად, ანდროგინული პიროვნება (ქალი თუ მამაკაცი), განსხვავებით ტრადიციული შეხედულებისგან უფრო ეფექტიანად ფუნქციონირებს თანამედროვე საზოგადოებაში და უკეთესი ადაპტაციის უნარით გამოირჩევა, რადგან პიროვნული მახასიათბლებისა და როლური ქცევების უფრო დიდ არსენალს ფლობს, აერთიანებს რა მასკულინური (მამაკცური) და ფემინური (ქალური) ტიპების საუკეთესო ნიშნებს.

ანდროცენტრიზმი – ანუ მამაკაცზე ცენტრირებულობა. ამაში იგულისხმება, როგორც მამაკაცთა ისტორიულად უპირატეს სქესად აღქმა, ასევე ამგვარი აღქმის საფუძველიც: ის, რომ მამაკაცი და მისი გამოცდილება გამოცხადებულია ნორმად და ნე-

იტრალურ სტანდარტად, ხოლო ქალი და ქალისეული გამოცდილება განისაზღვრება, როგორც ნორმიდან გადახრა. ანდროცენტრიზმის ანტიპოდად გვევლინება *გინეკოცენტრიზმი*, ანუ ორიენტაცია ქალურ ღირებულებებზე.

ბ

ბიოდეტერმინიზმი (გენდერის განსაზღვრებასთან დაკავშიებული) – კონცეფცია, რომლის თამახმად ქალისა და მამაკაცის სოციალური როლები გამომდინარეობს მათ შორის არსებული ფიზიოლოგიური განსხვავებებიდან. ს.ფაიერსტოუნის თანახმად, ქალის ორგანიზმის ბიოლოგიური შეზუდვები დაიძლევა ტექნოლოგიების განვითარებით, ხოლო სქესთა თანასწორობის მიღწევის შემთხვევაში წარმოების საშუალებები ქალთა ხელშიც მოექცევა. სხვა ფემინისტი მკვლევარებისთვის ბიოლოგიური დეტერმინიზმი გვიხსნის ქალთა ისეთ თვისებებს, როგორებიცაა მშვიდობისმოყვარეობა და მზრუნველობა. **ბ**-ს საწინააღმდეგო პრინციპს წარმოადგენს *სოციალური კონსტრუქტივიზმი* (იხ).

ბიოლოგიური სქესი – მორფოლოგიური, ფიზიოლოგიური და ანატომიური თავისებურებების ერთობლიობა, რომელიც განასხვავებს ქალებსა და მამაკაცებს.

ბისექსუალური ორიენტაცია – სექსუალური ან რომანტიკული ინტერესი ორივე სქესის პარტნიორთა მიმართ.

გ

გენდერი – სოციალური პროცესების გაგების ერთ-ერთი ინსტრუმენტია, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ ხდება სოციალური ურთიერთქმედების შედეგად ქალისა და მამაკაცისთვის, მათთვის განსაზღვრული ფსიქოლოგიური მახასიათებლების, ქცევების, ფუნქციებისა და სტატუსის მიწერა. ამდენად, ჩვენ ვამბობთ, რომ სხვადასხვა საზოგადიებაში განსხვავებულად იქმნება (კონსტრუირდება) გენდერი, განსხვავებით სქესისგან, რომელიც თანდაყოლილი და უცვლელი მახასიათებელია. **გ.** განიცდის გარე სოციალური და კულტურული ფაქტორების ზეგავლენას.

გ. აღნიშნავს სოციალური და კულტურული ნორმების ერთობლიობას, რომელსაც საზოგადოება მიაწერს ამა თუ იმ სქესს და, რომელთა შესრულება მოეთხოვება ადამიანს მისი ბიოლოგიური სქესიდან გამომდინარე. სწორედ კულტურული

ნორმები განსაზვრავს ქალისა და მამაკაცის ფსიქოლოგიურ თვისებებს, ქცევის მოდელებსა და საქმიანობას. ქალად ან მამაკაცად ყოფნა საზოგადოებაში ნიშნავს არა მხოლოდ გარკვეული ანატომიურ-ფიზიოლოგიური თავისებურებების ქონას, არამედ, ასევე, მათთვის განსაზღვრული გენდერული როლების შესრულებას. **გ.** იქმნება (კონსტრუირდება) საზოგადოების მიერ, როგორც ქალისა თუ მამაკაცის სოციალური მოდელი, რომელიც განსაზღვავს მათ მდგომარეობას სოციალურ ინსტიტუტებში: ეკონომიკაში, პოლიტიკაში, ოჯახში, კულტურასა და ა.შ. გენდერული მოდელები ასიმეტრიულია და უთიერთსაპირისპირო. ჩვეულებრივ, მამაკცი და მამაკაცური (თვისებები, პროფესიები, ქცევის მოდელები) მიიჩნევა უფრო მნიშვნელოვნად, პირველადად, დომინანტურად, ხოლო ქალი და ქალური, უფრო უმნიშვნელოა, მეორადი და დაქვემდებარებული. ის კონსტუიებულია პოლარულობისა და ურთიერთდაპირისიების პრინციპით. ამდენად, გენდერი ასევე არის სოციალური სტრატიფიკაციის საშუალებაც. გენდერის კონსტრუირება ხდება სოციალური და კულტურული სტერეოტიპების, ნორმებისა და ვალდებულებების საშუალებით, რომელთა დარვევისთვის საზოგადოება ხშირად სჯის ადამიანებს.

გენდერული სტერეოტიპები – ფართოდ გავრცელებული და ხშირად არაზუსტი შეხედულებები ქალისა და მამაკაცის უნარებზე, თვისებებზე და სოციალურ როლებსა თუ ქცევაზე. გენდერული სტერეოტიპები გვევლინება, როგორც ღირებულებები და ნორმატული ქცევის მოდელები ქალებისა და მამაკაცებისთვის. გამოიყოფა გენდერული სტერეოტიპების ორი ჯგუფი: 1) მასკულინობა-ფემინურობის სტერეოტიპები – წარმოდგენები თვისებების შესახებ; 2) სტერეოტიპები საოჯახო და პროფესიული როლების განაწილების შესახებ – წარმოდგენები როლების, ფუნქციებისა და საქმიანობების შესახებ.

1. სტერეოტიპული წარმოდგენების მიხედვით მასკულინობას მიეწერება აქტიურ-შემოქმედებითი და ინსტრუმენტული მახასიათებლები, ისეთები, როგორიცაა: აქტიურობა, დომინანტობა, თავდაჯერებულობა, აგრესიულობა, ლოგიკური აზროვნება, ლიდერობის უნარი. ფემინურს – ამის საწინააღმდეგოდ, პასიურ-რეპროდუქტული და ექსპრესიული მახასიათებლები:

მზრუნველობა, ემოციურობა, დაბალი თვითშეფასება, სხვაზე დამოკიდებულება, შფოთვა და ა.შ. ფემინური და მასკულინური მახასიათებლები წარმოდგენილია, როგორც ურთიერთსაწინააღმდეგო და ურთიერთშემავსებელი.

2. საოჯახო და პროფესიული როლების თვალსაზრისით ქალებს მიეწერება კერძო სფეროსთან დაკავშიებული როლები: დედა, დიასახლისი და მომსახურებასთან დაკავშირებული პროფესიული როლები: ვაჭრობა, პედაგოგიური და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული პროფესიები.

მეცნიერებაში დადგენილია, რომ გენდერული სტერეოტიპები, სხვა სახის სტერეოტიპებთან (ასაკობრივ, ეთნიკურ, რელიგიურ და ა.შ.) შედარებით ყველაზე მდგრადია. ითველბა, რომ სტერეოტიპები შეიძლება უაყოფითად მოქმედებდეს ქალისა და მამაკაცის თვითრეალიზაციაზე და მოგვევლინოს მათი ინდივიდუალური განვითარებისა და თავისუფალი არჩევანის შემაფერხებლად.

გაუპატიურება – კრიმინალური დანაშაული, რომლის დროს ხდება ძლადობით ქალის სქესობრივი თავისუფლების ხელყოფა, ხოლო, როცა გაუპატიურებული არასრულწლოვანია, მისი სქესობრივი ხელშეუხებლობის ხელყოფაც.

გაუპატიურება ქორწინებაში – პარტნიორის ნების გარეშე მასთან სექსუალურ კავშირში შესვლა ძალადობით, დაშინებით, მუქარით ან უმწეო მდგომარეობისას.

გენდერული ანალიზი – შეეხება იმის სისტემატურ ანალიზს, თუ რა განსხვავებული გავლენა აქვს ამა თუ იმ კონცეფციას, პროგამას, პოლიტიკას, ქალისა და მამაკაცის განვითარებაზე. გენდერული ანალიზისთვის უნდა განვასხვაოთ რესურსები, აქტივობები, პოტენციალი და ხელის შემშლელი ფაქტორები ცალკეული პროგრამის/პროექტის განხორციელების დროს ცალკე, ქალებისთვის და მამაკაცებისათვის. **გ.ა.** მოითხოვს სქესით დაცალკევებული მონაცემების შეგროვებას და იმის გაგებას, თუ როგორ არის განაწილებული და შეფასებული შრომა. **გ.ა.** კეთდება განვითარების პროცესის ყველა სტადიაზე, რათა აღმოიფხვრას უთანასწორობა და მიიღწეს განვითარების მიზნების შესაბამისი მაქსიმალური შედეგიანობა.

გენდერული ბალანსი – იხ. გენდერული წონასწორობა. მდგომარეობა, როდესაც ქალებსა და მამაკაცებს შორის დაცულია

რაოდენობრივი წონასწორობა, რაც განაპირობებს გადაწყვეტილების, ძალაუფლების, უფლებებისა და თავისუფლებების თანაბარ განხორციელებას. მაგალითად, თანაბარი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიმღებ სტრუქტურებში.

გენდერულად ბრმა – სტრატეგია, რომელსაც შეიძლება ატარებდეს პიროვნება, ჯგუფი, სოციალური ინსტიტუტი და რომელიც არ აღიარებს, რომ გენდერი ცხოვრებისეული არჩევანის განმსაზღვრელი ფაქტორია. გ.ბ. ერთი შეხედვით ნეიტრალურს უნდა ნიშნავდეს, თუმცა, პრაქტიკაში ფაქტობრივად ვხვდებით მდგომარეობას, როდესაც გენდერულად ბრმა საზოგადოებები მამაკაცს და მამაკაცურს ანიჭებენ უპირატესობას.

გენდერი და განვითარება – მიდგომა, რომელიც სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ სფეროებზე ამახვილებს ყურადრებას და, რომელიც განსაზღვრავს, თუ როგორ მონაწილეობენ, სარგებლობენ და აკონტროლებენ ქალები და მამაკაცები პროექტის რესურსებსა და აქტივობებს. ეს მიდგომა ხაზს უსვამს არა ქალებს, როგორც ჯგუფს, არამედ სოციალურად განპირობებულ ურთიერთობას ქალებსა დ მამაკაცებს შორის.

გენდრულად დაცალკევებული მონაცემები – სტატისტიკური ინფორმაცია, რომელიც განასხვავებს და განაცალკევებს მონაცემებს ქალებისა და მამაკაცების შესახებ მათი ფუნქციონირების სხვადასხვა ასპექტის მიხედვით. მაგ., როცა ვაგროვებთ და/ან ვლაპარაკობთ "მომუშავე ქალების" (ან "მამაკაცების") რაოდენობაზე იმის მაგივრად, რომ შევაგოვოთ ინფორმაცია მხოლოდ მომუშავე ადამიანების რაოდენობაზე. გენდერულად დაცალკევებული მონაცემები იძლევა საშუალებას, დავინახოთ, თუ სად არის განსხვავებები და გავაკეთოთ შესაბამისი ანალიზი.

გენდრული დაგეგმარება – დაგეგმარებაში ისეთი მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს საზოგადოებაში ქალებისა და მამაკაცების განსხვავებულ როლს და, ამდენად მათ განსხვავებულ საჭიროებებს.

გენდერული იდენტურობა – ეხება იმას, თუ რომელ გენდერულ როლთან (ფემინურთან/ქალურთან თუ მასკულინურთან/ მამაკაცურთან) ახდენს პიროვნება იდენტიფიციებას. (იხ. გენდერული როლი).

გენდერული მიდგომა – მიდგომა, რომელიც ორიენტირებულია, ჩამოაყალიბოს და განამტკიცოს პიროვნების თვითრეალიზაციის თანასწორი და სქესისგან დამოუკიდებელი შესაძლებლობის პოლიტიკა ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. **გ.მ.** გულისხმობს, რომ ყურადღება უნდა მიექცეს ქალსაც და მამაკაცსაც, მათ როლებს, მოვალეობებს, მოთხოვნილებებსა და პოტენციალს. გენდერული თანასწორობის საკითხი ამ მიდგომისთვის უპირატესია.

გენდერული მეინსტრიმინგი (GM) (იგივე, რაც გენდერული ინტეგრაცია) – გენდერული თანასწორობის მიღწევის გადაქცევა ძირითად და ყოვლისმომცველ საზრუნავად. გენდერული მეინსტრიმინგი არის გენდერული თანასწორობის მოთხოვნის გათვალისწინება და გატარება პოლიტიკაში, პროგრამებში, ადმინისტრირებაში, საფინანსო აქტივობებსა და საორგანიზაციო პროცედურებში. ამან, თავის მხრივ, უნდა გამოიწვიოს მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილებები.

გენდერულად ნეიტრალური – პოლიტიკა, მიდგომა, დაწესებულება, პიროვნება, ჩაცმულობა, ქცევა ან ურთიერთობები, რომელიც განიხილავს მოქმედ პირებს (ქალებსა თუ მამაკაცებს) პრაქტიკული მიზნებიდან გამომდინარე და არ ითვალისწინებს გენდერულ როლებს, შრომის ტრადიციულ განაწილებას, მამაკაცისა და ქალის სოციალურ სტატუსს და, ამდენად, უცვლელად ტოვებს არსებულ მდგომარეობას: მამაკაცის დომინანტურ, ხოლო ქალის სუბორდინიებულ მდგომარეობას.

გენდერული როლი – ა) კულტურაში არსებული მოლოდინები იმის შესახებ, თუ რა არის შესატყვისი ქცევა კაცისათვის და ქალისათვის. კულტურის დონეზე **გენდერული როლი** წარმოდგენილია სქესობრივი სიმბოლიკისა და ფემინურობა-მასკულინობის სტერეოტიპების სახით. ბ) საქმიანობის, სტატუსების, უფლებებისა და მოვალეობების დიფერენციაცია სქესობრივი კუთვნილების მიხედვით. როგორც წესი, მამაკაცის როლი კონცენტრირებულია მხოლოდ პროდუქციულ ფუნქციებზე, მაშინ როდესაც ქალის როლი შეითავსებს, როგორც რეპროდუქციულს, ასევე პროდუქციულს.

გენდერულად გაცნობიერებული – პოლიტიკა, მიდგომა, დაწესებულება, პიროვნება, ქცევა ან ურთიერთობები, რომელიც აცნობიერებს და აღიარებს გენდერულ განსხვავებებს, ცალ-ცალკე

სწავლობს ქალთა და მამაკაცთა მოთხოვნილებებს, აგროვებს გენდერულად დაცალკევებულ სტატისტიკას და ითვალისწინებს გენდერული როლების გავლენას ქალებისა და მამაკაცების ცხოვრებაზე.

გენდერული საჭიროებები – განასხვავებენ პრაქტიკულ და სტრატეგიულ გენდერულ საჭიროებებს. პრაქტიკულ საჭიროებებზე ორიენტაცია ეფუძნება იმას, რომ ქალებსა და მამაკაცებს განსხვავებული როლები აქვთ მოცემულ საზოგადოებაში და, რომ მათ მხარდაჭერა სჭირდებათ ამ როლების შესრულებაში. სტრატეგიული საჭიროებები გამომდინარეობს ტრადიციული როლების შეცვლის მოთხოვნიდან: მაგ., ქალის სტატუსის გაუმჯობესების, მათი ძალაუფლებაში და ეკონომიკურ ბერკეტებთან მისვლის მოთხოვნიდან გამომდინარე.

პრაქტიკული გენდერული საჭიროებანი – ქალებსა და მამაკაცებს, ტრადიციული იდენტობისა და როლების პირობებში, სჭირდებათ მხარდაჭერა და დახმარება ამ როლების შესრულებაში. მაგალითად, მამაკაცებისთვის შრომის მექანიზაცია, ხოლო ქალებისთვის წყლის გაყვანა სახლებში, ქალის შრომის გაადვილება (სამზარეულოს ტექნიკით და ა.შ.).

სტრატეგიული გენდერული საჭიროებანი – როდესაც ქალსა და მამაკაცს არათანასწორი (უსამართლო) გენდერული როლები უკავიათ, საჭიროა ამ როლების ტრანსფორმიება. მაგ., ქალებისთვის კვალიფიკაციის მიღების ან მათი სტატუსის გაუმჯობესების შესაძლებლობების შექმნა, საოჯახო წყვილისთვის ინფორმაციის მიწოდება ოჯახის დაგეგმარებაზე და სხვა.

გენდერულად ტრანსფორმაციული – პოლიტიკა, მიდგომა, დაწესებულება, პიროვნება, ქცევა ან ურთიერთობები, რომელიც გულისხმობს არსებული განსხვავებების, დისკრიმინაციის მიზეზებს შესწავლას, ორივე სქესის პრაქტიკული და სტრატეგიული მოთხოვნილებების გათვალისწინებას, არსებული გენდერული როლებისა და ტრადიციების კრიტიკულ გადააზრებას, ორივე სქესის თვალსაზრისის გათვალისწინებასა და ქალებისა და მამაკაცების თანასწორი ურთიერთობებისთვის პირობების შექმნის გაძღოლას.

გენდერული სტრატიფიკაცია – საზოგადოებრივ სტრუქტურაში განსხვავებული იერარქიული დონის მიკუთვნება/დაკავება, რომლის საფუძველია გენდერული განსხვავებები. **გ.ს.**-ის საფუძ-

ველზე ხდება ქალისა და მამაკაცის განსხვავებული შეფასება, სტატუსის მიკუთვნება, ფუნქციების განსაზღვრა, პრივილეგიების დაწესება და სხვა. გენდერთან ერთად სტრატიფიკაციის კატეგორიებად გვევლინება: ეთნიკურობა, რასა, კლასი, ასაკი. მამაკაცთა და ქალთა დაყოფა კლასებად, სტატუსებად და საქმიანობის სახეებად მათ მიერ შესრულებული შრომის მიხედვით: მწარმოებლური მამაკაცისთვის და შიდაოჯახური – ქალისთვის, რის საფუძველზეც მამაკაცი მოექცევა იერარქიის ზედა საფეხურზე, ხოლო ქალი – ქვედაზე.

გენდრული სოციალიზაცია – პროცესი, რომლის საშუალებით საზოგადოებაში გაბატონებული გენდერული ნორმები გადაეცემა ბავშვს. სოციალიზაციის პროცესში ბავშვი ითვისებს გენდერული როლისთვის შესაბამის ქცევას, იძენს გენდერულ იდენტიფიკაციას. **გ.ს.**–ის ძირითად აგენტებად გამოდიან მშობლები, მასწავლებლები, სკოლა და თანატოლები, წიგნები და მედია. გენდერული სოციალიზაცია განსხვავებული თეორიების მიხედვით, მიმდინარეობს დასწავლის (დასჯა-წახალისება), მიბაძვის ან თვითკატეგორიზაციის მექანიზმების გამოყენებით.

გენდერული იდეოლოგია – იდეების სისტემა, რომელთა საშუალებით გენდერული განსხვავებები, გენდერული სტრატიფიკაცია და გენდერული უთანასწორობა იძენს სოციალურ გამართლებას.

გენდერული თანასწორობა – გულისხმობს ქალების და მამაკაცების თანაბარ მატერიალურ კეთილდღეობას, თანაბარ საშუალებებს, ისეთ ღირებულებებს, რომლებიც თანასწორობის რწმენას ემყარება, თანაბარ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღებაში და თანაბარ კონტროლს რესურსებსა და მოგებაზე.

თანასწორობა არ ნიშნავს, რომ ქალები და კაცები ერთნაირები უნდა გახდნენ. ეს ნიშნავს, რომ ქალთა და მამაკაცთა უფლებები, მოვალეობები და შესაძლებლობები არ იქნება დამოკიდებული იმაზე, ქალად დაიბადა ადამიანი თუ მამაკაცად.

თანასწორობა მოიცავს რაოდენობრივ და თვისობრივ ასპექტებს. (იხ. გენდერული ბალანსი).

გენდერული ლინზები (გენდერული სათვალე) – მეტაფორა, რომელიც აღნიშნავს, რომ ადამიანების აღქმა და შეფასება გენდერული სტერეოტიპებითაა განსაზღვრული. ფემინისტი ავტორები გვთავაზობენ, მოვიხსნთ ეს სათვალე, ხილული

გავხადოთ გენდერული სტერეოტიპები და ახალი, ჭეშმარიტი თვალით შევხედოთ გენდერულ როლებს, სტატუსებს და ურთიერთობებს, რათა შევძლოთ ცვლილებების მოხდენა.

გენდერული განსხვავებები – სქესთა შორის სტატუსური, ფუნქციური, იერარქიული, უფლებრივი, რაოდენობრივი და სხვა სახის სოციალური განსხვავება, რომელიც იწვევს გენდერულ უთანასწორობას.

გენდერული კვლევები – მამაკაცთა და ქალთა ცალ-ცალკე და ერთმანეთთან მიმართებაში მულტიდისციპლინარული კვლევა (შესწავლა).

სოციალური მეცნიერების ერთ-ერთი დარგი. განვითარდა XX საუკუნის 70-80 წლებში. გენდერული კვლევების განვითარების ფაზები:

1. გენდერული კვლევების, როგორც დისციპლინის დაფუძნება, საზოგადოებრივ მეცნიერებებში ანდროცენტრული ტენდენციების ანალიზი; 2. ქალთა დაქვემდებარებული მდგომარეობის თეორიული კვლევები; 3. ქალთა კვლევებიდან გენდერულ კვლევებზე გადასვლა, მამაკაცთა კვლევების გაჩენა, ყველა სოციალურ პროცესებში გენდერის აღიარება, "ქალთა დამატების" პრინციპიდან გადასვლა გენდერული კულტურებისა და სოციუმების კვლევაზე.

გენდერული მგრძნობიარობა (მგრძნობელობა) – გენდერული განსხვავებებისადმი, გენდერული უთანასწორობისადმი და გენდერის, როგორც ადამიანთა შეფასების ფაქტორისადმი მგრძნობიარე და კრიტიკული მიდგომა.

გენდერული პოლიტიკა – პოლიტიკა, რომელიც ხორციელდება სქესისმიერი დისკრიმინაციის აღმოსაფხვერლად და ეგალიტარული (თანასწორი) საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად;

ასხვავებენ გენდერული პოლიტიკების რამდენიმე დონეს: გენდერულად ბრმა პოლიტიკა (იხ.), გენდერულად ნეიტრალური პოლიტიკა (იხ.), გენდერულად გაცნობიერებული პოლიტიკა (იხ.), გენდერულად ტრანსფომაციული პოლიტიკა (იხ.)

გენდერული ტრენინგი – სწავლების აქტიური, ინტერაქტიული მეთოდი, რომლის მიზანია, გენდერული ცნობიერების შეცვლა და გენდერთან დაკავშიებით ცოდნისა და უნარების მიწოდება. გენდერული ტრენინგი ეხება პიროვნულ, პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურისა და რელიგიის საკითხებს. **გ.ტ**-ის

მსვლელობაში მნიშვნელოვანია ყურადღების ერთდროული გამახვილება როგორც უნარების შექმნაზე, ასევე გენდერული ცნობიერების შეცვლაზე, რადგან პირველ შემთხვევაში მონაწილეები ისწავლიან მხოლოდ ტექნიკას, მაგრამ შეინარჩუნებენ სტერეოტიპებსა და სექსისტურ შეხედულებებს. ხოლო, თუ ჩვენ ყურადღებას ზედმეტად გავამახვილებთ გენდერული ცნობიერების ამაღლებაზე, ჩვენ ამას მივაღწევთ, მაგრამ ბევრი არაფერი შეიცვლება, რადგან მონაწილეებს არ ექნებათ პრაქტიკული ცვლილების მიღწევის უნარები.

დისკრიმინაცია სქესობრივი ნიშნით (გენდერული დისკრიმინაცია) – პრაქტიკა, რომლის საშუალებით ერთ-ერთ სქესს ენიჭება უპირატესობა მეორესთან შედარებით. საზოგადოებათა უმეტესობა (სადაც პტრიარქალური ურთიერთობები დომინირებს), უპირატეს მდგომერეობაში აყენებს მამაკაცს ქალის საზიანოდ. ქალები ექცევიან სისტემატური დისკრიმინაციის ქვეშ სოციალური ცხოვრების როგორც კერძო, ასევე საზოგადოებრივ სფეროებში. დისკრიმინაცია შეიძლება ვლინდებოდეს როგორც ღია, ასევე ფარული ფორმებით. ამიტომ, ანტიდისკრიმინაციული კანონების მოქმედების შედეგი ხშირად საკმაოდ შეზღუდულია. ყველაზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო დოკუმენტი, რომელიც იცავს ქალს დისკრიმინაციისგან არის CEDAW – კონვენცია ქალის მიმათ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (იხ.).

ე

ეგალიტარიზმი – იხ. თანასწორობა.

ეიჯიზმი – (age – ინგლისურად ასაკი) – პროცესი ან შეხედულებები, რომელშიც სტერეოტიპები ადამიანების მიმართ ან მათი დისკრიმინაცია ასაკს ეფუძნება. პირველ რიგში ეიჯიზმი ეხება ხანდაზმულა უფლებებისა და ინტერესების შელახვას, თუმცა მოცემული ცნება შეიძლება გამოვიყენოთ სხვა ასაკობრივი ჯგუფების მიმართაც, თუკი მათ მიმართ ადგილი აქვს სტერეოტიპულ ან დისკრიმინაციულ პრაქტიკას. ხშირია ეიჯიზმი ასაკოვანი ქალების მიმართ ორმაგი) სქესი და ასაკი) ფაქტორების მოქმედების გამო. ეიჯიზმი ვლინდება როგორც საჯარო, ასევე კერძო სფეროებში: სამსახურიდან დათხოვნა ან დაწინაურებაზე უარის თქმა, გაუმართლებელი

ასაკობრივი ცენზის დაწესება, ბარიერები პიროვნული განვითარებისთვის და სხვა.

ეროტიკა – სიშიშვლის ან სექსუალური ქცევის მხატვრული გამოსახულება. ეროტიკული ხელოვნებისათვის დამახასიათებელია სექსის გამოხატვა ადამიანის ინტიმური ურთიერთობების მთელი ემოციური სპექტრის ნაწილად. შესაძლოა, ეროტიკაში სექსი ისევე გამომსახველად და აშკარად იყოს გადმოცემული, როგორც პორნოგრაფიაში, მაგრამ განსხვავება კონტექსტშია და მხატვრული გამომსახველობის ხარისხში. იმ დროს, როცა პორნოგრაფია აპელირებს მაყურებლის (ძირითადად მამაკაცის) სქესობრივ ინსტინქტებზე, ეროტიკა აპელიებს სასიყვარულო ემოციებსა და ესტეთიკაზე. ეროტიკული ხელოვნება, პორნოგრაფიისგან განსხვავებით ხასიათდება ლიტერატურული და მხატვრული გემოვნებით.

ეკოფემინიზმი – ეკოლოგიური ფემინიზმი. მიმათულება ფემინიზმში, რომელიც ჩაგვრას ქალისა და ბუნების მიმართ, განიხილავს როგორც ერთიან მოვლენას, რომლითაც ხასიათდება პატრიარქალური აზროვნება და პრაქტიკა. გამოდის რა იმ მოსაზრებიდან, რომ დასავლური კულტურა აიგივებს ქალურს ბუნებისეულთან და, ამდენად, გამორიცხავს ორივეს ჰუმანურის/ადამიანურის კონტექსტიდან. ეკოფემნიზმი გვთავაზობს ამ ტრადიციული მოდელის გადააზრებას. ეკოფემინიზმი, როგორც აქტივიზმი, ჩართულია გარემოსა და ცხოველთა დაცვის, მშვიდობის მშენებლობის, ანტიკოლონიალური მოძრაობის პროცესებში.

ემანსიპაცია – გათავისუფლება ჩაგვრისგან, დამოკიდებულებისა და ცრუ-რწმენებისგან, შეზღუდვების გაუქმება, უფლებების გათანასწორება.

ესენციალიზმი – კონცეფცია, რომლის თანახმად ქალისა და მამაკაცის არსი გამომდინარეობს ბუნებიდან, დეტერმინირებულია ბიოლოგიით და არ არის სოციალურად კონსტრუირებული.

ვ

ვიქტიმიზაცია – მსხვერპლად ქცევა.

თ

თავისუფალი ქალი – ფართო გაგებით ფემინიზმის იდეალი. იგი გულისხმობს ქალის თავისუფლებას ძალდატანებისგან, მორალური ზეწოლისგან და კანონისმიერი შეზღუდვებისგან

ცხოვრების სტილის, ღირებულებებისა და სულიერი და ფიზიკური პოტენციალის რეალიზაციის საშუალებების არჩევანში.

თანასწორობა – თანაბარი სტატუსი და უფლებების განხორციელების პირობები ყველა ადამიანისთვის, მათ შორის ქალებისა და მამაკაცებისათვის ეროვნულ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებაში და მონაწილეობის შესაბამისად, თანაბარი მოგების მიღებაში.

თანასწორობა – ასევე გულისხმობს ორივე სქესის თანაბარი ღირებულების აღიარებას მათი განსხვავებული უნარებისა და თვისებების გათვალისწინებით.

თანაცხოვრება – ქალისა და მამაკაცის (წყვილის) ერთად ცხოვრება ხანგრძლივი ურთიერობის მიზნით, ოფიციალური ქორწინების რეგისტრაციის გარეშე.

თვისობრივი მეთოდები (კვლევის) – ხასიათდება უფრო სუბიექტურობით, ვიდრე ობიექტურობით, საკვლევ ობიექტთან სიახლოვით, უნიკალურობით და არა უნივესალიზმითა და გარკვეული მიკერძოებულობით (მაგუაირი 1987). თვისობრივი მეთოდებია: მონაწილეობითი დაკვირვება, ჩაღრმავებული ინტერვიუ, ცხოვრების ისტორია. გენდერული კვლევები ფართოდ იყენებს თვისობრივ მეთოდებს და ცდილობს, გამოასწოროს და შეავსოს ის ნაკლები, რომლებიც ტრადიციულ მეთოდებში იყო მათი ანდროცენტრული (იხ.) მიკერძოების გამო.

კ

კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაული – შეიცავს შემდეგ დანაშაულებს, რომელნიც მიმართულია მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ:

- მკვლელობა;
- განადგურება;
- დამონება;
- დეპორტაცია;
- თავისუფლების აღკვეთა;
- წამება;
- გაუპატიურება;
- დევნა პოლიტიკურ, რასობრივ, რელიგიურ ნიადაგზე;
- სხვა არაჰუმანური ქმედება.

კერძო-საჯარო – კერძო/საჯარო – პატრიაქალური აზროვნებიდან და პრაქტიკიდან მომდინარე დიქოტომია, რომლის თანახმად

კერძო სფერო გაიგივებულია ქალთან და ქალურ თვისებებთან: ინტიმურობასთან, ირაციონალობასთან, ვიწრო ინტერესებთან, ემოციურობასთან და ა.შ. ხოლო საჯარო – მამაკაცურთან, ანუ რაციონალობასთან, ობიექტუობასთან, მერიტოკრატულ და კონკურენციულ თვისებებთან. ამ სისტემაში ქალი მოიაზრება, როგორც ბუნებრივად შესაბამებული კერძო სფეროს, და შეუსაბამო და გამოუსადეგი საჯარო სფეროსთვის: პოლიტიკის, საზოგადოებრივი ცხოვრების, ეკონომიკის და ა.შ.

ამ მიდგომით ქალი მოკლებულია მოქალაქის სტატუსს და მთლიანად ეკონომიურად დამოკიდებულია მამაკაცზე. მეოცე საუკუნემდე ასეთი აზროვნება და მისგან გამომდინარე პრაქტიკა ტოტალურად იყო გავცელებული.

კლიტოროდექტომია – ქირურგიული ოპერაცია, რომელიც მდგომარეობს კლიტორის მოკვეთაში. რიგ ტრადიციულ საზოგადოებებში **კ**-ს მიმართავენ ქალზე სექსუალური კონტროლის გასაძლიერებლად, რადგან ოპერაციის შემდეგ ქალი მოკლებულია ორგაზმის განცდის უნარს და კაგავს სექსუალურ ინტერესს. **კ**. ძირითადად სრულდება ადრეულ ასაკში და, ხშირად, ახლავს მძიმე გართულებები. დღეს, **კ**. კვალიფიცირებულია, როგორც ადამიანის უფლებების წინააღმდეგ უმძიმესი დანაშაული – სხეული განზრახ დამახინჯება ქალის დისკრიმინაციის მიზნით.

კონსტრუქტივიზმი, სოციალური – სოციოლოგიური მიდგომა, რომლის თანახმად განსხვავებანი ქალებსა და მამაკაცებს შორის არ არის თანდაყოლილი და ბუნებრივი, არამედ კონსტრუირებულია საზოგადოების მიერ, გამყარებულია სოციალური ინსტიტუტების მეშვეობით და განმეორებადია თაობიდან თაობაში დასწავლის, აღზრდისა და განათლების საშუალებით.

კულტურული ფემინიზმი – (იხ. ფემინიზმი კულტურული).

კვოტა, (ქვოტა) გენდერული – მმართველობის ორგანოებში ქალებისა და მამაკაცების წარმომადგენლობის დაკანონებული დონე/რიცხოვნება. კვოტა, როგორც ერთ-ერთი პოზიტიური ზომა, წარმოადგენს თანასწორი შესაძლებლობების მიღწევის საშუალებას: როცა არსებობს ბარიერები, ომპენსაციისთვის საჭირო ხდება კსპეციალური ზომების გატარება. კვოტების მიზანია, მაგალითად, ქალი-პოლიტიკოსების კრიტიკული მასის (დაწყებული 30%-დან) შექმნა, რომლებსაც ექნებათ უნარი,

გავლენა მოახდინონ პოლიტიკურ პროცესებზე. გენდერული კვოტა შეიძლება დაწესდეს არა მხოლოდ მმართველობით ორგანოებისთვის, არამედ ყველგან, სადაც გენდერული ბალანსი დარღვეულია, ამ ბალანსის მისაღწევად ან აღსადგენად. კვოტირებას ბევრი მომხრე და მოწინააღმდეგე ჰყავს, მათ შორის, ფემინისტებს შორისაც.

კონვენცია ქალის მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW) – მიღებულია გაეროს მიერ 1979 წელს. გადაწყვეტილება მისი შემუშავების შესახებ მიღებულია ქალთა საკითხებისადმი მიძღვნილ პირველ მსოფლიო კონფერენციაზე, მეხიკოში, 1975 წელს. საქართველო მიუერთდა 1994 წელს.

კონვენცია მიერთებულ სახელმწიფოებს ავალდებულებს: ჩართონ კონსტიტუციაში და სხვა საკანონმდებლო აქტებში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის პრინციპი; გამოიყენონ სპეციალური სანქციები ქალთა დისკრიმინაციის ასაკძალად; გაატარონ ზომები, რათა შეიცვალოს მოქმედი კანონები, წეს-ჩვეულებები და სხვა პრაქტიკა, რომელიც ქალისთვის დისკრიმინაციულია; უზნუნველყონ თანბარი შესაძლებლობები ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, მოქალაქეობრივი უფლებებით სარგებლობაში ქალებისა და მამაკაცებისთვის.

კონტრაცეფცია – არასასურველი ორსულობისაგან დაცვის მრავალფეროვანი მეთოდების ერთობლიობა. ფემინისტების აზრით, კონრაცეფციის გავცელებამ, სხვა ფაქტორებთან ერთდ, საფუძველი მოურყია პატრიარქატის ერთ-ერთ ბურჯს – მამაკაცების მხრიდან ქალის შობადობაზე კონტროლს.

კულტურული ფემინიზმი – რადიკალური ფემინიზმის ერთ-ერთი მიმართულება, რომლის თანახმად ქალებს, თანდაყოლილი თვისებებიდან ან განსაკუთრებული ისტორიული გამოცდილებიდან გამიმდინარე მათთვის დამახასიათებელი თვისებები აქვთ (თანაგრძნობა, სიმშვიდე, დათმობა და სხვა). შორსაა პოლიტიკისგან და მიზანია, სხოვრების სტილით შეცვალოს პატრიარქალური სინამდვილე.

ლ

ლესბოსელი – ქალი, რომელსაც აქვს გამოკვეთილი სექსუალური და რომანტიკული ლტოლვა (მიდრეკილება) საკუთარი სქესის წარმომადგენელთა მიმართ.

მ

მარგინალობა – მდგომარეობა, რომელიც აღნიშნავს სოციალური ჯგუფის არა შიგნით, ცენტრში ყოფნას, არამედ მის საზღვებთან. **მ**. გამოხატავს ერთგვარ გარიყულობას საზოგადოებიდან, მეორეხარისხოვან მგომარეობას. მარგინალებად მიიჩნევიან მიგრანტები ან სხვადასხვა სოციალური უმცირესობები, რომლებზეც არ ვცელდება ან ნაწილობრივ ვრცელდება საზოგადოებრივი ნორმები, კანონები, პრივილეგიები და სხვა.

მასკულინური – მამაკაცური. პიროვნება, კულტურა ან მიდგომა, რომელიც ხასიათდება მამაკაცური ღირებულებებისა და თვისებების აქცენტირებით.

მატრიარქატი – სოციალური ორგანიზაცია, რომელიც ეფუძნება ქალთა ძალაუფლებას. სიტყვასიტყვით აღნიშნავს დედის, როგორც ოჯახის უფროსის მიერ განხორციელებულ მართვას.

მაჩო – ტერმინი, რომელიც აღნიშნავს ხაზგასმულ მასკულინობას, ქალურის გაუფასურებას, ძლიერ სექსიზმს (იხ.).

მიზოგინია – იგივე, ქალთმოძულეობა.

მიზანდრია – მიზოგინიის საპირისპირო ცნება, ანუ მამაკაცთმოძულეობა.

მონოგამია – ქორწინების ნორმა, რომლის თანახმად შესაძლებელია მხოლოდ ერთი პარტნიორის ყოლა. ზოგიერთ შემთხვევაში **მ**. გულისხმობს ხელახალი ქორწინების აკრძალვასაც.

მშვიდობა (პოზიტიური/ნეგატიური) – პოზიტიური მშვიდობა, საზოგადოება/ქვეყანის ისეთი მდგომარეობაა, როდესაც ის არ იმყოფება ომის ან კონფლიქტის პროცესში და ამასთან ერთად ეს საზოგადოება თავისუფალია სტრუქტურული ძალადობის სხვადასხვა გამოვლინენბებისგან, მაგ. ოჯახური ძალადობა, ტრეფიკინგი, ძალადობა უმცირესობების მიმართ და ა.შ., ანუ რომელშიც დომინირებს მშვიდობისა და კომპლექსურად არაძალადობის კულტურა/ატმოსფერო. განსხვავდება ნეგატიური მშვიდობის განმარტებისგან, რომელშიც მხოლოდ არა-ომისა და არა-კონფლიქტის მდგომარეობა მოიაზრება. (ი. ჰალტუნგი, ბ. ბ. უტნი).

ნ

ნუკლეარული ოჯახი – ოჯახის ფორმა, რომელშიც იგულისხმება მხოლოდ მშობლები (ან ერთი მშობელი) და მათზე დამო-

კიდებული შვილები, განსხვავებით გაფართოებული, მრავალთაობიანი ოჯახისგან.

ო

ორმაგი სტანდარტი – სიტუაცია, როდესაც საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფისთვის (მაგ, მამაკაცებისთვის და ქალებისთვის) არსებობს განსხვავებული ქცევის სტანდარტი, მორალური იმპერატივები, ნორმები, უფლებები. ამასთან, ეს განსხვავება, გამოიხატება ერთ-ერთის უპირატეს მდგომარეობაში: არჩევანისა და ქცევის მეტ თავისუფელბაში, უფლებრივ პრივილეგიებში, მეტ ლოიალურობაში მათი ქცევის შეფასებისას.

ოჯახი – ადამიანთა ჯგუფი, რომელთაც აკავშიებთ ნათესაური კავშირი, რომლებიც იზიარებენ საერთო საცხოვებელ სივრცეს, სადაც მოზრდილები იღებენ პასუხისმგებლობას საკუთარ ან ნაშვილებ შვილებზე.

ოჯახური როლები – ქცევითი მოდელები, რომელთა თანახმად ფუნქციონირებენ ოჯახის სხვადასხვა წევრები და, რომლებიც გამოიხატება განსხვავებული საქმ იანობის შესრულებაში, განსხვავებულ სტატუსში, ოჯახის ეკონომიკაში შეტანილ განსხვავებულ წვლილში, ოჯახის წევებს შორის განსხვავებულ ემოციურ და ფსიქოლოგიურ მიმართებებში. ტრადიციული ოჯახური როლები ქალს მოიაზრებს რეპროდუქციული ფუნქცის შემსულებლად – ოჯახის წევრთა მოვლა, ბავშვების გაზრდა, ოჯახის წევრების ემოციური მხარდაჭერა, საკვებზე და სისუფთავეზე ზრუნვა და ა.შ., ხოლო მამაკაცს – პროდუქციულ როლში: ოჯახის ეკონომიკის უზრუნველყოფა, მატერიალური დოვლათის შექმნა, ოჯახის გარე ურთიერთობების დამყარება. ხშირად ტრადიციული ოჯახური როლები ასიმეტრიულია სტატუსის მიხედვითაც. მამაკაცს ავტომატურად ოჯახის უფროსის სტატუსი აქვს მინიჭებული, ამ სტატუსიდან გამომდინარე, ძალაუფლების ერთპიროვნული განხორციელების პრივილეგიითაა აღჭურვილი გადაწყვეტილებების მიღებაში, ოჯახის სხვა წევრებისგან მორჩილების მოთხოვნაში, სანქციების განხორციელებაში, თავისუფალი დროის განკარგვაში და სხვა.

ოჯახური ძალადობა – ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური ან სექსუალური ძალადობა, რომელსაც ახორციელებს ოჯახის ერთი წევრი მეორის მიმართ. როგორც წესი, ოჯახური

ძალადობის მსხვერპლი ხდება ოჯახის ყველაზე დაუცველი წევრი: ქალი, ბავშვი, მოხუცი.

ერთჯერადი ან განმეორებადი ქმედება ოჯახის ერთ-ერთი წევრის მხრიდან სხვა წევრების მიმართ, რომლის მიზანია მათზე ძალაუფლებისა და კონტროლის მოპოვება და, რომელიც ვლინდება მათი (სხვა წევრების) დათრგუნვის, დაშინების, ბრალდების, მუქარის ან ფიზიკური ხელყოფის სახით.

პ

პატრიარქატი – საზოგადოებრივი ურთიერთობების ტიპი, რომელიც ეფუძნება მამაკაცთა დომინირებას და ქალების დამორჩილებულ, მეორეხარისხოვან მდგომარეობას. მისი ანტიპოდია *მატრიარქატი*.

პოლიანდრია – მრავალქმრიანობა.

პოლიგამია – მრავლობითი ქორწინება. ძირითადად იგულისხმება

პოლიგინია, ანუ მრავალცოლიანობა, რომელიც დღესაც გავრცელებული პრაქტიკაა მუსლიმურ კულტურებში.

პოზიტიურ ქმედებათა პროგრამა (affirmative action program (AAP) – წარმოადგენს ორგანიზაციებში იმ ადამიანთა რაოდენობის გაზრდის საშუალებას, რომლებიც გარკვეული სოციალური ჯგუფების (მაგ. ეთნიკური, გენდერული) მიკუთვნებულობის გამო ტრადიციულად არ იყვნენ წარმოდგენილნი. მაგალითისთვის, ასეთი პროგრამები მოწოდებულია, უზრუნველყოს ქალის ავტორიტეტის მხარდამჭერი სოციალური მოდელები, რათა ნათელი გახდეს, რომ ქალსაც შეუძლია მაღალი სტატუსის დაკავება. მართალია, პოზიტიურ ქმედებათა პროგრამები გულისხმობს უპირატესობებს საკადრო პოლიტიკაში, მაგრამ კრძალავენ მკაცრი ქვოტების გამოყენებას ან პრეტენდენტების კვალიფიკაციის იგნორირებას.

პოზიტიურ ქმედებათა პროგრამა დროებითი ზომაა, რომელიც გამოიყენება საზოგადოების დისკრიმინირებული ჯგუფისათვის და, რომელიც ამ ჯგუფს აძლევს გათანასწორების შანსს.

პორნოგრაფია – სექსუალური ხასიათის მასალა – ლიტერატურა, სურათები, ფილმი, მასმედიის პროდუქცია – რომელიც ახდენს ადამიანის სასქესო ორგანოების ან სექსუალური კავშირის დემონსტირებას (ხშირად უხამსი, ძალადობრივი, ნაკლებ ესთეტური ფორმით) და, რომლის მიზანია, ადამიანის სექსუალობის პროვოცირება, სექსუალური აგზნება.

სამოცდაათიან წლებში ფემინისტები აქტიურად გამოდიოდნენ პორნოგრაფიის წინააღმდეგ და აწყობდნენ მასობრივ აქციებს პორნოგრაფიული პლაკატების, ფილმებისა და მედიის წინააღმდეგ. რადიკალური ფემინისტების აზრით, პორნოგრაფია არის მამაკაცის ძლიერების ზეიმი და სექსისტური სურვილი, რომ ქალის სექსუალობა და ღირებულებები მთლიანად ემორჩილებოდეს მამაკაცის სიამოვნების და გართობის მიზანს. იგი არა მარტო სექსისტური და ქალთმოძულეა, არამედ მასში წარმოდგენილია ქალის მიმართ სასტიკი და არაჰუმანური ძალადობის მაგალითები ან ქალის ვითომდა მაზოხისტური ბუნება.

პროსტიტუცია – ზოგიერთი ფემინისტის აზრით, პროსტიტუცია პატრიარქტის პროდუქტია და წამოადგენს სექსუალური და ეკონომიკური ექსპლოატაციის ფორმას. მათი აზრით, პროსტიტუცია არ არის გარდაუვალი მოვლენა, რომელიც ვითომდა გამოწვეულია მხოლოდ მამაკაცთა სექსუალური მოთხოვნილებით და ქალის ბუნებრივი მორჩილებით და დაქვემდებარების სურვილით. ქალები ხდებიან სექსუალურად მისაწვდომები, რათა მოიპოვონ ის, რასაც სხვა გზით მოკლებულნი არიან. მაგ. ფული, საკუთრება.

რ

რეპროდუქტიული უფლებები, სქესობრივი უფლებები – ადამიანის უფლება, განსაზვროს და მიიღოს გადაწყვეტილება ოჯახის დაგეგმარების (დაქორწინება, ბავშვების რაოდენობა და შუალედები ბავშვების დაბადებას შორის, კონტრაცეფციის ფორმები) და სქესობრივი ცხოვრების შესახებ. **რ.უ.**-ში ასევე შედის რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება, უნარი და შესაძლებლობა სქესობრივი და რეპროდუქციული ქცევის გაკონტროლებისა, სქესობრივ ქცევაში შიშის, სიმორცხვის და დანაშაულის გრძნობისგან გათავისუფლება და სქესობრივი დაავადებისგან თავის დაცვა.

ს

საოჯახო შრომა (იგივე რეპროდუქციული შრომა) – შრომა კერძო, საოჯახო აქტივობის სფეროში, ისეთი, როგორიცაა ბავშვებისა და ოჯახის იმ წევრთა მოვლა, რომლებიც ამას საჭიროებენ, ოჯახის წევრთა მომსახურება, საკვების მომარაგება და

მომზადება, საცხოვრებელი ფართის მოვლა, საოჯახო მეურნეობის გაძღოლა.

სირკუმსაცია (გენიტალიური) – იხ. კლიტოროდექტომია.

სეგრეგაცია – დისკრიმინაციული ზომებით სოციალური ჯგუფების (მაგ. რასობრივი, ეთნიკური, კლასობრივი, გენდერული ჯგუფების) ფიზიკური ან სტატუსური დაშორება;

სეგრეგაცია გენდერული პროფესიების მიხედვით – მამაკაცთა და ქალთა განაწილება სხვადასხვა სტატუსისა და პროფესიული სტრუქტურის ფარგლებში და, აქედან გამომდინარე, უთანასწორობა შრომის ანაზრაურებაში, პრესტიჟულობაში და სხვა პროფესიულ მახასიათებლებში.

სქესი – მამაკაცებისა და ქალების განმასხვავებელი ბიოლოგიური საფუძველის მქონე კატეგორია.

სექსიზმი – ადამიანთა დისკრიმინაცია მათი სქესის საფუძველზე. ცნება შეიქმნა რასიზმისა (დისკრიმინაცია რასობრივი კუთვნილების საფუძველზე) და ეიჯიზმის (ხანდაზმულთა უფლებების დარღვევა ან შეზღუდვა) ანალოგიით; ძირითადად სექსიზმის ობიექტი ქალია. სექსიზმი გამოიხატება ისეთი ფრაზეოლოგიის, ცრურწმენების, იდეოლოგიისა და პრაქტიკის დემონსტრირებაში, რომელიც ქალის მიმართ დამამცირებელ დამოკიდებულებებს შეიცავს.

მაგ.: დამამციებელი ფრაზები, ანეკდოტები, მზერა, სამსახურში და სახლში ქალთა შეზღუდვა და ღირსების შელახვა და ა.შ.

სექსიზმს საფუძვლად უდევს ის დაშვება, რომ მამაკცები ქალებზე რაღაცით უპირატესნი არიან. სექსიზმი განმსჭვალავს და ხელს უწყობს პატრიარქალურ, მამაკაცთა დომინირების სისტემას.

სექსიზმი სოციალურ-სქესობრივი დაყოფის ისეთი იდეის მხარდაჭერაა, სადაც ქალი გაიგივებულია მის სხეულთან, ხოლო კაცი – გონებასთან.

სოციალური სქესი – იხ. გენდერი.

სექსუალობა – ინდივიდის ბუნებრივი ან არსობრივი მახასიათებელი, რომელიც გამოიხატება სექსუალურ ქცევაში, სურვილებში, როლებში, იდენტურობასა და ურთიერთობებში. სექსუალობა ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური ან სოციოლოგიური კვლევის

საგანია. სექსუალობში ზოგჯერ იგულისხმება ორიენტაცია ან უპირატესობა გაკვეული სახის სექსუალური ქცევის მიმართ.

სექს-ვაჭრობა _ ადამიანთა, უმეტესად ქალებისა და გოგონების, სექსუალური ექსპლუატაციის ორგანიზებული სისტემა (იხ. ტრეფიკინგი).

სექსუალური ზეწოლა, შევიწროება (harrasment) – სექსუალური დისკრიმინაციის გავრცელებული ფორმაა. სექსუალური ზეწოლა წარმოადგენს შემდეგ ქმედებებს (თუ ისინი განხორციელდა ზეწოლის ობიექტის წინასწარი თანხმობის გარეშე): ღია ან ფარული ფორმის სექსუალური პრეტენზიები, სექსუალური მომსახურების თხოვნა ან მოთხოვნა, სექსუალური ხასიათის სიტყვიერი ან ფიზიკური ქმედებები. სექსუალური ზეწოლის, შეურაცხყოფის სახეებიდან ყველაზე ხშირად განიხილავენ სექსუალურ ზეწოლას სამუშაო ადგილზე, იმ პირისგან, რომელზეც მსხვერპლი დამოკიდებულია სამსახურის სტრუქტურიდან გამომდინარე ეკონომიურად ან იერარქიულად.

სექსუალური ძალადობა ცოლ-ქმრულ ურთიერთობაში – მეუღლეზე ძალდატანება, რათა მან, მისი ნების მიუხედავად, შეასრულოს "ცოლ-ქმრული მოვალეობა". ერთ-ერთი პარტნიორისთვის მიუღებელი ფორმით, ან/და ძალადობით, ან/და მუქარით სექსუალურ ურთიერთობაში შესვლის მოთხოვნა.

სუფრაჟიზმი – ქალების ბრძოლა საარჩევნო უფლებების მოსაპოვებლად, რომელიც მიმდინარეობდა XIX – XX საუკუნეების მიჯნაზე ევროპის მრავალ ქვეყანაში, ა.შ.შ-ში, რუსეთში. შედეგად ქალებმა მოიპოვეს უფლება მიიღონ მონაწილეობა და იყონ არჩეულნი საკანონმდებლო ორგანოებში, განკარგონ საკუთება, განქორწინების უფლება, უფლება საკუთრებაზე და ბავშვებზე, უფლება იყონ დაკავებულნი საზოგადოებრივი, პოლიტიკური, სამეცნიერო თუ სხვა საქმიანობით.

სქესობრივი ორიენტაცია – სქესობრივი ან რომანტიკული ინტერესი განსხვავებული ან საკუთარი სქესის პატნიორის მიმართ. არსებობს ჰეტეროსექსუალური (იხ.) **ს.ო.,** ჰომოსექსუალური (იხ.) **ს.ო.** და ბისექსუალური (იხ.) **ს.ო.**

სტერეოტიპები – ფართოდ გავცელებული, სტანდარტული, ხშირად მცდარი შეხედულებები საზოგადოების რომელიმე ჯგუფის შესახებ.

სოციალური კონსტრუქტივიზმი – სოციოლოგიური მიდგომა, რომლის თანახმად განსხვავებანი ქალებსა და მამაკაცებს შორის

არ არის თანდაყოლილი და ბუნებრივი, არამედ კონსტრუირებულია საზოგადოების მიერ, გამყარებული სოციალური ინსტიტუტების მეშვეობით და განმეორებადი თაობიდან თაობაში დასწავლის, აღზრდის და განათლების საშუალებით.

სელექტიური აბორტი – ნაყოფის მოცილება მისი (ნაყოფის) სქესის გამო. პრაქტიკაში, უმეტეს შემთხვევაში სელექტიურ აბორტს მიმართავენ მდედრობითი სქესის ნაყოფის მოსაცილებლად.

ტ

ტრანსსექსუალიზმი – ადამიანის სქესობრივი ცნობიერების მკვეთრი შეუსაბამობა მის გენეტიკურ სქესთან. **ტრანსსექსუალი** – ადამიანი, რომელიც იცვლის ფიზიკურ სქესს. ძირითადად ხორციელდება ქირურგიული ოპერაციის და ჰორმონალური მკურნალობის საშუალებით.

ტრანსვესტიტი – ადამიანი, რომელიც იცვამს საწინაარმდეგო სქესის ტანსაცმელს ეროტიკული ან სენსაციის მიზნით.

ტრეფიკინგი – ანუ ადამიანებით არაკანონიერი ვაჭრობა არის ადამიანის(თა) დაქირავება, გადაზიდვა, გადაცემა, მიზანდასახული დამალვა ან ადამიანის ხელში ჩაგდება მუქარით, მოტაცებით, ძალით, მოტყუებით ან იძულებით მათი სექს-ექსპლოატაციისგან ან იძულებითი შრომისგან არაკანონიერი გადასახადების ან მოგების მიღების მიზნით.

ტოლერანტობა (შემწყნარებლობა) – არის უნარი პატივისცემა და კეთილგანწყობილი დამოკიდებულება განსხვავებული/საწინააღმდეგო აზრის მიმართ. ტოლერანტობა ასევე არის სიცოცხლეზე და ღირსებაზე სხვა ადამიანების უფლების აღიარება. ტოლერანტობას ეწინააღმდეგება *ეთნოცენტრიზმი* (იხ.), *რასიზმი* (იხ.), *ქსენოფობია* (იხ.) და *სექსიზმი*.

ფ

ფემინიზმი – მამაკაცთა და ქალთა თანასწორობის იდეოლოგია. ქალთა მოძრაობა ცხოვრების ყველა სფეროში მამაკაცთან თანასწორობის მისაღწევად. ეტაპები: პირველი ტალღა – 1860-1920 წლები. მეორე ტალღა – 1960-იანი წლები. მესამე ტალღა – თანამედროვე პერიოდი. ფემინიზმი თვისი განვითარების სხვადასხვა სტადიაზე განსხვავებული უფლებებისთვის ბრძოლას ისახავდა ამოცანად. ესენი იყო მოქალაქის, ეკონომიკური და პოლიტიკური უფლებები; უფლება საკუთარ სხეულზე

სულზე და სიცოცხლეზე; კულტუროკრიტიციზმი. ფემინიზმის ყველაზე გავრცელებული მიმართულებებია: ლიბერალური (იხ.), რადიკალური (იხ.), ჰუმანისტური (იხ.), აკადემიური (იხ.), კულტურული (იხ.), ეკო-ფემინიზმი (იხ.).

ფემინიზმი, ლიბერალური – ფემინიზმის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მიმართულება. ეფუძნება თანასწორობის და თავისუფლების ლიბერალურ-დემოკატიოლ პრინციპებს. მისი მიზანია, ქალებისთვის თანასწორობისა და სამათლიანობის მიღწევა სოციალური ურთიერთქმედების ყოველდღიურ პრაქტიკაში. ლიბერალური ფემინიზმი ძირითად საშუალებებად განიხილავს საკანონმდებლო ცვლილებებს. ეფუძნება გენდერულად მგრძნობიარე (იხ.) პოლიტიკის გატარებას.

ფემინიზმი, რადიკალური – მიმართულება ფემინიზმში, რომელიც თავისი ანალიზის ცენტრში აყენებს მამაკაცთა ძალაუფლებას და ქალის დაქვემდებარებულ მდგომარეობას. ძირითადი ცნებაა *პატრიარქატი*, როგორც ქალის ჩაგვრის, ქალზე კონტროლის და გენდერული უთანასწორობის მექანიზმი. რადიკალური ფემნისტების ფოკუსშია კონტროლი ქალთა სექსუალობაზე, რომელსაც ეყრდნობა პატრიაქატი და, აქედან გამომდინარე, ოჯახი, დედობა, აბორტი, კონტრაცეფცია, ძალადობა ქალის მიმართ.

ფემინიზმი, კულტურული – ფემინიზმის მიმართულება, რომელიც ეფუძნება აზრს, რომ ქალი, თავისი ბუნებიდან გამომდინარე ან განსაკუთრებული ისტორიული გამოცდილების შედეგად მატარებელია ისეთი ფემინური/ქალური მახასიათებლებისა, როგორებიცაა: სხვებთან ურთიერთკავშირისკენ სწრაფვა, ზუნვა, ბუნებრიობა, თანაგრძნობა, იერარქიული ურთიერთობების არქონა, სწაფვა მშვიდობისკენ, და სიცოცხლისკენ. და რომ ეს თვისებები საწინააღმდეგოა მასკულინურისა. კულტურული ფემინიზმის წარმომადგენლები რადიკალური ფემინისტების საპირისპიროდ, ფემინურობას მიიჩნევენ უდიდეს ღირებულებად და ალტერნატულ ძალად, რომლის განვითარება ყველა ადამიანში მოგვცემს უკეთესი საზოგადოების აგების შესაძლებლობას.

ფემინისტი – ადამიანი, რომელიც იზიარებს ფემინისტურ იდეებს და მისდევს ფემინისტური ცხოვების სტილს. ფემინისტი ქალისათვის დამახასიათებლად ითვლება სოციალური ცვლი-

ლებებისაკენ სწრაფვა, ქცევის დამოუკიდებელი სტილი და საკუთარი თავის აღქმა მამაკაცის თანასწორად.

ფემინურობა – მახასიათებლები, რომლებიც დაკავშიებულია ქალთა სქესთან. ქცევის დამახასიათებელი ფორმები, რომლებსაც ქალისგან მოელიან გარკვეულ საზოგადოებაში. ტრადიციულად მიიჩნეოდა, რომ ფემინურობა ბიოლოგიურადაა განპირობებული, მას მიეწერებოდა ისეთი თვისებები, როგორებიცაა: პასიურობა, თანაგრძნობა, რბილი ხასიათი, მზრუნველობა, მგრძნობელობა, ირაციონალურობა. ეს თვისებები შეესაბამებოდა ქალის შემოსაზღვრას მხოლოდ კერძო/ოჯახური სფეროთი. ფემინისტი მკვლევარების აზრით, ფემინურობა არა იმდენად ბუნებრივია, რამდენადაც სოციალურად კონსტრუირებული (იხ.). რადიკალური ფემინისტების თვალსაზრისით **ფ**. არის დაბალი სოციალური სტატუსის მქონე ჯგუფისთვის დამახასიათებელი მახასიათებელი. პატრიარქალურ/ანდროცენტრულ საზოგადოებაში ფემინურობა, მასკულინურთან შედარებით, მეორად, დამატებით ან მარგინალურ მდგომარეობაში იმყოფება და წარმოადგენს შეზღუდვას, რომელიც მამაკაცისთვის მომგებიანია, სასიამოვნო და უსაფრთხო.

ფერტილური ასაკი – ფიზიოლოგიური და დემოგარაფიული კატეგორია, რომელიც აღნიშნავს ამ ასაკობრივი ჯგუფის ადამიანის უნარს, ჩასახოს და დაბადოს ბავშვი.

ქ

ქალთა მოძრაობა – ქალთა მრავალი ორგანიზაციის ერთობლიობა, რომელიც მოქმედებს სხვადასხვა სოციალური ფენის ქალთა ინტერესების დასაკმაყოფილებლად და, აგრეთვე, სახელმწიფო პოლიტიკის კორექციისათვის, რათა მიღწეულ იქნას გენდერული თანასწორობა ცხოვრების ყველა სფეროში. ქალთა მოძრაობის ფუნქციაა, განსხვავებული სოციალური ჯგუფების ქალთა ინტერესების მრავალფეროვნების გათვალისწინება/გამოხატვა და სოციალური, სამართლებრივი, საოგანიზაციო, იდეოლოგიური და პოლიტიკური მხარდაჭერის განხორციელება ქალების მიმართ.

ქალურობა – ფემინურობა (იხ.).

ქალთა ლიდერობა – ქალთა მონაწილეობა გადაწყვეტილების შემუშავებისა და მიღების პროცესში, სახელმწიფო და საზოგადოებრივი მართვის სხვადასხვა დონეებზე.

ქალთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებაში – გენდერული მიდგომისა და მეინსტრიმინგის ძირითადი მოთხოვნა, რომელიც გულისხმობს ქალების ჩართვას საზოგადოების პოლიტიკური, ეკონომიკური და ადმინისტრაციული მართვის სტრუქტურებში. ამასთან, მონაწილეობა ეხება ქალების არა მხოლოდ ფიზიკურ ყოფნას ამ სტრუქტურებში, არამედ მათი პოზიციის აღიარებასა და პატივისცემას. **ქ. მ.** გადაწყვეტილების მიღებაში ეხება ასევე ოჯახის, თემის ან კერძო სექტორის სფეროებსაც.

ქალი და განვითარება – მიდგომა, რომელიც იღწვის ქალის ინტეგაციისკენ განვითარების პროცესებში. ამოცანები: ქალთა პროექტების განხორციელება; ქალის კომპონენტის გათვალისწინება პროექტებში; ქალთა პროდუქტიულობისა და შემოსავლის ზრდა; ქალის უნარის გაზრდა, მართოს საკუთარი ოჯახი.

ქალის ადამიანის უფლებები – ცნება, რომელიც შემოღებულია ადამიანის უფლებათა დამატებად, მას შემდეგ, რაც ჩაითვალა, რომ ადამიანის უფლებები ვერ ფარავს სრულად ქალის უფლებებს და რომ ქალის უფლებების განხორციელებას ასევე წინ ეღობება საზოგადოებივი ცრურწმენები და ტრადიციული სტერეოტიპები. ქალის ადამიანის უფლებები მიეკუთვნება ადამიანის უფლებების მესამე თაობას, ე.წ. კოლექტიურ უფლებებს, რომელშიც ასევე შედის უფლება მშვიდობაზე, ეროვნულ თვითგამორკვევაზე, ჯანმრთელ გარემოზე და თავისუფლებას დისკრიმინაციისგან სქესის, ასაკის ან ეროვნული ნიშნით. ქალის ადამიანის უფლებების დამცველ ძირითად დოკუმენტს წარმოადგენს *კონვენცია ქალის მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის არმოფხვრის შესახებ* (იხ.) რომელიც მიღებულ იქნა გაეროს მიერ 1979 წელს.

ქალზე კონტროლი – ქალის დისკრიმინაციის ერთ-ერთი ფორმა, როდესაც მამაკაცი, ოჯახი ან საზოგადოება აწესებს ზედამხედველობას ან ზღუდავს ქალის არჩევანის თავისუფლებას მისი პროფესიული, სოციალური, რეპროდუქციული, სექსუალური და სხვა უფლებების და შესაბამისი ქცევის განხორციელებისას.

ქალწულობა – ტრადიციული ინსტიტუტი, რომელიც აკანონებს ქორწინებამდე ან გარკვეული რიტუალური (ან რელიგიური) მოსაზრებებით ქალწულად ყოფნის უპირატესობას, სასურველობას და აუცილებლობას. ქალწულობა სიმბოლოა იმისა, რომ ქალს არ ჰქონია სქესობრივი ურთიერთობა მამაკაცთან, რადგან ეს არის ქალის ფიზიოლოგიური მდგომარეობა, როდესაც შენარჩუნებულია ე.წ. ქალწულებრივი აპკი. პატრიარქალურ კულტურებში ქალწულობა წარმოადგენს ქალის "ვარგისიანობის" შეფასების კრიტერიუმს და გარანტიას მისი მამის ოჯახიდან ქმრის ოჯახში გადაცემის პროცესში. ზოგადად ქალწულობის ინსტიტუტი გვევლინება ქალის სექსუალობაზე გარეშე კონტროლის მძლავრ იარაღად. ქალწულობის ინსტიტუტში კარგად ჩანს საზოგადოების გენდერული ასიმეტრია და ორმაგი სტანდარტი საზოგადოების დამოკიდებულებაში ქალისა და მამაკაცის სექსუალური ქცევის მიმართ.

შ

შუშის ჭერი – მეტაფორა, რომელიც გამოხატავს იმ ფაქტს, რომ მრავალ ორგანიზაციაში არსებობს რაღაც უჩინარი ჭერი, რომლის ზემოთ ქალებს არ შეუძლიათ კარიერული წინსვლა. ეს არის ორგანიზაციაში და, ზოგადად, საზოგადოებაში არსებული ბარიერი, რომელიც ეფუძნება სტერეოტიპულ შეხედულებებს ქალისა და მამაკაცის უნარ-შესაძლებლობების (მაგ. ხელმძღვანელობისა და ლიდერობის უნარის) შესახებ და, რომელიც უშლის კვალიფიცირებულ ქალს დაწინაურებაში.

ძ

ძალადობა ქალის მიმართ – ქალის მიმართ ძალადობა გულისხმობს ნებისმიერი ძალადობის აქტს, რომელიც განხორციელებულია სქესობრივი ნიშნით, რომელიც გამოიწვევს ან შეუძლია გამოიწვიოს ფიზიკური, სქესობრივი ან ფსიქოლოგიური ზიანი ან/და განცდა ქალებში. ძალადობა შეიძლება ხორციელდებოდეს დაშინება/მუქარის მსგავსი აქტების ჩადენით, იძულებით ან/და ნებისმიერი ქმედებით რომელსაც მოჰყვება თავისუფლების შეზღუდვა საზოგადოებრივ ან პირად ცხოვრებაში. (გაერო-ს დეკლარაცია (1993 წელი) "ქალის მიმართ ძალადობის აღმოფხვრა). ქალის მიმართ ძალადობა მოიცავს შემდეგ შემთხვევებს და არ შემოისაზღვრება ამით:

ა) ფიზიკური, სქესობრივი, ფსიქოლოგიური ძალადობა, რომელსაც აქვს ადგილი ოჯახში, მოიცავს ცემას, სქესობრივი კავშირის იძულებით დამყარებას გოგონებთან ოჯახში, ცოლის გაუპატიურება ქმრისგან, ქალის სქესობრივი ორგანოების დაზიანება, ძალადობა ექსპლუატაციის მიზნით.

ბ) ფიზიკური, სქესობრივი, ფსიქოლოგიური ძალადობა, რომელსაც აქვს ადგილი საზოგადოებაში, რომელშიც შედის გაუპატიურება, სქესობრივი კავშირის დაძალება და არასასურველი შემოთავაზებანი სამსახურებში, საზოგადოებრივ ადგილებში, სამედიცინო და სასწავლო დაწესებულებებში. ამაში შედის ტრეფიკინგი და პროსტიტუციაში ჩართვა.

"ქალის წინააღმდეგ ძალადობა არის ისტორიული უთანასწორობის გამოვლინება სქესთა ძალაუფლებრივ ურთიერთობაში, რომელმაც მიგვიყვანა ქალზე მამაკაცის დომინირებასა და მის დისკრიმინაციამდე და ქალის სრული განვითარების შეფერხებამდე. ქალის მიმართ ძალადობა მისი მთელი ცხოვრების მანძილზე, ჩნდება კულტურული მოდელებიდან, კერძოდ, ზოგიერთი ტრადიციის და წეს-ჩვეულების მავნე პრაქტიკიდან და ვლინდება როგორც ეროვნებასთან, სქესთან, რელიგიასთან ან ენასთან დაკავშირებული ექსტრემიზმი, რომელიც ხელს უწყობს ქალის დაბალ სტატუსს ოჯახში, სამუშაო ადგილზე და საზოგადოებაში. (პეკინის დეკლარაცია და მოქმედებათა პლატფორმა 1995 წ.).

ქალის მიმართ ძალადობა მწვავდება:

- სოციალური ზეწოლის გამო;
- ქალების სამართლებრივი უცოდინრობის გამო;
- დახმარებისა და დაცვის არქონის გამო;
- ისეთი კანონების არარსებობის გამო, რომლებიც ეფექტიანად დაიცავდა ქალებს ძალადობისგან;
- არსებული კანონების შეცვლის სიძნელეების გამო; ხელისუფლების მხრიდან არაადეკვეტური ზომების გატარების გამო;
- განათლების ნაკლებობის გამო ძალადობასთან დაკავშირებული საკითხებში.

ძალაუფლება – ეს არის უნარი, ჩამოაყალიბო პირადი მიზნები და მოახდინო გავლენა სხვებზე, რათა ეს მიზნები მიიღწეს. ეს არის შესაძლებლობა, მიაღწიო რასაც გსურს, შეინარჩუნო

რაც გაქვს და მოახდინო გავლენა მოვლენებზე საკუთარი ინტერესების საპასუხოდ. ძალაუფლება იძლევა შესაძლებლობას, აკონტროლო და შეზღუდო სხვათა მონაწილეობა საზოგადოების ცხოვრებაში, რაც იწვევს ამ სხვათა (მაგალითად, უმცირესობათა) სოციალურ მარგინალიზაციას და უფლებამოსილების დაკარგვას.

ჯენდერი – იგივე რაც გენდერი (იხ.)

ჰ

ჰარასმენტი (იხ. სექსუალური ზეწოლა)

ჰერმაფროდიტი – ადამიანი, რომელსაც აქვს ორივე სქესისთვის დამახასიათებელი გენიტალიები და ჰორმონალური სისტემა.

ჰეტეროსექსუალი – ადამიანი, რომელსაც აქვს სექსუალური ან რომანტიკული ლტოლვა (მიდრეკილება) საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლის მიმართ.

ჰომოსექსუალი – ადამიანი, რომელსაც აქვს სექსუალური ან რომანტიკული ლტოლვა (მიდრეკილება) საკუთარი სქესის წარმომადგენლის მიმართ.

ჰომოფილია – ჰომოსექსუალიზმის აღმნიშვნელი მოძველებული ტერმინი.

ჰომოფობია – ჰომოსექსუალიზმის შიში. ხშირად იღებს ჰომოსექსუალებისადმი აგრესიული დამოკიდებულების ან გადაჭარბებულად დემონსტრირებული მასკულინური ქცევის სახეს. ჰომოფობიური ქცევა ვლინდება როგორც ჰომოსექსუალთა იგნორირებაში, დისკრიმინაციაში, ასევე, უკიდურესად აგრესიულ ფორმებში, მაგ., ადამიანის სექსუალური ორიენტაციის მიზეზით დევნაში და მკვლელობაში.

ბიბლიოგრაფია

წიგნში გამოყენებულია კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის მიერ შემუშავებული და 20–წლიანი საგანმანათლებლო სატრენინგო პროგრამებით აპრობირებული სატრენინგო მასალა, რომელიც სხვადასხვა ფორმით ქვეყნდებოდა ცენტრისავე ელექტრონულ და ბეჭდურ, გამოცემებში. ტრენინგების ნაბეჭდი მასალები ასევე რიგდებოდა ტრენინგის მონაწილეებში.

1. **საზოგადოების გამთლიანება ტოლერანტობისა და მშვიდობის კულტურის განვითარების გზით საქართველოში,** ტრენინგის სახელმძღვანელო, პირველი ეტაპი. კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის გამოცემა, თბილისი, 1998 წ.
2. **გენდერული სტერეოტიპებისა და ქალთა ფარული დისკრიმინაციის კვლევა საქართველოში.** ავტორები: ლუიზა არუთინოვი, ნანა ბერეკაშვილი, დალი ბერეკაშვილი, ნინო ციხისთავი. კავკასიის ქალთა ქსელისა და კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის გამოცემა, თბილისი, 1999 წ.
3. **ამის შესახებ არავინ გვაფრთხილებს! ქალთა ტრეფიკინგი და არალეგალური მიგრაცია საქართველოში.** ავტორი ნინო ციხისთავი, კავკასიის ქალთა ქსელისა და კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის გამოცემა, თბილისი, 2000 წ.
4. **ქალები: სიტუაციის პროფილირება საქართველოში.** რედაქტორი ნინო ციხისთავი, კავკასიის ქალთა ქსელისა და კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის გამოცემა, ISBN: 99928–937–3–7 თბილისი, 2002 წ.
5. **ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ სამართლებრივი მექანიზმების შემუშავება** (ტრენინგის მასალა). კავკასიის ქალთა ქსელისა და კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის გამოცემა, თბილისი, 2004 წ.
6. **საქართველო და მსოფლიოს რელიგიები.** რედაქტორი – სოზარ სუბარი, ავტორი – ნუგზარ პაპუაშვილი, კონფლიქტებისა

და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის გამოცემა, ISBN:99940–805–5–5; თბილისი, 2004 წ.

7. **ევროპის ანუ საქართველოს პასპორტი შეუწყნარებლობის წინააღმდეგ: ყველა განსხვავებულია, ყველა თანასწორია.** ბროშურა ტრენინგის მონაწილისათვის. კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის გამოცემა, თბილისი, 2004 წ.
8. **ვქმნით ტოლერანტულ გარემოს, ტოლერანტობის სახელმძღვანელო მასწავლებლებისათვის.** რედაქტორი – შორენა ლორთქიფანიძე, ავტორები: ნანა ბერეკაშვილი, რუსიკო მშვიდობაძე, მანანა ჯავახიშვილი, თეა ლობჟანიძე, შორენა ლორთქიფანიძე, ირინა სულხანიშვილი, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის გამოცემა, ISBN:99940–805–0–4; თბილისი, 2005 წ.
9. **დავძლიოთ გენდერული ძალადობა საქართველოში.** ტრენერთა ტრენინგის კურიკულუმი, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის გამოცემა გაერო–ს მოსახლეობის ფონდთან (UNFPA) პარტნიორობით, ISBN:978–9941–0–3291–2; თბილისი, 2005 წ.
10. **ოჯახური ძალადობა ქალზე, მრავალკომპონენტიანი კველევა.** რედაქტორი ნინო ციხისთავი, ავტორები: ლუიზა არუთინოვი, ნანა ბერეკაშვილი, ნინო ბაქაქური, რუსუდან იმედაძე, ნინო ციხისთავი, ქეთევან ჯელაძე. კავკასიის ქალთა ქსელისა და კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის გამოცემა, ISBN: 99940–805–1–2, თბილისი, 2006 წ.
11. **ღვინის სექტორის გენდერული განზომილება საქართველოში.** ავტორები: ნანა ბერეკაშვილი, გიორგი ნიჟარაძე, ნინო ციხისთავი. კავკასიის ქალთა ქსელისა და კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის გამოცემა, თბილისი, 2008 წ.
12. **უმცირესობები საქართველოში, სიტუაციური ანალიზი:** იძულებით გადაადგილებული პირები, მუსლიმი მესხები, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობები. რედაქტორი: გიორგი ხუციშვილი, ირინა კაკოიაშვილი, ავტორები:

გიორგი ნიჟარაძე (კვლევითი ჯგუფის ხელმძღვანელი), რუსუდან მშვიდობაძე, რუსუდან გოცირიძე, ნანა ბერეკაშვილი, ნინო ციხისთავი. კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის გამოცემა, ISBN: 9789992882–4–1–2 თბილისი, 2008 წ.

13. **რელიგიური მრავალფეროვნება საქართველოში, გზამკვლევი.** წიგნზე მუშაობდნენ: რუსუდან გოცირიძე, ლელა ქართველიშვილი, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის გამოცემა, ISBN:9789992882–4–1–2; თბილისი, 2008 წ.
14. **ვქმნით ტოლერანტულ გარემოს, ტოლერანტობის სახელმძღვანელო მასწავლებლებისათვის**. რედაქტორი – ნანა ბერეკაშვილი, ავტორები: ნანა ბერეკაშვილი, რუსიკო მშვიდობაძე, მანანა ჯავახიშვილი, თეა ლობჟანიძე, შორენა ლორთქიფანიძე, ირინა სულხანიშვილი. კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის გამოცემა, ISBN:99940–805–0–4; თბილისი, 2008 წ.
15. **ქალთა თანასწორობა საქართველოში. ინსტიტუციური მექანიზმებისა და ეროვნული მოქმედებათა გეგმის შესრულების მონიტორინგი.** ავტორი ნინო ციხისთავი, კავკასიის ქალთა ქსელისა და კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის გამოცემა, ISBN – 978-99940-805-9-5. თბილისი, 2009 წ.
16. **გმირები საზღვრებს გარეშე.** ავტორი – დენიელ ბათრი, ითარგმნა და გამოიცა კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის მიერ, ISBN:978–99928–824–8–1; თბილისი, 2010 წ.
17. **საქართველოში არსებული ეროვნებათშორისი და რელიგიათშორისი ურთიერთობების შეფასება რეგიონების მოსახლეობის მიერ** (სოციოლოგიური კვლევის შედეგები). ავტორები: გიორგი ნიჟარაძე, ნანა ბერეკაშვილი, ლუიზა არუთინოვი, ელენე ჩომახიძე. კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის გამოცემა, თბილისი, 2010 წ.
18. **გენდერული თანასწორობის სახელმძღვანელო პრინციპები ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ**

გენდერული თანასწორობის შესახებ საქართველოს კანონის იმპლემენტაციისა და ყოველდღიურ საქმიანობაში გამოყენების შესახებ. კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი, ალიანსები ქვემო ქართლი, მერსიქორფსის ერთობლივი გამოცემა, თბილისი, 2013 წ.

სერია: **“კონფლიქტოლოგიის ბიბლიოთეკა”**

საგანმანათლებლო პროგრამათა სატრენინგო მოდულები

წიგნი I: კონფლიქტების მოგვარება, მშვიდობის მშენებლობა

წიგნი II: გენდერული თანასწორობა, ტოლერანტული გარემო

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი

საკონტაქტო ინფორმაცია:

ივ. მაჩაბლის ქ. #5, თბილისი 0105, საქართველო

ტელ.: (+995 32) 299 99 87; (+995 32) 292 39 20; (+995 32) 293 91 78;

ელ.ფოსტა: iccn@iccn.ge

ვებგვერდი: www.iccn.ge

დაიბეჭდა სტამბა დამანში

თბილისი, პ. ჩანჩიბაძის ქუჩა 6

☎ 214 34 01, 593 25 05 22, 599 56 76 71

stamba.damani@gmail.com

სტამბა დამანი/ Print House Damani

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი (ICCN) – პირველი დამოუკიდებელი, პროფილური ორგანიზაცია, რომელმაც კონფლიქტების მეცნიერული შესწავლა, კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების საგანმანათლებლო საქმიანობა და მრავალარხიანი სამშვიდობო მოლაპარაკებები წამოიწყო საქართველოსა და კავკასიის რეგიონში. დაარსდა 1994 წლის 8 აგვისტოს (მოწმობა #1755). გასული 21 წლის მანძილზე განახორციელა 50-მდე სამეცნიერო და საგანმანათლებლო პროგრამა სამშვიდობო და კონფლიქტის ტრანსფორმაციის მიმართულებით, დაასაქმა 150-მდე ადამიანი, გამოსცა 100-მდე სამეცნიერო და პოპულარული წიგნი და ჟურნალი. სამოქალაქო საზოგადოების ათობით დამწყებ ორგანიზაციას ამოუდგა გვერდში მათი განვითარებისა და გაძლიერების მიზნით, ხელი შეუწყო და განსახილველად წამოწია საზოგადოებისთვის მტკივნეული საკითხები და საქმიანობა მათ მოსაგვარებლად წარმართა. საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში განახორციელა ტრენინგების პროგრამები. ტრენინგების მონაწილეთა რაოდენობა15,000-ზე მეტს ითვლის. ცენტრი აგრძელებს საქმიანობას და ღიაა თანამშრომლობისათვის.

ISBN 978-9941-0-8103-3
9 789941 081033